ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
მაკროეკონომიკის კათედრა

მირიან ტუხაშვილი, ნათია ჭელიძე

# შრომითი მიგრაცია

სალექციო მასალა

თბილისი
2019

წარმოდგენილი სალექციო მასალა ბაკალავრიატის სტუდენტთათვის შეკრებილი და შედგენილია პროფ. მ. ტუხაშვილისა და ასოც. პროფესორ ნათია ჭელიძის მიერ. გარდა თეორიული ნაწილისა, იგი მოიცავს ამ ავტორთა მიერ პრობლემის ირგვლივ სხვადასხვა დროს ჩატარებულ მრავალ კონკრეტულ გამოკვლევათა მასალებს, სტატისტიკურ ინფორმაციას, ილუსტრაციებს, ნორმატულ დოკუმენტებს, სიტუაციურ მაგალითებს.

დაინტერესების შემთხვევაში სტუდენტი არ შემოიფარგლება მხოლოდ რიდერში გადმოცემული ინფორმაციით, მაკროეკონომიკის კათედრაზე, მიგრაციის შემსწავლელ ცენტრში და ავტორთა პირად ბიბლიოთეკაში მათ შეუძლიათ ქართულ  და უცხო ენებზე  უახლესი ლიტერატურის გაცნობა, როგორც სახელმძღვანელოს, ისე დასავლეთის უნივერსიტეტებში სპეციალურად ამ კურსისთვის შედგენილი რიდერების სახით.

კურსის გავლის პარალელურად, დაინტერესების შემთხვევაში, სტუდენტებს საშუალება აქვთ, უშუალოდ მიიღონ მონაწილეობა მიგრაციის შემსწავლელი ცენტრის გამოკვლევებში.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


- შრომითი მიგრაციის ისტორია. მიგრაციული მობილობის კონცეფციები-4
- მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია და მიგრაციული პროცესების აღრიცხვა----------20
- თანამედროვე მიგრაციული სისტემები---------- 32
- საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მექანიზმი---------- 42
- საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე---------- 52
- გლობალიზაცია და საერთაშორისო შრომითი მიგრაცია----------74
- არალეგალური შრომითი მიგრაცია----------79
- სახელმწიფოს გარე მიგრაციული პოლიტიკა----------86
- შრომითი მიგრაცია საქართველოდან----------98
- შიგა შრომითი მიგრაცია----------133
- სავალდებულო გასაცნობი მასალა----------140
- სილაბუსი „შრომითი მიგრაცია“---------- 169

# შრომითი მიგრაციის ისტორია და მიგრაციული მობილობის კონცეფციები

## რა არის მოსახლეობის მიგრაცია?

მოსახლეობის ტერიტორიული მობილობა, მოსახლეობის მოძრაობა საზოგადოების არსებობის აუცილებელი ელემენტია. იგი სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში სხვადასხვა სახე იძენს, სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, მაგრამ როგორც განვითარების აუცილებელი მომენტი, ყოველთვის იყო და დარჩება მომავალშიც.

შეგვიძლია მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილება განვიხილოთ უხსოვარი დროიდან. თვით ადამიანის წარმოშობა და გავრცელება თანამედროვე ცივილიზებულ ტერიტორიაზე მჭიდროდაა დაკავშირებული მათ სივრცობრივ გადაადგილებასთან. თანამედროვე ევროპის ტერიტორიაზე ადამიანები მიგრირებულნი არიან და არა ადგილზე წარმოშობილნი.

მოდი გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი ხალხთა მასების დიდმასშტაბიანი ტერიტორიული გადაადგილებანი.

- ცივილიზებული სამყაროსათვის კარგადაა ცნობილი ებრაელთა მიგრაცია ეგვიპტიდან ისრაელში;
- ბერძნების მიგრაცია მცირე აზიაში, შავი ზღვისა და ხმელთაშუაზღვის სანაპირო ტერიტორიაზე. თქვენ ძალიან კარგად იცით ბერძნული ახალშენების შესახებ კოლხეთის ტერიტორიაზე.
- ხალხთა დიდი გადასახლებანი, რომელთაც ჰქვია ჰუნების, ალანების, გერმანელებისა და სლავების დიდ ტერიტორიული გადაადგილებებს დაწყებული მე–4 საუკუნიდან, ვიდრე მე–7 საუკუნემდე.

ა) ჰუნები ურალს იქითა მხრიდან მოედვნენ მთელ ევროპას. ამან გამოიწვია ევროპის ხალხების შევიწროება და გადაადგილება. ჰუნების მიწოლით ვესტგოთები კიდევ უფრო დასავლეთით გადაადგილდნენ და თავიანთი სამეფოები შექმნეს გალეთსა და ესპანეთში. ოსტგოთებმა იტალია დაიკავეს.

ალმანებმა რაინი გადალახეს და სამხრეთ დასავლეთი გერმანია და თანამედროვე შვეიცარიის ტერიტორია დაიკავეს. გერმანელმა ტომებმა ჩრდილოეთი გალეთი დაიკავეს. ანგლებმა, საქსებმა და იუტებმა ბრიტანეთის კუნძულებზე სამეფო შექმნეს. იქაური კელტების ნაწილი ბრეტანში გადავიდა. ლანგობარდები იტალიაში გადავიდნენ. სლავები ბალკანეთის

ნახევარკუნძულზე გადასახლდნენ. მე–7–მე–9 საუკუნეებში არაბები მთელ ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას მოედვნენ. მე–9 საუკუნის ბოლოს ნორმანებმა გადმოიწიეს სამხრეთიდან, ხოლო ურალიდან უნგრული ტომები გადმოვიდნენ ევროპაში.

თუ რა მასშტაბისა იყო ეს ნაკადები ყოველმხრივ გამოკვლეული არაა. მაგალითად, თვლიან რომ ვანდალები 406 წელს რომს რომ შეესივნენ, 400 ათასნი იყვნენ, ხოლო სლავები, ვინც 577 წელს დუნაი გადალახა და ბალკანეთისკენ წავიდა, 100 ათასი იყო. ეს იმ დროისათვის საკმაოდ დიდი რიცხვია.

ხალხთა დიდ მიგრაციებს შორის ერთ–ერთი მნიშვნელოვანია ციმბირიდან და სხვა აღმოსავლეთის რეგიონებიდან თურქული ტომების დამპყრობლური ომები და მიგრაციები შუა და წინა აზიაში მიგრაციები, რაც საბოლოოდ მრავალი საუკუნის განმავლობაში თურქეთის მძლავრი იმპერიის სახით ფორმირდა და აღნიშნული რეგიონების თურქიზაციით დამთავრდა. მეორე მხრივ, მეტად დიდი მასები გადაადგილდა თათარ–მონღოლთა შემოსევის დროს. მაგალითად, ვოლგაზე თათრების კონცენტრაცია.

ყოველთვის ინტერესს იწვევდა ქართველი ტომების ადრეული ეთნოგენეზისის, წარმომავლობისა და საქართველოს ტერიტორიაზე დასახლების საკითხები. ამ თემაზე მრავალი ნაშრომი არსებობს. მეტად საინტერესოა აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის სავარაუდო მოსაზრება(დაწვრილებით იხილეთ: ოთარ ჯაფარიძე. ქართველური ტომების ადრეული ეთნოგენეზისის საკითხისათვის. ჟ. დემოგრაფია. #1. 1999 წელი).
მოსახლეობის დიდი მასების გადანაწილება გამოიწვია დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, კერძოდ, ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამ. დემოგრაფიულად სწრაფად მზარდ ევროპიდან დიდი ტემპით დაიწყო ძირითადად ინგლისურენოვანი და ესპანურენოვანი მოსახლეობის პერმანენტული ემიგრაცია ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე.

სანამ დეტალურად განვიხილავთ მოსახლეობის ტერიტორიული მოძრაობის კლასიფიკაციას, უნდა აღვნიშნოთ, რომ ე.წ. შრომით მიგრაციის განმავლობაში არის ბევრი პირობითობა. ესაა მიგრაციის სახე, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის მიგრაციულ გადაადგილებასთან. მიგრაციული გადაადგილება კი, თავის მხრივ, ნიშნავს მოსახლეობის გადაადგილებას ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორეში, ანუ დასახლებული პუნქტის ადმინისტრაციული საზღვრის გადაკვეთას. ცხადია, აქ ყოველივე პირობითია, მაგალითად,

მიგრაციულ გადაადგილებად ითვლება ვარკეთილის მეურნეობიდან თბილისში შემოსვლა(2კმ) და არ ითვლება ზაჰესიდან ვარკეთილის დასახლებაში(30კმ) გადასვლა.
მეორე არსებითი ნიშანი, რომელიც შრომით მიგრაციას ახლავს არის გადაადგილების მიზანი. ესაა გადაადგილება დასაქმებისა ფა შემოსავლის მიღების მიზნით.

მესამე არსებითი ნიშანიც პირობითია. ეს არის გადაადგილების ხანგრძლივობა. აქაც ბევრი პირობითობაა, ბევრ ნორმატულ დოკუმენტში ის განსაზღვრულია6 თვიდან ერთ წლამდე., თუმცა ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ის პრობლემები, რაც შრომით მიგრაციებს ახლავს ვერ თავსდება ამ კრიტერიუმებში, რასაც ჩვენ შემდგომ შევეხებით.

არა მარტო ზოგადად გადასახლებებს, არამედ უშუალოდ შრომით მიგრაციის ამა თუ იმ სახითა და მასშტაბით ადგილი ჰქონდა ყველა ეპოქაში. რაღა შორს წავიდეთ, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში არაერთი კარგი მაგალითია მშენებელ ხელოსანთა ემიგრაციისა სხვადასხვა ქვეყნებში. ფეოდალური ხანის ისტორიულ წყაროებში შემონახულია არაერთი ცნობა, რომელიც ასახავს ქართველთა სხვა ქვეყანაში სამუშაოდ გასვლას. ივანე ჯავახიშვილი განიხილავს აბუსელიძე ტბელის თხზულებას და გადმოსცემს ვინმე კალატოზი ბასილის ნაამბობს: “ მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინის საცემლად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობანი, რათა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაი“. როგორც დიდი ისტორიკოსი ასკვნის, ამ ხელოსნისათვის სხვა ქვეყანაში მუშაობა ცხოვრების ერთადერთი სახსარი ყოფილა. მისივე მტკიცებით, ასეთი გასვლები ქვეყნიდან ფულის საშოვნელად და სამუშაოდ ბევრია. ამის დამადასტურებელია იგივე თხზულებიდან მოტანილი ცნობა, რომ ცხმორისიდან „კაცნი წავიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაისიმე ღონედ სიგლახაკისა თვისისა“. ირკვევა, რომ ცხმორისელნი სპარსეთში ყოფილან წასულნი სარჩოს საშოვნელად და სახლობის გამოსაკვებად. რაკი „სიგლახაკის“ გამო სხვა „ღონე“ არ ჰქონდათ, უცხოეთშიც კი მიდიოდნენ სამუშაოდო, ასკვნის ივანე ჯავახიშვილი.

უნდა ჩავთვალოთ, რომ შრომითი მიგრაციები ქვეყნების საზღვრების შიგნით, ერთი რეგიონიდან მეორეში, მთიდან ბარად ან პირიქით, ყოველთვის მეტნაკლები ინტენსიურობით იყო, მაგრამ ჩვენში მაინც უფრო ინტენსიური გახდა ბატონყმობის გაუქმების შემდგომ. გარე შრომით მიგრაციაც კაპიტალიზმის განვითარებასა და მსოფლიო შრომის ბაზრის ფორმირებას

შეიძლება დავუკავშიროთ. ამ დროს მოხდა ჭარბი შრომის რესურსების მქონე ქვეყნებიდან სამუშაო ძალის გადადინება შრომაზე მოთხოვნის მქონე ქვეყნებში. იგი აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ ტრანსპორტის განვითარებასაც, რამაც დიდი გასაქანი მისცა ქვეყნებს შორის შრომის ბაზრების დაკავშირებას. ეს კი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია.

არის სხვა შეხედულებაც, რომელიც შრომით მიგრაციებად მიიჩნევს აფრიკიდან ამერიკის კონტინგენტზე მონა სამუშაო ძალის შეყვანასაც. 15 მილიონი კაცი შეიყვანეს აფრიკიდან ამერიკაში (ცნობილი მეცნიერი სტიკერი). მაგრამ თანამედროვე შრომით მიგრაციებთან კავშირში არსით, სტრუქტურით, კონკრეტული მიზეზებითა და მოქნილობით ზემოაღნიშნული მოვლენები მეტად განსხვავებულია. მართლაც, სად იყო მაშინ თანამედროვე შრომით მიგრაციებისათვის დამახასიათებელი დაბრუნებითობა ანდა ნებაყოფილობითობა?

## შრომითი მიგრაციის თეორიები და შესწავლის მეთოდოლოგია

საერთაშორისო შრომითი მიგრაციის თეორიულ დამუშავებას მრავალი მეცნიერი შეუდგა. ისინი ცდილობენ საერთაშორისო მიგრაციის მიზეზების ახსნას და გამოყოფენ სავსებით განსხვავებულ, ამავე დროს, ურთიერთსაწინააღმდეგო ფაქტორებს. მაგრამ შრომითი მიგრაციის საერთო თეორიების შექმნის, მიზეზებისა და შედეგების ახსნის ნებისმიერ მათ ცდას მივყავართ ევერესტ ლიის გამონათქვამამდე: «მიგრაცია _ ეს კომპლექსური მოვლენაა და ის ძნელად თუ მოექცევა განსაზღვრულ სქემაში». სამუშაო ძალის საერთაშორისო გადაადგილებაზე თეორიული მასალა მწირია, ამიტომაც მიგრაციის თეორიებში ხშირად ჭარბობს პოლიტიკური და სოციოლოგიური ახსნა.

**ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორიის მიმდევრები** (J.R. Harrisi, m.P. Todaro, O. Stark, D. Massey, R. Cohen) საერთაშორისო შრომით მიგრაციას ხსნიან ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონეების სხვაობით, კერძოდ, შრომის ანაზღაურებაში განსხვავებით. ბუნებრივია, სამუშაო ძალა მიემართება იქ, სადაც შრომის მაღალი ანაზღაურებაა. ამითაც ვლინდება საერთაშორისო შრომის ბაზრის თვითრეგუ-ლირებადი ხასიათი. ეკონომიკის აღმავლობისა და ემიგრაციის გაძლიერების კვალდაკვალ ხელფასის დონეებს შორის განსხვავებაც მცირდება და საემიგრაციო სტიმულიც იკლებს. მუშახელის ექსპორტიორი ქვეყანა შეიძლება იმპორტიორადაც გადაიქცეს. ნეოკლასიკური ეკონომიკის თეორია გულისხმობს, რომ მიმღები და დონორი ქვეყნების შრომითი რესურსები აბსოლუტურად იდენტურია (შეუძლიათ ერთმანეთი შეცვალონ) და ორივე ქვეყანაში მიგრაციის პროცესში ნარჩუნდება სრული დასაქმება, რაც, უმეტეს შემთხვევაში, რეალობას არ შეესაბამება.

**ადამიანური კაპიტალის თეორიაში** (J.S. Becker, L.A. Sjaastad, H.R. Clarke, B.R.Chiswick) მიგრაციის მიზეზებს განიხილავენ მიკროდონეზე. თითოეული მიგრანტი მოიაზრება როგორც მის განათლებაში, კვალიფიკაციასა და სამედიცინო მომსახურებაში ინვესტირების შედეგი. მიგრირების პროცესში ადამიანური კაპიტალის თეორია გარდა ეკონომიკურისა, მხედველობაში იღებს, ასევე ფსიქოლოგიურ დანაკარგებს, როგორიცაა: განშორება

ახლობლებთან; არამატერიალური ფაქტორები – კლიმატი, უფრო მაღალი დონის კულტურასთან და სხვა საზოგადოებრივ სიკეთესთან ხელმისაწვდომობა და სხვა, რაც, უმეტესწილად, მიგრაციის ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიღმა რჩებოდა.
ბარი ჩაისვიკი (Chiswick B.R.) აღნიშნულ თეორიას შრომით მიგრანტთა სელექციურ მოდელად მიიჩნევს, რომელიც როგორც დონორ, ისე მიმღებ ქვეყნებში ახდენს ხელსაყრელ სელექციას შრომითი მიგრანტების მოთხოვნა-მიწოდების თვალსაზრისით. სელექციური მიდგომა კიდევ უფრო წარმატებულია, თუ მიმღებ და გამგზავნ ქვეყნებში ხელფასებს შორის ფარდობითი სხვაობა მეტია მაღალკვალიფიციური მუშაკების სასარგებლოდ.

**მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორია** (O. Stark, E. Taylor, D. Massey, P. Arnold) ეყრდნობა მიკროეკონომიკურ ფუნქციონალურ ანალიზს. მიგრაციაზე გადაწყვეტილება მიიღება არა ცალკეული ინდივიდების, არამედ კოლექტიურად, ოჯახის წევრების მიერ. მიგრაციის მიზანია არა მარტო მოსალოდნელი შემოსავლის მაქსიმიზაცია, არამედ საკუთარ ქვეყანაში შრომის ბაზრის, დაზღვევისა და საკრედიტო სისტემის არასაკმარისად განვითარებასთან დაკავშირებული რისკების მინიმიზაცია. ამ რისკების გადალახვა შეიძლება უფრო მეტი სტიმული იყოს ოჯახისთვის, ვიდრე ხელფასებს შორის სხვაობა. ამ თეორიის მიმდევრები ცდილობენ ახსნან მიგრაციის პროცესი მაკროდენეზე და ხაზს უსვამენ საერთაშორისო შრომითი მიგრაციის შედეგად ქვეყნებს შორის პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებას. დონორ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობამ შეიძლება არა იმდენად მუხრუჭის როლი შეასრულოს, რამდენადაც სტიმულისა, რადგან იგი თავის თავში მოიცავს ადგილობრივ ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებებისთვის დამატებით დაინტერესებას.

**საზოგადოებრივი კაპიტალის თეორიის მიხედვით** (D. Massey, L.P. Goldring, J. Durand) «საზოგადოებრივ კაპიტალში» მოიაზრება იმიგრაციის ქვეყანაში გამოცდილ მიგრანტთა ქსელების არსებობა, რომლებმაც უკვე შექმნეს ადგილობრივ შრომის ბაზარზე დამკვიდრების გარკვეული სქემები და განავითარეს ინფრასტრუქტურა (განვითარებული ტრანსპორტი, სასაქონლო ბაზრები, საბითუმო ბაზრები, შუამავალთა ინსტიტუტები, დილერები, «საკუთარი» საზოგადოებრივი კვება და ა.შ. ხშირად ბაზრებს აქვთ თავიანთი

სასტუმროები, აბანო-სამრეცხაო კომბინატი, საკუთარი დაცვა). მიგრანტთა «საზოგადოებრივ კაპიტალად» შეიძლება ჩაითვალოს, აგრეთვე, მიმღებ და დონორ ქვეყნებს შორის შუამავალი სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომერციული ინსტიტუტები, რომლებიც კიდევ უფრო ამარტივებენ იმიგრირების პროცესებს და უცხო გარემოში ქმნიან საიმედო დასაყრდენს.

**ცალკე აღებული ოჯახური მიგრაციის ეკონომიკის** (G. Borjas, J. Mincer) თეორიით შეუძლებელია შრომით მიგრაციული განწყობის ახსნა. ის მიგრაციის მიზეზებს და მიმართულებებს განსაზღვრავს ოჯახის თვალსაზრისით. იგი გულისხმობს ეკონომიკურ, სოციალურ და ფსიქოლოგიურ მიდგომებს. ოჯახური წყვილის გადაწყვეტილება ემიგრირებაზე დამოკიდებულია მოსალოდნელ სარგებელზე.

**სეგმენტირებული (მეორადი) შრომის ბაზრის თეორიაში** (M.J. Piore, A. Portes, L. Basch) შრომითი მიგრაცია ასე განიხილება: ეკონომიკური განვითარების პოსტინდუსტრიულ ეტაპზე მდიდარი ქვეყნების შრომის ბაზარზე ჩნდება იაფ უცხოელ მუშახელზე მუდმივი მოთხოვნა. ეროვნული სამუშაო ძალის სტაბილური სამუშაო ადგილებითა და მაღალი ხელფასით უზრუნველყოფა ხდება შრომის ბაზრის პირ-ველადი სექტორით, მეორადი სექტორი კი თავისი დამახასიათებელი ნიშნების გამო (არასტაბილური დასაქმება, დაბალი ხელფასი, პროფესიული ზრდის მცირე შესაძლებლობა და სხვ.) ნაკლებად მიმზიდველია მათთვის და მას უთმობენ უპრეტენზიო შრომით იმიგრანტებს.

შრომის ბაზრის სეგმენტირების პროცესი ყველაზე აქტუალურია მსოფლიო მეგაპოლისებისათვის.

**შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის** (Э. Плетнев, J.H. Johnston) თანახმად შრომის მსოფლიო ბაზარი ფორმირდება და ფუნქციონირებს სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის შედეგად და მკაფიოდ გამოხატული ტერიტორიული საზღვრები არ გააჩნია. საერთაშორისო მიგრაცია განისაზღვრება სამუშაო ძალის არა მხოლოდ მოთხოვნა-მიწოდებითა და ხელფასის დონეებს შორის სხვაობით, არამედ მსოფლიო პოლიტიკური, დემოგრაფიული, სოციალური, კულტურული და სხვ. პროცესების დინამიკით. მიგრაციაზე აღნიშნული ფაქტორების კომპლექსურ გავლენას აქამდე განხილული თეორიები არ ეხებიან.

**მსოფლიო სისტემების, ანუ მსოფლიომეურნეობის თეორიაც** (S. Sassen, E.M. Petras) მსგავსია შრომის მსოფლიო ბაზრის თეორიის. ამ თეორიის თანახმადაც საერთაშორისო შრომითი მიგრაცია უფრო ინტენსიურია ყოფილ კოლონიების მქონე სახელმწიფოებსა და მათ კოლონიებს შორის, რადგან მათ შორის ჩამოყალიბებულია კულტურული, ისტორიული, ენობრივი, ადმინისტრაციული და სხვა კავშირები. ამასთან, კავშირგაბმულობის საშუალებები, განვითარებული სატრანსპორტო ქსელი აადვილებს ადამიანთა საერთაშორისო გადაადგილებას.

**ახალი საერთაშორისო ეკონომიკური წესრიგის თეორია** (W.R. Bohning, G. Bhagwati) ki im თეორიებისგან განსხვავებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში გამოდიან უცხოელ სამუშაო ძალაზე მოთხოვნის განმსაზღვრელი როლიდან, აქცენტს აკეთებს სამუშაო ძალის მიწოდებაზე, მის თვისობრივ ხასიათზე და დონორ ქვეყნებში მიგრაციის მიერ გამოწვეულ შედეგებზე. ისმება საკითხი მიგრანტთა გამგზავნი ქვეყნების სასარგებლოდ «უფრო სრულყოფილი და სამართლიანი კომპენსაციის მექანიზმის» შესამუშავებლად.

**ღია ეკონომიკის თეორიული მოდელი** (P. Stalker) გულისხმობს, რომ საწარმოები, რომლებიც საჭიროებენ ბევრ მუშახელს, უნდა განთავსდეს განვითარებად ქვეყნებში, ხოლო ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში კაპიტალტევადი და მაღალტექნოლოგიური საწარმოები. ეს შეასუსტებს შრომითი რესურსების გადაადგილების აუცილებლობას. მაგრამ რეალურად სხვა სურათი მივიღეთ: განვითარებად ქვეყნებში ინფრასტრუქტურის არარსებობამ მიგრაციული ნაკადები მისგან ვერ შეამცირა, პირიქით, ევროპასა და აშშ-ში იმიგრანტებმა თანდათან გამოდევნეს დაბალანაზღაურებად სამუშაო ადგილებიდან ეროვნული მუშახელი, მაღალტექნოლოგიური წარმოება კი კვალიფიციურ მუშაკთა სიიაფის გამო მესამე სამყაროში გადავიდა. ხელფასში განსხვავების ფაქტორის შესწავლისას პიტერ სტალკერი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ცხოვრების დონისა და შრომის პირობების გათანაბრების ტენდენცია, რომელიც ამერიკისა და ევროპის მაგალითზე შეინიშნება, განვითარებადი ქვეყნებისთვის მიუღებელია. მესამე სამყაროდან მასობრივი ემიგრაცია ჯერ ვერ გვაძლევს ვერც უმუშევრობის დონის შემცირების, ვერც შემოსავლების გათანაბრებისა და ვერც რეალური ეკონომიკური ზრდის იმედს, რადგან

ფულადი გზავნილები ინდივიდთა ხელიდან ხელში გადადის და ძირითადად იხარჯება ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე.

სტალკერი აყალიბებს თანამედროვე მიგრაციის მოდელს, რომელიც ეკონომიკურ ფაქტორებზეა აგებული: ა) ყველა ინდივიდი ცდილობს ემიგრირებიდან მიიღოს სარგებელი; ბ) ოჯახი მიისწრაფვის არასტაბილურ მსოფლიოში ცხოვრების რისკი შეამციროს ოჯახის შრომისუნარიანი წევრის საშოვარზე გაგზავნით; გ) ხდება შრომის ახლებური საერთაშორისო დანაწილება – იმიგრანტებს წილად ხვდათ დაბალანაზღაურებადი, არასტაბილური, არაპრესტიჟული სამუშაო ადგილები.

«აღმავლობის» ანუ «ტექნოლოგიური განვითარების» თეორის წარმომადგენლის ჯორჯ საიმონის25 აზრით, როგორც იმიგრაციული ქვეყნისთვის, ასევე გლობალურ დონეზე, მიგრანტთა განსაზღვრული რიცხოვნობა შეიძლება გახდეს აღმავლობის პირობა. მიგრაციული პროცესები დადებითი მუხტის მატარებელია მიმღები ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარებისთვის, მიგრანტები სავსებით ანაზღაურებენ იმ საზოგადოებრივი საქონლის ღირებულებას, რითაც ისინი სარგებლობენ, რადგან თვითონ აწარმოებენ, ნაწილობრივ მოიხმარენ კიდეც და იხდიან გადასახადებს.

**«მიზიდვა-განზიდვის» (Pull-Push) თეორია** (H. Jerome, E.A. Lee) მკაფიოდ გამოხატავს დონორი ქვეყნიდან ემიგრირებაზე გადაწყვეტილების მიღებაში «განმზიდავი» ფაქტორების როლს, მიმღებ ქვეყანაში კი შესაბამისად _ «მიმზიდავი» ფაქტორების როლს. ანუ ემიგრირების პროცესი განისაზღვრება პოტენციური მიგრანტების მიერ ამ ფაქტორების სუბიექტური აღქმით.

**ინტეგრაციის თეორიის თანახმად,** სამუშაო ძალის მიგრაცია ხდება მანამდე, სანამ საინტეგრაციო სისტემაში არ გათანაბრდება ზღვრული შრომის ნაყოფიერება და ხელფასი. მიგრაციას ასტიმულირებს თავისუფალი გადაადგილების დაშვება, კვალიფიკაციის ურთიერთაღიარება და, საერთოდ, გამოირიცხება კულტურული და ენობრივი განსხვავების გადამწყვეტი მნიშვნელობა. სოციალურ-კულტურული მიკუთვნების როლი მიგრაციის განხორციელებაზე გადაწყვეტილების მიღებაში ამ თეორიაში ნაკლებად მიიღება მხედველობაში, თუმცა, ევროკავშირის მოქალაქეთა მიგრაციული განწყობის შესწავლისას გამოყენებული სხვადასხვა მიგრაციული მოდელები

მოწმობენ მიგრანტთა ნაკადების მასშტაბისა და მიმართულებების განსაზღვრისას ტრადიციული დამოკიდებულების მნიშვნელოვან როლს.

ინტეგრაციული თეორიის თანახმად, რეგიონებს შორის შემოსავლებსა და ხელფასებს შორის გათანაბრება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხდეს კაპიტალისა და საქონლის მოძრაობით და მხოლოდ ამის შემდეგ შრომითი მიგრაციის შედეგად;

**საგარეო ვაჭრობის თეორიის** (Гудрун Биффль, Mandel R.) წარმომადგენელი რ. მანდელი ამტკიცებს, რომ სავაჭრო ბარიერები ასტიმულირებს წარმოების ფაქტორების მოძრაობას, საქონლით ვაჭრობაზე კი ახდენს დადებით ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, ევროპის ქვეყნებში ინტეგრაციული პროცესები ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებს შორის საქონლით ვაჭრობის გაფართოებას და სამუშაო ძალის მიგრაციის შემცირებას. მისი ვარაუდით, სამუშაო ძალის მიგრაცია ნაწილობრივ შეენაცვლა საგარეო ვაჭრობას, მაგრამ ეს სწორი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საერთაშორისო ვაჭრობის მამოძრავებელი იქნებოდა მსოფლიოს ქვეყნების სარესურსო ბაზებს შორის განსხვავება. გაცვლის შედეგად წარმოიქმნებოდა ისეთი შრომის დანაწილება, რომელიც უპასუხებდა საწარმოო ხარჯებში შედარებით უპირატესობებს. 80-იანი წლების დასაწყისიდან კი ხარჯებში შედარებით უპირატესობის პრინციპი აღიქმება როგორც მოვლენის სუსტი ახსნა, ვინაიდან მთავარი სავაჭრო ნაკადები მოდის ერთნაირი განვითარების დონის ქვეყნებზე და მრეწველობის ერთსა და იმავე დარგის საზღვრებში, ამიტომ სასაქონლო ვაჭრობა და შრომითი მიგრაცია ურთიერთშემავსებელი მოვლენებია და, აქედან გამომდინარე, გარკვეული კვალიფიკაციის სამუშაო ძალა წავა იქით, სადაც გამოყენებული იქნება იგი საექსპორტო საქონლის წარმოებაში (მაგალითად, ინფორმაციული უზრუნველყოფის მუშაკები, პროგრამისტები, ინჟინრები წავლენ კომპიუტერებისა და პროგრამული პაკეტების წარმოების ცენტრებში). ეკონომიკურ განვითარებასთან თანამოქმედება მიგრაციული პროცესების ალტერნატივა კი არ არის, არამედ მისი შემავსებელია. ის ხელს უწყობს მიგრაციის ხასიათის შეცვლას, მაგრამ არ აუქმებს თვითონ მოვლენას. სავაჭრო ურთიერთობათა ლიბერალიზაცია და მიგრაციული ნაკადები ხშირად კი არ ცვლიან, არამედ ავსებენ ერთმანეთს.

სავაჭრო ნაკადების მოდელები შეესაბამებიან მიგრაციული ნაკადების მოდელებს. ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალ დონეზე უფრო

დიფერენცირებული ხდება გასაცვლელი საქონლის სტრუქტურა და მაღლდება მათი ხარისხი, ამის მსგავსად  მიგრაციული ნაკადების წანაცვლებაც ხდება უფრო მაღალი პროფესიული უნარ-ჩვევების შემენის მიმართულებით.

**მიგრაციული ქსელების თეორიას** (D. Massey, A. Simmons) საფუძვლად უდევს ცნება «მიგრანტთა საზოგადოება». მიგრანტთა თავდაპირველი ნაკადები საფუძველს უქმნის მიგრაციული ქსელის ფორმირებას, რაც ასუსტებს მიგრაციის ბარიერებს და კიდევ უფრო აძლიერებს იმიგრაციულ ტალღას. ქსელი აღრმავებს თანამემამულეებთან კავშირს და ასრულებს ინფორმატორის როლს.

**კუმულაციური მიზეზობრიობის თეორია** (D. Massey) მიგრაციული ქსელების თეორიის თავისებური განვითარებაა. მიგრანტთა მიერ შექმნილი სოციალური ინფრასტრუქტურა მიგრაციულ პროცესებს სძენს ძლიერ შინაგან ინერციას, რაც მიგრანტებს ეხმარებათ წინააღმდეგობა გაუწიონ შემზღუდავი იმიგრაციული პოლიტიკის მანიპულაციებს.

**მიგრაციული სისტემების თეორია** (R.E. Bilsborrow, M.M. Kritz, H. Zlotnik, D. van de Kaa, D. Massey) შრომის მსოფლიო ბაზრის, მსოფლიო სისტემებისა და კუმულაციური მიზეზობრიობის თეორიების გაერთიანებაა. შრომითი მიგრაცია განპირობებულია სხვადასხვა ფაქტორით, მისი ახსნისთვის აუცილებელია სისტემა განვიხილოთ მთლიანობაში. ეს თეორია გეოგრაფიული სიახლოვის ფაქტორს არ განსაზღვრავს როგორც აუცილებელ პირობას. ტერიტორიულად დაშორებული ქვეყნები შეიძლება წარმოადგენდნენ გლობალური მიგრაციული სისტემის მნიშვნელოვან ნაწილს.
მეცნიერთა ერთი ჯგუფი შეეცადა დაემუშავებინათ ახალი საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო შრომითი მიგრაციის წარმოქმნისა და განვითარების სინთეზური ახსნები. ჯგუფი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საერთაშორისო მიგრაცია აღმოცენდება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ტრანსფორმაციების კვალდაკვალ, იგი სტრუქტურული ტრანსფორმაციის საზოგადოებაში საბაზრო ურთიერთობების განვითარების შედეგია.

ორიათწლეულის მანძილზე მიმდინარე თეორიული და ემპირიული კვლევები შეჯამდა **სინთეზურ თეორიაში.** დუგლას მასეი მივიდა იმ

დასკვნამდე, რომ საერთაშორისო შრომით მიგრაციას განაპირობებს არაცალკეული ფაქტორები, არამედ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა თეორია ერთად: ნეოკლასიკური თეორიის თანახმად რაციონალურად მოქმედი სუბიექტი ემიგრირდება იმიგრაციის ქვეყანაში მოსალოდნელი მაღალი ხელფასის გამო, მაშინ როცა შრომითი მიგრაციის ახალი ეკონომიკური თეორიის შესაბამისად, მიგრანტი ცდილობს გადალახოს თავის ქვეყანაში არსებული საკრედიტო და სადაზღვევო სისტემების, ფიუჩერსების, კაპიტალისა და შრომის ბაზრების ნაკლოვანებები საზღვარგარეთ დროებითი დასაქმების მეშვეობით, გამომუშავებული თანხით კი მოახერხოს სამშობლოში თვითდაზღვევისა და თვითდაფინანსების წყაროს შექმნა. ნათელი გახდა, რომ იმიგრაციული და ემიგრაციული ქვეყნების ხელფასებს შორი სგანსხვავება არ წარმოადგენს გადაადგილების მოტივაციი სერთადერთ და არც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს (ამის მაგალითია ევროკავშირის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის გადაადგილების არარსებობა) და მიგრაცია იქამდეც კი წყდება, სანამ მოხდებოდეს ამ განსხვავებებს შორის გათანაბრება (მაგალითად, პუერტორიკო და აშშ-ს შორის მიგრაციული პროცესების შეწყვეტა).

სტრუქტურული ტრანსფორმაციები საზოგადოებაში უმუშევრად დარჩენის რისკი დიდია, ამიტომ ჩნდება სტიმული «თვითდაზღვევისა» და ოჯახიდან ერთი-ორი ადამიანი საზღვარგარეთ მიდის სამუშაოდ. იგივე მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობაშიც. მოძველებული ტექნიკით გარე ბაზარზე ორიენტირება შეუძლებელი აღმოჩნდა, გაძნელდა კომერციულ ფერმერულ მეურნეობასა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიაზე გადასვლაც. სუსტად განვითარებული საბანკო სისტემები ვერ უზრუნველყოფენ მცირე ბიზნესისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის კრედიტების გაცემას. ამას ემატება მოსავალზე ფასების დაცემისა და მოუსავლიანობის საშიშროება, რაც იძულებულს ხდის მოსახლეობას, უსაფრთხოების მიზნით ოჯახის ერთი წევრი მაინც დაასაქმოს საზღვარგარეთ, რათა საერთოდ, არსებობის წყარო არ დაიკარგოს.

დუგლას მასეი იშველიებს სეგმენტირებული შრომის ბაზრების თეორიას და მიგრირების მოტივაციას ხსნის თვით იმიგრაციის ქვეყნებში უცხო სამუშაო ძალის შეყვანაზე აუცილებელი მოთხოვნით, რაც ხშირად ლეგალური გზითაც ხორციელდება.

მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ეკონომიკური გლობალიზაცია, რომელიც განვითარებად რეგიონებში ქმნის მობილურ მოსახლეობას, მსოფლიო

მეგაპოლისებში იზრდება მათ მომსახურებაზე მოთხოვნა (მსოფლიო სისტემების თეორია). მიგრაციული პროცესები ასევე წარმოიქმნება საგარეო პოლიტიკითა და საომარი მოქმედებებით, რაც, თავის მხრივ, აჩენს ლტოლვილთა ნაკადს, პოლიტიკურ დევნილებსა და თავშესაფრის მაძიებელთ.

ვინაიდან მიგრაციული ქსელის ზრდის ხარჯზე იმიგრაცია ქმნის თვითმზარდ ძლიერ ტენდენციას, იმიგრანტთა კონცენტრაცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე წარმოქმნის «ოჯახი და მეგობრები»-ს ეფექტს. იგი ხელს უწყობს იმიგრანტთა ეკონომიკური ანკლავის ფორმირებას, რომელიც კვლავ გაზრდის მოთხოვნას მიგრანტებზე (საზოგადოებრივი კაპიტალის თეორია). მიგრაციის ყოველი აქტი აფართოებს სოციალურ ინფრასტრუქტურას (კუმულაციური მიზეზობრიობის თეორია). იმიგრაციული ქვეყნების მიერ შემზღუდავი პოლიტიკის მიღების საწინააღმდეგოდ, მიგრაციული ქსელები თვით ქმნიან მომსახურების ახალ სექტორს (მიგრაციის ხელშემწყობი სააგენტოები, დამქირავებლები, შუამავლები), რომელიც ხელს უწყობს პოტენციურ შრომით მიგრანტთა დამქირავებლებთან დაკავშირებას და ა.შ.

დ.მასეიმ მოუყარა თავი ექვსი თეორიის მთავარ მოსაზრებებს და შექმნა სინთეზური თეორია, რომელიც ეყრდნობა ძირითად დებულებებს, რითაც, მიზანშეწონილია, მიგრაციული პოლიტიკის შემუშავებისას იხელმძღვანელონ:

ა) საერთაშორისო შრომითი მიგრაცია წარმოადგენს არაეკონომიკური ჩამორჩენილობის, არამედ სწორედ საბაზრო ეკონომიკის განვითარებულობის შედეგია. ფაქტობრივად, არცერთ ქვეყანაში მომხდარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესი მოსახლეობის მასობრივი გადაადგილების გარეშე იმ სფეროდან, რომელიც ადრე მათ ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენდა. საერთაშორისო მიგრაციაში ყოველთვის ძალიან ღარიბი ქვეყნების მოსახლეობა არ მონაწილეობს. შიგა მიგრაციისგან განსხვავებით, საერთაშორისო გადაადგილებით სტიმულირდება გეგმიანი ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობა, რადგან რაღაც ხარისხით, მათ უკვე აქვთ ურბანიზაციის გამოცდილება;

ბ)საერთაშორისო შრომითი მიგრაცია საერთაშორისო საზღვრების გადამკვეთი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციების პროცესების შედეგია. ტრანსფორმაციის პერიოდში მოსახლეობა «უნებურად» არ გადაადგილდება იქით «საითაც მოხვდება» ან რომელიმე ახლომდებარე მდიდარ ქვეყანაში, არამედ მიემგზავრებიან იქ, სადაც არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური კავშირები. ეკონომიკური კავშირები

გამოიხატება ვაჭრობასა და ინვესტიციების სფეროში, პოლიტიკური _ სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულებებში, ყოფილ კოლონიურ ურთიერთობებსა და სამხედრო თანამშრომლობაში; სოციალური კი _ ნებისმიერ ინსტიტუციონალურ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს უწყობენ მყარ, რეგულარულ კონტაქტებს ხალხთაშორის, მაგალითად, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები, დიპლომატიური მისიები, ტურიზმი, ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა და სხვა;

გ)შრომითი ემიგრანტები განვითარებულ ქვეყნებში მიემგზავრებიან იქაურ შრომით ბაზარზე ძლიერი და მყარი მოთხოვნის შესაბამისად, რაც წარმოიშობა პოსტინდუსტრიული ეკონომიკის პირობებში, სადაც შრომის ბაზარი სეგემნტირებულია პირველად და მეორად სექტორებად. ასე რომ, მათზე მოთხოვნა რომ არ იყოს, არავინ ემიგრირდებოდა, მითუმეტეს, არალეგალური გზით;

დ) მიგრანტები, როგორც წესი, საზღვარგარეთ მიემგზავრებიან შემოსავლის მიღების მიზნით და არა სამუდამოდ დარჩენის განზრახვით. გამომუშავებული თანხით ეხმარებიან სამშობლოში არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევას და ცდილობენ, საკუთარი დანაზოგით დააფინანსონ ოჯახები, ადგილობრივი წარმოება და დაიკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები;

ე)საერთაშორისო შრომითი მიგრაცია ზოგჯერ შრომის ბაზრის პირობების გავლენას უფრო ნაკლებად ექვემდებარება, ვიდრე სხვა ბაზრების მოთხოვნებს. ამჟამინდელი იმიგრაციული პოლიტიკა გამომდინარეობს იქიდან, რომ მიგრანტები გადაადგილდებიან მაქსიმალური შემოსავლის მიღების მიზნით, ამიტომ პოლიტიკა მიმართულია იქით, რომ გავლენა მოახდინოს შრომის ბაზრის პირობებზე. მაგრამ ცხადია, რომ მიგრანტები, მოსალოდნელზე დაბალი ხელფასების შემთხვევაშიც, არ კარგავენ სტიმულს, ვინაიდან მიგრირების გადაწყვეტილება ზეგავლენას ახდენს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ოპტიმისტური საერთაშორისო პროგრამები;

ვ) როგორიც არ უნდა იყოს მიგრანტთა პირველადი განზრახვა, შეძენილი მიგრაციული გამოცდილების მერე მათი მოტივაცია იცვლება. მიგრირების ხანგრძლივობის კვალდაკვალ იზრდება სამუდამოდ გადასახლების ალბათობაც. მაღლდება მოთხოვნილებათა კულტურა, ჩნდება ახალი გემოვნებები და მიზნები, რომელთა დაკმაყოფილება სამშობლოში უკვე

შეუძლებელია. ამასთან, მიგრანტები თანდათანობით აღრმავებენ მიმღებ ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებს, თხოვნით მიმართავენ მთავრობას ოჯახის წევრების ჩამოყვანის უფლების დაშვებაზე და, რაღაც დროის მერე დროებითი მიგრანტები გადაიქცევიან მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებად;

ზ) მიუხედავად მიგრაციის ინტენსიურობის მზარდი ტენდენციებისა, მიგრაციული ნაკადები არ არის მუდმივი, მათ გააჩნიათ რაღაც ბუნებრივი ხანგრძლივობა, რომელიც შეიძლება გაგრძელდეს დიდ ხანს ან მცირე ხნით, მაგრამ აუცილებლად დროის გარკვეულ ზღვრამდე. ეკონომიკური განვითარების შესაბამისად ევროპის უმეტესმა ქვეყანამ «ემიგრაციული გადასვლა» გაიარა ემიგრაციის ინტენსიურობის დაბალი მაჩვენებლიდან მაღლისკენ და კვლავ შემცირებისკენ. იგი გამოიხატება გადაბრუნებული U-ს ფორმის მრუდით, რომელსაც მარტინმა და ტეილორმა უწოდეს «მიგრაციული კუზი». ისტორიის გადმოსახედიდან ამ პროცესმა მოიცვა 8-9 ათწლეული. ხეტონმა და უილიამსონმა 1850 წლიდან 1914 წლამდე ევროპის 15 ქვეყანაზე დაკვირვებით უჩვენეს ემიგრაციული გადასვლის გადაბრუნებული U-ს ფორმის შედარებით დაბალი და გაშლილი მრუდი.

მთელი რიგი მონაცემები უჩვენებს, რომ შემცირდა არამარტო მასობრივი ემიგრაცია, არამედ «ემიგრაციული გადასვლის» დროც. აზიის ქვეყნებზე დაკვირვებით, მრუდი სწორდება 3-4 ათეულ წელიწადში;

თ) საერთაშორისო მიგრაციის დაწყება გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი შეწყვეტა _ აღიარეს პოლიტიკოსებმა. მეტად მნიშვნელოვან მექანიზმს საერთაშორისო მიგრაციის ინტენსიურობისთვის წარმოადგენ სმიგრაციული ქსელების წარმოქმნა, გავრცელება და მათ მიერ შექმნილი საკუთარი ინფრასტრუქტურა.

ამრიგად, ჩვენი შეხედულებით, ტერიტორიული გადაადგილების თეორიული შესწავლა გვკარნახობს, რომ ღია და დახურული მიგრაციული პოლიტიკის არჩევანს შორის მოიძებნოს მესამე გზა: უნდავაღიაროთ, რომ საერთაშორისო შრომითი მიგრაცია გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ბუნებრივ ნაწილი და, ორმხრივ სარგებლის მიღებაზე დაფუძნებულ იკაპიტალისა და საქონლის ნაკადების მსგავსად, ისიც მოითხოვს როგორც გამგზავნი, ასევე მიმღები ქვეყნისთვი სმოგების მაქსიმიზაციასა და ხარჯების მინიმიზაციაზე ორიენტირებას. იგი უნდა განხორციელდეს მსგავსი

მრავალმხრივი ხელშეკრულებების ეგიდით, რომლებიც არეგულირებენ ვაჭრობასა და სახელმწიფოთაშორის ინვესტიციებს.

აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ახსნა მიგრაციის რომელიმე კონკრეტული მოდელით შეუძლებელია. არსებულ მიგრაციულ ვითარებას შედარებით შეესაბამება სინთეზური მოდელი. საქართველოც მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის ნაწილია და, შესაბამისად, მის გავლენას განიცდის.

# მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია და მიგრაციული პროცესების აღრიცხვა

## მიგრაციული პროცესების კლასიფიკაცია

კლასიფიკაცია (ტიპოლოგია) მოვლენის შესწავლის ისეთი ინსტრუმენტია, როცა ხდება ერთგვაროვნობის მიხედვით იმ მოვლენის (პროცესის) დანაწილება მისი უკეთ დანახვის, ანალიზის მიზნით. მიგრაციულ პროცესებსაც სხვადასხვა ნიშნით ალაგებენ. გააჩნია, რა გვაინტერესებს. ამიტომ ლიტერატურაში ვხვდებით განსხვავებულ კლასიფიკაციებს, ტიპოლოგიის სხვადასხვა კრიტერიუმებს. მიგრაციის კლასიფიკაცია იმის მიხედვითაც ამჟღავნებს თავისებურებებს, თუ რა დარგის სპეციალისტი (ეკონომისტი, დემოგრაფი, სოციოლოგი, ფსიქოლოგი, ისტორიკოსი და ა.შ.) ახდენს მას. თუმცა არსებითი სხვაობა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ კლასიფიკაციებს შორის არ არის.

ჩვენ შევთანხმდით, რომ მიგრანტი არის პირი, ვინც გადალახა ამა თუ იმ ტერიტორიის (პირობითად, დასახლებული პუნქტი) საზღვარი საცხოვრებელი ადგილის მეტ–ნაკლები ხანგრძლივობით მუდმივი ან დროებითი შეცვლის მიზნით.

შეცდომა არ იქნება, თუ მიგრანტებში შევიყვანთ ე.წ. შრომით ქანქარისებრ მიგრანტებსაც, ვინც მეტ–ნაკლები სიხშირით ახდენენ დასახლებათაშორის გადაადგილებას დასაქმების (სამუშაოზე სიარული) მიზნით საცხოვრებელი ადგილის შეუცვლელად.

არსებობს მიგრაციის კლასიფიკაციის მრავალი მიდგომა. ჩვენ არ გვაქვს საშუალება განვიხილოთ ისინი ცალ–ცალკე მათი მეტისმეტი სიმრავლის გამო. მათგან შეიძლება გამოვყოთ შემდეგი ნიშნების მიხედვით:

– **ტერიტორიული მომცველობის მიხედვით** განასხვავებენ:

ა) შიგა

ბ) გარე (საერთაშორისო) მიგრაციებს;

– **მიგრაციის ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების მიხედვით**

ა) ნებაყოფილობითი

ბ) იძულებითი (ძალდატანებითი) მიგრაცია;

– **საქმიანობის ძირითადი მიზნის მიხედვით**

ა) შრომითი მიგრაცია

ბ) საგანმანათლებლო მიგრაცია

გ) სამომხმარებლო მიგრაცია (ესაა ოჯახის წევრთა გადაადგილება, სხვაგან გადასვლა ვალუტის მსყიდველუნარიანობის მქონე ქვეყნებში)

– **მიგრაციის ხანგრძლივობის მიხედვით:**

ა) მუდმივი (დაუბრუნებელი)

ბ) დროებითი

გ) სეზონური

დ) ქანქარისებრი (სამუშაოზე სიარული სხვა დასახლებულ პუნქტში ყოველდღე ან ყოველკვირა)

– **კანონმდებლობასთან მიმართებაში:**

ა) ლეგალური

ბ) არალეგალური

გ) კანონიერი

დ) უკანონო

ჩვენ უფრო გვაინტერესებს შრომითი მიგრაციების ტიპოლოგია, კერძოდ, **საერთაშორისო შრომითი მიგრაციების** კლასიფიკაციაში გამოყოფენ შემდეგ ნიშნებს:

– ნებაყოფლობითობას;

– დროებითობა (დაბრუნებადობას)

– ეკონომიკურ მოტივირებულობას.

ის პირები, რომლებიც დიდი სიხშირით კვეთენ საზღვარს და დაკავებულნი არიან საქონლის ყიდვა–გაყიდვით, არ ითვლებიან შრომით მიგრანტებად, თუმცა ითვლებიან ეკონომიკურ მიგრანტებად. რატომ? იმიტომ  რომ ამ დროს არ ხდება სამუშაო ძალის ყიდვა–გაყიდვის აქტი და მიგრანტს არ ქირაობს სამუშაო ძალის საზღვარგარეთელი დამქირავებელი.

შრომითი მიგრანტი, კლასიკური განმარტებით, – ესაა პირი, რომელიც თავისი სამუშაო ძალის უცხოელზე მიქირავების მიზნით კვეთს საზღვარს და შედის იმ სახელმწიფოში, რომლის მოქალაქეც ის არაა.

არის ფუნდამენტური, აღიარებული საერთაშორისო სარეკომენდაციო ნაშრომი “საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკა,“ გამოცემული ჟენევაში შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ 1999 წელს (ავტორები:რ.

ბილსბოროუ, მ. ჰიუგო, ა.ობერაი, ხ.ზლოტნიკი). ამ წიგნში გამოყოფილია რამდენიმე ძირითადი კატეგორია შრომითი მიგრანტებისა:

1. **სეზონური მუშა–მიგრანტები** – პირები, ვინც მუშაობენ იმ სახელმწიფოში, რომელიც საკუთარ ქვეყანას არ წარმოადგენს წლის რომელიღაც დროს და მათი სამუშაო სეზონურია.

2. **შრომითი მიგრანტები, რომლებიც ახორციელებენ კონკრეტულ პროექტს.** მათ უფლება აქვთ სხვა სახელმწიფოში მუშაობისა მხოლოდ და მხოლოდ ამ პროექტზე. ისინი პროექტის დასრულებისთანავე უკან ბრუნდებიან.

3. **კონტრაქტით მომუშავენი-** წინასწარ დადებული ხელშეკრულებით მომუშავენი და არა აქვთ სამუშაოს შეცვლის უფლება. შესაძლებელია კონტრაქტის გაგრძელება. თუ გაგრძელების პროცესმა დრო მოითხოვა, ისინი ტოვებენ მიმღებ ქვეყანას.

4. **დროებითი შრომითი მიგრანტები** – თავისი პროფესიით მცირე დროით არიან დასაქმებულნი. ისინი შეიძლება არც გამოვიდნენ მიმღები ქვეყნიდან და, საჭიროებისამებრ, დამქირავებელი შეიცვალონ.

5. **დამკვიდრებადი მიგრანტები-** ესენი არიან ჯერჯერობით დროებით მომუშავენი, რომლებსაც რაღაც დროის შემდეგ(რამდენიმე წელი) ეძლევათ სრული თავისუფლება ამ ქვეყანაში ყოფნისა და მუშაობისა მთელი ცხოვრების მანძილზე, რაიმე შეზღუდვების გარეშე. ისინი იმ ქვეყანაში რჩებიან მაშინაც კი, თუ არ მუშაობენ.

6. **მეტად მაღალკვალიფიციური მიგრანტები,** ვინც მათი კვალიფიკაციის გამო მათთვის სასურველი რეჟიმით არიან მიმღებ ქვეყანაში დაშვებულნი. მათზე ვრცელდება ნაკლები შეზღუდვები ამ ქვეყანაში ყოფნის, სამუშაოს შეცვლის ან ოჯახთან შეერთებისა.

ძალიან ხშირია, როცა დროებითი შრომითი მიგრაცია იღებს <u>დაუბრუნებელ ხასიათს,</u> იგი კარგავს მისთვის დამახასიათებელ დაბრუნებადობის ნიშანს და გარდაიქმნება ე.წ. დაუბრუნებელ, მუდმივ მიგრაციად. ასეთ შემთხვევაში ეს მშრომელი თავის ქვეყანაში გადაიქცევა **ემიგრანტად** და მიმღებ (რეციპიენტ) ქვეყანაში <u>იმიგრანტად.</u>

ძლიერ ბევრი ნიუანსია შრომითი ემიგრაციის კლასიფიკაციაში, რაც უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად, როგორც წესი, ე.წ. უცხო ქვეყნის <u>სტაჟიორები</u> არ შეჰყავთ საერთაშორისო მიგრანტებში იმიტომ, რომ მთავარი მიზანი მათი კვალიფიკაციის ამაღლებაა და არა შრომითი

შემოსავლის მიღება. თუმცა ისინი მონაწილეობენ მიმღები ქვეყნის ნაციონალური პროდუქტის შექმნაში. მაგალითად, აშშ-ში იყო პროგრამა, რომელიც მუშაკებს უფლებას აძლევდა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში სტაჟიორად ემუშავათ. გერმანიაში არის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის მეცნიერთა კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა. ესაა დამქირავებლისთვის მუქთი სამუშაო ძალის მიზიდვის პროგრამა, მითუმეტეს, რომ მიზიდული პირებისთვის ხარჯებს, ძირითადად, სახელმწიფო გაიღებს.

ასეთივე კატეგორიაა უცხო ქვეყნის სტუდენტები, ვისაც შეუძლიათ მუშაობა ამ ქვეყანაში მიღებული შეზღუდული პირობებით. ჩვენი გამოკვლევების დროს უამრავი ფაქტი შეგვხვდა, როცა ძნელი გასარჩევი იყო, პირი საზღვარგარეთ სწავლის მიზნით მიდიოდა თუ დასაქმების მიზნით. ვერ დავიჩემებთ, რამდენად იყო მეთოდურად სწორი, როცა ასეთი შემთხვევა შრომით მიგრანტებში შეგვყავდა. თუმცა სასწავლო მიგრაციის კვლევებში მათ მთლიანად სასწავლო მიგრაციით ემიგრირებულებს მივაკუთვნებდით.

ჩვენი ქვეყნის პირობებში შეუძლებელია, ცალკე არ განვიხილოთ ე.წ. უკანონო შრომითი მიგრანტების პრობლემა. რეალურად, ჯერჯერობით, ისინი წარმოადგენენ საქართველოდან შრომითი მიზნით ემიგრირებულთა დიდ მასას. მათ შესახებ შედარებით დაწვრილებით გვექნება საუბარი სპეციალურად ამ თემისადმი მიძღვნილ ლექციაში. ლეგალურობის პრობლემა ქართული შრომითი ემიგრაციის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ვითარება ასეთია: საზღვარგარეთ მიემართება ჩვენი ქვეყნიდან ტურისტი, რომელიც აღარ ბრუნდება და ხდება იქ არაკანონიერი დასაქმება თავისი მრავალი უარყოფითი გამოვლინებით. იმიგრაციის ქვეყნის მთავრობები ფორმალურად ცდილობენ, თავიდან აიცილონ არალეგალური ფორმა იმიგრაციისა, მაგრამ თუ ცნობილ მკვლევარ მარეკ ოკოლსკის დავუჯერებთ, ესაა იმიტაცია. სინამდვილეში არალეგალური მიგრაციით რეციპიენტი ქვეყნები ბევრად მეტს სარგებლობენ, ვიდრე მისი უარყოფითი შედეგებით ზარალობენ. თავისუფლდებიან იმიგრანტთა სოციალური დაცვისგან, მიმართავენ მათ მეორად შრომის ბაზრებისკენ მავნე და მძიმე სამუშაოებზე, მინიმალური ანაზღაურების პირობებში.

ერთიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იმდენად სწრაფად იცვლება სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები მიგრანტთა გადაადგილების წესებზე, რომ მკაცრად განსაზღვრული, ხანგრძლივ პერიოდზე გათვლილი სტატისტიკა და მყარი კლასიფიკაციები არ არსებობს. სავარაუდოა, რომ ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ცვლილებებმა, რუსეთთან მკაცრი სავიზო რეჟიმის შერბილების მცდელობამ მომავალში ბევრი რამ შეცვალოს მიგრაციულ პროცესებში, რაც მისი კლასიფიკაციის თავისებურებებშიც აისახება.

## მიგრაციის შესწავლის წყაროები

მიგრაციის შესწავლა მსოფლიოში დაფუძნებულია შემდეგ **საინფორმაციო წყაროებზე:** სასაზღვრო სტატისტიკა; მოსახლეობის რეგისტრი; მოსახლეობის აღწერა; **ადმინისტრაციული წყაროები:** ნებართვა საცხოვრებელ ადგილზე; ნებართვა მიგრანტის დასაქმებაზე და შერჩევითი გამოკვლევა.

**<u>სასაზღვრო სტატისტიკა</u>** მოიცავს ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში შესვლა–გასვლის ყველა ფაქტს. მაგრამ, ჯერჯერობით, ის არ განასხვავებს ერთმანეთისგან შრომით მიგრანტებს, ტურისტებს, სტუდენტებსა თუ ა.შ. ამიტომ იგი შრომითი მიგრაციის შესასწავლად ნაკლებად მიზანშეწონილია.

განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს **<u>მოსახლეობის რეგისტრი</u>**, მათ შორის უცხოელთა რეგისტრი. მას გამოყოფენ ცალკე კატეგორიად, რადგან განსხვავებით მონაცემთა შეკრების სხვა სისტემებისგან, იგი ახდენს ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა უწყვეტ რეგისტრაციას, მოიცავს თითოეული ადამიანის სტატუსის ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციას. უცხოელთა რეგისტრი ფლობს ინფორმაციას საერთაშორისო მიგრანტთა სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, ოჯახურ მდგომარეობაზე, განათლებაზე, პროფესიაზე, დასაქმების შესაძლო ტიპზე, ქვეყანაში დარჩენის სავარაუდო ხანგრძლივობაზე, არსებობის აუცილებელ წყაროზე და ა.შ. ხშირად რეგისტრში ყველა უცხოელის ჩართვა ვერ ხერხდება სხვადასხვა ქვეყანაში დამატებითი პირობების მოთხოვნის გამო (კერძოდ, ქვეყანაში

ყოფნის მინიმალური ხანგრძლივობის დადგენა ქვეყნების გადაწყვეტილების მიხედვით; ასეთივე გადაადგილების თავისუფალი რეჟიმი ხშირად სხვადასხვა პირობებში აყენებს უცხოელებს).

შრომითი მიგრაციის შესახებ ინფორმაციის ადმინისტრაციული წყაროს ნაირსახეობაა საცხოვრებელ ადგილზე **ნებართვების სტატისტიკა,** იგი ასახავს უცხოელის ყოფნას ქვეყანაში და იძლევა მუდმივად გადმოსახლებულების, შრომითი მიგრანტების, სტაჟიორების, უცხოელი სტუდენტების, მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის იდენტიფიცირების შესაძლებლობას ვიზის ტიპის მიხედვით, მაგრამ ვერ ეხება თავისი მოქალაქეების სხვაგან გადაადგილებას.

**მოსახლეობის აღწერა,** შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო მიგრაციის შესახებ უფრო მრავლისმომცველი ინფორმაციული ბაზაა ქვეყნებს შორის შედარებისათვის კარგ ინფორმაციას იძლევა. მოსახლეობის აღწერის მთავარ დადებით მხარედ სხვა წყაროებისგან განსხვავებით, შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ იგი მოიცავს უკანონო მიგრანტებსაც. გაერო და მასში შემავალი სტრუქტურები (ILO, IOM, UNHCR) საერთაშორისო მიგრაციის სტატისტიკის დამუშავებაში უფრო აღწერების მასალებს ეყრდნობიან.

თუმცა მას მთელი რიგი შეზღუდვებიც აქვს: ა) დროის დიდი პერიოდი აღწერებს შორის ვერ იძლევა სწრაფი ცვლილებების დაფიქსირების საშუალებას; ბ) ანკეტაში მცირერიცხოვანი კითხვებით მიგრანტთა შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია; გ) აღწერების უმრავლესობას არალეგალურ მიგრანტთა უმეტესი ნაწილი კარგი შენიღბვით არიდებს თავს; დ) აღწერების მასალები ქვეყნდება აღწერიდან საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, თანაც მიგრაციის საკითხებით დაინტერესებულთათვის სტატისტიკური ცხრილების შეზღუდული რაოდენობით.

ხშირად მოსახლეობის აღწერის ფარგლებში ტარდება შერჩევითი გამოკვლევაც, რომელიც გულისხმობს ანკეტის გაფართოებას თემატური ინფორმაციის მოპოვების მიზნით (საერთაშორისო მიგრაციის ტენდენციის, მისი სტრუქტურის, დეტერმინანტებისა და შედეგების შესახებ). იმ ქვეყნებისთვის, სადაც იმიგრანტები მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, შერჩევითი გამოკვლევა მეტად მნიშვნელოვანია.

ზემოთჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროები ვერ იძლევა დეტალურ სურათს უშუალოდ შრომითი მიგრაციის შესახებ, ვერაფერს ამბობს ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაში მისი როლის მნიშვნელობაზე, შრომით მიგრანტთა შედარებით ზუსტ რაოდენობასა და მიგრაციის ხანგრძლივობაზე. ამ მხრივ უფრო მეტი ინფორმაციის მოცემა შეუძლია ადმინისტრაციული წყაროს ერთ-ერთ სახეს - სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემას. იგი მსოფლიო პრაქტიკაში ფართოდ მიღებული და აპრობირებულია. აღრიცხვა წარმოებს როგორც მიმღებ, ისე წარმოშობის ქვეყანაში. სტატისტიკის სისტემა აერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო წყაროების სიდიდეებს: ა) დასაქმების კერძო და სახელმწიფო სააგენტოების მიერ წარმოებულ მონაცემებს, ბ) მოსარგებლე-მეწარმისგან ანგარიშს, გ) შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი და მაკონტროლებელი ორგანიზაციებისგან მიღებულ ინფორმაციას (საელჩოები, საკონსულოები, საგარეო საქმეთა სამინისტროები, მიგრანტის სტატუსის შეცვლის სამთავრობო კამპანიები).

ქვეყნების უმრავლესობაში საზღვარგარეთ მიგრანტთა დასაქმებას არეგულირებს შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ან მსგავსი სტრუქტურის მიგრაციის სამსახური და მიგრაციის ტერიტორიული ორგანოები (ბელარუსიის რესპუბლიკა, მაროკო, ტაჯიკეთის რესპუბლიკა); შსს იმიგრაციის სამმართველო, საზოგადოებრივი წესრიგის სამინისტრო, იმიგრაციული პოლიტიკის საკოორდინაციო უწყებათაშორისი საბჭო (საბერძნეთი); შრომისა და დასაქმების ცენტრალური სავოევოდო უწყება (პოლონეთი). შრომის სამინისტროს საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის სამმართველო და ემიგრაციის ბიურო (ფილიპინები, შრი-ლანკა, ტაილანდი, პაკისტანი), მიგრაციის ფედერალური სამსახური (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, რუსეთის ფედერაცია); იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამინისტრო (აშშ), რომელთა ძირითადი ამოცანებია: შრომითი მიგრაციის სფეროში ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე გამოყოფილი კვოტების და მოთხოვნების შესაბამისად საზღვარგარეთ მუშაობის მსურველთა შეკრება და შერჩევა; დასაქმების სააგენტოების ლიცენზირება; დასაქმების კერძო სააგენტოების საქმიანობის კონტროლი; მოქალაქეთა საზღვარგარეთ შრომის მინიმალური

სტანდარტების დადგენა; სამუშაო ძალის ექსპორტ-ომპორტზე ნებართვების გაცემა; საინფორმაციო ბანკის შექმნა შრომით მიგრანტთა გასვლა-შემოსვლის შესახებ; დამოწმებული შრომითი კონტრაქტების წარმოება-აღრიცხვა და სხვა.

შრომითი მიგრანტების შემოყვანა-გაყვანა და რაოდენობის განსაზღვრა ხორციელდება სამუშაო ძალის ექსპორტ-იმპორტის ნებართვების სისტემის საფუძველზე. იგი საშუალებას იძლევა სახელმწიფომ აწარმოოს ქვეყნიდან გასული და შემოსული შრომითი მიგრანტების სრულფასოვანი აღრიცხვა, რადგან ამ შემთხვევაში სამუშაოზე გაცემული ნებართვების რაოდენობა პირდაპირ თანაფარდობაშია შრომით მიგრანტთა რიცხოვნობასთან. სტატისტიკური ანგარიშის წარმოება მრავალ სირთულესთანაა დაკავშირებული. შრომითი მიგრანტის არაზუსტი იდენტიფიცირების გამო ერთი და იგივე პიროვნება შეიძლება რამდენჯერმე აისახოს საინფორმაციო ბაზაში. აშკარა შეცდომების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, ერთმანეთისაგან განასხვავონ შრომითი მიგრანტები, ვინც: ა) პირველად იღებს საზღვარგარეთ შრომაზე ნებართვას; ბ) ნებართვის ვადას ახანგრძლივებს; გ) არსებული ნებართვის მოქმედების პერიოდში იცვლის დამქირავებელს და ანახლებს ნებართვას; დ) ინდივიდუალურად იღებს მასზე გათვლილ ნებართვას და არ არის ორგანიზებულად შეკრებილი შრომით მიგრანტთა ჯგუფის წევრი, ანუ კოლექტიური ნებართვის მფლობელი; ე) ერთდროულად მუშაობს რამდენიმე დამქირავებელთან, რის გამოც ფლობს შესაბამისი რაოდენობის ნებართვას; ვ) ნამდვილად სხვა ქვეყნის მოქალაქეა (ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბახრეინსა და საუდის არაბეთში ეკონომიკის ზოგიერთ სექტორში საკუთარი მოქალაქეც ვალდებულია აიღოს ნებართვა).

ამ შენიშვნების გათვალისწინებით გაკეთებული მონაცემთა ბაზა მაინც ვერ იძლევა ქვეყანაში შრომითი მიგრანტების იდენტიფიცირების საშუალებასა და იმის მტკიცების საფუძველს, რომ მიგრანტთა რაოდენობა შესაბამისი ორგანოების მიერ გაცემული ნებართვების რიცხოვნობის ეკვივალენტურია. მაგალითად, ევროკავშირის ქვეყნების მოქალაქეებზე არ ვრცელდება ნებართვების სისტემა მის წევრ ქვეყნებში დასაქმებისთვის; ზოგიერთ ქვეყანაში ასევე არ ვრცელდება ყოფილი კოლონიების მოქალაქეებზეც; სტუდენტები, რომლებსაც დროის

შეზღუდულ პერიოდში აქვთ მუშაობის უფლება, ვერ ექცევიან ნებართვების სისტემის ჩარჩოებში; ვენესუელასა და რიგ ქვეყნებში ნებართვებს არ საჭიროებს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა; შრომითი მიგრანტების ოჯახის წევრებს, რომლებიც მანამდე მის კმაყოფაზე იყვნენ, შეიძლება მიეცეთ ნებართვა მუშაობაზე და მიუხედავად იმისა, რომ ისინი დიდი ხანია იმყოფებოდნენ იმიგრაციის ქვეყანაში, მათი დაფიქსირება ნებართვების მეშვეობით პირველად მოხდება; ქვეყანაში არაშრომითი მიზნით შემოსულმა (ტურისტი, იძულებითი დევნილი, თავშესაფრის მაძიებელი) ასევე შეიძლება მოითხოვოს და მიიღოს კიდეც მუშაობაზე ნებართვა მას შემდეგ, როცა მოახერხებს შეიცვალოს მიგრანტის სტატუსი; სტატისტიკა არ ასახავს შრომითი კონტრაქტების შეწყვეტის ფაქტებსაც; ნებართვების სტატისტიკას აქვს ის ნაკლიც, რომ ის არ მოიცავს არალეგალურად მომუშავე უცხოელებს.

მოყვანილი ნაკლოვანებების გარეშე რთულია მონაცემთა შეგროვება, ამიტომ საინფორმაციო ბანკის შექმნისა და მონაცემთა ურთიერთშესადარისობის უზრუნველყოფისათვის დიდი ყურადღება ექცევა დასაქმების კერძო სააგენტოებისგან, მოსარგებლე-მეწარმისგან და მიგრანტთა სტატუსის მარეგულირებელი სამთავრობო კამპანიებისგან წარმოდგენილი ანგარიშების გაერთიანებას.

მოსარგებლე - მეწარმისაგან, იგივე დამქირავებლისგან ყოველწლიურად სტატისტიკური სტრუქტურებისთვის ანგარიშის წარდგენა დადგენილია ბევრი ქვეყნის კანონმდებლობით. ასეთი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია თვით საწარმოს გამოკვლევითაც. ვინაიდან დამქირავებელი თავის ანგარიშში ასახავს მხოლოდ ლეგალური და რეგულირებული სტატუსის მქონე მუშახელის მონაცემებს (შრომითი მიგრანტის სქესი, ასაკი, მოქალაქეობა, პროფესია, დაქირავებისა და დასაქმების ტიპი, ხელფასის ოდენობა, ნებართვის მოქმედების ვადა, ვიზის სახეობა), აღნიშნული სტატისტიკური ცხრილებიც არასრულყოფილია.

დასაქმების კერძო სააგენტოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემები იკრიბება ყველა დამოწმებული შრომითი კონტრაქტის მიხედვით. სტატისტიკურ ცხრილები შეიცავენ მონაცემებს: მიგრანტის ასაკი, სქესი, მოქალაქეობა, მიმღები და გამგზავნი რეგიონები, ქვეყანაში

ყოფნის სავარაუდო ხანგრძლივობა, პროფესია, კვალიფიკაციის დონე, საქმიანობის სავარაუდო სახე და სექტორი, მიგრირების ტიპი (პირველადი თუ მეორადი), ხელფასის სიდიდე, მიგრანტის დაქირავების ტიპი (მთავრობის ხელშეწყობით, კერძო სააგეტოს შუამავლობით, უშუალოდ დამქირავებლის შემოთავაზებით და ა.შ.), გასასვლელი ვიზის სახეობა, გაცემული ნებართვის მოქმედების ვადა.

აღსანიშნავია, რომ ნებართვებისა და დამოწმებული შრომითი კონტრაქტების რაოდენობა ხშირად ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვაობას განაპირობებს იმ პირთა აღურიცხაობა, რომლებიც დასაქმდნენ დამქირავებელთან პირადი ნაცნობობის მეშვეობით და რომლებიც ემიგრირდნენ არარეგისტრირებული დასაქმების სააგენტოების მიერ, ასევე დროის პერიოდი, რაც საჭიროა ნებართვის მოპოვებიდან შრომითი კონტრაქტის გაფორმებამდე. ამის გამო ზოგიერთ ქვეყანაში კანონით მოთხოვნილ იქნა შრომითი მიგრაციის ორგანიზების პროცედურის ხელმისაწვდომობა და სასაზღვრო გამშვებ პუნქტებში დასაქმების მიზნით მიმავალი პირების აღრიცხვა (ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქის პასპორტში კეთდება ნებართვის ქონის დამადასტურებელი აღნიშვნა-ბეჭედი). საზღვარზე ჩატარებული შემოწმებისას მათი უმრავლესობა განახლებული შრომითი კონტრაქტების მქონე მუშახელი აღმოჩნდა, რომლებმაც სამუშაო ნახეს დამოუკიდებლად დასაქმების სააგენტოს გვერდის ავლით.

არალეგალი მიგრანტების აღწერაში ჩართვისთვის, რიგ ძირითად იმიგრაციულ ქვეყანაში ხორციელდება **მიგრანტთა სტატუსის დამრეგულირებელი პროგრამები,** რომლებიც უკანონო მიგრაციული პროცესების მართვის ერთგვარ სინჯს წარმოადგენს. ასეთი კამპანიები არალეგალ შრომით მიგრანტთა მასშტაბისა და თავისებურებების დადგენის კარგი ინდიკატორია.

მიგრაციის საერთაშორისო სტატისტიკის სფეროში მომუშავე ცნობილი ექსპერტები იძლევიან რეკომენდაციას სტატისტიკური ცხრილების რეგულარულად გამოქვეყნების შესახებ. ცხრილები უნდა შემუშავდეს კონტრაქტით მომუშავე მიგრანტებზე გაცემული ნებართვების მონაცემებით და უნდა აჯამებდეს ზემოთჩამოთვლილი წყაროების ყველა საჭირო ინფორმაციას.

ხარვეზების შესავსებად აუცილებელი ხდება **სოციოლოგიური გამოკვლევების ჩატარება,** ინფორმაციის მიღება და დამუშავება ინტერვიუირების გზით, რომელიც მითითებულია ბევრ სპეციალურ ლიტერატურაში.

იმისათვის, რომ შეფასებული იქნეს საერთაშორისო მიგრაციის გავლენა წარმოშობის ქვეყანაზე, არსებობს მოთხოვნა შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილების გაზომვაზე. ამ შემთხვევაში მიგრანტთა გადარიცხვების შესახებ ოფიციალური მონაცემების ძირითად წყაროს წარმოადგენს ყოველწლიური საგადამხდელო ბალანსი.

გზავნილების მოცულობის შეფასება და საგადამხდელო ბალანსში მათი აღრიცხვა არის ნაკადების მართვისა და კონტროლის მეთოდოლოგიური საფუძველი. სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ გზავნილების შესახებ მონაცემთა ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი, რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით: ა) სხვადასხვა ქვეყნებში არაა ერთიანობა მიგრანტთა გზავნილების აღრიცხვის მეთოდოლოგიაში; ბ) კომერციული ბანკების სააღრიცხვო დოკუმენტაციის უმეტეს ნაწილში არ არის ნაჩვენები გამგზავნის წარმოშობის ქვეყანა; გ) კიდევ უფრო მცირე ინფორმაციაა გამგზავნის სტატუსზე, როგორც დანიშნულების ეკონომიკის «რეზიდენტზე» ან «არარეზიდენტზე»; დ) გზავნილთა მოცულობების მისაღები სიზუსტით შეფასებაზე ინსტიტუციონალურ არხებს დიდი დაინტერესება არ აქვთ. განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების მთავრობა ცდილობს გზავნილების ჭეშმარიტი მასშტაბის დამალვას; ე) უზუსტობები გამოწვეულია ე.წ. «გაჟონვებით», რაც მიგრანტთა მიერ ფულის გადაგზავნის არაოფიციალური არხების გამოყენების შედეგია.

მეტად ეფექტიანი იქნება, თუ შრომითი ემიგრაცია მოექცევა მოსახლეობის აღწერის პროგრამებში არა მარტო საქართველოში, არამედ იმიგრაციის ქვეყნებშიც, რომლებიც ქართველი ემიგრანტების ძირითად ცენტრებად ითვლებიან. ამ პრობლემის მოგვარებაში სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად დიდი როლის შესრულება შეუძლია სათვისტომოებს მიმღებ სახელმწიფოებში, საზღვარგარეთ სამუშაო ძალის გამგზავნ ლიცენზირებულ სააგენტოებს, დასაქმების სამსახურებს.

ასეთ პირობებში, როცა ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები ვერ ასახავენ რეალურ ვითარებას, მსოფლიო გამოცდილება

გვკარნახობს შრომითი მიგრაციების შესწავლას შერჩევითი გამოკვლევების ჩატარებით, კერძოდ, ინფორმაციის მიღებას გამოკითხვის გზით, ე.წ. ანამნესტიკური მეთოდით. იგი გულისხმობს წინასწარ შედგენილი ანკეტით შრომით ემიგრანტთა აქ დარჩენილი ოჯახის წევრებისა და სხვა ახლობლების (შემცვლელი რესპონდენტებისაგან) გამოკითხვას. ამ მეთოდს აქვს თავისი ნაკლი. მაგალითად, ახლობელთა ნაწილი არ ფლობს ინფორმაციას საკმაო სიზუსტით, რომელსაც ანკეტის ყველა კითხვა მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ინტერვიუ პრაქტიკულად უქმდება. თუმცა ბევრი საზღვარგარეთული გამოკვლევა ინფორმაციათა მოპოვების ამ ხერხს ეყრდნობა. ასეთი მრავალი გამოკვლევა განხორციელდა ჩვენს მიერაც, რითაც მოპოვებულია ძვირფასი ინფორმაცია საქართველოში შრომითი მიგრაციის თაობაზე.

# თანამედროვე მიგრაციული სისტემები

## თანამედროვე მიგრაციული სისტემები

ისტორიულ ჭრილში განხილვისას მიგრაციული კავშირები ქვეყნებს შორის დინამიურია, იცვლება მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კვალდაკვალ. ხშირად უკვე ფორმირებული მიგრაციული კავშირები ორ ქვეყანას შორის სუსტდება ან ძლიერდება. ამიტომაც მკვლევრები ცდილობენ, მსოფლიოში არსებული უამრავი მიგრაციული კავშირი დააჯგუფონ და გამსხვილებული ჯგუფების ე.წ."მიგრაციული სისტემების" სახით წარმოადგინონ. ასეა იგი წარმოდგენილი ოქსფორდში დასტამბულ ცნობილ წიგნში"საერთაშორისო მიგრაციული სისტემები", რომელიც გამოიცა მერი კრიტზის, ლაინ ლენ ლაიმის, ჰანია ზლოტნიკის რედაქტორობით. ამ წიგნის მიხედვით, მსოფლიოში არსებობს ქვეყანათა ჯგუფები, რომელთა შორის არის მასშტაბური მიგრაციული მიმოცვლა.

***რამ შეიძლება განაპირობოს მიგრაციულ კავშირთა მაღალი ინტენსიურობა?***

იგი შეიძლება გამოწვეული იყოს ისტორიული ვითარებით, ისტორიული მიზეზებით, როგორიცაა კოლონიური დამოკიდებულება, ერთ პოლიტიკურ კავშირში ყოფნა. შეიძლება ამას იწვევდეს ქვეყნების მიგრაციული მიმოცვლით ეკონომიკური დაინტერესება. შესაძლოა დროთა განმავლობაში ეს მიზეზები შეიცვალოს. მაგალითად, ინგლისში შრომითი ემიგრაციის დიდი მასშტაბით განვითარებას ხელი შეუწყო იმან, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს შახტებში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, სამხედრო მრეწველობაში კოლონიებიდან დიდი რაოდენობით მიიწვიეს სამუშაო ძალა.

კოლონიური სისტემის დაშლის შემდეგ ბრიტანეთში ყოფილი კოლონიებიდან მიზიდულმა სამუშაო ძალამ დიდი როლი ითამაშა ბრიტანეთის ეკონომიკის აღდგენასა და განვითარებაში. 1973 წლიდან მოიხსნა იმიგრაციის მკაცრი შეზღუდვები. დაიწყო ე.წ. ოჯახთა გაერთიანება, ოჯახის წევრების გადაყვანაც ბრიტანეთში. ამ პერიოდში აქ საცხოვრებლად ჩასულთა 80% უკვე იქ დამკვიდრებული ოჯახის წევრი იყო.

საუკუნის მიწურულს კი ბრიტანეთის ყოფილი კოლონიებიდან უფრო ინტენსიურად მიგრირებდნენ აშშ–ში. ამ დროს აშშ–ში ჩასულთა 15% ინდოეთის მოქალაქე იყო. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ კომპიუტერის

პროგრამისტთა მნიშვნელოვანისეგმენტი აშშ–ის შრომის ბაზარზე ინდოელ პროგრამისტებს უჭირავთ.

თავისთავად ფულადი გზავნილები, რომლებსაც ემიგრანტები სამშობლოში გზავნიან, შესანიშნავი ფინანსური საყრდენია ემიგრაციის ახალ–ახალი ტალღებისა. რემიტანსი თავისებური ასახვაა იმ ქსელისა, რაც მიგრაციულ კავშირებს ახასიათებს. ამ კავშირებს ინვესტიციები და ეკონომიკური გამოცდილებაც მოსდევს, რაც შრომითი მიგრაციული სისტემის თავისებური შემადგენელი ნაწილია.

ჩვეულებრივ, მსოფლიო მიგრაციული კავშირების ანალიზისას აშკარად დომინირებს **5 მიგრაციული სისტემა:**

**1. ჩრდილოამერიკული სისტემა;**

**2. ევროპული სისტემა**

**3. სპარსეთის ყურის სისტემა;**

**4. აზია–წყნარი ოკეანის სისტემა;**

**5. სამხრეთამერიკული სისტემა.**

ბოლო ხანს, ზოგიერთი **ავტორი გამოყოფს ე.წ. ევრაზიულ სისტემასაც**და არცთუ უსაფუძვლოდ. სსრკ დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის ფორმირდა საკმაოდ გამოკვეთილი მიგრაციული ვითარება, წარმოიქმნა მიგრაციული ნაკადები, რაც შეიძლება ცალკე სისტემად განვიხილოთ. ყოველ შემთხვევაში, ე.წ. ევრაზიის კავშირის შექმნის კამპანიაში მიგრაციულ კავშირებს თავის როლი ენიჭებათ. მაგალითად, ცნობილია, რომ სსრკ დაშლიდან 10 წლის განმავლოვბაში ყოფილი რესპუბლიკებიდან ერთმანეთში 20 მლნზე მეტი კაცი გადასახლდა.მათ შორის, რუსეთში გადასახლება, ცხადია, ძირითადი იყო.

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მიგრაციულ სისტემებს მკაცრად განსაზღვული ფარგლები აქვთ. მათი ცალკეული ქვეყანა შესაძლოა განვიხილოთ სხვა სისტემის ნაწილადაც. მაგალითად, აზია–წყნარი ოკეანის სისტემის ძირითადი ქვეყნებია: მალაიზია, ტაილანდი, ჰონკონგი, იაპონია. თუმცა იაპონია მჭიდრო კავშირშია აშშ, ევროპისა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან. ამიტომაც აზია წყნარი ოკეანის სისტემა იღებს ე.წ. მსოფლიო სისტემის ხასიათს. ასევეა ჩვენს მიერ აღნიშნული ევრაზიის სისტემაც, სამუშაო ძალის ნაკადები მიმართულია რუსეთისაკენ, მეორე მხრივ, ევროპისა და ჩრდილო ამერიკისკენ.

გარდა ჩამოთვლილი სისტემებისა, მსოფლიოში უფრო მცირე მასშტაბის სისტემებიც არსებობს. აფრიკაში, აზიაში, კარიბის აუზის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში.

მაგალითად, აფრიკაში ძლიერიაქვეყნებს შორის მიგრაციული კავშირები, მაგრამ დიდ ნაწილში ისინი მეზობელ ქვეყნებს შორისაა და იძულებითი ხასიათისაა.

თანდათან უკვე ისიც იკვეთება, რომ მიგრანტთა მიზიდულობის ცენტრებია არა ქვეყნები მთლიანად, არამედ მსხვილი მეგაპოლისები, ე.წ. „გლობალური ქალაქები“(ნიუ–იორკი, ლონდონი და ა.შ.). სხვა მეგაპოლისებიდან, რომელიც ინტენსიურად იზიდავს მიგრანტებს გამოვყოფთ: ბარსელონას, ჰამბურგის, მილანის, სიდნეის, ტორონტოს, მონრეალს, მოსკოვის, სტამბულის, კაიროს, ბანგკოგის, სან–პაულოს და ა.შ. მეგაპოლისებს. ამ ქალაქების ეკონომიკა, შრომის ბაზრის სტრუქტურა აუცილებელს ხდის მრავალრიცხოვანი მიგრანტის მიზიდვას.

ახლა მოკლედ დავახასიათოთ ზემოთ ჩამოთვლილი მიგრაციული სისტემები.

<u>ჩრდილო ამერიკული მიგრაციული სისტემა</u>

ამ სისტემის მთავარი ქვეყნებია აშშ და კანადა. ისინი იმიგრაციის ტრადიციული ქვეყნები არიან და ერთდროულად იზიდავენ როგორც მუდმივ, ისე დროებით შრომით მიგრანტებს; პირველ რიგში კი მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს: მეცნიერებს, ინჟინრებს, მენეჯერებს, მედიცინის მუშაკებს, ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებს, ასევე სხვადასვა პროფესიის კვალიფიციურ მუშებს, სოფლის მეურნეობის მუშაკებს და ოჯახის მოსამსახურეებს, სტუდენტებს.

უნდა აღინიშნოს, რომ აშშ–ში 2002 წელს საზღვარგარეთაა დაბადებული 32 მლნ კაცი, კანადაში 6 მლნ. კაცი.

ყოველწლიურად აშშ–ში კანონიერად შედის 700 ათასზე მეტი უცხოელი; მათი მეოთხედი აშშ–ში მცხოვრებთა ნათესავია.გარდა ამისა, არის ჩამონათვალი პროფესიებისა, რომელიც უაღრესად საჭიროა აშშ–ს ეკონომიკისათვის. **ყოველწლიურად დაახლოებით 140 ათსი სპეციალისტი იღებს მოწვევას.** იმიგრაციულ ქვოტაში არ შედის დროებითი შრომითი იმიგრანტები. აშშ–ში უცხო სამუშაო ძალა 15%–ზე მეტია. ბევრ რეგიონში (მექსიკის საზღვრებთან, ლოს–ანჟელესში) ძლიერ მაღალია უცხო სამუშაო ძალის წილი დასაქმებულ მოსახლეობაში.

კანადაში ყოველწლიურად 100 ათასი დროებითი მიგრანტი ჩადის. ქვეყანაში არის პროგრამა, რომელსაც მექსიკიდან და კარიბის ქვეყნებიდან ჩაჰყავს სოფლის მეურნეობისათვის  დროებითი, სეზონური მუშახელი. კანადაში ძლიერ დიდია ქალთა წილი, რომლებიც ოჯახში მოსამსახურეებად საქმდებიან. აქ დროებით შრომით მიგრაციაში იმყოფებიან მშენებლობებზე, ტყის ჭრაზე, საგზაო სამუშაოებზე. განსაკუთრებით დიდი მოთხოვნაა უცხო სამუშაო ძალაზე ე.წ. ჩრდილოეთ და დასავლეთ რეგიონების ათვისებისათვის მოქმედ პროექტებზე.

მექსიკა წარმოადგენს ჩრდილოამერიკულ მიგრაციული სისტემის უმნიშვნელოვანეს ელემენტს. იგი ერთის მხრივ, იზიდავს მუშახელს ცენტრალური ამერიკიდან, მეორეს მხრივ, გზავნის მრავალრიცხოვან სამუშაო ძალას აშშ–ში და კანადაში.

მიგრანტოფობიის არარსებობის გამო, შედარებით ტოლერანტული ქვეყნები – აშშ და კანადა ითვლებიან მიგრანტებისთვის იმიგრაციის ხელსაყრელ ქვეყნებად. იქ იმიგრანტთა სათვისტომოები საკმაოდ კარგადააფორმირებული და ხელს უწყობს მიგრანტთა მიზიდვას. ბოლო ხანს აშშ–სა და კანადაში აშკარად შეინიშნება აზიის ქვეყნებიდან მოსახლეობის მიგრაციის ინტენსივობის გაძლიერების ტენდენცია. თუ 1950 წელს მხოლოდ 12% იყო აშშ იმიგრანტთაგან განვითარებადი ქვეყნებიდან, ბოლო ხანს მათმა წილმა მთელ იმიგრაციაში 80%–ს გადააჭარბა. კანადაში ინდოეთიდნ, ჩინეთიდან, შრი–ლანკიდან ფილიპინებიდან, ჰონკონგიდან ჩასულთა წილი იმიგრნატთა მთელ რიცხოვნობაში 65%–ზე მეტია.

საკმაოდ ინტენსიურია შრომითი მიგრაციული მიმოსვლა  აშშ–სა და კანადას შორისაც. აქ დიდი ადგილი უკავია დროებითი მიგრაციის ისეთ სახეს, როგორიცაა სტუდენტთა, სტაჟიორთა მიმოცვლა, სეზონური მიგრაცია. თუმცა აშშ–ს დომინანტობა ჩრდილოამერიკულ მიგრაციულ სისტემაში უცვლელი და მყარია.

<u>ევროპის მიგრაციული სისტემა</u>

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო საუკუნეების განმავლობაში ევროპა აქტიური მიგრაციული მოძრაობის კონტინენტია. თავდაპირველად  ამ რეგიონიდან მასობრივად გადიოდა მოსახლეობა სხვა ქვეყნებსა და კონტინენტებზე:

ამერიკაში, ავსტრალიაში. ამჟამად იგი ქცეულია მასობრივი იმიგრაციის სისტემად. ახლა ევროპა გამოირჩევა ე.წ. „ცენტრალური“ ქვეყნების ეკონომიკური, კულტურული, პოლიტიკური, გეოგრაფიული კავშირებით და ქმნის ერთიან მიგრაციულ სისტემას. იგი ხასიათდება მიგრაციული კავშირების მრავალსახეობით. მას ახასიათებს თავისებური დინამიურობა, ახალ–ახალი ქვეყნების მიზიდვა ამ სისტემაში ჩასართველად. **ფორმირდა მიგრაციის ახალი ვექტორი „აღმოსავლეთ–დასავლეთი“, რომელმაც თანდათან ჩაანაცვლა ვექტორი 'სამხრეთი–ჩრდილოეთი“.**

ევროპის მიგრაციულ სისტემაში მიზიდულობის ქვეყნებიაჩრდილოეთი, დასავლეთი და უკვე სამხრეთ ევროპის ქვეყნებიც. ევროკავშირის გაფართოებამ ხელი შეუწყო ამ ქვეყნებს შორის სამუშაო ძალის გადაადგილებას. **ბევრი ემიგრაციის ქვეყანა იმიგრაციის ქვეყნად იქცა(ჩეხეთი, უნგრეთი, პოლონეთი, სლოვენია), რომლებიც იზიდავენ სამუშაო ძალას არა მარტო აღმოსავლეთ ევროპიდან, დსთ–დან, არამედ ჩინეთიდან და ვიეტნამიდანაც.**

**ყველაზე მეტი უცხოელი თავმოყრილია გერმანიაში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, იტალიაში, შვეიცარიაში, ბელგიაში, ნიდერლანდებში, შვედეთში.**

გერმანიაში ცხოვრობს 8 მლნ–მდე უცხოელი.აქ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 10 % უცხოელია.

ევროპას სამუშაო ძალას აწვდიან ყოფილი კოლონიები, აგრეთვე წინა აზიის სახელმწიფოებიც. სსრკ დაშლის შემდგომ კი პოსტსაბჭოთა ქვეყნები, მათ შორის, საქართველოც.ჩვენი ქვეყანა თანდათან ყალიბდება ევროკავშირის ქვეყნებისათვის სამუშაო ძალის მნიშვნელოვან ექსპორტიორად. აღსანიშნავია, რომ ყოფილი სსრკ–დან ევროპაში ლეგალურად თითქმის 2 მლნ მიგრანტია მიზიდული, ბევრი კი არალეგალია.

როგორც აღვნიშნეთ, ბევრი პოსტსოციალისტური ქვეყანა, როგორიცაა მაგალითად, ჩეხეთი, პოლონეთი, თვითონ გახდნენ იმპორტიორები. მაგალითად, პრაღაში სამუშაო ძალის თითქმის 10 % –უცხოელია.

შეიცვალა ევროპაში მიზიდული მუშახელის დასაქმების სტრუქტურაც. 1970–იან წლებამდე იქ უმეტესად ახალგაზრდობა მიდიოდა მძიმე ფიზიკურ სამუშაოზე, მრეწველობაში სამუშაოდ, ამჟამად მნიშვნელოვანი ნაწილი საქმდება მომსახურების სფეროში: ვაჭრობაში, რესტორნებსა და სასტუმროებში, გართობის დაწესებულებებში, ტრანსპორტზე. უკვე

თანდათან ჩნდებიან უცხოელები მეცნიერებაში, უმაღლეს სკოლაში, ჯანდაცვაში, საბანკო სექტორში.

ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროკავშირის ქვეყნებს შორის თავისუფალი გადაადგილების რეჟიმის შემოღებას. ევროკავშირის ქვეყნების აბსოლუტურ უმეტესობას თავისუფლად შეუძლია გადაადგილება და ცხოვრება ამ ზონის ქვეყნებში. ამან ერთგვარად შეანელა არაევროკავშირის ქვეყნებიდან სამუშაო ძალის მიზიდვის საჭიროება და თავისებური რეგულატორი გახდა შედარებით ოპტიმალური დასაქმებისა.

განხილულ ევროპულ მიგრაციულ სისტემაში შეინიშნება გარკვეული ქვესისტემების არსებობაც. მათ მეტნაკლებად აქვთ რაღაც დამოუკიდებელი ხასიათიც. მაგალითად, დიდი ბრიტანეთის სისტემა, რომელსაც განსაკუთრებული კავშირი აქვს ბრიტანეთის კუნძულის ქვეყნებთან(ინგლისი, ირლანდია, ჩრდილოეთი ირლანდია, შოტლანდია, უელსი) და პაკისტანთან, აგრეთვე, აშშ–სთან(სამეცნიერო კავშირები). მჭიდრო მიგრაციული კავშირებია არაევროკავშირის ევროპულ ქვეყნებთანაც.

<u>ახლო აღმოსავლეთის მიგრაციული სისტემა</u>

ეს ის სისტემაა, რომელიც ფოკუსირდება ნავთობმომპოვებელ ქვეყნებზე. იგი შედარებით ახალი სისტემაა(ოთხი ათეული წელი), მოიცავს ექვს არცთუ დიდ ქვეყანას, რომლებმაც 1970–იან წლებში დაიწყეს ნავთობის ინტენსიური მოპოვება და ექსპორტი. **ამ ქვეყნებში თავმოყრილია მსოფლიო შრომითი მიგრანტების დაახლოებით 15%.ეს ქვეყნებია: კატარი, ბახრეინი, კუვეიტი, ომანი, არაბთა გაერთიანებული ემირატები და საუდის არაბეთი.**

ამ ქვეყნებში სამუშაო ძალის უმეტესი ნაწილი უცხოელია (51% ბახრეინში, 92% კუვეიტში). მაგალითად, პატარა ბახრეინში იმდენივესამუშაო ძალაა უცხოელი(250 ათსი), რამდენიც მთელიავსტრალიის კონტინენტზე. ამ ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობა, ძირითადად ადმინსტრაციულ, ან სუფთა სამუშაოებზეა დასაქმებული. ეს ქვეყნები მთლიანად ორიენტირებულია მხოლოდ დროებით მიგრანტებზე. მათ არ უნდათ მეზობელი ღარიბი არაბული ქვეყნებიდანაც კი მუდმივად იქ ვინმე ჩასახლდეს. ძლიერ დიდი პრობლემაა იქ გათხოვილის მიღებაც კი.

მეორე მხრივ, გაჩნდა იდეა, რომ ეს ქვეყნები დახმარებოდნენ ღარიბ არაბულ სამყაროს, ჩამოეყალიბებინათ ერთიანი არაბული ბაზარი. მაშინ ნავთობის მქონე არაბული ქვეყნების იმიგრანტების 90% არაბული

ქვეყნებიდან იყო, მაგრამ ბაზარს თავის კანონები აქვს. ყველგან ეძებს იაფ სამუშაო ძალას. უკვე 1980–იანი წლების მეორე ნახევრიდან არაბ შრომით ემიგრანტებს გამოუჩნდნენ კონკურენტები სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამუშაო ძალის სახით და ბოლო ხანს შრომით ემიგრანტთა 65% ამ ქვეყნებიდან არის. ინდოელისა  და პაკისტანელის დაქირავება იმის ნახევარი ღირს, რაც არაბისა. ეს ტენდენცია გაძლიერდა იმიტომაც, რომ გაჩნდა დიდი მოთხოვნა ქალ სამუშაო ძალაზე, რომლებიც ოჯახებში მოსამსახურეებად დგებოდნენ. 60% აქ ჩამოსული ქალებისა არიან შრი ლანკიდან, ინდონეზიიდან, ფილიპინებიდან. ისინი შინამოსამსახურეებად არიან დასაქმებულნი.

დიდი ზეგავლენა მოახდინა აქ ექსპორტიორი ქვეყნების მიგრაციის ინტენსივობაზე პოლიტიკურმა მოვლენებმა, ერაყის ომმა. ის არაბული ქვეყნები, რომლებმაც მხარი დაუჭირეს ერაყს კუვეიტის წინააღმდეგ, ამოვარდნენ სამუშაო ძალის ინტენსიური ექსპორტის ქვეყნებიდან. ამჟამად კი უკვე აქ მიზიდული შრომითი მიგრაციის სამი მეოთხედი ინდოეთის, პაკისტანის, ბანგლადეშის, შრი–ლანკის, სამხრეთ კორეის, ფილიპინების, ტაილანდის, ვიეტნამის მოქალაქენი არიან. მაღალკვალიფიციურ სამუშაოებზე კი მიზიდულია განვითარებული ქვეყნების ნავთობის მოპოვებისა და მშენებლობის სპეციალისტები.

<u>აზია-წყნარი ოკეანის სისტემა</u>

სისტემა მოიცავს აღმოსავლეთ და სამხრეთ–აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს. გამოირჩევა რეგიონის ქვეყნების მჭიდრო მიგრაციული კავშირებით, ამავე დროს ეს ქვეყნები აქტიურად მონაწილეობენ ევროპისა და ჩრდილო–ამერიკის მიგრაციულ სისტემებში.

განხილულ სისტემაში გამოიყოფა რამდენიმე მიზიდულობის „შიგა“ ცენტრი: იაპონია, მალაიზია, ჰონკონგი, ტაივანი, სინგაპური, სამხრეთ კორეა. ესაა ეკონომიკურად ყველაზე განვითარებული, მიგრანტთა მიმზიდველი ქვეყნები. ამავე დროს, ეს ქვეყნები არიან მიგრანტთა „მიმწოდებლებიც“(იაპონიის გარდა). მაგალითად, მალაიზია ინდონეზიიდან იზიდავს 1 მლნ ინდონეზიელ მიგრანტს, ხოლო 100 ათასს თვითონ აგზავნის სინგაპურში, იაპონიასა დატაივანში. აქ მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა დასაქმებულია ე.წ. შრომის პირველად ბაზარზე, ხოლო მეორად ბაზარზე იწვევენ იაფ უცხო სამუშაო ძალას.

ამ რეგიონში ლეგალურთან ერთად მრავალრიცხოვანია არალეგალური სამუშაო ძალაც. ამის მიზეზია მიმღები ქვეყნების შემზღუდავი იმიგრაციული პოლიტიკა. სხვაგვარად შეუძლებელია, რადგან რეგიონს აქვს მეტად მაღალი ემიგრაციული პოტენციალი. არალეგალების დიდი ნაწილი ჩინეთიდანაა, ეს მაშინ, როცა იყო დრო, როცა ჩინეთის მთავრობამ მკაცრ პოლიტიკას ატარებდა მოსახლეობის ემიგრაციის წინააღმდეგ. **მერე კი 2000 წელს ჩინეთმა ოფიციალური სტრატეგია "გარეთ გასვლა" მიიღო და ჩინელი მიგრანტები ფართოდ მოედვნენ როგორც აზია–წყნარი ოკეანის მიგრაციულ სისტემას, ისე მთელ მსოფლიოს.**

იაპონია მსოფლიო მასშტაბით გამონაკლისია, რომელმაც 60–80–იან წლებში დიდ ეკონომიკურ ზრდას მიაღწია გარედან სამუშაო ძალის მიზიდვის გარეშე. **იპონია დიდხანს რჩებოდა დახურულ ქვეყნად.** ის ცდილობდა მექანიზაცია–ავტომატიზაციით შეემცირებინა სამუშაო ძალაზე მოთხოვნა, ან ინვესტიციებით ქვეყნის გარეთ გაჰქონდა შრომატევადი წარმოება. 1990–იან წლებში კი გადაწყვიტა იმიგრაციული კანონმდებლობის ლიბერალიზაცია. დემოგრაფიულმა ფაქტორებმა სამუშაო ძალის კლებამ, დაბერებამ, იაპონია აიძულა ეფიქრა გარედან სამუშაო ძალის მიზიდვაზე. დაიწყო მსოფლიოში იაპონური დიასპორის(ბრაზილიაში) შემობრუნება სამშობლოში. მათ დაუშვეს უცხო „სტაჟიორების" შესვლაც ქვეყანაში(2000 წლისათვის უკვე 180 სტაჟიორი იყო იაპონიაში).

ამ მიგრაციული სისტემის ერთ–ერთი არსებითი ნიშანი გახდა იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანის, სინგაპურის და ჰონკონგის შრომატევადი წარმოების გატანა შედარებით დაბალგანვითარებულ ქვეყნებში. სადაც მხოლოდ საკვანძო ადგილებზე მუშაობენ რეგიონის განვითარებული ქვეყნების სპეციალისტები.

<u>სამხრეთ ამერიკული მიგრაციული სისტემა</u>

1960–იან წლებამდე მიმღებ ქვეყნებში –არგენტინაში, ბრაზილიაში, ვენესუელაში, ძირითადად, ესპანელები, იტალიელები და პორტუგალიელები შედიოდნენ. ბოლო ათწლეულებში მიგრაციული მიმოცვლა მეტად ინტენსიური გახდა თვით სამხრეთ ამერიკის ქვეყნებს შორის. ერთ–ერთი მთავარი ფაქტორი, რამაც გაადვილა ამ ქვეყნების მიგრაციული კავშირი – ესპანური ენაა. მაგალითად, არგენტინაში კოლუმბიიდან, პარაგვაიდან, ბოლივიიდან, ურუგვაიდან ჩამოსულ მოსახლეობას ენობრივი ბარიერი არ

აქვს. ამიტომ მათი შრომითი მოწყობა ადვილდება. ბოლო ხანს რეციპიენტ ქვეყნებს ჩილეც მიემატა, რომელმაც სწრაფი განვითარება დაიწყო.
ბრაზილია, სადაც ოფიციალური ენა პორტუგალიურია, მაინცადამაინც არაა მიმზიდველი მეზობელი ქვეყნებისთვის. სამაგიეროდ, პორტუგალიის ყოფილი კოლონიებიდან, ანგოლიდან და მოზამბიკიდან ინტენსიურია იმიგრანტთა ნაკადები.

*ვინ არიან ლათინური ამერიკის შრომითი მიგრანტები?* ძირითადად, დაბალკვალიფიციური მუშები სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ. ისინი დასაქმებულნი არიან შაქრის, ბამბის, ყავისა და ჩაის პლანტაციებში, ნავთობის მრეწველობაში, მშენებლობაში. ნახევარი მიგრანტებისა ქალები არიან, რომლებიც შინამოსამსახურეებად მუშაობენ.

ამ ქვეყნებში დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ სპეციალისტზებზეც: მენავთობებზე, ინჟინერ-ქიმიკოსებზე, ჰიდროლოგებზე, სამთო–ინჟინრებზე. 1990–იან წლების დასაწყისში შემუშავდა პროგრამები, რომ მათ მიეზიდათ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილი სსრკ სივრციდან მაღალკვალიფიციური დეფიციტური პროფესიის სპეციალისტები. ეს პროექტები აღმოცენდა მაშინ, როცა ევროპას შეეშინდა ყოფილი სოცსისტემის ქვეყნებიდან შესაძლო მრავალმილიონიან მიგრაციულ ტალღაზე. მაშინ არგენტინამ განაცხადა, რომ ყოველწლიურად მიიღებდა პოსტსოციალისტური სივრციდან 100 ათას მიგრანტს თუ კი ევროკავშირის ქვეყნები მათ გზის ფულს გადაუხდიდნენ. მაგრამ, როგორც ვიცით, მიგრაციამ არ მიიღო ევროპისთვის საშიში ხასიათი და აღნიშნული გეგმებიც არ  განხორციელდა.

ერთ–ერთი არსებითი ნიშანი ლათინური ამერიკის ქვეყნების მიგრაციულ სისტემაში აშშ–თან მიგრაციული კავშირებია. აშშ–ში სამუშაო ძალა შედის როგორც სამხრეთ ამერიკის, ისე ცენტრალური ამერიკის ქვეყნებიდან. მაგალითად, კუბიდან, დომინიკის რესპუბლიკიდან, სალვადორიდან, პანამიდან, გვატემალადან გარე მიგრაციაში 90% აშშ–ში მიემართება.
მეორე მხრივ, დიდი ნაკადებია უკვე ევროპის იმ ქვეყნებისკენ, საიდანაც წარმოშობით ისინი არიან. მაგალითად, იტალიის მთავრობამ შექმნა თანამემამულეების იტალიაში დაბრუნების სტიმულირების სისტემა.

<u>ევრაზიული მიგრაციული სისტემა.</u>

ეს ყველაზე ახალგაზრდა მიგრაციული სისტემაა და მოიცავს ყოფილი სსრკ ქვეყნებს 230 მლნ მოსახლეობით. ერთიან ქვეყანაში, სადაც მიგრაცია

რეგულირდებოდა ჩაწერა–ამოწერის სისტემით. გადაადგილებას არეგულირებდა სახელმწიფო თავისი მიზნების შესაბამისად. რუსები „ნებაყოფილობით–იძულებით“ წესით იგზავნებოდნენ სხვადასხვა რესპუბლიკებში სპეციალისტებად, ინჟინრებად, ექიმებად, მასწავლებლებად(ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ: მ. ტუხაშვილი. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. 2009).

სსრკ დაშლამ დიდი პრობლემები შექმნა მოსახლეობის ტერიტორიულ განაწილებაში. დაშლის შემდგომ რუსეთში ყოფილი რესპუბლიკიდანდიდი ნაკადი, უმთავრესად რუსი(70%) ჩავიდა. საერთოდ კი რუსეთი გახდა მიგრანტთა მიზიდვის მნიშვნელოვანი ცენტრი. წარმოიქმნა ახალი მიგრაციული სისტემა.

რუსეთი და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები დატოვეს ეთნიკურმა გერმანელებმა(500 ათსი), ისრაელში გადავიდა 200 ათასი ებრაელი.

დიდი მასშტაბით განვითარდა შრომითი იმიგრაცია რუსეთში, როგორც ახლო საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, ისე ჩინეთიდან, ვიეტნამიდან, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკიდან, თურქეთიდან. რუსეთიდან კი დაიწყო დასავლეთში მაღალკვალიფიციური იაფი სამუშაო ძალის მიზიდვა.

# საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მექანიზმი

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, შრომით მიგრაციაში ერთ–ერთი მთავარი კითხვაა: რატომ მიგრირებენ ადამიანები? თითქოს პასუხი ადვილია– ეძებენ უკეთეს შრომისა და ცხოვრების პირობებს. თუმცა არც ისე მარტივად მთავრდება პასუხი. მაგალითად, ავიღოთ მიგრაციის ისეთი სახე, როგორიცაა იძულებითი მიგრაცია. მისი მიზეზი ხომ განსხვავდება მიგრაციის სხვა სახეებისაგან? სტიქიური უბედურება, ომი, ნაციონალურ-რელიგიურ ნიადაგზე დარბევები ძლიერ განსხვავდება, ვთქვათ, ცხოვრების დონის სხვაობით გამოწვეული გადაადგილებისაგან.

თვით ნებაყოფლობითი მიგრაციის მექანიზმიც ერთგვაროვნად მარტივი არაა. თავისი შრომითა და ყოფით უკმაყოფილება ზოგადი მიზეზია. კონკრეტული მიზეზები კი ბევრია. ამის თაობაზე უპრიანია მივმართოთ ცნობილ მეცნიერ პიტერ სტოკერის შეხედულებას. მისი აზრით, საჭიროა განვიხილოთ რამდენიმე სქემა, ანუ როგორც ის უწოდებს, <u>ინდივიდუალური</u>, <u>სტრუქტურული</u> და <u>სისტემური</u> მიდგომა.

ინდივიდუალური მიდგომის მიხედვით, რომლის საფუძველია ადამიანური კაპიტალი, ყოველი ადამიანი განიხილება, როგორც მთელი რიგი ინვესტიციების (განათლება, კვალიფიკაცია, ჯანმრთელობა) პროდუქტი.

ისევე როგორც ფინანსური კაპიტალი, ანალოგიურად ადამიანური კაპიტალიც მოგზაურობს მთელ მსოფლიოში, რომ მოძებნოს დაბანდების საუკეთესო ადგილი, საუკეთესო ვარიანტი, რათა მიიღოს მაქსიმალური მოგება. ადამიანური კაპიტალის ყოველი ერთეული მიისწრაფვის იქით, სადაც იგი ვარაუდობს მისი კაპიტალდაბანდების, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მაქსიმალურ უკუგებაში. თვით მიგრაციის ფაქტიც კი შეიძლება ადამიანურ კაპიტალში ჩადების ფაქტად მივიჩნიოთ, რამდენადაც საზღვარგარეთული გამოცდილება სამუშაო ძალის ხარისხს ამაღლებს. ასე, რომ შედარდება, რამდენად ნაზღაურდება მუშა-მიგრანტის შრომა განვითარებულ ქვეყნებში. მაგალითად, ფილიპინელი მუშები იაპონიას უფრო არჩევენ, ვიდრე ახლო აღმოსავლეთს, ხოლო ინდოელი მუშები – ნიუ–იორკს, ვიდრე კალკუტასა და ბომბეის (ახლა მას მუმბაი ჰქვია).

მეორე მხრივ, ე.წ. სტრუქტურული მიდგომის დროს ადამიანთა ბედი განიხილება იმ პირობების კონტექსტში, რაშიც ისინი არიან. ყოველი ადამიანი რაღაც სტრუქტურის ფარგლებშია მოქცეული – ესაა სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური სტრუქტურები, რაც მის ცხოვრებას განსაზღვრავს. შესაძლოა ამ სტრუქტურებმა ისე იმოქმედონ, რომ კაცი თავისი ბინადრობის ადგილიდან „გააგდონ“. ამავე დროს მას „იზიდავენ“ სხვა სტრუქტურები თავის ან სხვა ქვეყანაში.

სტრუქტურული მიდგომისას მიგრაცია აიხსნება ქვეყნებს შორის ეკონომიკური განვითარების დონის უთანაბრობით. კერძოდ, შრომის ანაზღაურებაში სხვაობით. ასევე იმ სოციალური დაწოლით, რასაც იწვევს მოსახლეობის ზრდა და უმუშევრობა, ქვეყნებს შორის დემოგრაფიული განვითარების უთანაბრობა. ეს ყველაფერი გამოჰყოფს „დონორ რეგიონებსა“ და „რეციპიენტ ქვეყნებს“. ძლიერ დიდ როლს თამაშობს ინფორმაციული სტრუქტურა. იგი კაცს აგებინებს იმ დამატებითი შესაძლებლობების შესახებ, რაც მიეცემა სხვა ქვეყნებში საცხოვრებლად გადასვლისას.

ჩვენს მიერ აღნიშნული ორი სტრუქტურის გარეშე რეალურად არცერთი მიგრაციული აქტი არ ხორციელდება.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად აღვიქვათ მიგრაციის სურათი, შეიძლება გამოვიყენოთ სისტემური მიდგომა, როცა მიგრაციას განიხილავენ კაპიტალისა და საქონლის მსოფლიო მოძრაობის კონტექსტში. აანალიზებენ მიგრაციაზე გლობალური, ეკონომიკური, კულტურული ფაქტორების გავლენას. ამით მიგრაციაზე მოქმედი ფაქტორების საკმაოდ რთული სურათი მიიღება.

ჩვენ პირველ ლექციაში უკვე ვისაუბრეთ შრომითი მიგრაციის არაერთ თეორიაზე. ცალ–ცალკე ისინი ყურადღებას ამახვილებენ მიგრაციის ფაქტორთა ამა თუ იმ მხარეზე, მაგრამ, შეიძლება ითქვას, რომ უნივერსალური პასუხი მიგრაციის მექანიზმისა არაა არცერთ თეორიაში.

## საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ფაქტორები

ეს ფაქტორები შეიძლება ასე დაჯგუფდეს:

1. ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა;
2. დემოგრაფიული დისბალანსი;

3. ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული სოციალური კავშირების რღვევა;
4. წასვლისა და ჩამოსვლის ქვეყნებს შორის კავშირები;
5. გლობალური საინფორმაციო და სატრანსპორტო ქსელი;
6. ოჯახური სტრატეგიები;
7. მიგრაციული ქსელები;
8. საშუამავლო ინსტიტუციები.

**ღარიბ და მდიდარ ქვეყნებს შორის ეკონომიკური უთანასწორობა**

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებს შორის არსებობს ეკონომიკური განვითარების უთანასწორობა, რაც, ცხადია, ოჯახთა შემოსავლების უთანასწორობაშიც გამოიხატება. თუ გლობალურად განვიხილავთ, ეს თანასწორობა არ მცირდება. ეს კარგად ჩანს როგორც ერთობლივ პროდუქტში, ისე ხელფასში განსხვავებებში. მაგალითად: ერთობლივი პროდუქტი (ნომინალური) ერთ სულზე 2013 წელს ლუქსემბურგში 110 ათას დოლარზე მეტი იყო, ნორვეგიაში 101 ათასზე მეტი, შვეიცარიაში – 80 ათასი, მაშინ, როცა ინდოეთში იგი 1414, პაკისტანში – 1290, საქართველოში – 3558.

საშუალო თვიური ხელფასი 2015 წლის დასაწყისში ნორვეგიაში 4600 დოლარია, აშშ–ში –4400, გერმანიასა და იაპონიაში –4100, უკრაინაში –120, ტაჯიკეთში – 120, საქართველოში (სახელმწიფო სექტორში)– 470. განვითარებული ქვეყნების შრომის ბაზრებზე არის მოთხოვნა ე.წ. არაპრესტიჟულ, ჭუჭყიან, მავნე, მძიმე სამუშაოებზე, რასაც ადგილობრივი მოსახლეობა ერიდება. ჩამოსულთათვის კი შემოსავლის მიხედვით ეს სამუშაოები არის დიდი განსხვავება თავისი ქვეყნის საუკეთესო სამუშაო ადგილებითან შედარებით. მაგალითად, საფრანგეთში მშენებლობაში 25% უცხოელია, საავტომობილო მრეწველობაში – 30%, კომუნალურ მეურნეობაში –70%. ბელგიაში მომპოვებელ მრეწველობაში 50% მეტი უცხოელია, შვეიცარიაში მშენებელთა 40% უცხოელია.

**დემოგრაფიული დისბალანსი**

მოსახლეობის მიგრაციის, მათ შორის, შრომითი მიგრაციის ერთ–ერთი ფაქტორია მსოფლიო მოსახლეობის უთანაბრო განვითარება, ქვეყნებს შორის

დემოგრაფიული დისბალანსი. შედარებით განვითარებულ ქვეყნებში ამჟამად მხოლოდ 1,2 მლრდ ცხოვრობს მთელი 7 მლრდ–დან. 25 წლის შემდეგაც მისი წილი არ გაიზრდება, ხოლო 5 მლრდ განვითარებადი ქვეყნის მოსახლეობა 25 წლის შემდეგ 8 მლრდ–ს გადააჭარბებს. ე.ი. თანაფარდობა კიდევ უფრო გაუარესდება.

საქმე ისაა, რომ ნებისმიერი მოსახლეობა თავის განვითარებაში გადის რამდენიმე აუცილებელ სტადიას. განვითარებული ქვეყნების მოსახლეობამ უკვე მიაღწია იმ სტადიას, როცა მოსახლეობა ბუნებრივი ზრდით აღარ მატულობს, ხოლო მსოფლიო მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დემოგრაფიული აფეთქების სტადიაშია ან იქიდან ახალი გამოსულია და მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ამ ქვეყნებში მეტად დიდია.

ეკონომიკური განვითარების ღონისძიებებს, რაც განვითარებად ქვეყნებში მიმდინარეობს, საბაზრო მეურნეობაზე გადასვლის დროს, მიწების პრივატიზებამ და მისმა ყიდვა–გაყიდვამ, სოფლის მეურნეობის მექანიზაციამ სოფლად ე.წ. ჭარბმოსახლეობა წარმოშვა. მოსახლეობის ნაწილი იძულებული ხდება გადაადგილდეს, მიგრირდეს თავისი საცხოვრისიდან და სხვაგან მაინც მიაღწიოს დასაქმებას. ეს კი გამოიხატება მუდმივი ან დროებითი შრომითი მიგრაციის ფორმით როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით ინტენსიური ხდება გლობალიზაციის პირობებში. ემიგრანტთა ნაკადები ძლიერდება არა იმდენად მთლად ჩამორჩენილი ქვეყნებიდან, რამდენადაც ეკონომიკურად მზარდი ქვეყნებიდან, დემოგრაფიული დისბალანსის თავისებურ შესუსტებას გამოიწვევს ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარება და მოსახლეობის განათლებისადმი მოთხოვნის ზრდიდან გამომდიანრე ოჯახში ბავშვთაშობის შემცირება. ამის მაგალითია ირანი, სადაც მკვეთრად შემცირდა შობადობა. იგი მომავალში გამოიწვევს სამუშაო ძალის რაოდენობის სტაბილიზაციას და თუ ეკონომიკური განვითარება მოხდება ამ ქვეყნიდან სამუშაო ძალის გასვლა სხვა ქვეყნებში შენელდება.

სამხრეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც ამ 50–60 წლის წინ შობადობა მაღალი იყო, ჭარბმოსახლეობა იქმნებოდა დემოგრაფიული ფაქტორის გამოც. შემდგომ დემოგრაფიული ზრდის შეჩერებამ ეს ქვეყნები (ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, საბერძნეთი და ა. შ) თვითონ გადააქცია მიმღებ ქვეყნებად.

ასე, რომ დემოგრაფიული განვითარების დისბალანსი თავისებური ფაქტორია მიგრაციული პროცესებისა, მათ შორის, შრომითი მიგრაციისა.

**ეკონომიკური განვითარებით გამოწვეული სოციალური კავშირების რღვევა**

თუ ვიმსჯელებთ იმაზე, რომ ეკონომიკური განვითარების დონის სხვაობა მიგრაციის წარმომშობია, მაშინ, ლოგიკურად, ღარიბი ქვეყნების განვითარებას უნდა შეესუსტებინა მიგრაციული ნაკადების ინტენსიურობა. სინამდვილეში კი უკუღმა ხდება. ჩამორჩენილის ეკონომიკური განვითარების დაჩქარება რაღაც ეტაპზე, პირიქით, ზრდის მიგრაციულ გასვლას ამ ქვეყნიდან.

რა ხდება? განვითარებად ქვეყნებში საბაზრო მეურნეობის ფორმირების პროცესი იმ ეკონომიკურ და სოციალური კავშირებს არღვევს, რაც ტრადიციული საზოგადოებისთვის იყო დამახასიათებელი. ტომობრივი (თემური) ურთიერთობა მიწის საზოგადოებრივ სარგებლობაზე იყო დაფუძნებული. ისინი ერთობლივად ამუშავებდნენ მიწას და პროდუქტთა განაწილებაც ურთიერთმხარდაჭერით ხდებოდა. ფერმერულ ტიპზე გადასვლამ, რაც სტიმულირებული იყო განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ, ეს პრინციპები შეცვალა. მიწის პრივატიზაციის პროცესში ბევრი სოფლელი უმიწოდ და უსახსროდ დარჩა. ეს კონტინგენტი ქალაქს მიაწყდა. ქალაქის შრომის ბაზარმა ვერ აითვისა სამუშაო ძალის დიდი რაოდენობით მიწოდება. გამოსავალი სხვა ქვეყნების (განვითარებული ქვეყნების) შრომის ბაზრებზე გადანაცვლებაში მოიძებნა. ეს პროცესი გლობალიზაციამ მეტად დააჩქარა.

თუმცა განვითარების რაღაც დონის შემდეგ ბევრ ქვეყანაში სამუშაო ადგილების შექმნა დაჩქარდა და ემიგრაციის ინტენსივობაშიც შენელება იგრძნობა. მაგალითად, სამხრეთ ევროპის ქვეყნებმა, სამხრეთ კორეამ და ზოგიერთმა სხვა ქვეყანამ ზემოაღნიშნული პროცესები უკვე გაიარეს და მათგან ემიგრაციული ნაკადებიც მეტნაკლებად შემცირებულია.

## გამგზავნ და მიმღებ ქვეყნებს შორის კავშირები

ქვეყნებ შორის ეკონომიკური, ისტორიული, პოლიტიკური და სხვა კავშირები დიდ ზეგავლენას ახდენენ მიგრაციული ნაკადების მიმართულებებზე. როგორც ადრე აღვნიშნეთ, დიდ ბრიტანეთში იმიგრანტები უფრო მეტად ინდოეთიდან, კარიბის ქვეყნებიდან, აღმოსავლეთ აფრიკიდან და სხვა ყოფილი კოლონიებიდან არიან ჩასული.
ხოლო საფრანგეთში კი – ჩრდილოეთ და დასავლეთ აფრიკიდან. ძველი კოლონიური სისტემის ქვეყნების კავშირები თანამედროვე მიგრაციულ ნაკადებზე დიდად ზემოქმედებს (სხვა რომ არაფერი ვთქვათ ენის ფაქტორია). კოლონიური ქვეყნებიდან თავის დროზე შეჰყავდათ (იძულებითაც) სამუშაო ძალა სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, შახტებში სამუშაოდ. შემდგომში კი ეს ჩამოყალიბებული კავშირები არ შესუსტებულა.

გერმანიას, ვისაც კოლონიები არ ჰქონია, მჭიდრო პოლიტიკური კავშირი ჰქონდა თურქეთთან. ამან ბევრად განაპირობა თურქების მასობრივი შრომითი მიგრაცია გერმანიაში. უკვე 1970 წელს წლიურად 100 ათას თურქს იღებდა გერმანია. შედეგი ისაა, რომ ამჟამად თურქეთის სათვისტომო გერმანიაში 3 მლნ კაცს აღწევს. იგი ყველაზე დიდია სხვა სათვისტომოებს შორის.
აშშ მთელი მსოფლიოდან იღებს მიგრანტებს, მაგრამ მექსიკასთან განსაკუთრებული ურთიერთობის დიდი ისტორია აქვს. სპეციალური პროგრამა იყო ჯერ კიდევ 1940–1960–იან წლებში, რომ აშშ სამხრეთ შტატებში დიდი რაოდენობით მექსიკელს ქირაობდნენ.
ევროკავშირმა თავის ქვეყნებს იქამდე გაუადვილა შემავალ ქვეყნებში სამუშაოდ მისვლა–მოსვლა, რომ შექმნა ერთიანი ევროკავშირის შრომის ბაზარი.
ამრიგად, ისტორიული კავშირები კონკრეტულ ქვეყნებს შორის იმდენად განაპირობებს მიგრაციული ნაკადის სიმყარეს, რომ ბევრჯერ მიმღებ ქვეყანაში შრომის ბაზრებზე აღარც კია მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, მაგრამ შრომითი მიგრანტები ძველი ინერციით მაინც ჩადიან მიმღებ ქვეყნებში დასაქმების მიზნით.

## გლობალური საინფორმაციო და სატრანსპორტო ქსელი

გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმაცია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაზე, მის ცხოვრების წესსზე, საცხოვრებელ გარემოზე, სამუშაო პირობებზე, კულტურულ გარემოზე სულ უფრო მეტად ახდენს ზეგავლენას. დასავლეთის ცხოვრების წესი, რომელიც რეკლამირდება იქაურ ფილმებში, ძლიერ მიმზიდველი ხდება განვითარებადი ქვეყნის ახალგაზრდა მოსახლეობისათვის. ისინი ინტერესდებიან იმით, რომ შესაძლებლობა ეძლევათ დასავლეთში გადასვლით გახდნენ ნაწილნი იმ „ბრჭყვიალა“ საზოგადოებისა, რასაც ფილმებში, ტელეგადაცემებში უყურებენ.

უნდა ითქვას, რომ ბოლო ხანს სამშობლოს ნოსტალგიის გრძნობა შეასუსტა მშობლიური ქვეყნის ტელეგადაცემების, პროგრამების მიღებამ, რითაც იმიგრანტი თავისებურად ჩაბმულია სამშობლოს ცხოვრებაში. ე.წ. „სკაიპმა“ ხომ საკუთარ ოჯახებთან დაშორების სიმძიმე მეტად შეარბილა. ასევე ითქმის მსოფლიო ტელეფონიზაციის პროცესზე. ასე, რომ მიგრაციით გამოწვეული ფსიქოლოგიური დანახარჯები უკვე ბევრად მცირეა, ვიდრე იგი ადრე იყო. ამჟამად დარეკვათა ინტენსივობით შეიძლება ქვეყნების მიხედვით მიგრანტთა განაწილებაც კი დავადგინოთ.

სატრანსპორტო სისტემის განვითარებამ და ზოგადად, გაიაფებამ მეტად შეუწყო ხელი მიგრაციული კავშირებს. თუ გავაანალიზებთ და შევადარებთ მე-20 საუკუნის დასაწყისთან, ან შუა წლებთან, ტრანსპორტირება ათეულჯერ გაიაფდა. ბილეთების, სასტუმროს, დაჯავშნის ელექტრონულმა სისტემებმა ქვეყნებს შორის მიმოსვლა რადიკალურად შეცვალა.

## ოჯახური სტრატეგიები

ყველა ზემოთ აღნიშნული ფაქტორიები ეხება მიგრაციის მაკროდონეს. თუმცა კონკრეტული გადაწყვეტილება მიგრაციის თაობაზე მიიღება მიკროდონეზე, ცალკეული კაცის მიერ ოჯახის ( შინამეურნეობის) გადაწყვეტილებით.

თუ მიგრაციის ძირითად ნაკადებს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მიგრანტების უდიდესი ნაწილი დიდი ოჯახიდანაა. მართალია, დასავლეთის ცხოვრების წესი, ინდივიდუალიზმის პრიმატი არღვევს ოჯახის ტრადიციებს, მაგრამ, ჯერჯერობით, გადაწყვეტილება მიგრაციაზე მთელი ოჯახის ინტერესებიდან მიიღება. როგორც წესი, ამას წყვეტს ოჯახის

უფროსი. მაგალითად, ფილიპინებში ოჯახის უფროსი იღებს გადაწყვეტილებას, რომ სამუშაოდ გაგზავნოს არა ვაჟი, არამედ ქალიშვილი, რადგან უფრო ადვილია, ქალიშვილმა იშოვოს/იპოვოს სამუშაო შინამოსამსახურედ სინგაპურში ან ახლო აღმოსავლეთში. ხოლო მათ მიერ ოჯახში ფულადი გზავნილები გამოიყენება როგორც შინამეურნეობის, ისე ცალკეული წევრის საჭიროებისთვის.

ტიპიურია ისიც, რომ ქმარი, ოჯახის უფროსი, ცოლ–შვილს ტოვებს და მათ გაგზავნილი ფულით ინახავს. შემდეგ კი იგი ფეხს იკიდებს მუშაობის ადგილზე და ითხოვს ადგილობრივი ხელისუფლებისგან ოჯახის გაერთიანებას, ცოლ–შვილის იმ ქვეყანაში გადაყვანას.

საქართველოში იმდენად მყისიერად მოხდა შრომითი ემიგრაციის ტალღების გაჩენა, რომ, ცხადია, ძირითადად ოჯახთან შეთანხმებით მიგრაციაში წავიდნენ ოჯახის წევრები, როგორც უფროსები, ისე ცოლები, ასევე ოჯახის სხვა წევრები. მათი ძირითადი მიზანი აქ დარჩენილი ოჯახის წევრების რჩენა და მათი დახმარება იყო, თუმცა როგორც შემდგომ ვნახავთ, სხვა მიზნებსაც მნიშვნელოვანი წილი ჰქონდათ.

## მიგრაციული ქსელები

მიგრაციული ქსელის არსი ისაა, რომ მიგრაციის პირველ გზამკვლევებს, რომელთაც დიდი წვალებით მოახერხეს შეღწევა და ცხოვრება უცხო ქვეყანაში, შემდგომ თან მიჰყვა უკვე „გაკვალულ“ გზაზე სხვა ახლობელი მიგრანტებიც. პირველად ჩასულები ყოველთვის ცდილობენ და, ნაწილობრივ, ახერხებენ კიდეც თავისებური ადგილობრივი დასაყრდენი შეუქმნან მათ ახლობლებს ან თანამემამულეებს უცხოეთში მიგრირების გასაადვილებლად.

მაგალითად, თურქებმა ევროპაში ისეთი ქსელი შექმნეს, რომ შრომითი მიგრაციის ნაკადი თურქეთიდან არ შენელებულა თვით მკაცრი იმიგრაციული პოლიტიკის წლებშიც კი. ნაწილობრივ, ეს შეიძლება ითქვას საბერძნეთის ქართულ დიასპორაზე, როცა მათ ძლიერი ეკონომიკური კრიზისის დროს მოახერხეს ამ ქვეყანაში თავის შენარჩუნება. მექსიკელები ყოველთვის ახერხებენ აშშ–ში სეზონურ სამუშაოზე დასაქმებას, სადაც ისინი ადგილობრივ ფერმერებთან თავიანთ სოფლელების სამუშაო ძალას სთავაზობენ. ასეთი არალეგალური ვითარება მექსიკელებსაც აწყობთ და ამერიკელებსაც.

ცალკე უნდა შევეხოთ მიგრაციულ ქსელებს, რომელსაც ჩინელები მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ქმნიან. ესაა მიმღებ ქვეყნებში დამოუკიდებელი ანკლავი თავისი ეკონომიკური და სოციალური სტრუქტურით. ისინი არა მარტო იწვევენ ახალ თანამემამულე მიგრანტებს, არამედ უქმნიან ყოველგვარ პირობებს, ახვედრებენ სამუშაო ადგილს, ხელს უწყობენ საქმიანობის წამოწყებაში, ჩინური ბანკები მათ შეღავათიან სესხებს აძლევენ. ისინი იკვებებიან ჩინურ რესტორნებში და ქმნიან ჩინურ სოციალურ გარემოს. ფაქტობრივად, ჩინური მიგრაციული ქსელი ესაა ადგილობრივ გარემოსთან მათი ინტეგრაციის საწინააღმდეგო, ჩინური გარემოს შემანარჩუნებელი მყარი სისტემა. ბევრი ქვეყანა ეწინააღმდეგება ასეთ მოქმედებას. რაღა შორს წავიდეთ, რუსეთის პრეზიდენტმა, ვინც ზოგადად მიგრანტოფობითაა გამორჩეული, მკაცრად განაცხადა, რომ იგი რუსეთში არ დაუშვებდა ე.წ. "ჩაინ–თაუნებს", მაგრამ რეალობა მაინც სხვაგვარია. ჩინური იმიგრაცია რუსეთში საკმაოდ ინტენსიურია და რუსეთის აღმოსავლეთ რეგიონებში ჩინელთა შეღწევაც სწრაფად მიმდინარეობს.

რასაკვირველია, ჩვენმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს თავის იმიგრაციულ პოლიტიკაში დემოგრაფიულად გიგანტი ქვეყნებიდან იმიგრაციული ნაკადების შემოდინების ზეგავლენა ჩვენი საქართველოს დემოგრაფიულ ვითარებაზე. მითუმეტეს, რომ სხვა ქვეყნებში შექმნილი მიგრაციული ქსელები ხშირად ჩინური „დემოგრაფიული იმპერიალიზმის" პოლიტიკის განმახორციელებელია და საქართველოს დემოგრაფიულ უსაფრთხოებას ბევრ პრობლემას უქმნის.

როგორც ლიტერატურიდან ჩანს, საკმაოდ ძლიერი მიგრაციული ქსელი აქვთ მოლდოველებს, სომხებს. სომხური დიასპორა მრავალ ქვეყანაში ასეული წლების მანძილზე მყარადაა ფეხმოკიდებული და კარგ დასაყრდენს უქმნის სომხეთიდან (და სხვა ქვეყნებიდან) თანამემამულეთა მიზიდვას.
ბოლო ხანს ძლიერ გავრცელდა სრულიად ახალი ტიპის მიგრაციული ქსელი, ე.წ. „თანაუნივერსიტეტელები", განსაკუთრებით, ეს შეინიშნება აშშ–ში, სადაც უცხოელი კურსდამთავრებულნი ერთმანეთს ეხმარებიან ამ ქვეყანაში (ან სხვა განვითარებულ ქვეყანაში) დამკვიდრებაში.

## შუამავლების ინსტიტუტი

ერთ–ერთი ფაქტორი, რომელიც მიგრაციული სისტემის ფუნქციონირებას ხელს უწყობს, არის საზღვარგარეთ შრომითი მოწყობის

კომერციული სტრუქტურები. ისინი შუამავლობენ დამსაქმებლებსა და პოტენციურ შრომით მიგრანტებს შორის. მათი ფუნქციონირება მასობრივად 1960–იანი წლებიდან იწყება. მაშინ ისინი ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეზიდათ სამუშაო ძალა დასავლეთის დამქირავებლებისთვის. ზოგჯერ, თვითონაც კი იღებდნენ სატრანსპორტო ხარჯებს. ახლა შეტრიალდა ვითარება. საშუამავლო ფირმები თვითონ იღებენ სამუშაოს მძებნელთაგან თანხას საზღვარგარეთ შრომითი მოწყობისთვის. ბევრი იქაური ფირმა მხოლოდ შუამავლების მეშვეობით იღებს მუშახელს. შუამავლები ცდილობენ, მათ ხარისხიანი სამუშაო ძალა მიაწოდონ. აღნიშნული სააგენტოები იმ ქვეყნებშია უფრო ბევრი, სადაც პოტენციური ემიგრაცია მაღალია. ამ სააგენტოებს აქვთ სახელმწიფო ლიცენზიები. ხშირად სააგენტოები სპეციალდებიან ბაზრის რომელიმე სექტორზე. ამის მაგალითად ფილიპინების სააგენტოთა უმრავლესობა, რომელიც სინგაპურში, იაპონიასა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალებს შინამოსამსახურეებად აწყობს.

საქართველოშიც არის საშუამავლო ფირმები. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რადგან ჩვენთან ემიგრაცია უმეტესად არალეგალურია, ამ ფირმებისთვის დამახასიათებელია მრავალი კანონდარღვევა, ტრეფიკინგული ქმედება. საქართველოსთვის, ისევე როგორც სხვა ქვეყნებისთვის მიგრანტთა არალეგალური გადასვლა საზღვარზე უცხო არაა. მომრავლდა ისეთი ორგანიზაციებიც, რომლებიც ხელს უწყობენ იმიგრანტების სექსმომსახურებაში არალეგალურად დასაქმებას; გამოვლინდა თურქეთში მოტყუებით გაყვანის და მონური შრომის არაერთი შემთხვევა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ტრეფიკინგის წინაღმდეგ აქტიურად იბრძვის. ჯერჯერობით კი, არალეგალური მიგრანტების ხელშეწყობის ბიზნესის მოგება წლიურად 6–7 მლრდ დოლარს აღემატება.

# საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე

ამ ლექციაში ჩვენ შევეცდებით, შევაფასოთ საერთაშორისო მიგრაციის გავლენა ეკონომიკაზე. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ შრომითი მიგრაცია (როგორც საერთაშორისო, ისე შიგა) პოზიტიურ გავლენას ახდენს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაზე. ამით ხდება საერთაშორისო შრომის ბაზრებზე მოთხოვნა–მიწოდების დაბალანსება და შედარებით სწორდება ის დისბალანსი, რასაც მსოფლიოს უთანაბრო ეკონომიკური და დემოგრაფიული განვითარრება იწვევს. მიგრაციის ხელშეწყობით უფრო დაბალანსებული, უფრო დასაქმებული ხდება მთელი მსოფლიო, რაც, ბუნებრივია, დიდად მოქმედებს მსოფლიო ეკონომიკის ზრდაზე. ცნობილია, რომ უცხოელი მუშაკები არსებითად უწყობენ ხელს წარმოების მთელი რიგი დარგების განვითარებას, რომელიც საერთოდ არ მოხდებოდა მათი მონაწილეობის გარეშე. მაგალითად, პოლონელი მეშახტეების მასობრივმა დასაქმებამ რურის აუზში(გერმანია) განაპირობა საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მთელი დასავლეთ ევროპის ქვეყნების ქვანახშირით უზრუნველყოფის საკითხი ან ახლო აღმოსავლეთის ნავთობის ქვეყნებში უცხო სამუშაო ძალის მიზიდვის გარეშე წარმოუდგენელია ის განვითარება, რაც ამ ქვეყნებს ამჟამად აქვთ. მარტო დუბაის მაგალითი კმარა ამის დასადასტურებლად, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე პირველხარისხოვან კომუნიკაციებზე (აეროპორტები, გზები, საზღვაო პორტები), ნავთობგადამამუშავებელ და ქიმიურ ქარხნებზე.

მეორე მხრივ, განვითარებულ ქვეყნებში ჩასული მუშახელი ითვისებს ახალ ცოდნას და გამოცდილებას როგორც ტექნოლოგიურ,ისე ორგანიზაციულ სფეროში, სწავლობენ მენეჯმენტს, შრომის კარგ ორგანიზაციას და, საერთოდ, წარმოების და შრომის კულტურას და იგი შემდგომ გადააქვთ თავის სამშობლოში. თურქეთის ევროპიზაციაში შრომით მიგრანტთა ევროპულმა პერიოდმა მნიშვნელოვანი როლი, ჩემი ღრმა რწმენით კი, გადამწყვეტი როლიც კი ითამაშა. ჯერ კიდევმე–20 საუკუნის 60–იან წლებში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე, შემდგომ თურქეთის პროეზიდენტი, სულეიმან დემირელი, ბელგიაში სამუშაოდ

ჩასულ თურქ მუშებისადმი მიმართვაში დიდ მნიშვნელობას აძლევდა მათ შემდგომ რეემიგრაციას თურქეთში: “თქვენ ისწავლით და რაღაც დროის შემდეგ დაბრუნდებით სამშობლოში კვალიფიციურ მუშებად. ჩვენი ქვეყანა ბევრს მოელის თქვენგან. ყოფილი მიგრანტების უმეტესობა დაბრუნების შემდგომაც ინარჩუნებს მოწინავე ქვეყნებთან კავშირს. ახალი საწარმოების შექმნისას თავიანთ ქვეყანაში ისინი ორიენტირდებიან მოწინავე ტექნოლოგიებზე, აჩქარებენ თავისი ქვეყნის წარმოების მოდერნიზაციას. ეს ყველაფერი შესანიშნავად ჩანს იგივე თურქეთის მაგალითზე, სადაც უკვე მრავალი თანამედროვე ქარხანაა მაღალკვალიფიციური მუშახელით, სხვა დარგებთან შედარებით მაღალი ხელფასითაც.

ეკონომიკურთან ერთად შეუძლებელია, არ განვიხილოთ სრულყოფილი სოციალური ყოფა და მაღალი კულტურა, რასაც ბევრი ქვეყნის იმიგრანტი იძენს შრომითი მიგრაციის დროს. შრომითი მიგრაცია თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია.

ახლა შევეცადოთ, ცალკე განვიხილოთ, თუ რა გავლენას ახდენს შრომითი მიგრაცია <u>მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე.</u>

## გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე

პირველ რიგში შევეხოთ სამუშაო ძალის იმპორტის იმ მხარეს, რომელიც ერთმნიშვნელოვნად დადებითია მიმღები ქვეყნის ეკონომიკისათვის. სამუშაო ძალის იმპორტით ხდება სამუშაო ძალის დეფიციტის აღმოფხვრა. ეს ძლიერ თვალნათლივ ჩანს სპარსეთის ყურის ქვეყნების მაგალითზე. სადაც წარმოუდგენილი იყო 1970–იან წლებში უცხო სამუშაო ძალის გარეშე ეროვნული ეკონომიკის განვითარება. თითქმის მთლიანად უცხო სამუშაო ძალით იქნა ნავთობის ტერმინალები აშენებული. მოხდა პორტების მოწყობა, თანამედროვე საავადმყოფოების, საცხოვრებელი სახლების, უმაღლესი სასწავლებლების ამოქმედება.

მეორე, უცხოელი მუშების მეოხებით ხდება ერთობლივი პროდუქტის დაჩქარებული ზრდა. თუ განვიხილავთ, მაგალითად, გერმანიის ეკონომიკას. მრავალი მეცნიერის აზრით, 60–70–იან წლებში ე.წ. გერმანული სასწაულის შემოქმედი არა მარტო გერმანელი ხალხია, არამედ იქ სამუშაოდ ჩასული სამუშაო ძალაც. მაგალითად, მრავალი გერმანელი ეკონომისტის მიერ გამოთვლილია, რომ **1970–იან წლებში გერმანიის ერთობლივ პროდუქტში სამუშაო ძალის წილი 40%–მდე აღწევს.**

უნდა აღინიშნოს, რომ უცხოეთში ჩასული მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს  იმ ქვეყნისთვის ის მოგებაც მოაქვთ, რომ იმიგრაციის ქვეყანას არ უხდება მათ განათლებაზე ხარჯების გაწევა, რომელიც, რაც დრო გადის, სულ უფრო სწრაფად იზრდება. მაგალითისათვის მოვიტანოთ აშშ, სადაც საინჟინრო და კომპიუტერულ მეცნიერთა 40% საზღვარგარეთიდან არის ჩასული. უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგთა 25% იმიგრანტია. ეს უდიდესი ეკონომიკური სარგებელია, მოგებაა.
უნდა აღინიშნოს, რომ უცხოელიმუშების დიდი ნაწილი მიმღებ ქვეყანაში დასაქმებულია ყველაზე მძიმე, დაბალკვალიფიციურ, სრულიად არაპრესტიჟულ სამუშაოებზე. ეს ადგილობრივ სამუშაო ძალას საშუალებას აძლევს გადაადგილდეს უფრო მაღალკვალიფიციურ და მეტად ანაზღაურებად სამუშაოებზე. მიმღები ქვეყნების მსხვილ ქალაქებში მოხდა შრომის ბაზრის ისეთი დანაწილება, როცა ყველაზე დაბალი საფეხური(ქუჩებისა და შენობების დასუფთავება, ნაგვის გატანა, მშენებლობასა და საგზაო დამხმარე სამუშაოები, შინამოსამსახურედ მუშაობა) იმიგრანტ სამუშაო ძალას ხვდა წილად. მსოფლიო ბაზარი მიმღებ ქვეყნებს ამარაგებს სამუშაო ძალით, რომელიც აუცილებელია მოცემულ მომენტში ამ ქვეყნისათვის, და რომელსაც ყოველთვის შეუძლიათ უარი უთხრან, თუ მათზე მოთხოვნა აღარ იქნება. ეს გარემოება კი საბაზრო მეურნეობის ციკლური განვითარების მნიშვნელოვანი სტაბილიზატორია. აი, რას ამბობენ იმიგრაციის თაობაზე ამ მხრივ კლასიკური ქვეყნის აშშ ოფიციალური პირები, რომლებიც იმიგრაციას აფასებდნენ. ერთი ამბობს: “ლოგიკურია გაგვეკეთებინა შემდეგი დასკვნა: „თუ მათ აქვთ სამუშაო(იმიგრანტებზეა საუბარი), მათ ის აშშ მოქალაქეებს წაართვეს.“

მეორე შეხედულებით კი “თქვენ ვერ განავითარებდით ნიუ–ორკში სასტუმრო ბიზნესს ან ვერ შეინარჩუნებდით რესტორანს, თუ კი ვერ იშოვიდით ვისმე, რომ შავი სამუშაო შეესრულებინა. ერთი წუთით წარმოიდგინეთ, რომ  ჩვენ არ გვყავდეს შავი მუშები, ვინ შეასრულებდა ამ ჭუჭყიან სამუშაოს?“

## დასაქმება და უმუშევრობა

უმუშევრობა მეტნაკლებად ყველა ქვეყანაშია. იგი საბაზრო ეკონომიკის ატრიბუტია: ბევრ ქვეყანაში მას დროებითი ხასიათი აქვს და ეკონომიკის ციკლური განვითარების შესაბამისად იცვლება. ზოგან იგი

ტრადიციულიდან ან სოციალისტურიდან საბაზრო მეურნეობის ფორმირების პროცესის თავისებურებითაა განსაზღვრული, ზოგან ე.წ. შეფარდებითი ჭარბმოსახლეობით, შრომის ბაზრის არასათანადო განვითარებით.

ისინი, ვინც ამტკიცებენ, რომ უცხო სამუშაო ძალის შემოსვლა მკვიდრ მოსახლეობას სამუშაო ადგილს ართმევს და უმუშევრობას კიდევ უფრო ამძაფრებს, ვერ ითვალისწინებენ, რომ მთელი ეკონომიკა და შრომის ბაზარიც განსაზღვრული ელასტიურობით გამოირჩევიან. მოცემულ ქვეყანაში სამუშაო ძალის რაოდენობა ფიქსირებული არაა. სამუშაო ძალის მიწოდება შეიძლება აღმოცენდეს მოსახლეობის ზრდის შედეგად, რაზეც მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. იგი შეიძლება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის გამო აღმოცენდეს, მაგალითად, ახალი ტერიტორიების ათვისების დროს, ან რომელიმე დარგის განვითარების დაჩქარების შემთხვევაში და ა. შ.

პირიქით, შესაძლებელია მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებისა და შრომითი რესურსების დეფიციტის დროს. სამუშაო ადგილები შეიძლება აღმოცენდნენ შემოსავლების ზრდისა და მოსახლეობის მოხმარების გაზრდის გამო(მაგალითად, მოთხოვნა შინამოსამსახურეზე, ძიძებზე და მოხუცთა მომვლელებზე და ა. შ)

დამატებითი ხალხის ჩამოსვლამ შესაძლებელია, თვითონ მისცეს სტიმული სამუშაო ადგილების ზრდას. ჩამოდის როგორც მწარმოებელი, მაგრამ იმავდროულად იმიგრანტი მომხმარებელიც ხდება. მათ სჭირდებათ ბინა, რაც მშენებლობას აფართოებს, მათ ჭამა სჭირდებათ და ხელს უწყობენ კვების მრეწველობაში და სურსათის განაწილებაში სამუშაო ადგილების შექმნას. მათ სჭირდებათ სამუშაო ადგილებამდე ტრანსპორტირება და ამით სტიმულს აძლევენ ტრანსპორტის დარგში ახალ სამუშაო ადგილებს, დამატებითი მძღოლების დასაქმებას, და ა.შ.ჩასვლის ქვეყანაში შრომითი მიგრანტები თავიანთი შემოსავლის მნიშვნელოვან ნაწილს ხარჯავენ(ჩვენი გამოკვლევებით ქართველი მიგრანტები თითქმის სამ მეოთხედს), ამით ხელს უწყობენ სხვა ახალი სამუშაო ადგილების შექმნას.

შრომითმა იმიგრანტებმა შესაძლოა გაზარდონ ადგილობრივი მუშახელის დასაქმება იმითაც, რომ შინამოსამსახურეებად დადგომით ადგილობრივ ოჯახის წევრებს გამოათავისუფლებენ საოჯახო შრომიდან და საშუალებას აძლევენ მათ პროფესიულ დასაქმებას. ბევრ ქვეყანაში

შინამოსამსახურეებმა მთლიანად გააჯერეს ეს სექტორი. გერმანიაში ეს სექტორი დაკავებულია პოლონეთის, უკრაინის, რუსეთის, საქართველოს და სხვა პოსტსოციალისტური ქვეყნებიდან ჩასული ქალების მიერ. ასევეა საბერძნეთშიც, სადაც ქართველი ქალების შინამოსამსახურეობამ საშუალება მისცა ადგილობრივ სამუშაო ძალას ოჯახიდან გადაენაცვლებინათ მაღალპროფესიულ, უფრო შემოსავლიან შრომაში. ასეთივე ვითარებაა შექმნილი ჰონკონგში, სინგაპურში, მალაიზიაში, სადაც შინამოსამსახურეები არიან ფილიპინელები, შრი–ლანკელები.

როგორც ცნობილი მეცნიერი რ. სტოკერი წერს, შრომის ბაზრის კიბეზე ჩამოსული იმიგრანტები დაბალ საფეხურზე მდგომ ადგილობრივებს საშუალებას აძლევენ, აქედან უფრო მაღალ საფეხურზე გადაინაცვლონ.“

იქ სადაც მიგრანტთა დიდი კონტინგენტია, საბანკო სექტორის გაფართოების საჭიროება იქმნება, რაც ადგილობრივი სამუშაო ძალისათვის საბანკო სფეროში დამატებითი ეფექტიანი სამუშაო ადგილების შექმნის საფუძველი ხდება. იგივე პროცესია იურდიულ სისტემაშიც. იგი ფართოვდება ადგილობრივი სამუშაო ძალით.

უცხოელ მუშებს, მართლაც, შეუძლიათ „შეავიწროვონ“ ადგილობრივები ამა თუ იმ ლოკალურ შრომის ბაზარზე, სადაც იმიგრანტების რიცხოვნობა ძლიერ ბევრია. ხანდახან დამქირავებლები იმიგრანტებს აძლევენ უპირატესობას, რადგან ისინი თანახმა არიან, იმუშაონ უფრო ნაკლებ ხელფასზე, არ ითხოვენ სოციალურ შეღავათებს. აშშ –ში შრომითი მიგრანტები კონკურენციას უწევენ აფროამერიკელებს და ესპანურენოვან აშშ მოქალაქეებს. **ეს უკანასკნელნი არიან მომხრეები, რომ გამკაცრდეს იმიგრაციული პოლიტიკა. ხანდახან კი იძულებულნი არიან სხვაგან გადაადგილდნენ, რადგან უკვე ვეღარ უძლებენ ჩამოსულთა კონკურენციას, ე.ი. იმიგრაცია ხდება ირიბი სტიმულატორი შიგა მიგრაციებისა.**

ფაქტია, რომ უმუშევრად დარჩენილი ამერიკელები ნაკლებად თანხმდებიან იქ დასაქმებას, სადაც ჩასულთა უმეტესობა საქმიანობს. ისინი არჩევენ უმუშევრის შემწეობა და სხვა სოციალური დახმარება მიიღონ, ვიდრე ჩამოსულ მიგრანტთა მიერ დაკავებულ შრომის მეორად ბაზარზე დასაქმდნენ.

ამრიგად, **თანდათან უფრო და უფრო გამიჯნული ხდება მიმღები ქვეყნების შრომის ბაზრებზე იმიგრანტთა და ადგილობრივთა დასაქმების სეგმენტები.**

## ხელფასი

**იმიგრაციის მოწინააღმდეგეების შეხედულებებით, უცხოელ სამუშაო ძალის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს მთელ ქვეყანაში შრომის ანაზღაურების დონეს. ან უკიდურეს შემთხვევაში, ანელებს მის ზრდას.** უცხოელები რომ თანხმდებიან შედარებით ნაკლებ ხელფასზე, ესაა დამქირავებელთა დიდი დაინტერესება. თუ არ იქნებოდნენ ჩამოსულები, მაშინ დამქირავებელი იძულებული გახდებოდა, აეწია ხელფასი იმ დონემდე, რასაც ადგილობრივი მუშები დათანხმდებოდნენ. ვიღა დაგვიდა იაფად ქუჩებს? ამიტომაა რომ მიუხედავად შეზღუდვებისა, სხვა ქვეყნის(უფრო დაბალგანვითარებული ქვეყნის) სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ყოველთვის დიდია.

როგორც მკვლევართა ანალიზიდან ჩანს, იმ დარგებში, სადაც უცხო სამუშაო ძალაა გამოყენებული, ხელფასი ნელა იზრდება. მათ მოაქვთ ლოსანჟელესის მაგალითი, სადაც სამკერვალო მრეწველობის საწარმოებში დასაქმებულთა სამი მეთხედი იმიგრანტი ქალია. აქ დამქირავებლები ახერხებენ აშკარად დაბალ დონეზე შეინარჩუნონ მუშათა ხელფასი. ამით კი დარგის კონკურენტუნარიანობა უზრუნველყონ. იყო პერიოდები, რომ არა მიგრანტები, აღნიშნული დარგები განადგურდებოდა.

## ფასები და შემოსავლები

გასათვალისწინებელია, რომ მკვიდრი მცხოვრებნი, როგორც საქონლისა და მომსახურების მომხმარებელნი იგებენ იმაშიც, რომ მათ მიერ შეძენილი საქონელი ნაწარმოებია იაფი ჩამოსული მუშახელის მიერ. იაფი სამუშაო ძალა დამქირავებლების წარმოების ხარჯებს ამცირებინებს და პროდუქციაზე ფასების დაწევით მათ პროდუქციას კონკურენტუნარიანს ხდის. მოგებულები კი რჩებიან ადგილობრივი მწარმოებლებიცა და ადგილობრივი მომხმარებლებიც. სუპერმარკეტში სასურსათო საქონელზე დაბალი ფასი და ტრანსპორტირებაზე დაბალი ფასი ყველაზე ღარიბი ადგილობრივი ფენისთვის მეტად ხელსაყრელია.

მეორე მხრივ, წარმოების დანახარჯების შემცირება აადვილებს ინვესტირებისთვის ახალ სამუშაო ადგილების შექმნას.

**მიგრანტებზე გაწეული საზოგადოებირივი დანახარჯები**

ექსპერტთა შორის დიდი დავაა იმის თაობაზე, თუ რა ვითარება ვლინდება, როცა შედარდება სიკეთე და დანაკარგი სახელმწიფოს შემოსავლებსა და გასავლებში.

ის განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მიგრანტთა მიზიდვის ცენტრებს წარმოადგენენ, ძლიერ ბევრს ხარჯავენ მოსახლეობის დახმარებზე. ეს სახელმწიფო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილია.

სახელმწიფო მონაწილეობს განათლების სისტემის, ჯანდაცვის დაფინანსებაში, ეხმარება ღარიბ მოსახლეობას, უმუშევრებს, პენსიას აძლევს ინვალიდებს, მოხუცებს, იცავს საზოგადოებრივ წესრიგს, ბუნებას. **ასეთი დახმარებანი ხშირად არანაკლები სტიმული ხდება ღარიბი ქვეყნებიდან იმ განვითარებულებში ემიგრაციისა, ვიდრე მაღალი ხელფასი.**

ლეგალურად მომუშავე უცხო მუშახელი ყოველივე ზემოაღნიშნული სიკეთის მომხმარებელი ხდება. მაშინ როცა ბიუჯეტი უპირატესად ადგილობრივი გადამხდელისგან ფორმირდება. *ახლა საკითხი დგება ასე: უცხოელი გადამხდელების მიერ შეტანილი თანხები რამდენად უტოლდება იმ დანახარჯებს, რაც მათზე გადის სახელმწიფო ბიუჯეტიდან?*

მომუშავე მიგრანტი იხდის შემდეგ გადასახადებს: საშემოსავლო გადასახადს, ფულადი გზავნილის გადასახადს, ქონების გადასახადს, და ა.შ. ამის გარდა იმიგრანტის ხელფასში ჩადებულია ყველა გადასახადის წილი, რასაც ის დამქირავებლი კომპანია იხდის, სადაც ისაა დასაქმებული. ესაა:

- მოგების გადასახადი;
- სოციალური დაზღვევის გადასახადი;
- განათლების გადასახადი;
- ჯანდაცვის გადასახადი;
- საპენსიო ფონდში ჩარიცხვები;
- საგზაო გადასახადი;
- საბინაო გადასახდი და ა. შ.

ამრიგად, ფასეულობა რასაც მიგრანტი ქმნის, მიმღები ქვეყნის საზოგადოებისათვის სასარგებლოა.

არალეგალები არ იხდიან პირდაპირ გადასახადებს, მაგრამ მათი საწარმოები უხდიან სახელმწიფოს გადასახადებს და, ცხადია, არალეგალებიც თავისებურად მონაწილენი არიან ამ გადასახებისა; ეს სახელმწიფო ფინანსებს ზრდის. თითონ კი არაფერს მოიხმარენ გადასახადის სანაცვლოდ. **ცნობილი მეცნიერი ა. ლინდერტი მათ „სუფთა გადამხდელებს“ უწოდებს.**

ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ კი მიმღებ ქვეყანაში უცხო მუშათა ყოფნა მოითხოვს სახელმწიფო ასიგნებებს ჯანმრთელობის დაცვაში, განათლებაში, სოციალური დაცვის პროგრამებზე, მიგრანტთა მიერ გადახდილი გადასახდი მარტო ამ მიზნით არ წარიმართება. მიგრანტები ნაწილობრივ „იხდიან“ იმ სახელმწიფო ხარჯებისასაც, რაც ქვეყნისთვის აუცილებელია, მაგრამ არაფრითაა დაკავშირებული მიგრანტთა აქ ყოფნასა და არყოფნაზე. მაგალითად, ხარჯები თავდაცვაზე, გზების მშენებლობაზე და ა.შ. ეს რაღაცით ამცირებს ქვეყნის მკვიდრთა საგადასახადო დატვირთვას, ამიტომაც იგი უნდა განვიხილოთ, როგორც მიმღები ქვეყნისათვის დადებითი ეფექტის მომტანი.

იმ ქვეყნებში, სადაც დიდია ჩასულთა რიცხოვნობა, წესით უნდა ითვალისწინებდნენ სახელმწიფოსათვის მათგან მიტანილ სიკეთეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მკვლევრებს აქცენტი გადააქვთ მხოლოდ საპირისპირო შედეგებზე. მაგალითად, დ. ბორჯასმა და ჯ. საიმონმა ზედმიწევნით შეისწავლეს აშშ–ში იმიგრაციის ეკონომიკური შედეგები, კერძოდ, სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯებისა და მათგან შემოსავლების შედარების გზით. ისინი სწავლობდნენ როგორც დროებით,ისე მუდმივ ემიგრანტებს. დ. ბორჯასის მტკიცებით, იმიგრანტები 3 მლრდ დოლარით მეტს იღებენ სახელმწიფოსგან, ვიდრე ისინი მას ასარგებლებენ. ბოლო ხანს კი მანაც შეარბილა თავისი უარყოფითი დასკვნები: იმიგრაციის ეკონომიკაზე მრავალმხრივი ზეგავლენა ძნელად გაიზომება... ყოველ მცხოვრებზე დანაკარგი რაღაც 30 დოლარია“.

დ. საიმონი კი წერს, რომ 1974 წელს იმიგრანტებმა აშშ–ში სოციალური მომსახურების სახით 1400 დოლარი ისარგებლა, ადგილობრივმა მცხოვრებმა –2300 დოლარი; მაგრამ იმიგრანტმა 3200 დოლარის გადასახადი გადაიხადა.

თუ არალეგალებს განვიხილავთ, ისინი ხომ ძლიერ ცოტას თუ სარგებლობენ სახელმწიფოს მომსახურებით? მაგრამ თავისი

დამქირავებლის მიერ გადასახადებში კი მონაწილეობენ. როგორც დ. საიმონი ანგარიშობს, ისინი 5–10–ჯერ მეტს იხდიან, ვიდრე ის სოციალური მომსახურება ღირს, რომლითაც ისინი სარგებლობენ.

სოციალური სიკეთითაც ყველა ქვეყნის მიგრანტი განსხვავებულად სარგებლობს. ჩამორჩენილი აზიის ქვეყნის იმიგრანტები იშვიათად სარგებლობენ სახელმწიფო დახმარებით, მაშინ, როცა ყოფილი სოციალისტური ქვეყნებიდან ჩასულნი, რომლებიც მიჩვეულნი იყვნენ სახელმწიფო სოციალურ დახმარების ძლიერ სისტემას, ყოველმხრივ ეძებენ სახელმწიფოდან სოციალური შეღავათებით სარგებლობას.

ბევრი მიმღები ქვეყანა ცდილობს, რომ რაც შეიძლება მინიმალური იყოს იმიგრანტებზე გაწეული სახელმწიფოს დანახარჯები. დონორ ქვეყანაში ნათესავების ან „მზრუნველების“ თავდაპირველი მხარდაჭერა, რომლებიც იმიგრანტზე იხარჯება, არის ნებართვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აშშ–სა და კანადაში იმიგრანტის გადასვლის დროს. ასეთი „სპონსორების“ არყოლა ხშირად აფერხებს მიგრაციის აქტს.

როგორც ვიცით, შრომითი მიგრაციის სტატისტიკა არცთუ მთლად სანდოა, ყველა გამოკვლევაში აშკარად იკვეთება 25–45 წლის კონტინგენტი, უმეტესად მამაკაცები, რომლებიც ოჯახისა და ცოლშვილის გარეშე ჩადიან სამუშაოდ. ისინი ნაკლებად სარგებლობენ საზოგადოებრივი ფინანსებით, რადგან არ მოიხმარენ დანახარჯებს ბავშვთა განათლებზე, უმუშევრობის შემწეობაზე, საპენსიო უზრუნველყოფაზე. თუ იმიგრანტი სამუშაოს დაკარგავს, დიდი ალბათობაა, რომ ის ქვეყანას დატოვებს, ვიდრე ჩამოეკიდება უმუშევრობის შემწეობას.

**ასე, რომ გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ შრომითი იმიგრანტის მიერ გადახდილი გადასახადი ბევრად აღემატება მთ მიერ ამ ქვეყანაში ნასარგებლებ სიკეთეს.**

საბოლოოდ მივდივართ შემდეგ დასკვნებამდე:

როგორც მთელი მსოფლიო ეკონომიკისათვის, ისე სამუშაო ძალის იმპორტიორი ქვეყნისათვის საერთაშორისო შრომითი მიგრაცია დადებითი მოვლენაა, რაც შემდეგით გამოიხატება:

- ქმნის დამატებით შემოსავალს ახლად შექმნილი ღირებულების სახით და ზრდის ქვეყნის მთლიან შიგა პროდუქტს;
- მას შეუძლია საქონელსა და მომსახურებაზე ფასების შემცირება. ამით ამცირებს ინფლაციას;

- ქმნის ადგილობრივი სამუშაო ძალისთვის სამუშაო ადგილებს (მაგალითად, ქალებს გამოათავისუფლებს ოჯახიდან პროფესიული შრომისათვის);
- მონაწილეობს მიმღები ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლების შექმნაში უფრო მეტად, ვიდრე მისი დანახარჯებით სარგებლობს.

## შრომითი მიგრაციის გავლენა დონორი ქვეყნის ეკონომიკაზე

შრომით მიგრანტთა მიმწოდებელ ქვეყნებს შორის არიან ისეთები, რომელთა სამუშაო ძალის ექსპორტისათვის სპეციალური, გამიზნული პოლიტიკა აქვთ შემუშავებული და ცდილობენ, შრომითი ემიგრაცია მომგებიან „სახელმწიფო ბიზნესად“ გადააქციონ. ეს ქვეყნებია: პაკისტანი, ეგვიპტე, თურქეთი, მაროკო, ბანგლადეში, ტაილანდი, ფილიპინები, შრი–ლანკა. წარსულში (1950–1970–იანი წლები) თვით ევროპის ბევრი ქვეყანა (იტალია, საბერძნეთი, პორტუგალია, ირლანდია) ასევე ხელს უწყობდნენ თავიანთ მოქალაქეებს საზღვარგარეთ დასაქმებაში.

რაში ხედავენ სარგებელს ემიგრაციის აქტიური პოლიტიკის მქონე ქვეყნები?

1. მოსახლეობის საზღვარგარეთ ემიგრაცია დაბლა სწევს უმუშევრობის დონეს;
2. მათი მოქალაქეები საზღვარგარეთ მუშაობით იმაღლებენ კვალიფიკაციას, იღებენ იქაურ გამოცდილებას, რაც შემდეგ ჩამოაქვთ თავის ქვეყანაში;
3. ემიგრანტთა ფულადი გზავნილები მკვეთრად ამაღლებენ ცხოვრების დონეს, როგორც საკუთარი ოჯახებისას, ისე მთელი ქვეყნისას.

## შრომის ბაზარი

ყველა ქვეყანა, რომლებიც სამუშაო ძალის ექსპორტს უწყობს ხელს, არიან ქვეყნები სწრაფმზარდი მოსახლეობით და ისეთი ტიპის ეკონომიკით, რომელსაც არ შეუძლია შრომის ბაზარზე სწრაფად მიწოდებული სამუშაო ძალის შეწოვა. შესაბამისად, ისინი მაღალი დონის უმუშევრობითაც გამოირჩევიან.

თურქეთში მიუხედავად მოსახლეობის ბუნებრივი ზრდის თანდათანობითი შემცირებისა, ახალგაზრდა ასაკობრივი სტრუქტურის მქონე მოსახლეობაში სწრაფად იზრდება შრომის ასაკის მოსახლეობის რიცხოვნობა, რომელიც წელიწადში თითქმის 1 მლნ–ს უდრის. თურქეთის შრომის ბაზარზე ყოველწლიურად 600 ათსი კაცი ახლად გამოდის. მსოფლიო ბანკის მონაცემებით, ამ რაოდენობის დასაასსაქმებლად თურქეთის ეკონომიკა წლიურად 12%–ზე მეტით უნდა იზრდებოდეს. იქ კი ეს ზრდა ბევრად ნაკლებია. ამიტომ თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც თურქეთი ემიგრაციის სტიმულირების პოლიტიკას ახორციელებს. ჯერ კიდევ 1968–1972 წწ. ხუთწლიან გეგმაში პირდაპირ იყო ჩაწერილი, რომ დასაქმების პრობლემის შერბილების გამო ეფექტიანია სამუშაო ძალის საზღვარგარეთ გაგზავნა. იმ ხუთწლედის ბოლოს უკვე 1 მლნ–ზე მეტი თურქი იმყოფებოდა საზღვარგარეთ, ეს იყო სამუშაო ძალის 6%–ზე მეტი. 2000 წლის შემდეგ, როცა ევროპაში სამუშაო ძალის იმპორტის მრავალი შეზღუდვა გაჩნდა, თურქების ინტენსიურ ემიგრაციას ვხვდებით ახლო აღმოსავლეთის ბაზარზე და პოსტსოციალისტურ ქვეყნებში. თურქეთის უმუშევრობის დინამიკაშიც ხანგრძლივ პერიოდს თუ განვიხილავთ, შეიმჩნევა დასაქმების ზრდის ტენდენციები; ყოველ შემთხვევაში 18%–იანი უმუშევრობა, როგორც ეს სამოცდაათიანი წლების დასაწყისში იყო, მას შემდეგ აღარ განმეორებულა. სავსებით ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ უმუშევრობისა და დასაქმების დონეზე თურქეთში შრომითი ემიგრაცია ახდენს დიდ ზეგავლენას.

რასაკვირველია, სავსებით ლოგიკურად იბადება კითხვა, რომ როგორი იქნებოდა საქართველოში უმუშევრობის დონე, ის დიდი კონტინგენტი(400–500 ათსი კაცი), რომელიც საზღვარგარეთაა შრომის მიგრაციაში, აქ რომ ყოფილიყო? პასუხი ცალსახაა: საქართველოში

უმუშევრობის დონე კატასტროფულ დონეს მიაღწევდა(ჩვენ მას ცალკე თემაში განვიხილავთ).

მაგრამ ყველა დონორ ქვეყანაში არ აღმოჩნდა შრომითი ემიგრაცია უმუშევრობის წინააღმდეგ მიმართული ეფექტიანი საშუალება. მაგალითისათვის ხშირად ასახელებენ ფილიპინებს, სადაც ყოველწლიურად მილიონნახევარი შრომითი ემიგრანტი ფიქსირდება. აქ საზღვარგარეთაა სამუშაო ძალის 6%–ზე მეტი. მაგრამ უმუშევრობის დაძლევაზე ეს გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ ახდენს. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში დარჩენილ უმუშევრებს არ ჰყოფნით კვალიფიკაცია იქაურ შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა სამუშაო ძალის ხარისხის თვალსაზრისით დააკმაყოფილონ.

მიმღები ქვეყნებიც ისეთ პოლიტიკას ატარებენ, რომ დონორებს წაართვან ყველაზე კვალიფიციური სამუშაო ძალა. საქმე იქამდეც კი მიდის, რომ ბევრი დონორი ცდილობს ექსპორტის საერთო სტიმულირების ფონზე, შეინარჩუნოს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა. გასული საუკუნის ბოლოს თურქეთის ხეკისუფლება იძულებული გახდა მეშახტეებისთვის ოფიციალურად აეკრძალა საზღვარგარეთ გასვლა, რადგან იყო შემთხვევა, როცა მასობრივი ემიგრაციით 46 ათასი ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის მეშახტის გარეშე დარჩა თურქეთის სამთო მრეწველობა და ქვანახშირის კორპორაციები კრახის პირზე აღმოჩნდნენ. ასეთივე მდგომარეობა შეიქმნა პაკისტანშიც, სადაც მშენებლები ახლო აღმოსავლეთში გადავიდნენ სამუშაოდ. მეტი გზა რომ არ იყო, სასწრაფოდ გაზარდეს მშენებელთა ხელფასი პაკისტანში, მოახდინეს სამშენებლო სამუშაოთა მექანიზაცია და თავიანთ შრომის ბაზარზე შეინარჩუნეს ქვეყნისათვის საჭირო სამუშაო ძალა. ასე რომ, შრომის ბაზარზე უმუშევრობის დონის შემცირების პარალელურად, შრომითმა ემიგრაციამ შეიძლება პრობლემებიც შექმნას ადგილობრივი წარმოების განვითარებაში.

როცა ვმსჯელობთ მასობრივ შრომით ემიგრაციაზე და მის გავლენაზე დონორი ქვეყნების შრომის ბაზრებზე, უნდა გავითვალისწინოთ არა მარტო ე.წ.სამუშაო ძალის „არყოფნის ეფექტი“, არამედ „დაბრუნების ეფექტიც“. დაბრუნებულ შრომით მიგრანტებს შეუძლიათ გაზარდონ არა მარტო მიწოდება, არამედ მოთხოვნაც თავიანთი ქვეყნის შრომის ბაზრებისა.

კერძოდ, დროებითმა შრომითმა ემიგრაციამ, საბოლოო ჯამში, შეიძლება შრომის ბაზარზე ახალი ადამიანები გამოავლინოს. ეს განსაკუთრებით ქალთა ზრდად შრომით მიგრაციას ეხება. ქალები შრომით მიგრაციაში თანდათან მატულობენ საზღვარგარეთ მეორად შრომის ბაზრებზე შინამოსამსახურეებად, სასტუმროს მომსახურე პერსონალად, საკურორტო მომსახურებაში განვითარებადი ქვეყნების ქალები მიიზიდებიან. ხშირად ემიგრაციაზე გადაწყვეტილებას არა თვითონ, არამედ ამ ქალის ოჯახი, მათი მშობლები იღებენ. ეს გოგონები საერთოდ არ იქნებოდნენ ეკონომიკურად აქტიურები, რომ არ ყოფილიყო ემიგრაცია, სადაც ისინი სჭირდებათ და იქიდან ფულსაც გზავნიან. დაბრუნებისას ისინი უკვე ვეღარ ჩერდებიან შინ და ადგილობრივ ბაზარს სამუშაო ძალას სთავაზობენ.

სოფლის მოსახლეობის ემიგრანტები, რომლებიც მიმღებ ქვეყნებში მშენებლობაში, მრეწველობაში, მომსახურებაში არიან დასაქმებულნი, დაბრუნებისას თავს არიდებენ სოფლის მეურნეობაში მუშაობას. დაბრუნების შემდეგ ისინი თავიანთი ქვეყნის ქალაქებში მკვიდრდებიან და მრეწველობაში, სახელოსნო საწარმოებში საქმდებიან ან იწყებენ თავიანთ ბიზნესს. ამრიგად, საერთაშორისო მიგრაციის მეშვეობით ხდება სამუშაო ძალის, შრომითი რესურსების გადანაწილება ქალაქწარმომქნელ დარგებში, ქალაქებში.

„დაბრუნების ეფექტი“ ვლინდება დონორი ქვეყნის შრომის ბაზრის გაფართოებაში, შრომაზე მოთხოვნის ზრდაში. შრომითი მიგრანტების ნაწილი აგროვებს ფულს, კაპიტალს და ცდილობს, დაბრუნების შემდგომ რაღაც მცირე ბიზნესი წამოიწყოს. ამის კარგი მაგალითია მექსიკა, სადაც საშუალო და მცირე ფირმების 70% შექმნილია აშშ–ში მუშაობისას დაგროვებული კაპიტალიდან. საბერძნეთში, პორტუგალიაში, თურქეთში, მაროკოში, ეგვიპტეში სასტუმროების, რესტორნების, ავტოგასამართი სადგურების, შემკეთებელი სახელოსნოების, ტურისტული კანტორების, მაღაზიების, საპარიკმახეროების და სხვა წვრილი ობიექტების მფლობელნი ან თანამესაკუთრენი უცხო ქვეყნებში ყოფილი მიგრანტები არიან. ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ხშირად წახალისდება არა მარტო ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, არამედ ევროკავშირის ქვეყნებიდანაც. ამჟამად, საქართველოშიც არის დიდი მცდელობა

როგორც ჩვენი ხელისუფლების, ისე ევროკავშირის ქვეყნებისა, ყოველმხრივ წაახალისოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის. დაბრუნებულ მიგრანტთა საქმიანობა.

საბოლოოდ რომ შევაჯამოთ, სამუშაო ძალის ექსპორტიორი ქვეყნები ემიგრაციით რაღაცანაირად ამცირებენ თავიანთ ქვეყანაში უმუშევრობის დონეს, თუმცა დემოგრაფიულად მზარდ ქვეყნებში შრომითი რესურსების მატება ისე სწრაფია, რომ უმუშევრობის პრობლემა მაინც ბოლომდე არ წყდება და უმუშევრობა უფრო მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ კონიუნქტურასთან, ვიდრე მიგრაციულ ტალღებთან. მეორე მხრივ, სამუშაო ძალის ექსპორტისას იკარგება ეროვნული ეკონომიკისათვის საჭირო კადრები, ემიგრაციაში მიდიან უფრო კონკურენტუნარიანი პირები, ვისაც აქვთ პოტენციური მეწარმოებრივი უნარი. მათი ნაწილი სამუდამოდ რჩება საზღვარგარეთ. ახალი კადრების მომზადება საკმაო სახსრები ჯდება ან სადაა გარანტია, რომ ისინიც საზღვარგარეთ არ წავლენ და იქ არ დარჩებიან?

## მსოფლიო გამოცდილების გადაცემა

საერთოდ მიჩნეულია, რომ შრომით მიგრანტებს სამშობლოში ჩააქვთ უცხო ქვეყანაში მიღებული მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ეს ყოველთვის მთლად ასე არაა. 1960–იან წლებში, როცა შრომითი მიგრაცია ინტენსიური გახდა სამუშაო ძალის ექსპორტიორ–იმპორტიორ ქვეყნებს შორის ხშირად ისეთი ხელშეკრულებებიც კი იდებოდა, რომ იმპორტირებისას მუშათათვის უნდა აემაღლებინათ კვალიფიკაცია. ეს, მართლაც, ხდებოდა, მაგრამ ხდებოდა იგი კონკრეტული ოპერაციების შესრულების მიზნით და არა ისე, რომ იგი მასობრივად გამოსდგომოდათ რემიგრანტებს თავიანთ სამშობლოში.

სინამდვილეში პროფესიულ სწავლებას გადიოდა იმიგრანტთა მცირე ნაწილი.ყოველი მეორე მიგრანტი კი დამხმარე სამუშაოს ასრულებდა. სხვებისთვის კონვეირზე მუშაობა რაღაც კვალიფიკაციას კი აძლევდა, მაგრამ მისი გამოყენება ჩამორჩენილ სამშობლოში უბრალოდ ასეთი წარმოების არარსებობის გამო ვერ ხერხდებოდა.

ამჟამად ლოზუნგი: “მოწინავე გამოცდილების გადაცემა“ უფრო აქტიურად გამოიყენება. მაგალითად, იაპონია ოფიციალურად იღებს ე.წ. „სტაჟიორებს“, არაკვალიფიციურ სამუშაო ძალას; მათი რიცხვი 200 ათასს

აღემატება. სტაჟიორები გამოიყენებიან იაპონური კომპანიების არაკვალიფიციურ სამუშაო ძალაზე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. მათი „მომზადება“ რეალურად მაღალტექნოლოგიურ გარემოში ზოგადი ადაპტაციით გამოიხატება. აქ ჩამოსული „სტაჟიორი“ ხდება სხვა საწარმოო და შრომით გარემოში. იგი საკმაოდ დაძაბულად, გულმოდგინედ მუშაობს და უკვე სხვაგვარად აფასებს თავის ინტენსიურ შრომას. დაბრუნებისას იგი ცდილობს, თვითონ გახდეს შრომის პროცესის ორგანიზატორი და მიღებული ჩვევები სხვას გადასცეს. მას ადგილობრივი წარმოებები უფრო ადვილად ქირაობენ, უპირატესობას აძლევენ. თუ შესძლებს და ახალ წარმოებას მოაბავს თავს, იგი მხოლოდ მოწინავე ტექნოლოგიებზე იქნება ორიენტირებული, ისეთზე, როგორშიც იაპონიაში ყოფნისას თავად მუშაობდა. იგი იძენს მხოლოდ მოწინავე ტექნოლოგიებს, მოწინავე მოწყობილობებს.

უცხო ქვეყანაში არა მარტო მოწინავე ტექნოლოგიური გამოცდილების გაზიარება ხდება, იქ არსებითად იცვლება ჩასულის ფასეულობათა სისტემა, განსაკუთრებით მათი, ვინც ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყნებიდან ჩადის. ხდება ინდოელის, პაკისტანელის, მაროკოელის ცხოვრების სტილის არსებითად შეცვლა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ჩასული სოფლის მცხოვრები იყო. იქიდან მობრუნებულებს უჩნდებათ სურვილი, რომ შვილებს კარგი განათლება მისცენ, რომ შვილებმა ისარგებლონ თანამედროვე ცივილიზაციის მონაპოვრით.

თუ კი მიგრაციაში ქალები მონაწილეობენ, კიდევ უფრო სწრაფად ირღვევა ძველი სოციალური ურთიერთობები, გენდერულ უთანასწორობას თანდათან საფუძველი ერღვევა. პროფესიულ შრომაში ჩაბმა მათ ოჯახურ როლს სრულიად სხვა კუთხით აყენებს, განსაკუთრებთ მაშინ, თუ ისინი ოჯახში ერთადერთი“შემომტანები“ არიან.

სამშობლოში თუ ბრუნდება მიგრანტი და თავის სოფელში აღარ ჩადის, ის მკვიდრდება ქალაქში, გადაჰყავს იქ თავისი ოჯახი, იწყებს მცირე ბიზნესს ან სხვა მეწვრილმანე საქმიანობას. ისინი ქვეყანაში მიმდინარე პროგრესულ ძვრებს უკვე კარგად ერგებიან.

ყველაფერი, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, ეხებოდა ჩამორჩენილი ქვეყნის არაკვალიფიციურ მიგრანტებს, მაგრამ არის ქვეყნები, საიდანაც გადის

უაღრესად მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალა და ყოველთვის იგი მხოლოდ დაბალკვალიფიციურ სამუშაოების შესასრულებლად როდი გამოიყენება.

## „ტვინის გადინება“

მაშინ, როცა მაღალკვალიფიციური სპეციალისტების შრომითი ემიგრაცია დაუბრუნებელ სახეს იღებს, წარმოიქმნება მოვლენა, რასაც ხატოვნად „ტვინების გადინება“ დაარქვეს. ამ შემთხვევაში ზემოთ ჩვენს მიერ მოტანილი მსჯელობა, რომელიც ეხებოდა რემიგრანტების მიერ უცხო ქვეყანაში მიღებული გამოცდილების სამშობლოში გადატანას, აზრს კარგავს.

დაუბრუნებადი მიგრაცია ამ შემთხვევაში დონორი ქვეყნისათვის ნიშნავს თავისი ინტელექტუალური პოტენციალის ნაწილის დაკარგვას.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ „ლურჯსაყელოიანების“(მრეწველობის კვალიფიციური მუშები) დანაკარგის შევსება შესაძლებელია შედარებით ადვილად და მალე: მოკლევადიანი კურსებით, არაფორმალური სწავლებით. რაც შეეხება მაღალგანათლებულ პროფესიონალებს, ისინი დონორ ქვეყანას მეტად ძვირად უჯდება და სავსებით შესაძლოა, რომ აუნაზღაურებელიცაა.

ამიტომ დონორებისათვის „ტვინების გადინება“ ძლიერ მტკივნეულია. ისინი თავიანთ ღარიბ ქვეყანას სწყდებიან და აქტიურად უქმნიან ნაციონალურ სიმდიდრეს მდიდარ ქვეყნებს. ამით კი კვლავაც ზრდიან მსოფლიოში ისედაც არსებულ უთანასწორობას.

თუ ვიმსჯელებთ აბსოლუტური ციფრებით, ყველაზე დიდი ნაწილი მაღალპროფესიული შრომითი ემიგრანტებისა აზიაზე მოდის. მათ ძირითადად, აშშ იზიდავს. აშშ–ში მომუშავე იმიგრანტი ინჟინრებისა და მეცნიერების 70% აზიელია, სამედიცინო იმიგრანტ პერსონალში ამ რეგიონის წილი 78%–ია. ძირითადი მიმწოდებელი ქვეყნები კი არიან ინდოეთი, ჩინეთი, ფილიპინები, სამხრეთ კორეა. ამ ქვეყნებში არსებობს პროფესიული განათლების კარგი სისტემა, რომელთა კურსდამთავრებულნიც აშშ და მსოფლიო ბაზრებზე საკმაოდ კონკურენტუნარიანები არიან. ამ ქვეყნებიდან ათასობით ბუნებათმეცნიერებისა და ტექნიკის დარგის მეცნიერი, კოლეჯთა ლექტორი, პროგრამისტი, ექიმი, კვალიფიციური მედდა მუშაობს აშშ–ში.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ინდოელ პროგრამისტთა წარმატება მსოფლიო შრომის ბაზარზე. ბოლო 20 წელია წლიურად 50 ათასზე მეტი პროგრამისტი გადის ინდოეთიდან, ისინი არა მარტო აშშ–ში, დიდ ბრიტანეთსა და სხვა განვითარებულ ქვეყნებშიც მუშაობენ. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ამ საუკუნის დასაწყისში 600 ათასზე მეტი ინფორმატიკის სპეციალისტის უკმარისობა დაფიქსირდა, რაც არ შეცვლილა დღემდე.

„ტვინების გადინება“ ძალიან მარტივად შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენ მიერ წინა ლექციებში ნახსენები“ადამიანური კაპიტალის“ მოდელის პოზიციიდან. ადამიანები, რომელთაც ძალღონე, ენერგია და ფინანსები მოახმარეს განათლების მიღებას, ბუნებრივია, ეძებენ საუკეთესო შესაძლებლობებს, რათა სანაცვლოდ მიიღონ მაქსიმალური უკუგება. მაგალითად, სტოკერი განიხილავს, რომ ფილიპინებში კვალიფიციურ მედდის მომზადებისას  სემესტრში 140 დოლარია გადასახდელი სახელმწიფო საავადმყოფოში, ხოლო კერძოებში 360 დოლარი(მე–20 საუკუნის ბოლოა განხილული–მ.ტ.) ამ მედდამ მანილაში რომ დაიწყოს მუშაობა –146 დოლარს მიიღებდა თვეში. ის თუ მოახერხებს აშშ–ში წასვლას, იგივე სამუშაოზე თვეში 2500 დოლარი ექნება. ესაა მიგრაციის უდიდესი სტიმულატორი. მთელ მსოფლიოში, მათ შორის, აშშ–ში დიდი მოთხოვნაა ქირურგიულ სამუშაოს მედდაზე. აშშ–ში ადგილობრივ მოსახლეობაში კი მედდის სამუშაო პრესტიჟული არაა და ყოველთვის უამრავი ვაკანსია არის.

 განვითარებად ქვეყნებში ძალიან ხშირია,შემთხვევა როცა ახლად უმაღლესდამთავრებულნი ვერ შოულობენ სამუშაოს. მაგალითად, ინდოეთში მეცნიერ–მუშაკთა შორის უმუშევარი 30%. ინდოეთის უმაღლესი სასწავლებლები წლიურად 200 ათასზე მეტ სტუდენტსა და ასპირანტს უშვებენ. აღმოსავლეთ აზიაში, ლათინურ ამერიკაში, ფრანგულენოვან აფრიკაში უნივერსიტეტების არსებობა ქვეყნის პრესტიჟია. ისინი აქ კარგ სახელმწიფო დაფინანსებას იღებენ. სპეციალისტთა ჭარბწარმოების გამოსავალი კი დასავლეთში დასაქმებაა. ასევეა იამაიკაში, სადაც ახლად გამოშვებულ ექიმთა 80% და მედდების 90% აშშ–ში მიგრირებს. მაშინ როცა იამაიკაში 5200 მცხოვრებზე მხოლოდ 1 ექიმი მოდის. მაშინ როცა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციით კი ერთი ექიმი უნდა მოდიოდეს ყოველ 910

მცხოვრებზე. ე. ი. 6–ჯერ ნაკლები ექიმია ნორმაზე და ექიმები მაინც გარბიან სხვა ქვეყანაში.

ნაკლებგანვითარებული ქვეყნები კარგავენ ბევრ „პოტენციურ სპეციალისტსაც“. მაგალითად, სტუდენტთაგან, რომლებიც აშშ–ში, კანადაში, ევროპაში, ავსტრალიაში მიდიან სასწავლებლად სწავლის დამთავრების შემდეგ ბევრი იქვე რჩება.

ბოლო ხანს დაიწყო მსჯელობა ე.წ.“ტვინების გადინების“ კი არა, ე.წ. „ტვინთა გაცვლის“ შესახებ. ხანდახან მას „ტვინების ცირკულაციასაც“ უწოდებენ. თანდათან ძლიერდება განვითარებად ქვეყნებში განვითარებულიდან კაპიტალის გატანის პროცესი. კაპიტალის გატანას თან მიჰყვება „პროფესიონალთა გატანაც“. გატანილ ფილიალებს თან მიყავს მენეჯერები, ინჟინრები, ფინანსისტები, რომელიც აუცილებელია ფილიალის წარმატებით ფუნქციონირებისთვის. ამგვარად, უკვე კვალიფიციური სპეციალისტების შემხვედრი ნაკადიც იქმნება. კაპიტალის უფრო თანაბარი რეგიონული განაწილება მსოფლიოსათვის მეტად მომგებიანია. მაგალითად, თურქეთში გადატანილია მსოფლიოში აღიარებული კომპანიების მრავალი ფილიალი საამქრო, ქარხანა. აქ წარმატებით ფუნქცონირებენ „რენოს“, „ფიატის“, „ფორდის“, „ტოიოტას“ კონვეიერები, რომელთა მუშაობაშიც ხელმძღვანელ პერსონალსა და ტექმუშაკებში ბევრი გერმანელი, ფრანგი, იტალიელი, იაპონელი სპეციალისტია.

## მიგრანტთა ფულადი გზავნილები

შრომითი ემიგრანტების უმთავრესი მიზანი თავის სამშობლოში ფულის გამოგზავნაა. შრომით ემიგრანტთა უმრავლესობა ოჯახის გარეშეა წასული საშოვარზე და მიმღები ქვეყნიდან გამომუშავებული ფულის ნაწილს უგზავნის სამშობლოში დარჩენილ ოჯახის წევრებს ან სხვა ახლობლებს.

როგორც გამოკვლევებით ირკვევა, მუშა მიგრანტებისათვის დამახასიათებელია მიმდინარე ხარჯებში დაზოგვის მაღალი ნორმა. ზოგჯერ დანაზოგი ხელფასის 50%–ს აღწევს. რაც უფრო ხანგრძლივად რჩება მიგრანტი უცხოეთში, მით უფროი ნაკლები ხდება გადმორიცხვების წილი მათ მთლიან შემოსავლებში.

შედარებით მოძველებული 1990–იანი წლების გამოკვლევების მიხედვით თვიურად ერთ მიგრანტის გზავნილი სამშობლოში 100–მდე დოლარი იყო. 2002 წლისათვის იმიგრაციამ 88 მლრდ დოლარი გადააგზავნა, 2013 წლისათვის გზავნილების მოცულობამ 550 მლრდ–ს გადააჭარბა. 2017 წლისათვის იგი 700 მლრდზემეტი იქნება.

მთელ რიგ ქვეყნებში მიგრანტთა ფულადი გზავნილებს ძლიერ დიდი წილი უკავია ერთობლივ პროდუქტში. ამ მხრივ, პოსტსაბჭოთა ქვეყნები გამოირჩევიან. მაგალითად,2013 წელს სომხეთში ფულადი გზავნილები ერთობლივი პროდუქტის 21% იყო, საქართველოში –12,1%, მოლდოვაში –24,9%, უზბეკეთში –11,7%, ტაჯიკეთში –42,1%, ყირგიზეთში –33%.

როგორც მოტანილი ციფრები გვიჩვენებს, მთელ მსოფლიოში ფულადი გზავნილების მოცულობა სწრაფად იზრდება. ზრდა შეფერხდა 2008 წელს მსოფლიო კრიზისული მოვლენების პერიოდში(თუმცა, ამ პერიოდში მოხდა გზავნილთა აღრიცხვის მეთოდიკაში ცვლილებები და ნაწილობრივ ამანაც შეცვალა მაჩვენებელი.–მ.ტ.). ბოლო ხანს რუსეთ–უკრაინის ურთიერთობის დაძაბვამ, რუსეთში და მთელ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასის დაცემამ, სხვადასხვა ეკონომიკური სანქციების შედეგად რუსეთის კრიზისულმა მოვლენებმა იმოქმედა ამ ქვეყნიდან ფულადი გზავნილების მოცულობაზე. მაგრამ როგორც ზოგადი ტენდენცია უჩვენებს, მსოფლიოში მომავალში კვლავაც სისტემატურად მოხდება რემიტანსის მატება.

ბოლო წლებში მიგრანტთა გზავნილების სწრაფი ზრდის ტენდენცია განპირობებულია როგორც მიგრანტთა რიცხოვნობის ზრდით, ისე გადაგზავნის ოპერაციის სრულყოფით. საერთაშორისო ფულადი გზავნილები განვითარებადი ქვეყნების გარედან დაფინანსების უმნიშვნელოვანესი წყარო ხდება. მისი მოცულობა უმრავლეს ქვეყანაში განვითარებისთვის საერთაშორისო დახმარების მოცულობას გასცდა. ბევრი ქვეყნისთვის მიგრანტთა გზავნილები უცხოური ვალუტის მიღების ძირითადი წყარო გახდა. ისინი ბევრად აღემატებიან პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და დიდ როლს თამაშობენ როგორც სიღარიბის შემცირებაში, ისე ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში.

მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საერთაშორისო მიგრანტების გზავნილებად აღირიცხება „პირადი გადარიცხვები“, რაც საგადამხდელო ბალანსის სამი მაჩვენებლის ჯამია.

ესენია „პირადი ტრანსფერტები“, „წმინდა შრომის ანაზღაურება“, და შინამურნეობებს შორის კაპიტალური ტრანსფერტები“.

ამრიგად ტრანსფერტების უმეტესი ნაწილი გზავნილებისა მიემართება განვითარებადი ქვეყნებისკენ. 1990–იან წლებისთვის იგი 45% იყო, 2000 წლისთვის –65%. 2013 წელს –75% აღწევს. ეს ტენდენცია მომავალშიც შენარჩუნდება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა(ლატვია, ლიტვა, რუსეთი, ჩილე, ურუგვაი)განვითარებად ქვეყნებს გამოაკლდნენ; ვარაუდობენ, რომ 2016 წლისათვის განვითარებად ქვეყნებში გადაიგზავნება 540 მლრდ აშშ დოლარი.

როგორც მეცნიერები ანგარიშობენ, ოფიციალური გზავნილების გარდა არის სხვადასხვა რესურსებიც, რომლითაც რემიტანსი ხორციელდება. ამიტომ მთლიანი გზავნილი არანაკლებ 1,5–ჯერ მეტია ოფიციალურზე. თუ მთლიანობაში ვიანგარიშებთ, ამჟამად განვითარებად ქვეყნებში გადაგზავნილი თანხა სამჯერ აღემატება საერთაშორისო დახმარების სახსრებს. 14 განვითარებად ქვეყანაში ფულადი გზავნილების მიღება აღემატება სავალუტო რეზერვების მოცულობას, ხოლო 26 ქვეყანაში სავალუტო რეზერვების ნახევარზე მეტია.

თუ განვიხილავთ საერთო მოცულობის მიხედვით 2013 წლისათვის პირველ ადგილზეა ინდოეთი –71 მლრდ დოლარი, მეორეზე ჩინეთი –60 მლრდ, შემდეგ მოდიან ფილიპინები –26 მლრდ, მექსიკა –26 მლრდ, ნიგერია –21 მლრდ, ეგვიპტე –21მლრდ.

მსხვილი მიმღებებს შორის განვითარებული ქვეყნებიც არიან. მაგალითად, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, ესპანეთი, სამხრეთ კორეა. ისინი სხვა განვითარებული ქვეყნებიდან იღებენ გზავნილებს. ამ ქვეყნების ერთობლივ პროდუქტში მისი წილი უმნიშვნელოა და 0,4 % – 0,8%–ია. მხოლოდ ბელგიაშია იგი –2,1%.

რომელია ყველაზე მსხვილი გამგზავნი ქვეყნები?

აშკარად გამოირჩევა აშშ, საიდანაც 2012 წელს 52 მლრდ დოლარი გაიგზავნა იმიგრანტების მიერ. შემდეგ მოდის რუსეთი –31,6მლრდ; საუდის არაბეთი –29,5მლრდ, შვეიცარია –28,5 მლრდ, კუვეიტი –16 მლრდ, გერმანია –15მლრდ, 10–12 მლრდ გადაიგზავნება ყოველწლიურად(2012) საფრანგეთიდან, ლუქსემბურგიდან, კატარიდან, იტალიიდან, ნიდერლანდებიდან, ესპანეთიდან და სამხრეთ კორეადან.

ფულადი გზავნილების **<u>მიკროეკონომიკური ეფექტ</u>**ი შემდეგნაირად გამოიხატება. ისინი ზრდიან მოხმარების დონეს, დაზოგვასა და ინტერვენციის დონეს და ამცირებენ ოჯახისა და ახლობლების შინამეურნეობათა სიღარიბეს. როცა შინამეურნეობები იღებენ საზღვარგარეთიდან ფულად დახმარებას, მაშინ მეტს დებენ თავიანთი ბავშვის განათლებასა და ჯანდაცვაში. ეს კი ქვეყანაში ადამიანური კაპიტალის დაგროვებას იწვევს, რასაც თან სდევს ხანგრძლივი ეფექტი.

რაც შეეხება **<u>მაკროეკონომიკურ ეფექტს</u>**, იგი ზრდის უცხოური ვალუტის მოცულობას ღარიბ ქვეყნებში. გზავნილები ზრდიან ერთობლივი პროდუქტის მოცულობას. განსაკუთრებით დიდ როლი აქვთ პატარა ღარიბი ქვეყნებისათვის, სადაც გზავნილები აღემატებიან უცხოურ ინვესტიციებს და სხვა დახმარებებს. ისინი ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას უზრუნველყოფენ. ისინი უფრო მყარნი არიან, ვიდრე სხვა სახის ფინანსური ნაკადები. შედარებით ნაკლებად არიან დამოკიდებულნი საერთაშორისო კონიუნქტურაზე (თუმცა ბოლო ხანს საქართველოში გზავნილებს მცირეოდენი შემცირების ერთ–ერთი მიზეზი გარეეკონომიკური პოლიტიკური გარემო არის). საერთოდ, კი მნიშვნელოვან მაკროეკონომიკური ხასიათის შედეგია სიღარიბის დონის შემცირება და ქვეყნის კრედიტუნარიანობის გაზრდა.

ხანდახან გამოითქმის ეჭვი, რომ ფულადმა გზავნილებმა შეიძლება შეაფერხოს ეკონომიკური ზრდა, რადგან გზავნილები ზემოქმედებენ მის მიმღებ ოჯახების ეკონომიკურ აქტიურობაზე. ზოგი ექსპერტი იმასაც მიუთითებს, რომ გზავნილები, თითქოს, ზრდიან ეკონომიკურ უთანასწორობას.

ბევრი ექსპერტი იმასაც ფიქრობს, რომ როცა დიდია ფინანსური ნაკადები, ადგილობრივი ვალუტა უფრო მყარი ხდება, რაც ქვეყნის საექსპორტო პოტენციალს ამცირებს, იმიტომ რომ იგი გზავნილებზეა დამოკიდებული. ეს დასაქმებაზე მოქმედებს და ზრდის ინფლაციას. მაგალითად, ტაჯიკეთში ადგილობრივი საქონელი ვერ უწევს კონკურენციას არაბული ქვეყნებისა და ჩინეთის იაფ საქონელს. მოსახლეობა მთლიანად რუსეთში მუშაობაზეა ორიენტირებული. მას აქვს არჩეული ე.წ.“განვითარების ემიგრაციული მოდელი“. იგი ორენტირებულია სამუშაო ძალის ექსპორტზე.

გარდა ფულადი გზავნილებისა, რაც ოფიციალური და არაოფიციალური გზებითაც ხდება, მიგრანტებს თვითონაც ჩამოაქვთ ფულიცა და საქონელიც. ბოლო ხანს წარმოების საშუალებებიც კი ჩამოაქვთ სამშობლოში.

რაში იხარჯება გზავნილი ან ჩამოტანილი ფული? ამაზე მრავალი გამოკვლევაა ჩატარებული, მათ შორის, საქართველოში(საქართველოს შესახებ მასალას საქართველოში შრომითი მიგრაციის შესახებ ლექციაში სპეციალურად განვიხილავთ) აქ კი შევეხებით ყველაზე დიდი ნაკადების მქონე ქვეყნებში გზავნილების მასალას (თურქეთი, ტაილანდი, პაკისტანი, მექსიკა, ინდოეთი, ბანგლადეში, ფილიპინები და ა. შ).

ერთ–ერთ <u>პირველ</u> პრიორიტეტად გამოვლინდა <u>ბინის შეძენა.</u> ამაზე მიდის მიგრანტთა დაგროვილი თანხის დაახლოებით30%.

<u>მეორე</u> პრიორიტეტად დასახელდა <u>კვება.</u> ან უფრო სწორად ე.წ. მიმდინარე მოხმარება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიგრანტთა ოჯახებს აღმოაჩნდათ მეტი უნარი ეკონომიკური ცხოვრებისა და დაზოგვისა. მაგალითად ბანგლადეშში გზავნილთა 60% იზოგება და გროვდება. თურქეთში დაგროვების პროცენტი( 72%) კიდევ უფრო მეტია.

<u>მესამე</u> პრიორიტეტად <u>მიწის შეძენაა</u> მიჩნეული. მიწაზე ინვესტიცია მიჩნეულია, როგორც საიმედო კაპიტალდაბანდება.

მეოთხე პრიორიტეტი <u>– საკუთარ ბიზნესში ინვესტირებაა.</u> განსაკუთრებით, აღმოსავლეთის ქვეყნებში მარკეტის, აფთიაქის, სარემონტო სახელოსნოს, ტურისტული ფირმის, რესტორნის, კაფეს, და ა. შ. მოწყობა და ამოქმედება. ამით ოჯახის რჩენისთვის საჭირო თანხის გამომუშავება.

ბოლოს გამოკვეთილია ამ გამოკვლევის მიხედვით, <u>შვილების განათლება. მიგრანტებში განათლება ფასეულობათა იერარქიაში წინა პლანზე დგება.</u>

# გლობალიზაცია და საერთაშორისო შრომითი მიგრაცია

თანამედროვე მსოფლიოში ბევრი საზოგადოებრივი პროცესი, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალურ–კულტურული დემოგრაფიული პროცესები, იღებს გლობალურ ხასიათს. ისინი დედამიწის ერთიანი სისტემური ორგანიზმის ნაწილი ხდებიან. თანდათან უფრო ნათელი ხდება, რომ მოსახლეობის საერთაშორისო მიგრაცია თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის განუყოფელ ნაწილად იქცევა. მიგრანტები მეტად საჭირონი არიან ყველა განვითარებული ქვეყნისთვის. ხშირად ისინი თავის თავზე იღებენ ამ ქვეყნების ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორების განვითარებას. ამავე დროს, თავიანთ ქვეყნებში ამცირებენ სიღარიბეს და ხელს უწყობენ სოციალურ სტაბილურობას. გლობალიზაცია, განვითარებულ ქვეყნებში დემოგრაფიული დაბერება, მსოფლიო შრომის ბაზრის განვითარება, მიგრანტთა შრომაზე მყარი მოთხოვნის ფორმირება, მიგრანტთა მრავალმილიარდიანი ფულადი გზავნილების ნაკადები –ყოველივე ამან საერთაშორისო შრომით მიგრაციას სრულიად ახალი ჟღერადობა მისცა.

**თანამედროვე სატრანსპორტო და სხვა საკომუნიკაციო სისტემების განვითარებამ** რადიკალურად შეცვალა მსოფლიო მიგრაციული ნაკადები დროებითი მიგრანტების სასარგებლოდ. იმ პირობებში, როცა ქვეყნებს შორის მანძილი თანდათან „მცირდება“, საზღვარგარეთ დროებითი მუშაობა მრავალი ადამიანისთვის არჩევანის უპირტესობა გახდა საცხოვრებელი ადგილის სამუდამო შეცვლასთან შედარებით, რაც თავის მხრივ, დიდ მატერილურ და ფსიქოლოგიურ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული.

მეორე მხრივ, **მსოფლიო შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნა დროებით სამუშაო ძალაზე** გამოირჩევა მიგრირებული მოსახლეობის დიდი მოქნილობით. ეს კიდევ უფრო მეტ საფუძველს ქმნის, რომ გაიზარდოს შრომითი ემიგრაციის მასშტაბები. ბევრი ქვეყნის ხელისუფლება ხელს უწყობს შრომით ემიგრაციას, ბევრიც – იმიგრაციას. ისეთი ტრადიციული იმიგრაციული ქვეყნებიც კი, როგორიცაა აშშ, კანადა, ავსტრალია, რომელთა მოსახლეობის საკმაო ნაწილი იმიგრანტებისგან ან მათი შთამომავლებისგან შედგება, ამ ბოლო ხანს

ცვლიან თავიანთ მიგრაციულ პოლიტიკის ფოკუსს დროებითი იმიგრანტების სასარგებლოდ. განსაკუთრებით, ეს ეხება მაღალკვალიფიციურ დროებით იმიგრანტებს. მაგალითად, აშშ ყოველწლიურად 200 ათას დროებით შრომით მიგრანტს იღებს, რომლებიც ჩადიან ე.წ. „არაიმიგრაციული ვიზით“, კანადა –100 ათასს, ავსტრალია –80 ათასს. სისტემატურად იზრდება იმათი რიცხოვნობა, ვინც თავის ქვეყანაში არ ცხოვრობს (2008 წელს ის 214 მლნ უდრიდა, მაშინ, როცა 1960 წელს მხოლოდ 75 მილიონი იყო). ხოლო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, საერთაშორისო შრომის ბაზრებზე დასაქმებული სამუშაო ძალა 100 მლნ–ზე მეტია და მსოფლიო სამუშაო ძალის 3%–ს აღემატება. დასავლეთ ევროპაში სხვა ქვეყანაში დაბადებული სამუშაო ძალა მთლიანი სამუშაო ძალის 10%–ს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ციფრები, რომელიც ოფიციალური წყაროებიდანაა მიღებული, ბევრად ნაკლებია  რეალურზე. მაგალითად, უცხოელი სტუდენტები ან სტაჟიორები არ აღირიცხებიან  შრომითი მიგრანტების კატეგორიაში. ასევე სტატისტიკაში ვერ ხვდება საზღვრისპირა სამუშაო ძალაც, რომელიც ყოველდღიურად კვეთს საზღვარს და მუშაობს სხვა ქვეყანაში. მაგალითად ისინი, ვინც ბათუმ–ტრაპიზონის სატრანსპორტო მისაწვდომობის არეალში ყოველდღიურად გადადიან საზღვარზე დასაქმების მიზნით. არც ის „საერთაშორისო ტურისტები“ აღირიცხებიან ოფიციალურ შრომით მიგრანტებში, ვინც რამდენიმე თვით არაოფიციალურად საქმდებიან სხვა ქვეყანაში. მიგრაციის სტატისტიკა არარეგისტირებულ მიგრანტებსაც ვერ მოიცავს. ყველაფერ ამას თუ გავითვალისწინებთ, შრომითი მიგრაციის მასშტაბი გაცილებით მეტი აღმოჩნდება, ვიდრე ის, რაც ქვეყნდება. ამიტომ როგორც მიგრაციის ცნობილი სტატისტიკოსი ბილსბოროუ შენიშნავს “ყოველი საერთაშორისო მიგრანტი – ეს პოტენციური მომუშავეა“.

ამგვარად, მსოფლიო შრომის ბაზარში ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობა, რომელიც საერთაშორისო შრომითი მიგრაციის მეშვეობით ხდება, უკვე ნორმა გახდა მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნებისათვის. ამასთან ერთად, თუ მე–20 საუკუნის ბოლოს მკვეთრად ჩანდა ე.წ. სპეციალისტთა მიმღები და გამგზავნი ქვეყნები, ამჟამად ეს საზღვრები თანდათან ნაკლებად მკვეთრი ხდება. მრავალ ქვეყანათა

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სულ უფრო მეტი ქვეყანა ხდება როგორც შრომით მიგრანტთა მიმღები, ისე გამგზავნი. შრომის მსოფლიო ბაზარზე სწორად ასეთი ქვეყნების ვითარება ითვლება ამ მხრივ ყველაზე ეფექტურიად. მაგალითად, 1970 წელს ქვეყნების რიცხვი, რომელნიც ერთდროულად გამგზავნები და იმპორტიორები არიან იყო 4, 1990 წელს – 15, 2008 წელს –25. ეს რიცხვი სწრაფად იზრდება.

მსოფლიო შრომის ბაზარი გლობალიზაციის საყოველთაო პროცესის გავლენით <u>მიგრანტთა ნაკადების ტრანსფორმირებას ახდენს,</u> ცვლის შრომით მიგრანტთა სტრუქტურას, რაშიც ცალკე შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტენდენციები:

1. **დროებითი შრომითი მიგრაციის დაჩქარებული ზრდა.** 2000–იან წლებში მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში დროებითი მიგრანტების ყოველწლიური ზრდა 7–8%–ს შეადგენდა. მსოფლიო შრომის ბაზრის გლობალიზაცია მოითხოვს მიგრაციული ქცევის დიდ მოქნილობას, რაც, სახელდობრ, დროებითი შრომითი მიგრაციის მეოხებით არის გარანტირებული.

   დროებით საწყისებზე უცხო სამუშაო ძალის მიზიდვა ყველაზე მეტად შეესაბამება იმ განვითარებული ქვეყნების მიგრაციულ პოლიტიკას, რომლებიც წარმოადგენენ ე.წ. "გლობალიზაციურ ელიტას" და, ძირითადად, განსაზღვრავენ კიდეც იმ პირობებს, რის მიხედვითაც დანარჩენი ქვეყნები მონაწილეობენ გლობალიზაციის პროცესებში.

2. შრომის მსოფლიო ბაზარზე კონცენტრაცია ხდება ორი კვალიფიციური პოლუსით: ა) **ყველაზე დაბალი კვალიფიკაციის სამუშაო ძალის მოთხოვნა**_და ბ) **ყველაზე მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის მოთხოვნა.**

   ერთი მხრივ, მოთხოვნა არის ყველაზე არაპრესტიჟული სამუშაო ადგილებიდან, რომელიც არ მოითხოვს მნიშვნელოვან კვალიფიკაციას და დაბალხელფასიანია. მაგალითად, მოთხოვნა მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, მომსახურებაში, მათ შორის, შინამომსახურებაში. როგორც ადრეც აღვნიშნეთ, ადგილობრივი, მკვიდრი მოსახლეობა თავს არიდებს ამ სამუშაოებს და აქ უკვე მყარად იკიდებენ ფეხს იმიგრანტები.

ამავე დროს  განვითარებადი ქვეყნების სამუშაო ძალა თანდათან სულ უფრო და უფრო მეტად აკმაყოფილებს განვითარებული ქვეყნის შრომის ბაზარს მეტად მაღალკვალიფიციური, თანამედროვე პროგრესული პროფესიების მქონე სამუშაო ძალით. ესენია: მეცნიერები, მენეჯერები, ინჟინრები, ინფორმატიკოსები და ა.შ. სწორედ ასეთ სამუშაო ძალაზეა ორიენტირებული განვითარებული ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკაც. სახელდობრ, ეს სექტორია მსოფლიო შრომის ბაზარზე კონკურენციის ადგილი დმქირავებელ ქვეყნებს შორის.

3. მესამე ესაა **შრომით მიგრანტთა გენდერული სტრუქტურის შეცვლა.** ამჟამად, ქალები „დამოუკიდებელ“  შრომით მიგრანტთა 50%–ია. ეს მსოფლიო ეკონომიკაში სტრუქტურული ცვლილებითაცაა განპირობებული. განვითარდა ისეთი სექტორები როგორიცაა „საოჯახო მომსახურების ეკონომიკა“, „გართობის ეკონომიკა“ (რესტორნის მოცეკვავე, შოუში მონაწილე, ბარებისა და კაზინოების მუშაკები). „მზრუნველის ეკონომიკა“ (ძიძა, მოხუცის მომვლელი). ყოველივე ამან წარმოშვა დიდი მოთხოვნა, სახელდობრ, ქალ სამუშაო ძალაზე. ისიცაა აღსანიშნავი, რომ ქალთა დასაქმების ადგილი გახდა სექსუალური ბიზნესი: პროსტიტუცია, სტრიპტიზ–შოუ, მასაჟი და ა.შ. ესაა ქალთა დასაქმების მარგინალური სფეროები, რომელსაც შრომის ბაზარი იმიგრანტ ქალებს სამუშაო ადგილებად სთავაზობს. ამგვარად, მიგრაციული ნაკადების ფემინიზაცია დამახასიათებელი ნიშანი გახდა  საერთაშორისო შრომითი მიგრაციის განვითარების თანამედროვე ეტაპისა. იმავდროულად იგი გამოხატავს მსოფლიო ბაზარზე მიგრანტთა საკმაოდ დიდი ჯგუფების მარგინალიზაციის პროცესს და დღის წესრიგში აყენებს შრომით მიგრანტთა უფლებების დაცვის საკითხს და მნიშვნელოვან ამოცანებს უსახავს ნაციონალურ და საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებიც მიგრაციის სფეროში ფუნქციონირებენ.

ბოლო ხანს დონორ ქვეყანათა ინტერესი გაძლიერდა იმ შესაძლებლობების მიმართ, რასაც მათ საერთაშორისო მიგრაცია აძლევთ. შრომითი ემიგრაცია არამარტო ამცირებს ამ ქვეყნებში უმუშევრობის დონეს და არბილებს ჭარბმოსახლეობით შექმნილ პრობლემებს, არამედ ქმნის შედარებით სოციალურ სტაბილურობას და იძლევა დამატებით

რესურსებს გამგზავნი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. შრომითი რესურსების ექსპორტის სანაცვლოდ ეს ქვეყნები იღებენ ფულად გზავნილებს, რომლის მასშტაბები ბოლო ხანს მთელ მსოფლიოში თანდათან იზრდება და, წლიურად 15–20%–ს აღწევს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბოლო ხანს ფულადმა გზავნილებმა 550 მლრდ დოლარს მიაღწია. ისიც აღვნიშნეთ, რომ მას გამგზავნი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონისათვის ხშირად არსებითი მნიშვნელობაც აქვს. ბოლო ხანს ჩვენ მოწმენი გავხდით, თუ რა დიდი შეშფოთება გამოიწვია სხვადასხვა გარე ფაქტორების, და მიგრანტთა მიმღებ ქვეყნებში პოლიტიკურ–ეკონომიკური ვითარების გაუარესების გამო საქართველოში ფულადი გზავნილების შემცირების ფაქტმა.

ამრიგად, ამ საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო შრომითი მიგრაცია აღიქმება არა მხოლოდ მსოფლიო შრომის ბაზრის რეალიზაციის ინსტრუმენტად, არამედ იგი გადაიქცა გლობალური ეკონომიკის სტრუქტურულ ელემენტად, სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებების ახალ ფორმად, ქვეყნების მიგრაციული ურთიერთობის ფორმად.

როგორც გამგზავნი, ისე მიმღები ქვეყნებისთვის საერთაშორისო შრომითი მიგრაცია აუცილებლობა გახდა. მან მიიღო უალტერნატივო ფორმა. მთელი მსოფლიო დაირაზმა, რომ მიგრაციულმა ნაკადებმა მიიღოს მოწესრიგებული სახე, რათა სრულად იქნეს გამოყენებული მიგრაციული მოძრაობის პოტენციალი.

# არალეგალური შრომითი მიგრაცია

ამჟამინდელი საერთაშორისო შრომითი მიგრაციის ერთ–ერთი დამახასიათებელი მხარეა არალეგალური მიგრაციის მასშტაბების ზრდა. იგი ობიექტური გარემოებებითაა გამოწვეული და მრავლაი თავისებურებებიც ახასიათებს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემთა მიხედვით, შრომითი მიგრაციის არანაკლებ მესამედი ვერ კონტროლდება.

არალეგალურ შრომით მიგრაციას მრავალგვარი განმარტება აქვს, მას სხვადასხვა ასპექტში განიხილავენ. არალეგალური მიგრაციის ანალიზის დროს ჩნდება ტერმინოლოგიური პრობლემები, აგრეთვე, მიგრაციული პროცესების არაადექვატური შეფასებანიც.

დასავლეთელთა გამოკვლევებში არალეგალური მიგრაციის თაობაზე გვხვდება სინონიმები . .. .

შსო–ს მე–6 მოხსენებაში „გლობალური ეკონომიკაში მომუშავე მიგრანტებისადმი სამართლიანი მიდგომა“(2004), აღნიშნულია შემდეგი:“ხელისუფლებები იმ ადამიანებს, რომლებიც მიდიან ქვეყნიდან, ან მუშაობენ ქვეყანაში ხელისუფლების შესაბამისი ნებართვის გარეშე, მოიხსენიებენ სხვადასხვაგვარად:“უკანონო“, „იატაკქვეშა“, “არალეგალური“ მიგრანტებად ან კიდევ “დაურეგულირებელი” სტატუსის მიგრანტებად. იყო დრო, როცა „არალეგალური მიგრანტები“ წარმოადგენდნენ ცალკე მონარჩენ კატეგორიას: თუმცაღა სიტყვა „არალეგალურს“აქვს ნორმატიული კონტექსტი და გულისხმობს მათ დამნაშავეობით ხასიათს. ამიტომ მოსახლეობის საერთაშორისო კონფერენციაზე შეთანხმდნენ, რომ მათ აღსანიშნავად გამოიყენონ ტერმინი“დოკუმენტების უქონელი პირები“. თუმცაღა აქაც არ აისახება სრულად მოვლენის შინაარსი. იგი არ მოიცავს იმ მიგრანტებს, რომლებიც მიღებულნი არიან ქვეყნის მიერ კანონიერ საფუძველზე ტურისტული დოკუმენტებით და შემდგომ არღვევენ ქვეყანაში შესვლის პირობას და ეყწობიან სამუშაოზე. იმ მიგრანტებს ვინც საზღვრის კვეთის სპეციალური გამყოლის დახმარებით, შეიძლება ჰქონდეთ ყალბი დოკუმენტები, რაზეც 1999 წლის ბანგკოკის სიმპოზიუმზე რეკომენდაციად მიიღეს, რომ ასეთებისთვის

გამოეყენებინათ“დაურეგულირების სტატუსი“. მდგომარეობა მიგრაციის სფეროში ურეგულირებელი შეიძლება რამდენიმე ისეთი მომენტით იყოს გამოწვეული, როგორიცაა ტრანზიტით, არაქვეითად, ტრანსპორტით შესვლა–გამოსვლა(შეპარება–გამოპარვა), რასაკვირველია კანონიერების დარღვევით.

ტერმინი“არალეგალი“ იხმარება ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომლებიც საერთაშორისო შრომითი მიგრაციით არიან დაკავებულნი. მაგალითად ამ ტერმინს ხმარობს ევროსაბჭო, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია, ევროპის უშიშროების საბჭო(OBSE), ლტოლვილთა უმაღლესი კომისრის სამმართველო, ევროკავშირიც ხმარობს ტერმინს „არალეგალი“

ხშირად მსჯელობენ ცნებების „არარეგულირებად მიგრაცია“, „კონტრაბანდა“(  )და „ადამიანებით ვაჭრობა“. გამოიყენებოდა, როგორც იდენტური ცნებები. შემდგომ კი ამ ტერმინების გამიჯვნა დაიწყეს. 2000 წლამდე პერიოდში ადამიანებით ვაჭრობა ძირითადად ქალებსა და ბავშვებს გულისხმობდა. შემდგომ პერიოდში კი „ადამიანებით ვაჭრობა ნიშნავს „ექსპუატაციის მიზნით ადამიანების ვერბოვკას? გადაყვანას, გადაცემას, დამწყვდევის ძალით, დაშინებით, მოტაცებით, მოტყუებით, მაქინაციებით, სამსახურის ბოროტად გამოყენებით, მოსყიდვით და ა. შ. ექსპლუატაცია მოიცავს მინიმუმ სხვა პირის იძულებით პროსტიტუციაში ჩაბმას, იძულებით შრომას, მონობის, ან მონურთან მიახლოებული ჩვევებთან პირის არათავისუფალ მდგომარეობაში ყოფნის გზით; ტრეფიკინგში შეჰყავთ ადამიანთა ორგანოთა ვაჭრობის მიზნით ჩადენილი ქმედებაც. ამ ყველაფერში, რასაკვირველია, დიდი ფინანსური სარგებელი აქვთ ტრეფიკინგის განმახორციელებელ ჯგუფებს.

მიგრანტთა კონტრაბანდის დროს „მიგრანტები“ დიდ თანხას უხდიან სამუშაო ძალის კონტრაბანდისტებს, რათა მათ რაღაც გზებით გადალახონ სახელმწიფო საზღვარი. კონტრაბანდა ხშირად ადამიანებით ვაჭრობასთანაა დაკავშირებული.

როგორც ცნობილია არალეგალური მიგრაციის ზრდას იწვევს ლეგალური მიგრაციის შეზღუდვის ღონისძიებანი. შეზღუდვებს მთელი რიგი ქვეყნები აწესებენ მრავალი მოსაზრებით. ამჟამადაც მთელი დასავლეთი ევროპა ცდილობს, მოაწესრიგოს იმიგრაციული ნაკადები. მეორე მხრივ, როგორც ცნობილი პოლონელ მკვლევარს მარეკ ოკოლსკის

მიაჩნია, ევროპის ქვეყნების მთავრობების „ღონისძიებანი“ არალეგალური მიგრაციის შეზღუდვის იმიტაცია. მიმღებ ქვეყნებს აწყობთ არალეგალური დასაქმება, რადგან ამით თავიანთი ქვეყნების ეკონომიკისათვის უფრო მეტადაა სასარგებლო არალეგალური იაფი სამუშაო ძალა.

აშშ–ში იმიგრაციის შეზღუდვის კანონების ფუნქციონირება 1920 წლიდან იწყება. უკვე 1934 წლიდან მკაცრად კონტროლდება კანადიდან და მექსიკიდან არალეგალთა შემოსვლა. თუმცაღა აშშ–ში მასობრივი არალეგალური იმიგრაცია იწყება მე–20 საუკუნის 60–იანი წლებიდან. იმ დროიდან, როცა პროფკავშირების გავლენით გაუქმდა აშშ და მექსიკას შორის ორმხრივი შეთანხმება სამუშაო ძლაის შეყვანაზე.

გაუქმებამდე მექსიკელები ინტენსიურად იყვნენ დასაქმებულნი აშშ სოფლის მეურნეობაში. ეს მათთვისაც და დამქირავებლისთვისაც მეტად ხელსაყრელი იყო. ცნობილია, რომ მექსიკაში ამ პერიოდისთვის უმუშევრობამ 20–40%–ს მიაღწია. იმჟამად, როცა 1965 წელს შეთანხმება აღარ გაგრძელდა, მექსიკელები იძულებულნი გახდნენ, რაღაც გზებით კვლავაც შესულიყვნენ აშშ–ში სამუშაოდ. აშშ იმიგრაციისა და ნატურალიზაციის სამსახურის მონაცემებით, თუ 1960 წელს არალეგალური მიგრაცია მექსილელთაგან აშშ–ში არ აღემატებოდა 25 ათას კაცს, 1975 წლისთვის მან 680 ათასს მიაღწია.

ზოგიერთი მონაცემებით, 1925–1995წწ აშშ–ში დაკავებული იყო 30 მლნ მიგრანტი, ვინც იმიგრაციული კანონმდებლობა დაარღვია. ამჟამადაც, აშშ–ში დაახლოებით 5 მლნ არალეგალს ითვლიან. ეს მაშინ, როცა უმკაცრესი სასაზღვრო კონტროლია, დამქირავებლისათვის არის სერიოზული ზომები არალეგალთა დაქირავებისათვის.

დასავლეთ ევროპის გამოკვლევებიც ადასტურებს, რომ შეზღუდვები იმიგრანტთა დაქირავებაში, ზრდის არალეგალთა რიცხოვნობას. 1973 წლის კრიზისის შემდეგ ყველა ქვეყანამ, ვისაც იქამდე „ღია კარის პოლიტიკა“ ჰქონდა, დაკეტა კარი და ამის შემდეგ მაინც გაგრძელდა იმიგრაციის ინტენსიური პროცესი. როგორც ჩანს, შიშველი აკრძალვები მიგრაციის ნაკადებს ვერ ამცირებს. ლეგალური გადადის არალეგალურში. გამკაცრების შემდეგ მიგრანტების ნაწილმა სხვა არხებს მიაშურა, როგორიცაა „თავშესაფრის ძებნა“, „ეკონომიკური ლტოლვილები“, „ტურისტული ვიზები“, „საზღვარზე არალეგალურად

გადასვლა“ და 1990–იან წლებში აზიის, აფრიკის, და აღმოსავლეთ ევროპის სამუშაო ძალა მაინც ავსებდა ევროკავშირის ქვეყნებს შრომის ბაზრის არაფორმალურ სექტორში. ასეულ ათასობით არალეგალია, მაგალითად, პორტუგალიისა და საბერძნეთის ტერიტორიაზე. 1,5 მლნ მეტ არალეგალს ითვლიან იტალიისა და ესპანეთის ტერიტორიზე, 4 მლნ საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიაზე. ჩვენი აზრით, ეს ციფრებიც არასრული უნდა იყოს.

როგორც ხედავთ ესაა ვარაუდები. საქმე ისაა, რომ არალეგალ მიგრანტთა აღრიცხვა, ცხადია, არ არსებობს, ხოლო მათი რიცხოვნობისა და სტრუქტურის შესწავლის მეთოდები არცთუ ისე დახვეწილია. აქ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ე.წ. შეფასებები. იგი უნდა დაეყრდნოს“ –ადმინისტრაციული შეფასებების ირიბ მეთოდს;

- ექსპერტულ შეფასებებს;
- შერჩევით გამოკვლევებს.

ირიბი ადმინისტრაციულილ შეფასებები ეყრდნობა იმ მონაცემებს, რომელიც ეხება ინფორმაციას იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ასახავს არასასურველ ან უკანონო მიგრაციას. ესაა მონაცემები სავიზო სტატისტიკის, სასაზღვრო სტატისტიკის, პოლიციის სტატისტიკის და ა. შ. თაობაზე. იგი გამოიყენება არალეგალების რიცხოვნობის დასადგენად.. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ:

- საკონსულო სავიზო სამსახურების მონაცემები ვიზების გაცემასა და უარის თაობაზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვიზაზე უარის ყველაზე ხშირი მიზეზია წასვლის მნამდვილი მიზეზის შეუსაბამობა ვიზის მთხოვნელის მიერ მითითებულ მიზანთან. ეს პირები უკვე პოტენციური არალეგალურად გამსვლელნი არიან და შეეცდებიან უცხო ქვეყანაში სხვადასხვა არასწორი გზებით შეღწევას.
- სასაზღვრო სამსახურების მონაცემები იმ პირთა თაობაზე, ვინც დააკავეს საზღვარზე არასწორად გაფორმებული დოკუმენტების, ან ყალბი დოკუმენტების გამო, ან კიდევ ის დაკავებულნი, რომლებიც არადანიშნულების ადგილზე ცდილობენ საზღვრის გადაკვეთას. ხანდახან ასეთ პირთა რიცხვი უკანონო გადამკვეთთა მთელ რიცხვში 20–30% აღწევს;

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები <u>დეპორტირებულთა</u> შესახებ, ანუ ესენი არიან იძულებით გამოძევებულები; ისინი დაახლოებით ქვეყანაში არსებული უკანონო მიგრანტების 1%–ს შეადგენენ.
- უცხოური დიასპორის რიცხოვნობის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიგრანტთა მიზიდვის ფაქტორს წარმოადგენენ, რომლებიც ზრუნავენ ახალჩასულთა მოწყობასა და არალეგალურ დასაქმებაზე.

<u>ექსპერტული შეფასებანი ემყარება</u> ანკეტირებას (ინტერვიუერებას) იმ პირებისა, ვინც თავიანთი საქმიანობის სახით დაკავშირებულნი არიან საერთაშორისო მიგრაციასთან ან იმიგრანტი სამუშაო ძალის გამოყენებასთან. ხდება გამოკითხვის განზოგადება. ექსპერტთა შერჩევისას უნდა გამოვიყენოთ რეპრეზენტატულობის პრინციპი. იქ უნდა იმ პირების შერჩევა მოხდეს, ვინც წარმოადგენენ იმ ორგანოების მუშაკებს, ვინც საერთაშორისო სამუშაო ძალის იმპორტის დაწესებულებებში მონაწილეობენ. ყველაზე ხშირად საექსპერო შეფასებები იქიდან ამოდიან, რომ არალეგალურ მიგრაციაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ეკონომიკური ფაქტორი. ჩრდილოვანი შრომის ბაზრის პარამეტრები მჭიდროდაა დაკაცშირებული არალეგალურ მიგრანტთა დასაქმების მასშტაბებთან.

<u>შერჩევითი გამოკვლევები.</u> ისინი მოიცავენ როგორც მიგრანტებს, ისე მათ არალეგალურ ნაწილსაც. განსაკუტრებით იგი ხდება მოსახლეობის ან შინამურნეობათა აღწერების დროს. სხვა გამოკვლევებისასაც რესპონდენტი მეტნაკლებად ცდილობს, მთლად სწორი ინფორმაცია არ მისცეს ინტერვიუერს. ეს შეიძლება დაიძლიოს ანონიმურობის მკაცრი დაცვის პირობებში, რაც ანკეტის მაღალი ხარისხია დროსაა შესაძლებელი, როცა კარგადაა ჩართული ირიბი საკონტროლო კითხვები.

არალეგალური მიგრაციის ანკეტირება როგორც წესი, მათი დაკავების დროს ხდება, როცა ისინი საზღვარზე უკანონო გადაპარვას აპირებენ ან შეამჩნიეს ისინი ქვეყანაში უკანონოდ ყოფნაში, ან არალეგალური შრომითი საქმონობის დროს.

მთელ რიგ ქვეყნებში არის არალეგალურად დასაქმებული მიგრანტების ანკეტირების პრაქტიკა, როცა მის პასუხისმგებლობას არ მიმართავენ. ასეთი გამოკითხვები მოითხოვენ გულისყურით მომზადებას, დიდი

სიფრთხილის გამოჩენას, რათა რესპონდენტები არ დაფრთხნენ და გულწრფელად მიაწოდონ სწორი ინფორმაცია. კარგი იქნება, თუ ინტერვიუერი მატერიალურად წახალისდება, ან ინტერვიუერი იქნება უკანონო იმიგრანტის ეროვნების ადამიანი. ჩვეულებრივ კი ასეთი გამოკვლევები არ არის მაინცადამაინც რეპრეზენტატული, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება არალეგალთა რაოდენობრივ მახასიათებლებს. სამაგიეროდ ისინი კარგ თვისებრივ სურათს ხატავენ. ამ შემთხვევაში კარგად ჩანს არალეგალის ქცევის მოდელი, მისი მიგრაციული განწყობა და დაბრუნების განზრახვა და ა. შ.

ზემოთ დახასიათებული მეთოდების შეხამება და სხვადასხვა წყაროების ინფორმაციის განზოგადებამ შეიძლება მოგვცეს ამა თუ იმ ქვეყნის არალეალურ მიგრაციის შედარებით სანდო სურათი, დაახასიათოს მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეები, მისი ზეგავლენა ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე და შედეგად შესაძლებელი გახდეს, განისაზღვროს ისეთი ზომების გასატარებელი კონკრეტული მექანიზმი, როგორიცაა დეპორტაცია, მიგრანტთა მიღების ქვოტების განსაზღვრა, ან გაიცეს ნებართვა დროებით დასაქმებასა და ლეგალიზაციაზე იმ არალეგალი მიგრანტებისთვის, რომლებიც ფლობენ ძვირფას ადამიანურ კაპიტალს და რომლებიც უკვე ადაპტირდნენ ქვეყანაში.

მიგრანტთა არალეგალური დასაქმების ცნობილი გამოკვლევა, რომელიც 1990–იან წლებში ნიდერლანდებში ჩატარდა არის კარგი მაგალითი სხვადასხვა წყაროების სანდო მონაცემთა მიღებისა. გარდა ექსპერტების, ადმინისტრაციული მეთოდისა, გამოყენებულ იქნა ტელეფონის საშუალებით ფართომასშტაბიანი გამოკითხვა. დამსაქმებელთა ღრმა ინტერვიუ. ლეგალურად მომუშავე მიგრანტები (მათ მისცეს კითხვები არალეგალთა დაქირავების ირგვლივ) და, რაც მთავარია, ტელეფონით გამოკითხეს არალეგალურად დასაქმებული მიგრანტებიც. გამოკვლევა მოიცავდა აგრარული სფეროს, კვების, მშენებლობის და მომსახურების სფეროს (სასტუმროები, რესტორან – სასადილოები, შენობათა დამლაგებელნი და ა. შ). ჰოლანდიაში გამოკვლევით მიღებული შედეგები სავსებით შეიძლება გავრცელდეს მთელს დასავლეთ ევროპაზე და თვით მთელ მსოფლიოს მიმღები ქვეყნების არალეგალურ მიგრაციაზე.

არალეგალური მიგრაცია მთლიან დასაქმებულთა შორის შეიძლება დიდი არ იყოს (0,5%), მაგრმ ცალკეულ დარგებში იგი მეტად დიდია. მაგალითად, მსუბუქ მრეწველობაში იგი 50% აღმოჩნდა, ხოლო სოფლის მეურნეობაში–17%, რესორნებსა და სასტუმროებში –7%.

# სახელმწიფოს გარე მიგრაციული პოლიტიკა

## სამუშაო ძალის ექსპორტ–იმპორტიორი ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკა

როგორც ცნობილია, შრომითი მიგრანტების მსოფლიო ნაკადების ინიციატორები არიან მსოფლიოს ყველაზე განვითარებული ქვეყნები, ვისაც სჭირდებათ დამატებითი სამუშაო ძლა. მათვე ჩამოაყალიბეს მიგრაციული პოლიტიკის ღონისძიებანი, რითაც არეგულირებენ მიგრაციულ პროცესებს

პირველი საკანონმდებლო აქტებს, რომლებიც სახელმწიფოთა შეთანხმებას ეხებოდა, ჰქონდა წამახალისებელი ხასიათი. მიგრაციული პროცესები გამოირჩევა ინერციულობით. მიგრაციული ნაკადების უმართაობა კი რაღაც ეტაპზე წინააღმდეგობაში მოდის მიმღები ქვეყნის ინტერესებთან. განვთარებული ქვეყნების ეკონომიკის ციკლური განვითარების გამო სამუშაო ძალაზე მოთხოვნა ხან იზრდება, ხან მცირდება. ამიტომ იმპორტიორი ქვეყნები ცდილობენ, სტაბილიზაციისთვის მიმართონ მიგრაციული პოლიტიკის ღონისძიებებს. როგორც ცნობილია, იმიგრაციული პოლიტიკის პირველი კანონები 1920–იან წლებში აშშ–მ შემოიღო. შემდგომ იგი ყოველთვის აქცენტს იღებდა ე.წ. მიგრაციის სელექციურობაზე. ამიტომაც მსოფლიოში აღმოცენდა სამუშაო ძალის შემრჩევი დაწესებულებები. მეორე მეთოდი, არის სავიზო პოლიტიკა, როცა ვიზის გაცემისას გათვალისწინებულია მიმღები ქვეყნის შრომის ბაზრის ინტერესები.

ასეთივე სელექციურ პოლიტიკას მიმართა ევროკავშირმაც, როცა 1958 წელს ლიბერალური გახადა შრომითი მიგრაცია ევროკავშირის ქვეყნებს შორის. 1985 წელს კი ხელი მოეწერა ცნობილ შენგენის შეთანხმებას,

რომელშიც ფაქტობრივად გააუქმა ყოველგვარი შეზღუდვები ე.წ. შენგენის ქვეყნებში სამუშაო ძალის გადაადგილებაში. ამ დროისათვის ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანას კავშირის სხვა ქვეყანაში სამუშაო ძალის გადაადგილებაში არავითარი ნებართვა არ სჭირდებოდა. ამით ევროკავშირი თვისებურად გაემიჯნა „მესამე სამყაროს“. თუმცა ამ პოლიტიკას კრიტიკულად უყურებს ბევრი მკვლევარი. მაგალითად ა. ზოლბერგი თვლის, რომ „კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემის არსებობის პირობებში, რაც დამყარებულია თავისუფალი ბაზრის ეკონომიკაზე, ქვეყნებს შორის მოსახლეობის გადაადგილების ბარიერების არსებობა ანომალიას წარმოადგენს“. საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაში ა. ზოლბერგი არ ითვალისწინებს ქვეყნებს შორის დემოგრაფიული ზრდის დიდ დიაპაზონს, ქვეყნებს შორის ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაში დიაპაზონს და ა. შ. ამიტომ ვერ ხედავს სამუშაო ძალის ექსპორტ–იმპორტის რეგულირების აუცილებლობას.

მეორე მხრივ, საშიშროება, რაც რეალურად შეიქმნება უკონტროლო მიგრაციის დროს, აქცენტირებულია ლე პენისა(საფრანგეთი) და იორგ ჰაიდერის(ავსტრია) პოზიციებში. ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ლე პენის წარმატება პოლიტიკურ არჩევნებში დიდადაა განპირობებული ანტიმიგრაციული პოლიტიკის გატარების მცდელობით, რსაც, რასაკვირველია, ობიექტური საფუძველიც აქვს. ისინი უმტკიცებენ თავიანთი ქვეყნების მოსახლეობას, რომ შეუზღუდავი იმიგრაცია მათი უმუშევრობის მთავარი მიზეზია, რომ მიგრანტებზე იხარჯება სახელმწიფოს სოციალური სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილი, რაც დაბლა სცემს ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

ამ ეტაპზე მიმღები ქვეყნის პოლიტიკის ტიპიური მახასიათებელი შრომით მიგრაციაში არის შემდეგი:

- საჭირო პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიზიდვა სხვა ქვეყნებიდან;
- ამ ქვეყანაში მოსწავლე საუკეთესო სტუდენტების შერჩევა(მათ უკვე ათვისებული აქვთ პროფესია, ენა, ცხოვრების სტილი და ტრადიციები) მათთვის სამუშაოს მიცემა და ცხოვრების საშუალება
- არალეგალურ მიგრანტთა სახელმწიფო იმიგრაციის საზღვარზე შეღწევის მკაცრი კონტროლი, არალეგალურ დასაქმების გამკაცრება; "მიგრანტთა მიმწოდებელი" ქვეყნები, რომელიც აწვდიან მსოფლიო ბაზარს სამუშაო ძალას, სრულიადაც არ არიან გულგრილი თავიანთი მოსახლეობის სხვა ქვეყანაში წასვლით, რადგან:

1. მათი მოსახლეობის ნაწილის წასვლა წახალისდება, რათა შემცირდეს უმუშევრობა, სოციალური ხარჯები, ამავე დროს, სხვა ქვეყნიდან მიგრანტთა ფულადი გზავნილების სახით შემოვა საკმაოდ მნიშვნელოვანი ვალუტა. ჩვენ მოწმე ვართ, როგორი დიდი ზეგავლენა მოახდინა საქართველოში სავალუტო კრიზისის განვითარებაზე გზავნილების შემცირებამ.
2. სავსებით ბუნებრივია, ხელისუფლების მისწრაფებაა, რომ შეამციროს თავისი ქვეყნიდან „ტვინების გადინების" პროცესი. არის მცდელობა, პოლიტიკა, რომ ეროვნული ინტელიგენციისათვის თავისივე ქვეყანაში შეიქმნას დასაქმების პირობები, რათა ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების ხელშეწყობით შეამცირონ ტვინების გადინება. ამისთვის, მაგალითად, ინდოეთში, მალაიზიაში, ჩეხეთში, უნგრეთში არის სახელმწიფო პროგრამები და არა მარტო ამ ქვეყნებში. „ტვინების გადინებით" გამოწვეულ დანაკარგებს მრავალი ქვეყანა მტკივნეულად განიცდის და თავის პოლიტიკაში მას ყურადღებას აქცევს.

ის ქვეყნები, რომელნიც არიან მიმღებნი და გამგზავნი, ცდილობენ ,თავიანთ მიგრაციული პოლიტიკაში ორივე მიმართულებით მიაღწიონ წარმატებას.

შევეცადოთ, მოვახდინოთ მსოფლიოს ქვეყნების დაჯგუფება სახელმწიფო მიგრაციულიპოლიტიკის მიხედვით.

მოყოლებული 1963 წლიდან გაეროს მოსახლეობის ფონდი მოსახლეობის პოლიტიკის შესახებ აქვეყნებს ცალკეული ქვეყნების მოსახლეობის პოლიტიკის განმსაზღვრელ ღონისძიებებს. ამის ერთ–ერთი მიზანია მიგრაციული პოლიტიკის სფეროში ცალკეული ხელისუფლების დამოკიდებულების განსაზღვრა. ასე ხდება ქვეყნების მიგრაციული პოლიტიკის თავისებური ტიპოლოგია.

მიგრანტთა მიმნღებ ქვეყნებში იკვეთება ორი ტიპის პოლიტიკა

1. <u>ასიმილაციური მიგრაციული პოლიტიკა.</u> ანუ იმიგრანტთა შერწყმის პოლიტიკა თავიანთი ქვეყნის მოსახლეობასთან. იგი გულისხმობს ადგილობრივი მოსახლეობის კულტურული ფასეულობების ათვისებას. ჩამოსულთაგან მიზანია მკვიდრი მოსახლეობის კულტურასთან გაერთიანება. ამის მაგალითებია აშშ, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ახალი ზელანდია, კანადა.
2. <u>დროებით შრომით მიგრაციაზე აგებული პოლიტიკის უპირატესობა.</u> უცხო სამუშაო ძალამ უნდა დააბალანსოს მხოლოდ ცალკეულ სფეროებში გაჩენილი სამუშაო ძალის დეფიციტი. ისინი მხარს უჭერენ მკაცრ მიგრაციულ პოლიტიკას. ეს ქვეყნებია: გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ნიდერლანდები, ბელგია, ავსტრია, შვეიცარია, საუდის არაბეთი და ა. შ. ასევე, ის ქვეყნებიც, რომლებიც უფრო პატარა მასშტაბით სარგებლობენ უცხო სამუშაო ძალის იმპორტით(შვედეთი, დანია, კატარი და ა.შ.).

იმისდა მიხედვით თუ რა სარგებელი აქვთ სამუშაო ძალის ექსპორტიდან, ქვეყნები მიმართავენ მიგრაციაზე ზემოქმედების სხვადასხვა ზომებს. მაგალითად, ის ქვეყნები, სადაც სავალუტო შემოსავლებში სამუშაო ძალის ექსპორტი შედარებით ნაკლები წილითაა წარმოდგენილი, არ ითვლება აუცილებლად(ავსტრალია, პორტუგალია, იტალია, იორდანია, მაროკო, ფილიპინები) არ თვლიან ზემოქმედება მოახდინონ თავიანთი ქვეყნებიდან შრომით ემიგრაციაზე.

სხვა ქვეყნებში (თურქეთი, ინდოეთი, ბანგლადეში), სადაც მოსახლეობის დიდი რაოდენობა მიემართება საშოვარზე სხვა ქვეყანაში და ეკონომიკა ბევრადაა დამოკიდებული დონორებზე, იქიდან გზავნილებზე, სახელმწიფო ყოველმხრივ ზრუნავს შეინარჩუნოს ემიგრაციის დიდი მასშტაბი. ასევე უჭერენ აქტიურ ემიგრაციულ პოლიტიკას ის ქვეყნები, სადაც საგადამხდელო ბალანსის სტაბილურობას სავალუტო გზავნილები უზრუნველყოფს (პაკისტანი, იემენი).

## მიგრაციული პოლიტიკა საქართველოში - 2015 წლის მდგომარეობით

საქართველო, მიგრაციული პროცესების განვითარების კუთხით, წარმოადგენს როგორც წარმოშობის, ასევე დანიშნულებისა და სატრანზიტო მნიშვნელობის ქვეყანას.

მიგრაციული პროცესების რეგულირება და მართვა საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილია. საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ერთ-ერთი პრიორიტეტი მიგრაციის რეგულირებაა. ამ მხრივ პირველ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს „პარტნიორობისა და თანამშრომლობის

შესახებ შეთანხმება“[1], რომელიც ძალაშია 1999 წლის 1 ივლისიდან. თანამშრომლობის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ევროკავშირის მიერ შემუშავებული „ევროპის სამეზობლოპოლიტიკა” და „ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა”, რომელიც ძალაშია 2006 წლის 14 ნოემბრიდან. მიგრაცია მნიშვნელოვან სფეროდაა მიჩნეული 2009 წლის 7 მაისის აღმოსავლეთ პარტნიორობის პრაღის სამიტის ერთობლივ დეკლარაციაში, ასევე 2009 წლის 30 ნოემბერს ბრიუსელში საქართველოს, ევროკომისიასა და ევროკავშირის 16 წევრი ქვეყნისწარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ ერთობლივ დეკლარაციაში „პარტნიორობა მობილურობისათვის”.

იგრაციის კუთხით საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის თითოეული ეტაპი განსხვავდება პრიორიტეტების მიხედვით და იგი ეტაპობრივად მაღალ საფეხურზე გადადის. თანამშრომლობა მოიცავს ისეთ საკითხებს როგორიცაა: არალეგალური მიგრაციის აღკვეთა, სასაზღვრო სისტემის მოდერნიზაცია, ინფორმაციის გაცვლა, ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, მოქალაქეთა იდენტიფიცირება და მათი სამშობლოში დაბრუნების უზრუნველყოფა, საქართველოს მოქალაქეებზე სასწავლო პროგრამების გავრცელება, სამუშაო უფლების მოპოვება, ევროკავშირის ქვეყნებთან გამარტივებული სავიზო რეჟიმის მოპოვება და ა.შ.

„ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმა” მიზნად ისახავს საქართველზე „ოთხი თავისუფლების” ეტაპობრივ გავრცელებას, რაც გ ლისხმობს საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ადამიანის

[1] European Commission, *Partnership and Cooperation Agreement (PCA)*.http://eu-nato.gov.ge/en/eu/agreementApr., 2015

თავისუფალ გადაადგილება. თანამშრომლობის პირველი ეტაპისაგან განსხვავებით სამოქმედო გეგმა არის მრავალმხრივი პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს მიგრაციის კუთხით არა მხოლოდ უსაფრთხოების უზრუნველყოფის მუხლებს, არამედ კონკრეტულ ღონისძიებებს მიგრაციის მენეჯმენტის, მიგრაციის ნაკადის მონიტორინგისათვის მონაცემთა ბაზის შექმნის, საზღვრის მართვის და ფიზიკური პირებისათვის გადაადგილების ხელშეწყობის ღონისძიებებს.

ევროკავშირთან საქართველოს დაახლოებას ისახავს მიზნად აღმოსავლეთ პარტნიორობის პრაღის სამიტის ერთობლივი დეკლარაცია, რომლის მიზანია პარტნიორი ქვეყნების მოქალაქეებისათვის მობილურობის გაზრდა სავიზო რეჟიმის გამარტივებისა და რეადმისიის შესახებ შეთანხმებების საშუალებით. იგი ასევე ითვალისწინებს ევროკავშირის მხრიდან გრძელვადიანი მიზნის სახით ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის ვიზის სრულ ლიბერალიზაციას, იმ შემთხვევაში თუ პარტნიორი ქვეყნებიც უსაფრთხოების მხრივ პირნათლად შეასრულებენ აღებულ ვალდებულებებს.

2009 წლის ნოემბერში, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმდა შეთანხმება „პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ. „პარტნიორობა მობილურობისათვის" ქმნის დროებითი მიგრაციის ახალ ფორმას, რომელიც მიზნად ისახავს მასპინძელ ქვეყნებში მიგრანტთა ინტეგრაციასა და საკუთარ ქვეყანაში რეინტეგრაციას. ამასთანავე, იგი ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს მოქალაქეების ლეგალურ დასაქმებას, მათ შორის, ე.წ. „ცირკულარულ მიგრაციის" საშუალებით, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველოს

მოქალაქეებმა ევროკავშირის ქვეყნებში გარკვეული პერიოდის განმავლობაში იმუშაონ ლეგალურად, მიიღონ განათლება და შემდგომ დაუბრუნდნენ ქვეყანას.

„პარტნიორობა მობილურობისათვის“ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში წარმატებული თანამშრომლობის შედეგია „საქართველოსა და ევროკავშირს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ“ და „ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებების მიღწევა, რომლებიც ძალაშია 2011 წლის I მარტიდან.

2012 წელს იწყება საქართველო-ევროკავშირის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის დიალოგი და მისი წარმართვისთვის იმავე წელს მუშავდება სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

მიგრაციის მართვისა და ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის სფეროში პროგრესული რეფორმების გატარება, ევროკავშირის ხელშეწყობით, ვალდებულებად აიღო საქართველომ, როცა ხელი მოეწერა 2014 წლის 27 ივნისს ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის. იმავე წელს მთავრობის მიერ დამტკიცდა ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმა.

მიგრაციის მართვის სახელმწიფო მოწყობა საქართველოში მოიცავს შემდეგ სახელმწიფო უწყებებს: იუსტიციის სამინისტროს, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, ადამიანებით

ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს, სააგენტოთაშორისო საკოორდინაციო საბჭოს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების შესახებ; სააგენტოთაშორის კომისიას მიგრაციის შესახებ; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა სამინისტროს, სახელმწიფო მინისტრის აპარატს დიასპორის საკითხებში; სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს. საქართველოში მიგრაციის პროცესების რეგულაციასა და მართვაში ამ უწყებების ჩართულობის დონე და მასშტაბი განსხვავებულია და დამოკიდებულია სამინისტროს (ინსტიტუციის) სპეციფიკურ ფუნქციებსა და კომპეტენციებზე. სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს ერთი სახელმწიფო უწყება, რომელიც კოორდინირებას გაუწევს მიგრაციის მართვას. ასევე, არ არსებობს რაციონალური სისტემა მიგრაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის შესაგროვებლად და გასაანალიზებლად, სათანადოდ არ არის დამუშავებული მონაცემთა გაცვლის მექანიზმები იმ უწყებებს შორის, რომლებიც მიგრაციის საკითხებზე მუშაობენ.

ამავე დროს, საწყისი ეტაპისთვის აღსანიშნავია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმატებული ინსტიტუციონალური რეფორმა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საზღვრისპირა მიგრაციის მართვა და ქვეყნის საზღვრების დაცვა მიეკუთვნება შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისა და შსს სასაზღვრო პოლიციის კომპეტენციებს.

შიდა და გარე მიგრაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი პოლიტიკისგან საზღვრისა და საქართველოში მიგრაციული პროცესების მართვის სახელმწიფოებრივი სისტემის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2010 წლის შემოდგომაზე შეიქმნა

მიგრაციისსაკითხთა სამთავრობო კომისია. იგი აერთიანებს 12 სახელმწიფო უწყებას (კერძოდ:საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და ფინანსთა სამინისტროები, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური) და საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო (7) და არასამთავრობო ორგანიზაციებს (5):

საქმიანობის სხვადასხვა მიმართულებით გააქტიურების მიზნით კომისიის ფარგლებში ჩამოყალიბებულია თემატური ჯგუფები რეინტეგრაციის საკითხებზე, მიგრაციის სტრატეგიაზე, მოქალაქეობის არმქონეობის შემცირებასა და სხვა მიმართულებებზე. 2013 წელს დამტკიცდა მიგრაციის 2013-2015 წლების სტრატეგია (მთავრობის დადგენილება N59. 15.03.2013.) და ოდნავ მოგვიანებით სამოქმედო გეგმა. ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს მიგრაციის 2016-2020 წლების სტრატეგიაზე.

სამწუხაროდ, ძირითად იმიგრაციის ქვეყნებთან ჯერ კიდევ ვერ ხერხდება ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების გაფორმება შრომითი მიგრაციის ლეგალურობის მიზნით. უკვე რამდენიმე წელია შეფერხებულია საფრანგეთთან საქართველოს კვალიფიციური სპეციალისტების ბინადრობის და ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელმოწერილი შეთანხმების ამოქმედება. აღნიშნული შეთანხმების მთავარი კომპონენტია საფრანგეთის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიებისა და ყოველწლიური კვოტების შესაბამისად საქართველოს მოქალაქეებისათვის ლეგალური დასაქმების

შესაძლებლობების შექმნა, ახალგაზრდა სპეციალისტების ურთიერთგაცვლისა და კვალიფიკაციის ამაღლება.

საქართველოს პარლამენტში 2014 წლის დეკემბრიდან განხილვის პროცესშია აგრეთვე შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ავტორობით წარდგენილი შრომითი მიგრაციის შესახებ საქართველოს კანონპროექტთა პაკეტი. კანონპროექტის მიზანია საქართველოში შეიქმნას შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი ეფექტური საშუალებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ლეგალური შრომითი მიგრაციის განვითარებასა და გამორიცხავენ არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შემთხვევებს.

ამრიგად, საქართველოში წარმატებით ყალიბდებადა ინსტიტუციურად მტკიცდება მიგრაციული პოლიტიკა, რომელიც ხელს შეუწყობს არარაციონალური, ინტენსიური ემიგრაციული მასშტაბის შემცირებას, მიგრაციის ლეგალიზებას, მიგრაციის ეფექტიანობის ამაღლებას, მიგრანტთა დაბრუნებასა და სამშობლოშისოციალურ-ეკონომიკურ რეინტეგრაციას, იმიგრაციის ქვეყნების მიერ გატარებულ ღონისძიებებთან საქართველოს მიგრაციული პოლიტიკის ჰარმონიზაციას და იმგრაციული პროცესების ნორმალიზაციას.

დიასპორასთან მიმართებით:

2008 წელს საქართველოში შეიქმნა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. იმავე წლიდან საქართველოს პარლამენტში უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საკითხებზე მუშაობს დიასპორის და კავკასიის საკითხთა კომიტეტი. ამ ორი უწყების ერთობლივი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2011 წელს „უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონისმიღება (№5301-IIს, 24.11.2011.).

კანონი 2012 წლის 1 მარტიდან შევიდა ძალაში. კანონი ადგენს უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სამართლებრივ სტატუსს. სამოქალაქო რეესტრის სააგენტო გასცემს სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას; სტატუსი ითვალისწინებს პრივილეგიებს: ვიზის გარეშე შემოვიდნენ საქართველოს ტერიტორიაზე; მიიღონ ზოგადი და უმაღლესი განათლება სახელმწიფო დაფინანსებით, შესაძლებლობა ექნებათ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ დიასპორისთვის განკუთვნილ სხვადასხვა მიზნობრივ პროგრამებში. მსგავსი კანონი წარმატებით მოქმედებს ინდოეთში, რომელსაც მსოფლიოში სიდიდით მეორე დიასპორა ყავს. ინდოეთში თანამემამულის სტატუსის შემოღების შემდგომ გაიზარდა ფულადი გზავნილები, ქვეყნის მონახულების სიხშირე, დიასპორული ინვესტიციები.

სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გზაზე პროგრესი აღინიშნა ახლახან დამთავრებულ რიგის სამიტზეც.

## შრომითი მიგრაცია საქართველოდან

## .საქართველოს დემოგრაფიული განვითარების თავისებურებანი პოსტაბჭოთა პერიოდში

საქართველოს დემოგრაფიული განვითარება XX საუკუნეში გარკვეული შეფერხებებით მიმდინარეობდა. მოსახლეობის ცვლილებას მნიშვნელოვნად განაპირობებდა ის პოლიტიკური კატაკლიზმები და არასტაბილურობა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მთელი ევროპის მოსახლეობაზეც. მხედეველობაში გვაქვს მსოფლიო ომები, ეთნოკონფლიქტები და ეკონომიკური კრიზისები. ამ პერიოდში საქართველოში მოსახლეობის აბსოლუტური კლება სამჯერ შეინიშნება: პირველი მსოფლიო ომის პერიოდში(1913-17წწ), როცა მოსახლეობა 263 ათასი კაცით შემცირდა, მეორე მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში (1940-1950წწ), როცა მოსახლეობის კლება 196 ათასი კაცი იყო და პოსტსაბჭოთა მოსახლეობის აღწერათაშორის პერიოდში(1989-2002წწ), როცა საქართველოს მოსახლეობამ <u>ერთი მილიონი კაცით მოიკლო.</u>

პოსტაბჭოთა პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული განვითარება სამი უმნიშვნელოვანესი ტენდენციით ხასიათდება: 1. დეპოპულაცია; 2. მოსახლეობის დაბერების აჩქარება; 3. ინტენსიური ემიგრაცია.

<u>მოსახლეობის აბსოლუტური კლება.</u> მოსახლეობის აბსოლუტური კლება პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთერთი უმნიშვნელოვანესი დემოგრაფიული ტენდენციაა, რადგან ბოლო 100 წლის მანძილზე მოსახლეობის შემცირება ასეთი მასშტაბური არასდროს ყოფილა. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ეს კლება საქართველოში დღემდე მიმდინარეობს. მათი გათვლებით 2002 წელთან შედარებით საქართველოში 2010 წლისათვის 210. 6 ათასით ნაკლები კაცი

ცხოვრობს, თუმცა იგივე პერიოდში ოფიციალური სტატისტიკა მოსახლეობის რიცხოვნობის სტაბილიზაციას აფიქსირებს[2].

საქართველოს მოსახლეობის დინამიკის თავისებურება გამოიხატება იმაშიც, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდში ქალაქის მოსახლეობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე სოფლის. 1989 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში ქალაქის მოსახლეობის წილი 55,4% იყო, სოფლისა - 44.6%. 2002 წელს კი ეს თანაფარობა იგივე დონეზეა, რაც იყო 1980 წლისათვის. კერძოდ, ქალაქის მოსახლეობის წილი 52,3%-ია, სოფლისა - 47,7%. ეს განპირობებულია პოსტსაბჭოთა პერიოდში ქალაქებიდან უფრო მაღალი ინტენსივობის ემიგრაციით, ვიდრე ეს სოფლებისათვის იყო დამახასიათებელი.

**ცხრილი 1. საქართველოს მოსახლეობის დინამიკა XX საუკუნეში(ათ.კაცი)**

| **წელი** | **1900** | **1913** | **1917** | **192** |
|---|---|---|---|---|
| **სულ მოსახლეობის რიცხოვნობა** | **2109** | **2601** | **2338** | **266** |
| **ქალაქის მოსახლეობა** | **322** | **666** | **423** | **59** |
| **სოფლის მოსახლეობა** | **1787** | **1935** | **1915** | **207** |

**წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური;**

*** ოკუპირებული ტერიტორიების გარეშე.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ,პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობის შემცირების ძირითადი მიზეზი 1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე ღრმა ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისია (ომები,

[2] საქართველოს დემოგრაფიული წელიწდეული 2010. გ. წულაძე. ნ. მაღლაფერიძე, ა. ვადაჭკორია. თბილისი, 2011 გვ.17

ეთნოკონფლიქტები), რომელმაც, თავის მხრივ, გამოიწვია ბუნებრივი მატების მკვეთრი დაცემა და ინტენსიური მუდმივი და *შრომითი ემიგრაცია.* განხილულ პერიოდში ემიგრაციული კლება ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ბუნებრივი მატება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ მოცემულ პერიოდში მოსახლეობის შემცირების განმსაზღვრელი ფაქტორი ემიგრაციული პროცესებია.

<u>შობადობა.</u> 1980-იან წლებთან შედარებით 1990-იან წლებში საქართველოში დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა თითქმის განახევრდა. ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემის, შიგა და გარე ემიგრაციის ზემაღალი ინტენსივობის გამო, ის განსაკუთრებით შემცირდა სოფლის მოსახლეობაში(თითქმის 2,5-ჯერ). შობადობის შემცირება შეიმჩნეოდა ქალთა თითქმის ყველა ასაკობრივ ჯგუფში. განსაკუთრებით კი – 20-29 წლის ქალებში. ეს, ნაწილობრივ, ქორწინების ასაკის ზრდამაც განაპირობა.

ბოლო აღწერათაშორის პერიოდში (1989-2002წწ. )მამაკაცთა პირველი ქორწინების საშუალო ასაკმა 27 დან 29 წლამდე გადაიწია, ქალთამ – 24 დან 25 წლამდე. ბუნებრივია, გაიზარდა ქალთა საშუალო ასაკი როგორც პირველი შვილის დაბადებისას(24-დან 25 წლამდე), ასევე, ყოველი შემდეგი ბავშვის დაბადებისას. ზოგადად კი, ბავშთაშობის საშუალო ასაკმა აღნიშნულ პერიოდში 25,8-დან 26,5 წლამდე მოიმატა, რაც, ერთი მხრივ, ქორწინებათა, მეორეს მხრივ, კი დაქორწინებულთა მხრიდან ბავშვთაშობის გადავადებით აიხსნება. მკვლევართა გამოთვლებით, 1989 წლისათვის საქართველოში შობადობის პოტენციალის რეალიზაციის ხარისხი 36,6% იყო, 1990-იან წლებში შობადობის მკვეთრი დაცემის გამო ეს მაჩვენებელი 5,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა. ამის გამო ქვეყნის მოსახლეობის

მიერ შობადობის პოტენციალი მხოლოდ მეოთხედითღა(25,5%) იყო რეალიზებული[3].

განხილულ პერიოდში დაბადებულ ბავშვებში მეტად მაღალი იყო პირველი ბავშვის წილი, დაბადებულთა თითქმის 2/3-ს სწორედ ისინი წარმოადგენდნენ. განსაკუთრებით მაღალი იყო ის 2007 წელს – 60,6%. 2005 წელს შობადობის ჯამობრივმა კოეფიციენტმა კრიტიკულ ზღვარს მიაღწია(1,39). ეს მაჩვენებელი ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ასეთი დაბალი არასდროს ყოფილა.

ამასთან, პოსტსაბჭოთა პერიოდის ერთ-ერთი თავისებურებაა რეგისტრირებული ქორწინებისგარეშე შობადობის ზრდაც. 2006 წელს მან მაქსიმალურ დონეს მიაღწია(54,4%). ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვების წილმა შობადობის ჯამობრივ კოეფიცინტის საერთო სიდიდეში 44,7% შეადგინა(2002წ), ნაცვლად 18,1%-ისა 1989 წელს[4].

საბოლოოდ კი, შობადობის შემცირების ხანგრძლივი ტენდენციის შედეგად საქართველოში აღწარმოების შეკვეცილი რეჟიმი ჩამოაყალიბდა.

**შობადობის მაჩვნებელთა დინამიკა საქართველოში 1990-2010წწ**

| | 1990 | 1993 | 1996 | 1999 | 2002 | 2005 | 2008 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შობადობის ზოგადი კოეფიციენტი(‰) | 17,1 | 13,4 | 11,9 | 10,9 | 10,7 | 10,7 | 12,9 | 14,1 |
| შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტი(‰) | 67,8 | 47,4 | 45,8 | 41,5 | 40,2 | 39,6 | 48,1 | 53,4 |
| რეგისტრირებულ ქორწინებისგარეშე დაბადებულ ბავშვთა წილი(%) | 18,2 | 24,6 | 30,9 | 36,4 | 45,9 | 49,7 | 34,3 | 36,6 |
| პირველი ბავშვის წილი | 44,6 | 52,0 | 51,6 | 51,8 | 53,5 | 58,8 | 55,4 | 49,6 |

[3] გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. უნივერსალი, თბილისი. 2007.გვ.39-40

[4] გ. მელაძე. საქართველოს დემოგრაფიული გამოწვევები. უნივერსალი, თბილისი. 2007.გვ.66

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ცოცხლადდაბადებულთა შორის(%) | | | | | | | | |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბუნებრივია, შობადობის შემცირების შემაშფოთებელმა ტენდენციამ, საქართველოს მოწინავე საზოგადოების ყურადღება მიიქცია და დაიწყო ფიქრი მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე. 2008 წელს საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, ილია II-მ საზოგადოებას შესთავაზა წინადადება: ყოველი მესამე და შემდგომი შვილი მისი ნათლული გახდებოდა. ამან გარკვეული ზეგავლენა მოახდინა დემოგრაფიულ განწყობაზე.

მეორე მხრივ, ასე თუ ისე მოიმატა ცხოვრების დონემაც. ამოქმედდა გადადებულ დაბადებათა ფაქტორიც. დაიწყო შემობრუნების პროცესი ბავშთაშობაში. 2008-2010წწ-ში დაბადებულთა შორის გაიზარდა მეორე და მესამე ბავშვის წილი. კერძოდ, 2010 წელს 2007 წელთან შედარებით, მეორე ბავშვის წილი დაბადებულთა შორის 29%-დან 36%-მდე გაიზარდა, მესამე შვილისა კი - 11%-დან - 15 %-მდე. სტიმული მიეცა „გადადებულ“ ბავშთაშობას და რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდგომი დემოგრაფიული ტალღის დაწყებას. დემოგრაფიული ზრდისათვის საჭირო რესურსების მატებამ შეანელა დეპოპულაციის პროცესი, რომელიც 1993 წლის შემდგომ აღინიშნებოდა საქართველოში. მოსახლეობის ნულოვანი მატება მცირე, მაგრამ მაინც შედარებით მზარდი მატებით შეიცვალა. საქართველოს მოსახლეობამ შეკვეცილი აღწარმოების რეჟიმიდან მარტივისკენ დაიწყო სვლა. კერძოდ, თუ 2008 წელს გოგონათა თაობა მხოლოდ 72%-ით ახერხებდა დედათა თაობის ჩანაცვლებას, 2010 წელს ეს მაჩვენებელი უკვე 87%-ია.

ცხრილი2

შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტისა და მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტის დინამიკა საქართველოში 1990-2010წწ

| | 1990 | 1993 | 1996 | 1999 | 2002 | 2005 | 2008 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი | 2,15 | 1,54 | 1,55 | 1,44 | 1,42 | 1,39 | 1,67 | 1,83 |
| მოსახლეობის აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი | 1,015 | 0,714 | 0,708 | 0,665 | 0,653 | 0,637 | 0,718 | 0.866 |

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

როგორც აღინიშნა, პოსტსაბჭოთა წინააღმდეგობრივი ტრანსფორმაციის წლებმა, არასტაბილურმა დასაქმებამა და მცირე შემოსავალმა, ქალთა რეპროდუქციულ ქცევაზეც იქონია გავლენა, შეცვალა ოჯახში სასურველ ბავშთა რაოდენობა. ზოგიერთი მკვლევარი მიუთითებს, რომ მათ მიერ თბილისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით, 1989 წელს ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობა 3,7 ბავშვი იყო, 2007 წელს კი – 2,5 ბავშვია.[5] 2009 წლისათვის დაოჯახებულ ქალებში ეს მაჩვენებელი 2,4-ია.[6] 2005-2007 წლებში სტუდენტთა დემოგრაფიული ორიენტაციების შესწავალმაც აჩვენა, რომ ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობა თითქმის ორჯერ ნაკლები იყო ბავშვთა სასურველ რაოდენობაზე[7]. რესპონდენტები ბავშთაშობის ხელისშემშლელ უმთავრეს მიზეზად ცხოვრების დაბალ დონეს(უმუშევრობა, მცირე შემოსავლები) მიიჩნევდნენ. ამიტომ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მკვლვრის მოსაზრებას,

[5] ვ. ლორთქიფანიძე. ა. თოთაძე. ერმა ერი უნდა გადაარჩინოს:.დემოგრაფიული ვითარება თანამედროვე საქართველოში. თბილისი, უნივერსალი,2007. გვ78

[6] Generations.&Gender Survey in Georgia. II Wave Report. UNFPA. Tbilisi.2010

[7] M.Shelia. Attitude Towards Demographic Behavior in the Period of Economic Crisis in Demographically Aged Georgia. „Social-Economics Problems in Transition Countries". (collection of Scientific Works,Research Papers and Articles). `Universal`, Tbilisi, 2008.p.14

რომელთა ანალიზით, 2006-2009 წლებში ქალთა რეპროდუქციული განზრახვის განუხორციელებლობის ძირითადი ფაქტორი ქალთა ასაკი, განათლება და დასაქმებაა და არა რესპონდენტთა ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობა.[8] ასეთი დასკვნა მისაღები იქნებოდა ისეთი ქვეყნისათვის, სადაც დემოგრაფიული განვითარება ამ პერიოდში ევოლუციური გზით მიდიოდა განვითარებული ეკონომიკისა და მოსახლეობის ცხოვრების მაღალ დონის პირობებში. მაგრამ იმ ქვეყნისათვის, რომელმაც პოსტსაბჭოთა მრავალმხრივი ღრმა კრიზისის შემდეგ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე 2008 წელს რუსეთთან ომიც გადაიტანა, დემოგრაფიულ ზრდაში ეკონომიკური ფაქტორის იგნორირება, ვფიქრობთ, არასწორ დასკვნებამდე მიგვიყვანს.

პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს დემოეკონომიკურ განვითარება მეტად სპეციფიური იყო. ეკონომიკური განვითარების დონით იგი განვითარებადი ქვეყანაა, ხოლო მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმით მაღალგანვითარებული ქვეყნების გვერდში დგას. ამ სპეციფიკას მიუთითებდნენ ქართველი მკვლევრები.[9] ამ თავისებურებიდან გამომდინარეობს, რომ შობადობის შემცირება და, შესაბამისად, <u>მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის მკვეთრი გაუარესება მნიშვნელოვანწილად ინტენსიურმა ემიგრაციული პროცესებმა განაპირობა.</u> ზემაღალი ინტენსივობის ემიგრაციის უმთავრესი მიზეზი, როგორც არაერთხელ აღინიშნა, ღრმა ეკონომიკური კრიზისი და არამდგრადი პოლიტიკური ვითარება იყო.

---

[8] Generations.&Gender Survey in Georgia. II Wave Report. UNFPA. Tbilisi.2010.p70.(ქართულ ენაზე)

[9] გ. ფირცხალავა. დემოპოლიტოლოგიური გამოკვლევის ძირითადი პასაჟები. ჟ. განათლება, მეცნიერება, ბიზნესი. 1997. IV.

**შრომითი ემიგრაციის გავლენა მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობაზე**

შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობის შემცირება მნიშვნელოვანი რეზერვია საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გაუმჯობესების გზაზე. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ახალგაზრდა რეპროდუქციულ ასაკში შესვლა დაიწყო 1990-იან წლბში დაბადებულმა ქალთა შემცირებულმა კონტინგენტმა.

2009-2011წწ-ში ჩვენი ხელმძღვანელობიტა მონაწილეობით დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პრობლემების შესწავლისას, რომელიც ე. წ. „ღრმა ინტერვიუს“ მეთოდით წარმოებდა, ითვალისწინებდა ემიგრაციის პერიოდში ემიგრანტთა ქორწინებითი მდგომარეობის, რეპროდუქციული ქცევისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საკითხების შესწავლასაც. კვლევით გამოვლინდა, რომ ემიგრანტთა შორის შობადობა მეტად დაბალია და წლიურად შობადობის ზოგაგი კოეფიციენტი არ აღემატება 2‰. ცხადია ძნელია მცირე კონტინგენტის(204რესპონდენტი)გამოკითხვით მიღებული ინფორმაციის განზოგადება, მაგრამ ზოგადად ის მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს შობადობაზე. ჩვენი შეფასებით, რომელიც ეყრდნობა შრომითი ემიგრაციის აღრიცხვებსა და ექსპერტთა შეფასებებს, ამჟამად, საქართველოდან შრომით ემიგრაციაშია მინიმუმ 350000 და მაქსიმუმ 500000-მდე კაცი იმყოფება. მათგან არანაკლებ 43% მაინც ქალია. ეს საქართველოს მუდმივი მოსახლეობის რეპრუდუქციულ ქალთა 17%-ა. შობადობის ჯამობრივ კოეფიცინტს მხოლოდ სახეზე საქართველოში მყოფ მოსახლეობაზე თუ გავიანგარიშებთ, მისი მნიშვნელობა ოფიციალურ სტატისტიკურ მაჩვენებელზე მეტია. მაგალითად, 2010 წლისათვის შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, ოფიციალური სტატისტიკით, 1,83-ია. ჩვენი გაანგარიშებით სახეზე მყოფი მოსახლეობისათვის ის - მაქსიმუმ 2,12-ი და მინიმუმ 2,053. მაშასადამე, თუ შრომითი ემიგრანტი ქალები

სამშობლოში იქნებოდნენ, დაბადებულთა რიცხვი საქართველოში 62585 –ის ნაცვლად მაქსიმუმ 72502 და მინიმუმ 70211 ბავშვი მაინც იქნებოდა, ბუნებრივი მატების მაჩვენებელი კი – 3,4‰-ის ნაცვლად მაქსიმუმ 6,5‰, მინიმუმ კი – 5,9‰. აღწარმოების ნეტო კოეფიციენტი 0,87-ის ნაცვლად - 1-ის ტოლი. მაშასადამე, შრომითი ემიგრაციის არარსებობის შემთხვევაში, საქართველოს აღწარმოების რეჟიმი შეკვეცილის ნაცვლად მარტივი მაინც იქნებოდა.

**ცხრილი 2. შობადობისა და ბუნებრივი მატების მაჩვენებელთა ცვლილება შრომითი ემიგრაციის გათვალისწინებით 2010წლისათვის**

| | ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით | ანალოგიური მაჩვენებლების პირობითი ცვლილება, რომ არ ყოფილიყო შრომითი ემიგრაცია | |
|---|---|---|---|
| | | I ვარიანტი (შრომით ემიგრაციაშია 350 ათ. კაცი) | II ვარიანტი(შრომით ემიგრაციაშია 500 ათ. კაცი) |
| შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი | 1,83 | 2,05 | 2,12 |
| ბუნებრივი მატება(‰) | 3,4 | 5,9 | 6,5 |
| დაბადებულთა რიცხვი(ათ. კაცი) | 62,6 | 70,2 | 72,5 |

შრომითი ემიგრაცია მძიმე დაღს ასვამს ემიგრანტთა ჯანმრთელობას. რასაკვირველია რეპროდუქციულ ჯანმრთელობასაც. რესპონდენტთა 87 % აცხადებდა, რომ გამგზავრებამდე სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა თავს. მათ შორის, ქალთა 84%. ემიგრაციაში ყოფნისას, მხოლოდ 55% თვლიდა თავს ჯანმრთელად. ყოველმა მესამემ მიუთითა, რომ მათი ჯანმრთელობა იქ გაუარესდა. საქართველოში დაბრუნების შემდეგ კი რესპონდენტთა 53% თვლის თავს ჯანმრთელად. ემიგრაციულმა ცხოვრებამ ემიგრანტთა თითქმის ნახევარს ჯანმრთელობა შეურყია. რესპონდენტები მიუთითებდნენ, რომ მძიმე ინტენსიურმა სამუშაო რეჟიმმა, არალეგალურ

ემიგრაციული ცხოვრების სირთულეებმა მათ ნევროზი დამართა. შესწავლილი ისტორიებიდან მოვიყვანთ ერთ ტიპიურ ისტორიას:

> *„საბერძნეთში ოჯახში მოსამსახურედ ვმუშაობდი. ჩემი სამუშაო დღე მინიმუმ 17 საათი გრძელდებოდა. ხუთი წლის განმავლობაში არც ერთი დამე ნორმალურად არ მძინებია. ნებისმიერ დროს შეეძლოთ ზარი დაერეკათ და გამოვეძახებინე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ღამღამობით ინერციით მეღვიძებოდა და დაფეთებული ვდგებოდი, მეგონა, რომ ისევ მეძახდნენ. როცა მივხვდებოდი, რომ ჩემს სახლში, ჩემს ქვეყანაში ვიყავი და არავინ მაღვიძებდა, უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობდი თავს. ჩამოსვლიდან სამი თვის მანძილზე ნევროზზე ვიმკურნალე.“*

შრომით ემიგრანტთა ისტორიები მსგავსია ზემოთ მოთხრობილი ისტორიისა. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რესპონდენტთა ნახევარი უსახსრობის გამო დაბრუნების შემდეგაც ვერ ახერხებს სათანადო მკურნალობას. ამის გამო საქართველო, როგორც დემოგრაფიული, ისე შრომითი პოტენციალის მნიშვნელოვან კლებას განიცდის. მიგვაჩნია, რომ შრომითი ემიგრაციის ინტენსივობის ნორმალიზაციის გარეშე ძნელი იქნება საქართველოს მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმის გაუმჯობესების მყარი ტენდენციების დამკვიდრება, ადამინური კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ამაღლება.

**შრომითი ემიგრაციის გავლენა მოსახლეობის დაბერებაზე(მოსახლეობის დაბერება და შრომითი ემიგრაცია)**

მოსახლეობის ინტენსიურმა ემიგრაციამ <u>საქართველოს მოსახლეობის დაბერება ააჩქარა</u>. ამის მიზეზი ისაა, რომ საქართველოდან გავიდა

შედარებით ახალგაზრდა კონტინგენტი. 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 1989-2010წწ-ში 14.4%-დან 18,5%-მდე გაიზარდა. დემოგრაფიული დაბერების პროცესს განვითარების ისეთი მაღალი ტემპი, როგორიც 90-იან წლებში შეინიშნებოდა, ადრე არ ჰქონია. პროფესორ შმიდის კლასიფიკაციაზე დაყრდნობით, საქართველოში ჩამოყალიბდა დემოგრაფიული დაბერების მეოთხე მოდელი. მისთვის დამახასიათებელი იყო ე.წ. „დემოგრაფიული გადასვლის პარადოქსი“, რაც ვლინდებოდა იმაში, რომ ჩამოყალიბდა დაბალი ფერტილობა, დაახლოებით ისეთი, რომელიც დამახასიათებელი იყო თანამედროვე ევროპის განვითარებული ქვეყნებისათვის და სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის დაბალი დონე (დაახლოებით 10 წლით ნაკლები), ისეთი, რომელიც ევროპისათვის დამახასიათებელი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პირველ წლებში[10].

**მოსახლეობის სიბერის მაჩვენებელთა ცვლილება პოსტსაბჭოთა პერიოდში 1989-2010წწ**

| | 0-14 წლის ასაკობრივი ჯგუფის წილი(%) | 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი(%) | მედიანური ასაკი(წელი) |
|---|---|---|---|
| **1989** | **24,7** | **14,4** | **30,7** |
| **2002** | **21,0** | **18,2** | **34,5** |
| **2010** | **17,0** | **18,5** | **36,7** |

ამჟამად (2010), საქართველოში მოსახლეობის მედიანური ასაკი 1989 წელთან შედარებით 6 წლითაა გაზრდილი და 36,7 წელია.

[10] Й. Шмид. Старение населения:Динамика, социальные и экономические последствия для семьи,общин и общества в целом. Региональное совещание по народонаселению. Будапешт,7-9 декабря,1998

საქართველოში მოსახლეობის დაბერების სპეციფიურობა გამოვლინდა იმაშიც, რომ დემოგრაფიული დატვირთვა არათუ გაიზარდა არამედ შემცირდა. შრომით ემიგრაციის ნაწილობრივ მუდმივ ემიგრაციაში გადაზრდის გამო, ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციის პარალელურად, მოხუცებით დატვირთვა 1989-2002წწ-ში მნიშვნელოვნად გაიზარდა, ბავშვებით დატვირთვის მკვეთრი შემცირების გამო საერთო დემოგრაფიული დატვირთვა თითქმის არ შეცვლილა. ბოლო ათწლეულში, დემოგრაფიული დატვირთვის შემცირება განპირობებულია, ერთის მხრივ, სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირებით, მეორე მხრივ, არსებული ე. წ. „დემოგრაფიული დივიდენდით“, შუა ასაკშია მეორე მსოფლიო ომისშემდგომი „დემოგრაფიული ტალღისას“ დაბადებული თაობა.

**დემოგრაფიული დატვირთვის ცვლილება პოსტსაბჭოთა პერიოდში(%)[11]**

| | ბავშვებით დატვირთვა | მოხუცებით დატვირთვა | სულ დატვირთვა |
|---|---|---|---|
| 1989 | 37,4 | 13,3 | 50,7 |
| 2002 | 31,6 | 19,2 | 50,9 |
| 2010 | 24,6 | 20,1 | 44,8 |

ამიტომ საქართველოს მოსახლეობის დაბერება მოცემულ ეტაპზე ხდება არა „ქვემოდან“ ან „ზემოდან“, არამედ „შუადან“, <u>შუა ასაკის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაციის ხარჯზე.</u> შესაბამისად, თუ ადრე მოსახლეობის გაფართოებული აღწარმოების ხარჯზე საქართველოს ზოგიერთი რეგიონი მაინც(აჭარა, ქვემო ქართლი)ინარჩუნებდა შედარებით ახალგაზრდა ასაკობრივ

[11] ბავშვებით დატვირთვაში იგულისხმება 0-14 ასაკობრივი ჯგუფის თანაფარდობა15-64 წლის ასაკობრივ ჯგუფთან, მოხუცებით დატვირთვაში კი -65 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის თანაფარდობა 15-64 წლის მოსახლეობასთან.

სტრუქტურას, ამჟამად, საქართველოს ყველა რეგიონი დემოგრაფიულად დაბერებულია. არის დემოგრაფიულად „გადაბერებული“ რეგიონებიც (რაჭა, და გურია). საქართველოს ყველაზე მეტად დაბერებულ რეგიონში, რაჭაში, რომელიც დღეგრძელთა რაოდენობითაც გამოირჩევა, არის ადმინისტრაციული მუნიციპალიტეტი (ამბროლაური), სადაც მოსახლეობის, მედიანური ასაკი 50 წელია. სიბერის ასეთი მაღალი დონე მსოფლიოში იშვიათია. მეტად დაბერებულია იმერეთის რეგიონის სოფლის მოსახლეობაც. აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეულ ეტაპზე სიბერის მაღალი დონე ემიგრაციის შემაფერხებელი ფაქტორიც იყო. მაგალითად, 2005 წელს ამ რეგიონში შრომითი და პოტენციური ემიგრაციის კვლევისას აღმოჩნდა, რომ ყოველი მეხუთე რესპონდენტი მისი ემიგრაციაში წაუსვლელობის მიზეზად მოხუცი მშობლების ყოლას ასახელებდა(„მოხუცი მშობლები ვერ მიმიტოვებია“).[12]

ზოგადად, ხანდაზმული ადამიანების წილი მიგრაციულ ნაკადებში როგორც წესი, მცირეა. მაგალითად, საქართველოს 2002 წლის აღწერით, ემიგრანტთა შორის 60 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 6% იყო. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევით, 2008 წლისათვის მათი წილი 4%-ია[13].

მათი დაბალი შრომისუნარიანობის გამო შრომით ემიგრნატებში ხანდაზმული ადამიანები მინიმალური რაოდენობით, სავარაუდოდ 1%-მდე არიან წარმოდგენილნი. ხანდაზმული მოსახლეობა იმ ფულადი გზავნილების მომხმარებელია, რასაც შრომითი ემიგრანტები საქართველოში თავიანთ დარჩენილ ოჯახებს უგზავნიან. თუმცა აღსანიშნავია ხანდაზმულთა განსაკუთრებული

[12]Berulava N.,2001. Migration P rocesses in Mining Regions of Georgia. Tbilisi ” (In Georgian)

[13] მიგრაციის კვლევის ანგარიში. 2008. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. გვ.

როლი შრომით ემიგრანტთა საქართველოში დარჩენილი შვილების – თავიანთი შვილიშვილების აღზრდის საქმეში.

თაობათაშორისი მჭიდრო ურთიერთობათა გამო, საქართველოში ხანდაზმულთა უმრავლესობა მარტო არ არის. ისიც აღსანიშნავია, რომ მამაკაცების 50% და ქალების 56% თავის 25 წელზე უფროსი ასაკის შვილებთან ერთად ცხოვრობს.[14] ბუნებრივია ოჯახური თანაცხოვრების პირობებში ხანდაზმული მოსახლეობა აქტიურად ერევა ბავშვთა აღზრდის საკითხებში, ხოლო შრომით ემიგრანტთა ოჯახებში ბავშვთა აღზრდა თითქმის მთლიანად მათი პასუხისმგებლობის ქვეშაა მოქცეული. „ახალგაზრდა ხანდაზმულთა“ ყოფნა ოჯახში შრომითი ემიგრაციის ხელშემწყობი ფაქტია.

<u>შრომითი ემიგრაციის გავლენით საქართველოში დარჩენილი სახეზე მყოფი მოსახლეობის სიბერის დონე ბევრად მეტია, ვიდრე საქართველოს მუდმივი მოსახლეობისა</u>. ჩვენი გათვლებით, სავარაუდოდ 60 წლისა და უფროსი მოსახლეობის წილი 21-22%-ია.

## შრომითი ემიგრაციის ეთნორეგიონული ასპექტები

შრომითი ემიგრაციის თაობაზე სტატისტიკურ სტრუქტურებში არსებული ინფორმაცია ნაკლებადაა დამუშავებული ეთნორეგიონულ ჭრილში. საქართველოს მოსახლეობის განვითარების პერსპექტიული ხედვისათვის კი იგი აუცილებელია. ეთნიკური ტოლერანტობის პოლიტიკა, რასაც დღევანდელი ხელისუფლება აქტიურად ატარებს, ფორმირებული ეთნოსტრუქტურების ღრმა გამოკვლევათა გარეშე რეალურ მიზანს ვერ მიაღწევს. საერთოდ, მიგრაციული პროცესები (მათ შორის შრომითი მიგრაციაც) თავის ღრმა კვალს აჩნევს ეთნოსტრუქტურის ევოლუციაზე, ეთნოჯგუფების ურთიერთდამოკიდებულებაზე, ეროვნულ კონსოლიდაციაზე. ამაში

[14] generations&Gender Survey in Georgia. II Wave Report. UNFPA. 2010.p.72(ქართულ ენაზე)

საზოგადოების გაურკვევლობას მარჯვედ იყენებენ იმპერიალისტური ძალები. ეს მათთვის სასარგებლოა ანექსიათა განსახორციელებლად, ეთნოკონფლიქტების გასაღვივებლად, ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დესტაბილიზაციის განსახორციელებლად.

ჩვენ დღეს არ გვაქვს ეთნორეგიონულ ასპექტში შრომითი ემიგრაციის ან იმიგრაციის შესახებ ოფიციალური სტატისტიკური მასალა. მაგრამ არცთუ მცირე რაოდენობის შერჩევითი გამოკვლევებიდან შესაძლოა ზოგიერთი კანონზომიერების, ზოგადი ტენდენციის დანახვა და მეტნაკლები მიახლოებით განზოგადებაც.

მიგრაციული პროცესები, რომელიც ისტორიულად მიმდინარეობდა საქართველოში, დაკავშირებულია საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ცვლილებებთან. მიგრაციული პროცესები განსაზღვრავდა ძირითადად ბოლო საუკუნეებშიც (XIX-XX) საქართველოს მოსახლეობის ეთნოსტრუქტურის ცვლილებებს(ცხრილი -)[15].

**ცხრილი 3. -Изменение национальной структуры населения Грузии в 1800-2002 гг. (в %)***

| Национальность | 1800 | 1832 | 1865 | 1897 | 1926 | 1939 | 1959 | 1970 | 1979 | 1989 | 2002 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Грузины | 79,4 | 75,9 | 73,8 | 69,4 | 66,8 | 61,4 | 64,3 | 66,8 | 68,8 | 70,1 | 81,5 |
| Абхазы | 6,6 | 6,3 | 4,6 | 2,2 | 2,1 | 1,6 | 1,5 | 1,7 | 1,7 | 1,8 | 1,5 |
| Осетины | 3,7 | 3,6 | 3,6 | 4,2 | 4,2 | 4,2 | 3,5 | 3,2 | 3,2 | 3,0 | 1,7 |
| Русские | - | - | 2,0 | 5,3 | 3,6 | 8,7 | 10,1 | 8,5 | 7,4 | 6,3 | 2,1 |
| Армяне | 6,0 | 9,4 | 9,5 | 10,3 | 11,5 | 11,7 | 11,0 | 9,6 | 9,0 | 8,1 | 5,7 |
| Азербайджанцы | 3,8 | 3,0 | 4,0 | 4,2 | 5,4 | 5,3 | 3,8 | 4,6 | 5,1 | 5,7 | 6,5 |
| Евреи | 0,4 | 0,5 | 0,6 | 0,9 | 1,1 | 1,2 | 1,3 | 1,1 | 0,6 | 0,5 | 0,1 |

[15] M. Tukhashvili. Population Permanent and Labour Emigration in Post-Soviet Georgia. International Migration of Population in the Post-Soviet Territory:Two Decades of successes, mistakes, and expectansis. M.: Verdy, 2011. —Vol. 25.p.101

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **Греки** | **0,1** | **0,8** | **0,9** | **2,0** | **2,0** | **2,4** | **1,8** | **1,9** | **1,9** | **1,9** | **0,3** |
| **Немцы** | **-** | **-** | **0,3** | **0,4** | **0,4** | **0,3** | **-** | **-** | **-** | **-** | **-** |
| **Украинцы** | **-** | **-** | **-** | **-** | **0,5** | **1,3** | **1,3** | **1,1** | **0,9** | **1,0** | **0,2** |
| **Остальные** | **-** | **0,5** | **0,7** | **1,1** | **2,4** | **1,9** | **1,4** | **1,4** | **1,4** | **1,6** | **0,4** |
| **Всего** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** | **100** |

*** На всей территории Грузии, включая Абхазию и Цхинвальский регион.**

დემოგრაფიული გადასვლის დაწყებიდან კი დაიწყო და დიფერენცირებული გახდა ეთნიკურად განსხვავებულ მოსახლეობის ჯგუფებში ბუნებრივი მატება, რამაც მიგრაციასთან ერთად არანაკლები ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის ეთნოსტრუქტურაზე.

ეთნოსტრუქტურის ევოლუციაზე არანაკლები ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობის იძულებითმა ტერიტორიულმა გადაადგილებებმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში განხორციელებული ეთნოწმენდისა და მისი ოკუპაციის პერიოდში, როდესაც მოსახლეობის იძულებითი გადაადგილებანი ეთნიკური ნიშნით ხდებოდა.

შუა საუკუნეებში საქართველოს სახელმწიოებრივი დასუსტების შემდგომ მეზობელი დესტაბილური პოლიტიკური სიტუაციის ქვეყნებიდან მასობრივად იწყებს შემოსევისაგან განადგურებულ საქართველოს განაპირა რეგიონებში არააბორიგენი ეთნოსის ნაკადების შემოსვლა და დამკვიდრება. კომპაქტურად დასახლების ადგილებში მათი ადგილობრივ მოსახლეობასთან ინტეგრაცია თითქმის არ ხდებოდა. მაინც რუსეთთან შეერთებამდე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე ეთნიკურ უმცირესობათა ხვედრითი წონა 20% არ აჭარბებდა. რუსეთის მიერ XIX საუკუნის დამდეგს საქართველოს ანექსიამ თანდათან შეამცირა ადგილობრივი

მოსახლეობის წილი, რაც XX საუკუნის 30-იან წლების ბოლოს **61%-**მდე შემცირდა[16].

პოსტსაბჭოთა პერიოდში მოსახლეობის გადაადგილებათა რადიკალურად გაზრდილი ინტენსივობის პერიოდში ავტოქთონური მოსახლეობის წილმა 80%-ს გადააჭარბა. ეს საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური კატასტროფის პირდაპირი შედეგია.

ამ საერთო ვითარების ფონზე შრომითი ემიგრაციის ზეგავლენა ეთნიკურ პროცესებზე ეთნორეგიონული თავისებურებებით ხასიათდება, რაც მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველ წლებში უფრო მაღალი აღმოჩნდა ეთნიკურ უმცირესობათა მიგრაციის ინტენსივობა. 1993 წლის 10 ათასი მიგრანტის გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის უარყოფით გარემიგრაციულ სალდოში ავტოქთონური მოსახლეობა(ქართველი, აბხაზი) მხოლოდ 8,4% იყო.
2. ამ პერიოდში მუდმივი გადასახლების აქტამდე საკმაოდ ხანგრძლივი ეტაპი იყო შრომითი მიგრაციით დამკვიდრება საზღვარგარეთ და შემდგომ ოჯახის გადაყვანაც.
3. ამჟამად, იმ ეთნიკური ჯგუფების შრომითი მიგრაციით დანაკარგებია უფრო მეტი, ვისი წილიც მიგრანტთა ნაკადებში უფრო აღემატება მთელ მოსახლეობაში წილს.

პოსტსაბჭოთა პერიოდამდე საქართველოში ინტენსიური შრომითი ემიგრაცია ეთნოპოლარიზებული ხასიათისა იყო და აღინიშნებოდა მხოლოდ სამხრეთ საქართველოში მდებარე ჯავახეთის რეგიონიდან, სადაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეთნიკურად სომეხი მოსახლეობაა. იმ დროს ამას განაპირობებდა შემდეგი ძირითადი გარემოება:

---

[16] M. Tukhashvili. Population Permanent and Labour Emigration in Post-Soviet Georgia. International Migration of Population in the Post-Soviet Territory:Two Decades of successes, mistakes, and expectansis. M.: Verdy, 2011. —Vol. 25.p.101

- ეს რეგიონი მდებარეობდა მაშინდელი სსრკ სასაზღვრო პოლიტიკით განსაზღვრულ საკარანტინო ზონაში, სადაც გადაადგილება მკაცრად შეზღუდული იყო და მხოლოდ სპეციალური საშვით შეიძლებოდა. საკარანტინო პირობების გამო იმ დროისთვის დემოგრაფიულად მზარდ რეგიონში არ იყო ადეკვატური სამუშაო ადგილების ზრდა და ძირითადი დასაქმების დარგი შეზღუდული რესურსების მქონე სოფლის მეურნეობა იყო. სსრკ რიგი რეგიონები კი კვალიფიციურ სამუშაო ძალას– მწვავედ მოითხოვდნენ;
- ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში დიდი იყო ხელოსნური ტრადიციები. უცხო გარემოში ადაპტაციის კარგი უნარი და შრომისმოყვარეობა. ამგვარ მუშახელზე რუსეთის ასათვისებელ რაიონებში დიდი მოთხოვნა იყო და სამუშაო ძალის ფასიც ძლიერ მაღალი.
- პოსტსაბჭოთა პერიოდში მიგრაციული ინტენსივობის ცვლილებებს ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა უფრო მომზადებული შეხვდა და შრომითი ემიგრაციისას უცხო გარემოსთან მძიმე ადაპტაციის პერიოდი ფაქტობრივად არ გაუვლია, არც დიდად შეუცვლია ემიგრაციის გეოგრაფია. 2003 წელს ახალქალაქის გამოკითხულ სომეხი ეროვნების მოსახლეობაში რუსეთის მიმართულება სჭარბობდა[17]. მათი აბსოლუტური უმრავლესობა(95%) წმინდა ეკონომიკური მოტივებით აგრძელებდნენ რუსეთის ფედერაციაში მათთვის ტრადიციული იმიგრაციის რეგიონებში მუშაობას.

1990-იანი წლების მეორე ნახევრიდან შრომით ემიგრაციაში განსაკუთრებით გაიზარდა ქართველთა წილი. გაჭიანურებულმა კრიზისმა, დაგროვილი ქონების, ძვირფასეულობის სრული რეალიზაციის შემდგომ ოჯახების უდიდესი ნაწილის წინაშე ფიზიკური გადარჩენის საშიშროება დადგა. ემიგრაციის ინტენსიურობაც გაიზარდა.

აზერბაიჯანელთა შრომითი ემიგრაციის ძირითადი მიმართულებაა რუსეთი, მოსაზღვრე აზერბაიჯანი და კონფესიურად და ენობრივად ახლო მდგარი თურქეთი. საერთოდ არ შეიმჩნევა აზებაიჯანელთა შრომითი ემიგრაცია სომხეთში და სომხების შრომითი ემიგრაცია აზერბაიჯანსა და თურქეთში. ამ ქვეყნებს შორის დაძაბული პოლიტიკური ურთიერთობის გამო.

[17] Labour Migration from Georgia. 2003. IOM. p.24

რუსი მოსახლეობის რიცხოვნობაზე საქართველოში დიდად იმოქმედა სსრკ დაშლამ. ფაქტობრივად რუსი მოსახლეობა თავისი ეთნიკური ტერიტორიის მიღმა დარჩა, ოფიციალურ დიასპორად გადაიქცა. 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით, მათმა 74% რუსულის გარდა სხვა ენა არ იცოდა.[18](თუმცა საქართველოში ქართული ენა კონსტიტუციურად ყოველთვის სახელმწიფო ენას წარმოადგენდა). მეორე მხრივ, საქართველოში ეკონომიკური კრიზისი ბევრად ღრმად განვითარდა, ვიდრე რუსეთში, ცხოვრების დონის დაცემაც უფრო კატასტროფული იყო; სამეურნეო კავშირების მოშლამ და რუსეთის მხრიდან იზოლაციონისტურმა პოლიტიკამ ყველაზე მეტად საქართველოს მრეწველობას, მათ შორის, მანქანათმშენებლობას დაარტყა, ანუ პირველად ის დარგები მოიშალა, სადაც რუსი მოსახლეობა იყო დასაქმებული. მათი ემიგრაცია საქართველოდან ეტაპობრივად განხორციელდა, <u>პირველად შრომითი ემიგრაციის ფორმით, ხოლო შემდგომში იგი მთავრდებოდა მუდმივი ემიგრაციით.</u> თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი რუსეთის მთავრობა ყოფილ სსრკ რესპუბლიკებში გაბნეული 25 მლნ-იანი რუსული დიასპორის რეპატრიაციას არც თუ მიესალმებოდა, მეტიც, ხელს უშლიდა.[19]ამჟამად რუსეთში მიდგომა შეცვლილია და რეპატრიაციის ხელშეწყობა საკმაოდ ეფექტიანია. მაღალი ინტენსიურობის შრომითი ემიგრაციით გამოირჩევა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობა, ვინც დღემდე დროებითი ჩასახლების ადგილებში ცხოვრობს. ჩვენს მიერ გამოკვლეულია მათი ინტენსიური ჩასახლების რეგიონებში

[18] Национальный состав населения. Стат. сборник(Переписи населения 1989 года)Тбилиси,1991,с.63(ქართულ ენაზე)

[19] მ. ტუხაშვილი. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“. „უნივერსალი“, თბილისი, 2009, გვ.37

დევნილი ოჯახებიდან შრომითი ემიგრაციის პროცესი.[20]იძულებით გადაადგილებულთა ნაკადებმა მათი ამჟამინდელი კონცენტრაციის რეგიონებში –ზუგდიდსა და შიდა ქართლში დიდი დემოგრაფიული დაწოლა წარმოქმნეს. შექმნილი მძიმე ეკონომიკური და სოციალური ვითარების გამო ადგილობრივ მოსახლეობასთან უფრო მეტი ინტენსიურობით წავიდნენ საზღვარგარეთ. სსრკ დაშლამდე საქართველოში მცხოვრები ოსების მნიშვნელოვანი ნაწილი გაფანტული იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კომპაქტურად ჩასახლებული ოსური სოფლების სახით. სსრკ დაშლის დროს დაიწყო მათი ინტენსიური შრომითი ემიგრაცია რუსეთის ფედერაციაში, ხოლო შემდგომ რუსეთ-საქართველოს ომმა, გარე ძალების მიერ ინსპირირებულმა ეთნოკონფლიქტებმა, პოლიტიკურმა დაძაბულობამ, საქართველოს ეკონომიკურმა ვარდნამ და ცხოვრების დონის კატასტროფულმა დაქვეითებამ სტიმული მისცა თავდაპირველად შრომითი ემიგრაციის ფორმით, ხოლო შემდგომ მუდმივად გადასახლებით ოსი მოსახლეობის გადასვლას რუსეთის ფედერაციაში. ამჟამად, რუსეთის მიერ ანექსირებულ და დანარჩენ საქართველოსგან იზოლირებულ ცხინვალის რეგიონშიც მოსახლეობის საკმაო ნაწილი კვლავაც აგრძელებს რუსეთის ფედერაციაში შრომით ემიგრაციაში ყოფნას.

მეტად დიდ ინტერესს იწვევს მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის შესწავლის დროს საზღვრისპირა ინტენსიური შრომითი მიგრაციების პრობლემა. ეს ხორციელდება როგორც შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ფორმით(ყოველდღიური გადაადგილება), ისე მეტნაკლები ხანგრძლივობის დასაქმებასთან დაკავშირებული გადასახლებებით, შრომითი ემიგრაციით.

---

[20] მ. ტუხაშვილი. მ. თორია. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულთა შრომითი ემიგრაცია. კრებულში მიგრაცია 3. უნივერსალი, თბილისი, 2009.გვ. 86-97

ეთნიკური ფაქტორი ასეთი მიგრაციის განვითარებაში გარკვეულ როლს თამაშობს. სომხეთში მიმართულ შრომით ემიგრაციაში მთლიანად საქართველოს სომეხი მოსახლეობა მონაწილეობს, თურქეთში – უფრო ინტენსიურად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქართველი მოსახლეობა, სადაც ტერიტორიული სიახლოვის გარდა მოსახლეობის ნაწილში მუსულმანური ტრადიციები მეტადაა შემორჩენილი. ასევე, აზერბაიჯანში სამუშაოდ გადასულთა აბსოლუტური უმეტესობა აზერბაიჯანელები არიან.

სსრკ დროს თურქეთთან აბსოლუტურად მაიზოლირებელი საზღვარი ამჟამად უვიზო რეჟიმის საზღვრადაა გადაქცეული. ამან გაადვილა როგორც საქართველოს მოქალაქეების, ისე თურქეთის მოქალაქეების მიგრაციული ურთიერთგაცვლა. შრომითი კავშირების ინტენსიურმა ზრდამ არნახულად შეუწყო ხელი ადრე უკიდურესად პროვინციულ ჩამორჩენილობაში მყოფი თურქეთის ამ ნაწილის ნახტომისებრ განვითარებას, თანამედროვე საკომუნიკაციო სისტემის ფორმირებას, საზღვრის ორივე მხარის შავიზღვისპირა ზოლის ეკონომიკურ და სოციალურ-კულტურულ აქტივიზაციას[21].

ვფიქრობთ, აუცილებელია ორივე სახელმწიფოს ზღვისპირა ეკონომიკური და შრომითი ინტეგრაციის პროცესის სპეციალური შესწავლა ტრაპიზონი-ფოთის (ან ტრაპიზონი-ანაკლიის) მონაკვეთზე (300კმ).

მსგავსი ინტენსიური შრომითი კავშირების განვითარებაა მოსალოდნელი სამხრეთ საქართველოდან თურქეთის მიმართულებით ახალი საკომუნიკაციო კავშირების ამოქმედების შემდგომ (რკინიგზა, თანამედროვე საავტომობილო გზები), მიმდებარე რეგიონებშიც.

---

[21] M. Tukhashvili. Crisis of Urban Settlement in Georgia and the Ways of Its Overcoming. International Conference: Urban and Environmentel Issues and Policies(Papers).Volume II. Trabzon, Turkeu. 2010.p.394-397

რუსეთიდან დიპლომატიური კავშირის გაწყვეტის, უმკაცრესი სასაზღვრო რეჟიმის, რესეთის მიერ საქართველოს ანექსირებული რეგიონების პირობებში კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის ჩრდილოეთ მდებარე საქართველოს ყაზბეგის ადმინისტრაციული რაიონის მცხოვრებთათვის რუსეთში მიმოსვლის გამარტივებული სავიზო რეჟიმის დაწესება ნათელი წერტილია რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ დაძაბულ ურთიერთობაში. ამან საშუალებვა მისცა ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთში დასაქმებისა და მიმოსვლისა, თავიანთი მძიმე სოციალური ყოფის ნაწილობრივი შემსუბუქებისა.

ქვეყნებს შორის შრომითი კავშირების ეს უნიკალური ფორმა, მისი ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობით, ჩვენი აზრით, სპეციალური შესწავლასა და განზოგადებას მოითხოვს, იგი საუკეთესო მაგალითი იქნება საომარ დაპირისპირებაში მყოფი სხვა ქვეყნებისათვისაც სასარგებლო შრომითი და ეკონომიკური კავშირების **დასამყარებლად.**

## შრომითი ემიგრაციის გავლენა საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე

შრომითი ემიგრაციის ინტენსიურობა დიდადაა დაკავშირებული შრომის ბაზრების კონიუნქტურულ ვითარებასთან. სსრკ დაშლის შემდგომ შრომითი ურთიერთობების შეცვლა, საბაზრო ურთიერთობების ფორმირება საქართველოში მიმდინარეობდა სპეციფიკურ პირობებში. ჩვენ გამოვყოფთ მისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც აისახებოდა შრომის ბაზარზე მიწოდება – მოთხოვნის დისბალანსში.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების თავისებურებანი მოკლედ ასე ჩამოყალიბდება:

ა) ეკონომიკური კოლაფსი, ცხოვრების დონის კატასტროფული დაცემა, სამუშაო ძალაზე მოთხოვნის კატასტროფული შემცირება;

ბ) დემოგრაფიული დეპრესია, დემოგრაფიული დაბერების აჩქარება, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის შემცირების ტენდენცია;

გ) უმუშევრობის მეტისმეტად მაღალი დონე, უმუშევართა სოციალური დაცვის სისტემის განუვითარებლობა;

დ) სამუშაო ძალის დაბალი ფასი, მისი შეუსაბამობა საარსებო მინიმუმთან;

ე) არაეფექტიანი დასაქმება;

ფ) დასაქმების სექტორულ-რეგიონული სტრუქტურის ატროფია, რეგრესული განვითარება, სოფლის მეურნეობაში დასაქმების წილის გაორმაგება;

გ) საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის შრომის ბაზართან შეუსაბამო განვითარება, სპეციალისტთა ჭარბწარმოება;

ჰ) დიდი მასშტაბის არაფორმალური დასაქმება. მეორადი დასაქმების გაფართოება;

**ი) მონოდარგოვანი სამთომომპოვებელი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური კოლაფსი, ქალაქწარმომქმნელ დარგებში სამუშაო ადგილების სრული განადგურება. ამ რეგიონებში ზეინტენსიური მიგრაციის განვითარება;**

**ჯ) რუსეთ-საქართველოს ომის, ტერიტორიის ოკუპაციის, ეთნოწმენდის გამო დიდი მასშტაბის იძულებითი მიგრაციი(საქართველოს მთელი მოსახლეობის 8%)-ის წარმოქმნა;**

**კ) ორგანიზებული მიგრაციების შეწყვეტა, მათი დადებით გავლენის შესუსტება;**

**ლ) დიდი ინტენსივობის ემიგრაციული პროცესების განვითარება და სხვ.**

უმუშევრობა და მეტისმეტად დაბალეფექტიანი დასაქმება გახდა პოსტსაბჭოთა პერიოდში 1 მლნ მუდმივი ემიგრანტისა და 350-500ათასი შრომითი ემიგრანტის საზღვარგარეთ გამგზავრების ძირითადი მიზეზი. წასული სამუშაო ძალის მიუხედავად, საქართველოში უმუშევრობის დონე ბოლო წლებში გაზრდილია, ხოლო დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირებული(ცხრილი). მიუხედავად განხორციელებული ინვესტიციებისა, 2003-2010წწ საქართველოში დასაქმებულთა რიცხოვნობა შემცირებულია, ხოლო უმუშევრობის დონე – გაზრდილი. ისიც უნდა აღინიშნოს,

რომ სოფლად უმუშევრობის დაბალი მაჩვენებელი, ჩვენი აზრით, უმუშევრის სტატუსის კრიტერიუმის ნაკლია, რადგან უმუშევრად ჩაითვალა შინამეურნეობის შრომისუნარიანი წევრი, რომლის ოჯახსაც 0,5 ჰა მიწის ნაკვეთი ჰქონდა.

**ცხრილი**

**დიაგრამა**

**უმუშევრობის დონე საქართველოში 2003-2010წწ(%)**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **უმუშევრობის დონე საქართველოში** | **11,5** | **12,6** | **13,8** | **13,6** | **13,3** | **16,5** | **16,9** | **16,3** |
| **მათ შორის** | | | | | | | | |
| **ქალაქად** | **22,1** | **24,3** | **26,3** | **26,1** | **23,9** | **28,6** | **28,8** | **27,2** |
| **სოფლად** | **4,1** | **4,2** | **5,0** | **4,8** | **5,4** | **7,1** | **7,8** | **7,9** |

**წყარო: www.Geostatistics.ge**

სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის დონის შემცირების, პრივატიზაციის დროს მიწის ნაკვეთთა დანაწევრებისა და მრავალკონტურიანობის ზრდის პირობებში მეტად შემცირდა შრომის მწარმოებლურობა და დასაქმება რეალურად არასრული გახდა. ამიტომაა, რომ მთლიანად დასაქმებულთა შორის აგროსექტორში დასაქმებული 62% ქმნის მშპ-ს მხოლოდ 7,3%-ს.[22] ამრიგად, რეალური უმუშევრობის მაჩვენებელი სოფლად გაცილებით მეტია და ბევრად არ ჩამორჩება ქალაქად უმუშევრობის დონეს(27,2%)

პირობითად დავუშვათ რომ სამუშაო ადგილთა ფაქტობრივი რაოდენობის ამ პირობებში არ განხორციელებულიყო შრომითი ემიგრაცია. მაშინ საქართველოდან სამუშაოდ გასული კონტინგენტი აქ მყოფ უმუშევარ კონტინგენტს დაემატებოდა. შედეგად მივიღებთ

[22] მ. ცარციძე. შრომის ბაზრის ფორმირების თანამედროვე ტენდენციები. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში(თსუ მიგრაციის ცენტრის გამოკვლევა. ხელმძღვანელი. პროფ. მ. ტუხაშვილი)2011. გვ. 17.

რომ ისინი რომ არ წასულიყვნენ საქართველოდან(350ათასი), ამჟამად უმუშევრობის დონე იქნებოდა 34%, ხოლო მაქსიმალური ვარიანტის შემთხვევაში(500ათასი ემიგრანტი) – 42,2%. უმუშევართა სოციალური დაცვის იმ პირობებში, როცა უმუშევართა 1%-იც კი ვერ იღებს უმუშევრობის შემწეობას, ეს სოციალური კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამშობლოში გზავნილების გარდა ემიგრანტები თავიანთი საჭიროებისათვის იმიგრაციის ქვეყნებში მოიხმარენ 2,2-3,1 მლრდ დოლარს(ერთ ემიგრანტზე 516 დოლარი თვიურად), ცხადი გახდება, რომ სამშობლოში ამხელა კონტინგენტის უმუშევართა რიგებში ყოფნა, მეტად მძიმე ტვირთი იქნებოდა დასაქმებული მოსახლეობისათვის.

## შრომითი ემიგრაციის გავლენა მიგრანტთა პროფესიულ-კვალიფიციურ სტრუქტურაზე

ამჟამინდელი სტატისტიკური აღრიცხვა და შერჩევითი გამოკვლევები, როგორც მოსახლეობის, ისე შრომით ემიგრანტთა პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის შესახებ სრულ მონაცემებს არ იძლევა. თუმცა შერჩევით გამოკვლევებში არის მიგრანტთა განათლების დონისა და ნაკადის ძირითადი პროფესიების შესახებ ინფორმაცია. შესაძლებელია განვსაზღვროთ ემიგრანტთა განათლების პოტენციალი(სწავლების წელთა მიხედვით) და შევუდაროთ საქართველოს მთელი მოსახლეობის განათლების პოტენციალს. შესაძლებელია აგრეთვე, საქართველოდან გასული ადამიანური კაპიტალის, შრომითი პოტენციალისა და მისი რეალიზაციის ხარისხის ილუსტრაციაც.

ჩვენი გაანგარიშებით საქართველოს მოსახლეობის განათლების პოტენციალი (15 წელზე უფროსი ასაკის ერთი კაცის სწავლაზე

დახარჯული წელთა საშუალო რიცხვი) 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით 10,7 წელია. დასაქმებული მოსახლეობისა 11,5 წელი. იგი შეიძლება მივიჩნიოთ პოსტსაბჭოთა პერიოდის საშუალო მაჩვენებლადაც. ამ პერიოდში ჩატარებული შერჩევითი გამოკვლევების მიხედვით გაანგარიშებული შრომით ემიგრანტთა განათლების პოტენციალია -13,3 წელია.

გამოკვლევათა მიხედვით, შრომით ემიგრანტებში უმაღლესი განათლების მქონეთა წილი ბევრად აღემატება მთელ მოსახლეობაში მათ წილს. მაგალითად, 2002 წლის ჩვენი გამოკვლევით, უმაღლესი განათლების მქონე პირები შრომით ემიგრანტებში 42% იყო[23], საქართველოში დასაქმებულ მოსახლეობაში - 26,2%. 2009 წელს თბილისში დაბრუნებულ მიგრანტებში – 85%, 2011 წელს საქართველოს დიდ ქალაქებში ქუთაისსა და რუსთავში – დაბრუნებულთა შორის -53%.[24]

იმიგრაციის ქვეყნებში ასეთი მაღალი შრომითი და განათლების პოტენციალის მქონე სამუშაო ძალა დასაქმებულია მეორად შრომის ბაზრებზე, მეტად დაბალკვალიფიციურ სამუშაოებზე დისკრიმინაციული შრომის ანაზღაურების პირობებში. როგორც გამოკვლევები გვიჩვენებენ, უცხოეთში ძლიერ ცოტა იმაღლებს კვალიფიკაციას, უმეტესად ხდება განათლებით მიღებული ცოდნის გამოუყენებლობა, დეკვალიფიკაცია. ჩვენ არ გვავიწყდება შრომითი ემიგრაციის დროს უფრო განვითარებულ სოციალურ და ორგანიზაციულ - ეკონომიკურ გარემოში მათი ადაპტაციისას მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, რაც დაბრუნების შემთხვევაში არამარტო მეწარმეობითი კულტურის, არამედ ქვეყნის ევროპიზაციის

[23] Labour Migration from Georgia. 2003. IOM. p.38

[24] დაბრუნებულ მიგრანტთა კვლევა. (კვლევის ანგარიში). თბილისი 2009. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი 2011.

დამაჩქარებელია. მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობა აქვს უცხო ენაში ცოდნის შეძენასა და განმტკიცებას.

**ჩვენი გამოკვლევის მიხედვით, შრომით ემიგრანტთა საზღვარგარეთ დასაქმების პროფესიული განაწილება ასეთია:**

**ცხრილი 4. ემიგრანტთა განაწილება იმიგრაციის ქვეყნებში საქმიანობის მიხედვით(%)**

| დასაქმებულია | % | დასაქმებულია | % | დასაქმებულია | % | დასაქმებულია | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| მომვლელად | 14 | ავტომანქანის შემკეთებლად | 2 | ექიმად | 1 | ოფისის რიგითი მუშაკი | 1 |
| აღმზრდელად | 4 | სოფლად სეზონურ მუშად | 3 | ექთნად | 1 | სხვა | 4 |
| დამლაგებლად | 4 | მძღოლად | 5 | აქვს უმაღლესი განათლება და მუშაობს თავისი სპეციალობით | 8 | X | X |
| ოფიციანტად | 3 | გამყიდველად | 4 | სწავლობს | 0,0 | X | X |
| დამხმარე მუშად | 28 | ეწევა საკუთარ ბიზნესს | 9 | სწავლობს და მუშაობს | 7% | სულ | 100 |

ვფიქრობთ, ემიგრანტთა დეკვალიფიკაციის პროცესს კარგად გამოხატავს უცხოეთში სამუშაოდ წასულთა პროფესიული სტრუქტურისა და იქ დასაქმების პროფესიული სტრუქტურის შემადარებელი ცხრილი(**5** ).

**ცხრილი 5. შრომით ემიგრანტთა განაწილება აქაური პროფესიისა და საზღვარგარეთ დასაქმების მიხედვით(%)**

| აქაური პროფესია / საზღვარგარეთ მუშაობს | მასწავლებელი | ექიმი | ინჟინერი | მკონომისტი | ექთანი | მძღოლი | ხელოსანი | ელმექანიკოსი | სხვა | პროფესია არ აქვს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მომვლელად | 37,5 | 23,1 | 9,4 | 12,8 | 29,4 | - | 7,1 | 16,7 | 10,9 | 12,1 |
| აღმზრდელად | 5,4 | - | 2,4 | 4,7 | 5,9 | - | - | - | 1,6 | 6,6 |
| ოფიციანტად | 3,6 | 7,7 | - | 12,2 | 5,9 | - | - | - | - | 7,8 |
| დამლაგებლად | 8,9 | 3,9 | 3,5 | 1,2 | 5,9 | - | - | - | 4,7 | 4,8 |
| დამხმარე მუშად | - | - | 1,2 | 3,5 | - | - | 17,9 | 16,7 | - | 1,8 |
| სასოფლო სამეურნეო ფერმაში | 1,8 | - | - | 1,2 | - | 6,5 | 3,6 | - | - | 6,6 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სეზონურ მუშად | | | | | | | | | | |
| მძღოლად | 1,8 | 3,9 | 5,9 | 1,2 | - | 39,1 | 7,0 | - | 3,1 | 3,6 |
| გამყიდველად | 5,4 | - | 1,2 | 9,3 | 5,8 | - | - | - | 4,7 | 5,4 |
| ეწევა საკუთარ ბიზნესს | - | 3,8 | 20,0 | 10,5 | - | 13,0 | 10,7 | 5,7 | 15,6 | 6,6 |
| ექიმად | - | 15,4 | - | - | - | - | - | - | - | - |
| ექთნად | - | - | - | - | 17,7 | - | - | - | - | - |
| აქვს უმაღლესი განათლება და სპეციალობით მუშაობს | 10,7 | 11,5 | 16,5 | 11,6 | - | - | - | - | - | - |
| სწავლობს | - | - | - | - | - | - | - | - | - | 0,6 |
| სწავლობს და მუშაობს | 7,1 | 11,5 | 1,2 | 12,8 | - | - | - | - | - | 4,2 |
| ვაჭრობს | 1,8 | - | - | 1,1 | 11,8 | - | - | - | - | 0,6 |
| ოფისის რიგითი თანამშრომელი | 1,8 | - | - | 1,1 | - | - | - | - | - | 1,8 |
| სპორტსმენი | - | - | - | - | - | - | - | - | - | 0,6 |
| სხვა | 3,6 | 3,8 | 5,9 | 7,0 | - | - | - | 5,6 | - | - |
| სულ | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 | 100 |

წყარო: **Labour Migration from Georgia. 2003. IOM. p.41**

## მიგრანტთა შემოსავლები და რემიტანსის როლი საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაში

შრომითი ემიგრაციის მთავარი მიზანი ემიგრანტთაგან თავიანთ ქვეყანაში საკუთარ ოჯახებში ფულადი გზავნილების განხორციელებაა. იგი საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის არსებობის საშუალებადაა გადაქცეული, ამავე დროს დიდ ზეგავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკის დინამიკაზე[25]. ეს პრობლემა განხილულია საქართველოში გამოცემულ ეკონომიკურ ლიტერატურაშიც.[26]

[25] აღნიშნული საკითხი ცალკე დაწვრილებით გაშუქებას მოითხოვს, ჩვენს ნაშრომში განვიხილავთ მის ზოგად შტრიხებს.

[26] კაკულია მ. შრომითი მიგრანტების ფულადი გზავნილები საქართველოში: მოცულობა, სტრუქტურა, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტი. //საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები. 2007. ოქტომბერი. გვ.51-60.;(ქართულ ენაზე);

2011 წელს კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატისტიკური ანგარიშების მონაცემებით უცხოეთიდან საქართველოში ელექტრონული ფულადი გზავნილები ძირითადი პარტნიორი ქვეყნების მიხედვით 1268 მლნ აშშ დოლარია(ცხრილი 6).

**Таблица 6. Электронные денежные переводы в Грузию в 2003-2011гг.**

**(млн. долларов США)**

| | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 | 2010 | 2011 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Всего | 196,6 | 249,1 | 403,1 | 544,6 | 866,1 | 1002,1 | 841,6 | 939,7 | 1268,1 |
| в том числе из: | | | | | | | | | |
| России | 67,0 | 93,6 | 253,5 | 363,9 | 544,6 | 633,9 | 450,2 | 530,2 | 655,2 |
| США | 27,4 | 24,9 | 42,6 | 59,5 | 106,7 | 63,9 | 68,1 | 70,5 | 75,3 |
| Греции | 5,9 | 7,8 | 15,7 | 16,3 | 26,0 | 47,2 | 60,4 | 60,7 | 144,6 |
| Украины | 7,4 | 2,9 | 15,3 | 10,8 | 19,8 | 70,5 | 65,1 | 58,5 | 52,4 |
| Италии | - | - | - | - | - | - | 46,3 | 52,9 | 109,2 |
| Турции | 2,9 | 4,7 | 10,2 | 13,8 | 17,4 | 20,9 | 25,8 | 33,4 | 27,6 |
| Испании | 2,4 | 2,9 | 6,3 | 11,4 | 29,3 | 20,4 | 21,3 | 22,18 | 31,0 |
| Германии | 5,6 | 4,9 | 6,0 | 4,9 | 6,4 | 7,2 | 10,5 | 14,6 | 13,0 |
| Израиля | 2,9 | 2,2 | 3,9 | 4,1 | 7,1 | 8,4 | 9,0 | 12,0 | 14,4 |

**Источник:** კომერციული ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სტატისტიკური ანგარიშები. 2010 წლის იანვრიდან საბანკო სექტორის მონაცემებს ფულადი გზავნილების შესახებ დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ანალოგიური მონაცემები.

---

ასლამაზიშვილი ნ., დათაშვილი ვ. შრომითი მიგრაცია და ფულადი გზავნილები საქართველოში: უპირატესობები და წინააღმდეგობები. ჟ. სოციალური ეკონომიკა, №2, 2009;, გვ.38-45; (ქართულ ენაზე); Нармания Д. Миграционные доллары. **Business Time Georgia,** #02, 2012, p.24-26

**Testing New Channels and Products to Maximize the Development Impact of Remittances for the Rural Poor in Georgia.IOM. 2009**

ექსპერტები მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით მიუთითებენ, რომ ელექტრონული ფულადი გზავნილების სიდიდე საქართველოში ემიგრაციიდან ყველა გზით შემოსული თანხის 60%-ია. ამიტომ საქართველოში ფულადი გზავნილების აგრეგირებული მაჩვენებელი, სავარაუდოდ 2 მლრდ აშშ დოლარს აღწევს. ეს თანხა 2011 წელს მშპ-ს 14%-ია, ორჯერ აღემატება პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და თითქმის უტოლდება ექსპორტის მაჩვენებელს. იგი ძირითადად ხმარდება მოსახლეობის საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფას. მისი გავლენა საქართველოს სოციალურ სტაბილურობაზე მეტად დიდია.

მიუხედავად მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისისა და რუსეთ - საქართველოს მკვეთრი პოლიტიკური დაპირისპირებისა, ჯერჯერობით, რუსეთზე მოდის საქართველოში შემოსული ელექტრონული გზავნილების ნახევარზე მეტი(52%). ამას განაპირობებს ის, რომ ყველაზე მრავალრიცხოვანი ქართული დიასპორა რუსეთის ფედერაციაშია.

ყურადღება იპყრობს ბოლო წლებში იტალიიდან, აგრეთვე, საბერძნეთიდან გზავნილების მასშტაბების ზრდა. იტალიაში აშკარად გაიზარდა საქართველოდან შრომით ემიგრანტთა რიცხოვნობა, საბერძნეთიდან კი ერთი ფულადი გზავნილის სიდიდე. IOM-ის მიერ მხარდაჭერილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიგრაციის კვლევის ცენტრის მეცნიერთანამშრომელთა მიერ შრომითი ემიგრაციის გამოკვლევის მიხედვით მთლიანი შემოსავლის მხოლოდ მეხუთედი (21%) იგზავნებოდა საქართველოში.[27] ათი წლის წინანდელ პერიოდთან შედარებით ამჟამად ერთი ფულადი გზავნილის საშუალო სიდიდე 1,77-ჯერ გაზრდილია, ხოლო საზღვარგარეთ მთლიანი შემოსავალი კი მხოლოდ 11%-ით.

[27] Labour Migration from Georgia. 2003. IOM. p.50

2011 წელს საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა გამოკვლევის მიხედვით, საზღვარგარეთ ჩვენი ემიგრანტი საშუალოდ 803 აშშ დოლლარს გამოიმუშავებდა. აქედან 287 დოლარს(შემოსავლის მესამედზე ცოტა მეტს) სამშობლოში გზავნიდა. გამომუშავებული თანხიდან სამშობლოში გადმოგზავნის წილი გაზრდილია. აღნიშნული თანაფარდობის შეცვლის მიზეზი ჩვენი აზრით უნდა იყოს ვალუტის მსყიდველუნარიანობის შემცირება საქართველოში და საარსებო მინიმუმის უზრუნველსაყოფად რეალური დანახარჯების ზრდა.

უნდა გავითვალისწინოთ შემდეგიც:

ა) ფულადი ელექტრონული გზავნილები მხოლოდ მიგრანტთა გზავნილები არაა;
ბ) სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ჩატარებულ შერჩევით გამოკვლევებში მიგრანტთა გზავნილები შინამეურნეობათა მთლიან შემოსავლებში 3,5%-ია, რაც ვფიქრობთ მრავალჯერ შემცირებული ციფრია. ჩვენი აზრით, ამას მთლიანად უნდა დაემატოს საჩუქრად მიღებული თანხა(8%). ამის გათვალისწინებითაც შინამეურნეობათა შემოსავლებში მისი წილი 11,5%-ს არ აღემატება, რაც წლიურად 884 მლნ აშშ დოლარს უდრის. ვფიქრობთ, ესეც მეტად შემცირებული ციფრია და გამომდინარეობს შინამეურნეობათა გამოკვლევების დროს ხშირად ოჯახის წევრების მიერ არალეგალურად მიგრაციაში მყოფი წევრის თაობაზე ინფორმაციის დამალვით.

თუ შრომით მიგრანტთა ჩვენს მიერ შემოთავაზებულ რიცხოვნობას, მათ მაქსიმალურ და მინიმალურ ვარიანტებს(350-500 ათასი) და ერთი მიგრანტის საშუალო წლიურ ფულად გზავნილს(3444დოლარი) გადავამრავლებთ, გამოდის რომ საქართველოში მიგრანტთაგან წლიურად შემოდის მინიმუმ 1205 მლნ, მაქსიმუმ 1722მლნ აშშ დოლარი. ეს ერთ შინამეურნეობის საშუალო შემოსავლის 20,1%-29,9% უტოლდება.

უცხოეთიდან დაბრუნებულ მიგრანტთა შესწავლის დროს(2009 და 2011 წლები)[28]გამოვლინდა, რომ მათ მიერ საზღვარგარეთიდან გადმოგზავნილი თანხის 54% მოხმარდა ოჯახის წევრთა საკვებითა და პირველადი მოხმარების ნივთების შეძენას; 12,6% - შვილების სწავლა-განათლებას; 11% - დანაზოგის შექმნას; 9% - ვალის გასტუმრებას, 7% - ბიზნესს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას, 6% - ბინის მშენებლობას და რემონტს. მართალია გზავნილთა მთელ ნაკადში იზრდება მსხვილი გზავნილების წილი, მაგრამ ეს ჯერჯერობით იმდენი არაა, რომ გარდამტეხი ზეგავლენა მოახდინოს საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე.

## შრომით ემიგრანტთა დაბრუნების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და ეკონომიკური რეინტეგრაციის პოლიტიკა

შრომითი ემიგრაციის ეკონომიკური ასპექტით განხილვა სვამს მისი რეგულირების სტრატეგიულ ამოცანებს. ესენია: ემიგრაციული ნაკადის ინტენსიურობის ნორმალიზაცია, ემიგრაციის ლეგალიზაციის, ემიგრაციის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდა, თანამემამულეთა დაბრუნების პროცესის ხელშეწყობა, რემიტანსისა და სხვა სახსრების ეფექტიან გამოყენება საქართველოს ეკონომიკის რეაბილიტაციისა და განვითარებისათვის. დაბრუნების პრობლემით დაინტერესებულია იმიგრაციული ქვეყნების ხელისუფლებაც; იგი განსაკუთრებით გამოვლინდა ბოლო მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დროს. მეორე მხრივ, იგრძნობა ევროპის ქვეყნებიდან რეპატრიაციის პროცესის ჰუმანური გზებით განხორციელების დიდი სურვილი და მცდელობა, ე.წ. რეადმისიის

[28] დაბრუნებულ მიგრანტთა კვლევა. (კვლევის ანგარიში). თბილისი 2009. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თბილისი 2011.

ღონისძიებათა განხორციელებით, დაბრუნების პროცესისა და დაბრუნებულთა რეინტეგრაციის ხელშეწყობით.

2009-2011წწ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებით[29] მიღებული ინფორმაციის განზოგადებით, რომელიც დაბრუნებულ მიგრანტებს ეხებოდა, გამოვლინდა, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა შრომის ასაკისაა. ემიგრაციაში წასვლის მიზეზი ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება იყო, 6,5% კი წასული იყო სწავლის გასაგრძელებლად (მუშაობასთან შეთავსებით).

მათი დაბრუნების მიზეზები კი ასე ნაწილდება: ძლიერი ნოსტალგია -21,8%; ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები- 19,9%; სამშობლოში ბიზნესის დაწყების სურვილი -14,2%; იმიგრაციის ქვეყანაში სოციალურ გარემო პირობების შეუგუებლობა- 8% და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ დაბრუნებულების რეინტეგრაცია საქართველოს შრომის ბაზარზე ნელა მიმდინარეობს. მათი 55% უმუშევარია. დაბრუნებულთა ნაწილმა დაბრუნების შემდეგ სცადა საქართველოში მცირე ბიზნესის წამოწყება. დაბრუნებული კონტინგენტის მხოლოდ 15% მიაღწია ამას. ბიზნეს საქმიანობის სპექტრი საკმაოდ ფართოა, მაგრამ სჭარბობს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. უმეტესობისათვის ბიზნესის დაფინანსების ძირითადი წყარო უცხოეთში მუშაობისას დაგროვილი დანაზოგია(63%), აგრეთვე ბანკის კრედიტი(11%) და ახლობელთა დახმარება(9%).

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ მაღალი უმუშევრობისა და ოჯახის წინაშე მდგარი ეკონომიკური პრობლემების გამო დაბრუნებულთა 39,2 % კვლავაც აპირებს საზღვარგარეთ სამუშაოდ გამგზავრებას, რადგან ეს მიაჩნიათ მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის

---

[29] [29] დაბრუნებულ მიგრანტთა კვლევა. (კვლევის ანგარიში).კვლევის ხელმძღვანელი მ. ტუხაშვილი, თბილისი 2009. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. კვლევის ხელმძღვანელი მ. ტუხაშვილი, თბილისი 2011.

ყველაზე რეალურ გზად. ისინი უკვე კონკრეტულ გზებს სახავენ საზღვარგარეთ გასამგზავრებლად. კატეგორიულად გადაწყვეტილი აქვს სამშობლოში დარჩენა დაბრუნებულთა მხოლოდ მესამედს.

გამოკვლევით გამოვლინდა, რომ ბიზნესში ჩაბმულები თავიანთი პროექტების განხორციელებისას მნიშვნელოვან სირთულეებს აწყდებიან. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბიზნესის წამოწყების პროცედურა მაქსიმალურად გამარტივებულია, მათ გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერების გამო(17%). ყველაზე მეტად კი გამოყვეს მკაცრი მონოპოლიურობა და თავისუფალი კონკურენციის შეზღუდულობა(24%). რესპონდენტები მოითხოვენ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური ღონისძიებების გაძლიერებასა და ქმედუნარიანობის გაზრდას. მონოპოლიურობის უარყოფით გავლენას განსაკუთრებით ხაზს უსვამს ამ გამოკვლევების დროს ჰოლანდიაში(ჰრონინგენი) გამოკითხული 20 ქართველი იმიგრანტის დაბრუნების პირობების სპეციალური გაღრმავებული შესწავლა. მათი აზრით, სამშობლოში დაბრუნების სერიოზული შემაფერხებელი გარემოებაა ეკონომიკაში დამკვიდრებული არაჯანსაღი კონკურენცია, მონოპოლიზმი.

მიუხედავად ევროპულ სამეწარმეო გარემოში თავისებური ადაპტაციისა, თვით ბიზნესში ჩაბმულთა 9,8% მაინც უჩივის თავიანთ გამოუცდელობის და სათანადო ცოდნის უქონლობას, რომელიც საჭიროა ბიზნეს-საქმიანობისათვის და გამოთქვამს საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებსა და ბიზნესის სამართალში კვალიფიკაციის ამაღლებას სურვილს. ვფიქრობთ, ამ მიმართულებით ზრდასრულთა განათლების სისტემის სრულყოფა დადებით ზეგავლენას მოახდენს რეინტეგრაციის პროცესის დაჩქარებაზე.

მეტად საინტერესოა დაბრუნებულთა ეკონომიკური რეინტეგრაციაში ევროკავშირის მიერ განხორციელებული ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკული შედეგების შეფასება.

უკვე წამოწყებული 50 მოწონებული პროექტის მიმდინარეობა დადებითად ფასდება და გარკვეულ პერსპექტივას სახავს დაბრუნებულთა რეინტეგრაციის განხორციელების გზაზე. საჭიროა ამ პრაქტიკის უფრო ღრმა შესწავლა და განზოგადება.

საქართველოს შრომის ბაზარზე რეინტეგრაციის დაჩქარების ხელშემწყობი პირობა იქნება სწრაფად მზარდ სახელობო სასწავლებლებში მისაღებ კონტინგენტში დაბრუნებულთა პროფესიული ინტერესების გათვალისწინება, მომზადებასა და გადამზადებაში სახელმწიფო დახმარება მათთვის სპეციალური ვაუჩერის გამოყოფით.

# შიგა შრომითი მიგრაცია

ამჯერად ჩვენ დავახასიათებთ ქვეყნისშიგა ტერიტორიულ გადაადგილებებს და, მათ შორის, გამოვყოფთ დასაქმებისა და შემოსავლის მიღების მიზნით ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში საშოვარზე სიარულს. ამ შემთხვევაში განსხვავება ისაა, რომ არ ხდება ქვეყნის სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა და მასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევა. თუმცა მიგრაციის სტიმულები იგივეა.

საქმე ისაა, რომ ქვეყანაში სამუშაო ადგილები და სამუშაო ძალა, შრომითი რესურსები უთანაბროდაა განაწილებული, ერთგან შედარებით მეტია, მეორეგან კი- შედარებით ნაკლები. უფრო მეტიც, სამუშაო ძალის დასაქმების ეფექტიანობა, დასაქმებიდან შემოსავლები, თუნდაც ერთი და იგივე პროფესიის და კვალიფიკაციის მუშაკებისა, სხვადასხვა რეგიონში მკვეთრად განსხვავდება. ეს განსხვავებები იგრძნობა დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნებში:რუსეთი, კანადა, აშშ, ჩინეთი და ა.შ.

საქართველო მისი ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად შრომის მწარმოებლურობის დიდი დიფერენციაციით გამოირჩევა. იგი ე.წ. მრავალრეგიონიანი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. მსოფლიო მასშტაბით ასეთი პატარა ქვეყნის მრავალრეგიონიანობით გამოწვეული თავისებურებანი იშვიათია. ვერტიკალური ზონალობა, რთული მთიანი რელიეფი, ისტორიული ეთნიკური განსხვავებები ქმნიან ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებულ დემორეგიონებს, რთულ ადმინისტრაციულ სიჭრელეს, რომლებიც ეკონომიკური განვითარების დონით ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება. ეს ურბანიზაციის პროცესს ქვეყანაში თავის მკვეთრ კვალს აჩნევს, რაც მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის თავისებურებებში ვლინდება. ახალი ინვესტიციების ეფექტიანობაც მეტად განსხვავებულია ბარისა და მთის, რთული რელიეფისა და ვაკე რეგიონებში. ყოველივე ეს კი მიგრაციის სტიმულატორი ხდება. მიგრაცია შეიძლება იყოს მუდმივი, შესაძლოა დროებითი, შრომითი ხასიათის.

სამწუხაროა, რომ ამჟამინდელი სტატისტიკა უაღრესად მწირ ინფორმაციას იძლევა გადაადგილებულთა შესახებ. ეს ეხება როგორც მუდმივ შიგა მიგრაციას, ისე დროებით საშოვარზე წასულ, სხვა რეგიონში წასულ მიგრანტთა შესახებ

ინფორმაციას. ჯერჯერობით, ვერ დამკვიდრდა შიგა მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის წესი. საქმე ისაა, რომ საბჭოთა პერიოდში მკაცრად იყო რეგლამენტირებული ე.წ. საცხოვრებელ ადგილზე ჩაწერა–ამოწერის ინსტიტუტი. მუდმივი მიგრაცია აღირიცხებოდა ზუსტად ე.წ. ჩაწერა–ამოწერის მოსახევი ტალონის სტატისტიკურ ორგანოებში მოხვედრით. დროებითი მიგრაციის მონაცემებზე პასუხს აგებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები. ამჟამად იმ სისტემის არსებობა შეუძლებელია. ახალი წესები კი, რომელიც ავალდებულებს დროებით გადაადგილებულს გამოცხადდეს ამისათვის სპეციალურ სამსახურში და გააკეთოს განაცხადი თავისი ამ ტერიტორიაზე მეტნაკლები დროით ყოფნის თაობაზე აბსოლუტურად უმოქმედო აღმოჩნდა. არაა აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა რეალურად სანქცირებული. ამიტომ დროებითი შიგა შრომითი გადაადგილებანი მხოლოდ შერჩევითი კვლევით თუ გამოვლინდება. შეიძლება ითქვას, რომ მათი მიმდინარე ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს. ეს არ ნიშნავს, რომ უარი ვთქვათ ამ მოვლენის ანალიზზე. შიგა შრომითი გადაადგილებანი საქართველოში საკმაოდ ინტენსიური იყო და არის ამჟამადაც, იგი აღრიცხვასა და მართვას მოითხოვს.

პოსტსაბჭოთა პერიოდამდე ძლიერ ინტენსიური იყო საქართველო მთიანი რეგიონებიდან, როგორიცაა სვანეთი, რაჭა–ლეჩხუმი, აჭარის მთიანეთი და ა.შ. მოსახლეობის საშოვარზე წასვლა საქართველოს სხვა რეგიონებში. მაგალითად, რაჭის მამაკაცი მოსახლეობა, რომელთა შორის საკმაოდ დიდი იყო ხელოსანთა ხვედრითი წონა, სამუშაოდ იყო გასული მეტნაკლებად საქართველოს სხვა რეგიონებში, უმეტესად ბარის რეგიონებში. სეზონურ სასოფლო–სამეურნეო სამუშაოებზე ფართოდ იყო წარმოდგენილი სვანეთის მამაკაცი მოსახლეობა(აფხაზეთი, სამეგრელო, ქვემო იმერეთი და ა.შ.).

პოსტსაბჭოთა კრიზისის პერიოდში, როცა მასობრივი უმუშევრობა განვითარდა, რადიკალურად გაიზარდა როგორც საერთაშორისო, ისე შიგა შრომითი მიგრაციის მასშტაბები. სამთომომპოვებელი რეგიონების ეკონომიკის(ჭიათურა, ტყიბული და ა.შ.) ფაქტობრივი განადგურების გამო ადგილობრივი სამუშაო ძალის ნაწილი საზღვარგარეთ, ხოლო

ნაწილიც შიგა შრომით მიგრაციაში წავიდა, ისინი ძირითადად თბილისის, ქუთაისისა და ზღვისპირეთის ე.წ. არაფორმალურ შრომის ბაზრებზე გადანაწილდნენ. ეს პროცესი მარტო სამთომომპოვებელ რეგიონებს არ შეეხო. როგორც ჩანს თბილისში, ბათუმში, ფოთში და სხვაგან დიდი უმუშევრობის მიუხედავად მაინც აღმოჩნდა სამუშაო ადგილები, სადაც ჩასულმა სამუშაო ძალამ მნიშვნელოვანი კონკურენცია გაუწია ადგილობრივ მოსახლეობას. ჩამოსულები ცხოვრობენ ქირით და მუშაობენ მშენებლობებზე, მომსახურებისა და შედარებით ცუდი სამუშაო პირობების მქონე სამუშაოებზე და ამ შემოსავლით არჩენენ რეგიონებში დატოვებულ ოჯახებს. ბოლო ხანს ჭიათურასა და ტყიბულში წარმოების გამოცოცხლების ცდამ არსებითი ზეგავლენა ვერმოახდინა შრომით მიგრანტებზე, მათ რიცხოვნობაზე.

ბუნებრივია შრომითი მიგრაციის, შრომითი მიგრანტების სხვა რეგიონებში მუშაობა დაკავშირებულია გარკვეულ დამატებით დანახარჯებთან. მიგრაციას მაშინ აქვს ადგილი, როცა მიგრაციიდან შემოსავალი აჭარბებს გადაადგილებაზე დანახარჯებს. მიგრაცია შეიძლება განვიხილოთ, როგორც კაპიტალის ჩადება, რომელიც უნდა დაბრუნდეს უფრო მეტი ოდენობით. როგორც გამოკვლევებით დასტურდება საქართველოში სოფლელი შრომითი მიგრანტები სწრაფად ადაპტირდებიან ქალაქურ გარემოში, სოციალურად უფრო სრულყოფილ ორგანიზმში და დიდად არ განსხვავდებიან ადგილობრივი მოსახლეობისაგან.

შიგა შრომით მიგრაციას დიდი ზეგავლენა აქვს, საერთოდ, ნაციონალური და რეგიონული შრომის ბაზრების ფუნქციონირებაზე. მისი ფუნქციაა სამუშაო ძალის ტერიტორიული განაწილებით ჭარბი სამუშაო ძალის მქონე რაიონებიდან სამუშაო ძალის ნაკლებობის მქონე

რეგიონებში გადანაწილება, სამუშაო ძალის ტერიტორიულ განაწილებაში ტერიტორიული დისპროპორციულობის შერბილება. შედარებით დაბალი შრომის მწარმოებლურობის დარგებიდან უფრო პროგრესულში გადანაწილება, მოსახლეობის ტერიტორიული–დარგობრივი განაწილების სრულყოფა. ისინი შრომის ბაზრების კონიუნქტურის სრულყოფას, მიწოდება–მოთხოვნის დაბალანსებას უწყობენ ხელს.

რა ზეგავლენას ახდენს შრომითი მიგრანტი წასვლის რეგიონებზე? იგი ინარჩუნებს ადგილზე შინამეურნეობას, ოჯახს და აჩერებს ამ რეგიონის დეპოპულაციის პროცესს. ახერხებს არცთუ განვითარებული ბინის ბაზრის პირობებში ოჯახის საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას უკვე არსებული ბინის ფუნქციონირების სახით, ხელს უწყობს ქვეყანაში მოსახლეობის შედარებით თანაბარ განაწილებას და ქმნის რეგიონების ნორმალურ, დემოგრაფიული განვითარების საფუძველს. იმავდროულად არის გზა ოჯახის შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდისა.

<u>შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია</u>

ქანქარისებრი მიგრაცია საცხოვრებელ და სამუშაო დასახლებულ პუნქტებს შორის ყოველდღიური და მეტნაკლებად ხშირი გადაადგილებაა. ამ დროს სამუშაო ადგილამდე მისვლისას აუცილებლად უნდა გადაიკვეთოს ადმინისტრაციული ერთეულის საზღვარი. ტრასპორტის განვითარება ხელს უწყობს შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის განვითარებას. იგი თანამედროვე მსოფლიოსათვის დამახასიათებელი მოვლენაა და ჯერჯერობით დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობს. ქანქარისებრი მიგრაციის შემთხვევაში საცხოვრებელი ბინების ცვლილების გარეშე ხდება სამუშაო ძალის

მიწოდებისა და მოთხოვნის უფრო რაციონალური ტერიტორიულ–დარგობრივი პროპორციების სრულყოფა, მიწოდება–მოთხოვნის დაბალანსება. იგი დასაქმების ადგილზე ახალი ბინათმშენებ-ლობისათვის საჭირო უზარმაზარი ინვესტიციების დაზოგვის ხელშემწყობი მოვლენაა, მიუხედავად სატრანსპორტო გადაადგილებასთან დაკავშირებულ დანახარჯების ზრდისა, რაციონალური დასაქმების მიღწევის კარგი საშუალებაა.

როგორც მრავალი გამოკვლევა გვიჩვენებს მსოფლიო მასშტაბით ქანქარისებრი მიგრაციის ინტენსიურობა, მგზავრობის ხანგრძლივობა და სატრანსპორტო დანახარჯები ჯერჯერობით იზრდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ინტენსიური ურბანიზაციის ფაზაშია. მეგაპოლისების განვითარება შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის მაღალი ინტენსიურობის განვითარებას მოითხოვს. ამჟამად, განვითარებად ქვეყნებში დიდი ტემპით ვითარდება ურბანიზებული ზონები, ურბანიზებული რეგიონები, მეგაპოლისები, რასაც თან სდევს ურბანიზებულ არეალებში განლაგებულ დასახლებულ პუნქტებს შორის მოსახლეობის ყოველდღიური გადაადგილება სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, სამუშაოდ.

საქართველოსთვის შრომითი ქანქარისებრი მიგრაცია ახალი მოვლენა არაა. საბჭოთა პერიოდში ქანქარისებრი მიგრანტთა რაოდენობა 250 ათასს აჭარბებდა(1988), მათ შორის, ძირითადი იყო „სოფელი–ქალაქი“ მიმართულება(თითქმის 200 000). ეს მასა რომ ქალაქის მცხოვრები გამხდარიყო, ანუ ეცხოვრა იქ, სადაც იგი იყო დასაქმებული, მაშინ საქართველოს ქალაქის მოსახლეობა თითქმის ერთი მილიონით გაიზრდებოდა, რადგან ქალაქად ერთი დასაქმებული ძირითად ქალაქწარმომქმნელ დარგში 4–5 მოსახლეს(მოხუცებისა და ბავშვების

მოცვით) წარმოქმნის. ბუნებრივია, ქალაქების ზრდით გამოწვეული მრავალი პრობლემა, განსაკუთრებით, საბინაო პრობლემა კიდევ უფრო გამწვავდებოდა. ეს განსაკუთრებით შეეხება ქ. თბილისსა და საქართველოს დიდ ქალაქებს.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ეკონომიკურ ვითარებაში, როდესაც მრეწველობაში დასაქმებულთა რიცხოვნობა 5–ჯერ და მეტად შემცირდა, შრომით ქანქარისებრ მიგრანტებზე შრომის ბაზრის მოთხოვნა თითქმის შეწყდა. ქანქარისებრი მიგრაციაც შეწყდა. ამას დაემატა ტრანსპორტის, მგზავრობის რადიკალური გაძვირება და ოჯახის ბიუჯეტში ტრანსპორტზე დანახარჯების კოლოსალური ზრდა. ბოლო ათწლეულში ისევ დაიწყო შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის ინტენსიურობის ზრდა, თუმცა იგი ოდნავადაც ვერ გაუტოლდება კრიზისამდე, საბჭოთა პერიოდში არსებულ მასშტაბებს და ასახავს ეკონომიკის განვითარების თანამედროვე დონეს.

შრომითი ქანქარისებრი მიგრაციის შეფერხება შრომით მიგრანტთა მასის დასაქმების შეწყვეტითა და მათი მუდმივი ემიგრაციით(საქართველოს ქალაქებში ან უფრო მეტად, საზღვარგარეთ)გამოიხატა. სავარაუდოა, რომ მათგან ბევრი რუსეთის ფედერაციაში წავიდა დროებით ან მუდმივი მიგრაციის ფორმით.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა პერსპექტივა აქვს საქართველოში შიგა შრომით მიგრაციას? ქანქარისებრ მიგრაციას?

აქ აუცილებლად უნდა განვიხილოთ სამუშაო ძალის ტერიტორიული განაწილების მომავალი ტრანსფორმაცია და განსახლების სისტემის გარდაქმნა, საქალაქო განსახლების კარკასის განვითარება. ამის თაობაზე სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი კვლევები ჯერჯერობით არ მიმდინარეობს. ამას თავისებურად ხელს უშლის

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მწვავე პრობლემები. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ შიგა შრომითი მიგრაციის პრობლემა (ისევე, როგორც დევნილთა დაბრუნების, ორგანიზებული ჩასახლების პრობლემები) რამდენიმე ვარიანტდ მაინც უნდა წარმოვადგინოთ. განსახლების გენერალური სქემა, რომლის საფუძველი იქნება ქალაქწარმომქმნელ სამუშაო ადგილთა განლაგების სქემები, აუცილებლად გაითვალისწინებს რაციონალური მასშტაბის შიგა შრომით მიგრაციებს, რის გარეშეც განსახლების სისტემის ნორმალური ფუნქციონირება შეუძლებელია.

| | |
|---|---|
| სასწავლო კურსის სახელწოდება | **შრომითი მიგრაცია**<br>**Labour Migration** |
| ავტორი | პროფესორი მირიან ტუხაშვილი |
| ლექტორი | პროფესორი მ. ტუხაშვილი<br>ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი<br>მიმართულება–ეკონომიკა.<br>კათედრა–მაკროეკონომიკა<br>ქვემიმართულება – შრომის ეკონომიკა<br>ტ: 577599908; 227-08-40<br>E-mail: tuxamiri@yahoo.com |
| სასწავლო კურსის/ მოდულის კოდი | |
| სასწავლო კურსის სტატუსი | ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი<br>ბაკალავრიატი<br>სავალდებულო ეკონომიკის მიმართულების საბაკალავრო პროგრამის ,,შრომის ეკონომიკის“ მოდულის სტუდენტებისათვის. |
| კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად (ECTS) | • 5 ECTS კრედიტი – 125 სთ;<br>• სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები – 45 სთ;<br>• სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები – 80 სთ;<br>6-7 სთ შუალედური გამოცდის მოსამზადებლად;<br>8-10 სთ საბოლოო გამოცდის მოსამზადებლად;<br>2 სთ შუალედური გამოცდის ჩასაბარებლად;<br>3სთ საბოლოო გამოცდის ჩასაბარებლად;<br>58-61 სთ მასალის ათვისებისა და სემინარისა და პრაქტიკული მეცადინეობის მომზადებისთვის |
| სასწავლო კურსის მიზნები | კურსი სსწავლების მიზანია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე მიგრაციული პროცესის თეორიისა და მეთოდოლოგიის შესწავლა.<br>კურსის შინაარსი მოიცავს მიგრაციის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების ეკონომიკურ, სოციალური და გეოგრაფიული ასპექტების გაშუქებას სხვადასხვა ტერიტორიულ ტაქსონომეტრიულ დონეებზე.<br>კურსში შეისწავლება როგორც საერთაშორისო შრომითი მიგრაციული პროცესები, ისე შიგა შრომითი მიგრაციები, მათი მექანიზმები, რეგულირების ხერხები, მიგრაციული პოლიტიკა.<br>განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში ინტენსიური მიგრაციული პროცესების შესწავლას, რაშიც მთავარი ადგილი შრომით ემიგრაციას ეკუთვნის. სტუდენტები გაეცნობიან საქართველოში მიმდინარე |

| | |
|---|---|
| | შრომით მიგრაციულ პროცესებს, და შრომითი მიგრაციის ძირითად შედეგებს, თსუ მიგრაციის კვლევის ცენტრის მიერ განხორციელებული კვლევების მეთოდოლოგიას და ძირითად შედეგებს.<br>საბოლოო მიზანია შრომით მიგრაციაზე ცოდნისა და ემპირიული შესწავლის მეთოდოლოგიის ათვისების საფუძველზე მიგრაციის პოლიტიკის შემუშავება და გატარება. |
| დაშვების წინაპირობები | მაკროეკონომიკის პრინციპები |
| სწავლის შედეგები | შრომითი მიგრაციის სასწავლოკურსისდაუფლებითსტუდენტი იძენს თეორიულ ცოდნას მიგრაციული პროცესების შესახებ. იგი ეუფლება მიგრაციის პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკულ უნარ–ჩვევებს. სტუდენტი შეძლებს ეკონომიკური მოვლენები დაუკავშიროს შრომით-მიგრაციულ პროცესებს, მოახდინოს მიგრაციის მონიტორინგი და ხელი შეუწყოს სახელმწიფო მიგრაციულ პოლიტიკის პრაქტიკაში გატარებას. კურსი ხელს შეუწყობს შემდეგი<br>**ზოგადი კომპეტენციების** განვითარებას:<br>• ანალიზისა და სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, კონკრეტულ-სოციოლოგიური, სტატისტიკური და ზოგად სოციალურ-ეკონომიკურ მოვლენებზე დებატებში მონაწილეობის უნარი;<br>• ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევის კონკრეტული მეთოდების ანალიზისას კომპიუტერული პროგრამების გამოყენების უნარი, ინტერნეტ რესურსების მოძიებისა და სისტემატიზაციის, კვლევის პროგრამული უზრუნველყოფის უნარი;პრეზენტაციის უნარის;<br>• დამოუკიდებელი მუშაობის უნარი.<br>**დარგობრივი კომპეტენციები:**<br>**1.ცოდნადა გაცნობიერება**<br>• სტუდენტმა იცის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის მიზეზები, ძირითადი მიმართულებები და მისი სოციალურ-ეკონომიკური შედეგები; აგრეთვე, მისი გავლენა ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე;<br>• სტუდენტი ფლობს მიგრაციის რეგულირების ინსტრუმენტებსა და ზოგადი მიგრაციული და შრომით-მიგრაციული პროცესების ძირითად კანონზომიერებათა გამოვლენის მეთოდებს, ქვეყნის შიგა და საერთაშორისო გადაადგილების დონეზე იცის შრომითი მიგრაციის მართვის მექანიზმები და შესაბამისი პრიორიტეტული ღონისძიებები.<br>**2. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**<br>• ,,შრომით მიგრაციაში“ მიღებული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული ჩვევებით სტუდენტს შეეძლება, გამოავლინოს და ახსნას კონკრეტული მიგრაციული ნაკადის წარმოქმნის მიზეზები და დასახოს კონკრეტული გზები ნაკადის ოპტიმიზაციისათვის;<br>• გაიანგარიშოს რემიტანსის სიდიდე და შეაფასოს მისი როლი |

| | |
|---|---|
| | ქვეყნის, და მისი ცალკეული რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებაში;<br>• გაიანგარიშოს რემიტანსის გავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებზე;<br>• სტუდენტი შეძლებს მოსალოდნელი მიგრაციული პროცესების ან მიგრაციის ინტენსივობისა და მიმართულებების განსაზღვრას, მიგრაციული პოლიტიკის ზოგადი მექანიზმებიდან იმ რგოლის გამოყოფას, რაც კონკრეტულ ვითარებას შეესაბამება.<br>• გამოიყენებს ალტერნატიული ვარიანტის მოძებნის შემუშავებულ ხერხებს.<br>**3.დასკვნის უნარი**<br>• დაეუფლება და განიმტკიცებს როგორც ეკონომიკური, ისე სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს, მიგრაციის მართვის მექანიზმებს, შეუძლია კავშირების დადგენა მიგრაციულ პროცესებსა და ეკონომიკის განვითარებას შორის;<br>• შეძლებს ეკონომიკური განვითარების მაკრო და მიკროანალიზის ფონზე, მიგრაციული მონიტორინგის ინდიკატორებზე დაყრდნობით განაზოგადოს მიგრაციული პროცესების კანონზომიერებები, გამოავლინოს მათ შორის მთავარი და დაუდოს იგი საფუძვლად დასკვნას ეფექტიანი მიგრაციის პოლიტიკის<br>**4. კომუნიკაციის უნარი**<br>სტუდენტი შეძლებს:<br>• შრომითი მიგრაციის სფეროში არსებული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების დასაბუთების თაობაზე წერილობითი ანგარიშის მომზადებას და მის პრეზენტაციას;<br>• დასვას მიგრაციის პოლიტიკის ამოცანები, გადმოსცეს მათი დეტალური ანალიზი და ამაზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილებები მიგრაციული პროცესების მართვის სრულყოფის შესახებ მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივისათვის;<br>• შეეძლება ქვეყანაში მიმდინარე მიგრაციის პროცესების თაობაზე რეალური ინფორმაციის მიწოდება როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო საზოგადოებისათვის.<br>**5.სწავლის უნარი** - სტუდენტი სავარაუდოდ შეძლებს:<br>სტუდენტი შეძლებს:<br>• სწავლების პროცესში დასახული კონკრეტული მიზნისათვის საჭირო სიახლეების მოძიებას და დამოუკიდებლად შესწავლას;<br>• სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად, თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეაფასებას,გავლილი მასალის გაანალიზებას და შემდგომ ეტაპზე შესასწავლი, გასავლელი მასალების დაგეგმვას;<br>• სწავლების პროცესშითანამედროვე ინტერნეტ–რესურსების, უცხოური და ეროვნული სამეცნიერო ლიტერატურის აქტიურად გამოყენებას;<br>• საკუთარი ცოდნის თვითშეფასებას და საჭიროების შემთხვევაში სწავლის გაღრმავების აუცილებლობის განსაზღვრას.<br>**6. ღირებულებები** |

<table>
<tr><td></td><td>სტუდენტს ჩამოუყალიბდნება ხედვა მიგრაციის პოლიტიკის შესახებ.</td></tr>
<tr><td>სასწავლო კურსის შინაარსი</td><td>იხილეთ დანართი</td></tr>
<tr><td>სწავლების/სწავლის მეთოდები</td><td>სასწავლო პროცესის განსახორციელებლად ტარდება ყოველკვირეულად ლექცია 1 საათი, სემინარული მეცადინეობა –2 საათი. ძირითადად გამოყენებული იქნება სწავლების ინტერაქტიული მეთოდები:<br>ლექცია: წარიმართება ინფორმაციული ლექციის, პრობლემაზე დაფუძნებული ლექციის, ლექცია-დისკუსიისა და ლექცია-საუბრისმეთოდით, შესაბამისივიზუალური(სლაიდების)საშუალებებისგ ამოყენებით;<br>სემინარი: მასალის ცოდნის პერსონალური კონტროლი, ვერბალური მეთოდი, დისკუსია-დებატები, პრეზენტაცია.</td></tr>
<tr><td>შეფასების კრიტერიუმები</td><td>სწავლის შედეგის შეფასება განისაზღვრება თსუ–ში მოქმედი ზოგადი წესით
<table>
<tr><td>აქტივობა სემინარზე</td><td>40</td></tr>
<tr><td>შუალედური გამოცდა</td><td>20</td></tr>
<tr><td>საბოლოო გამოცდა</td><td>40</td></tr>
<tr><td>სულ</td><td>100</td></tr>
</table>
1. აქტივობა სემინარზე– 40 ქულა.<br>
შედგება მოცემულ თემაზე ზეპირი პრეზენტაციების, კონკრეტულ დავალებათა ზეპირი პრეზენტაციების, კონკრეტულ დავალებათა ზეპირი პასუხების, დასმულ პრობლემაზე დისკუსიაში მონაწილეობის, მიხედვით. მაქსიმუმ 4 ქულამდე ერთ მეცადინეობაზე.<br>
2. შუალედური გამოცდა – 20 ქულა.<br>
ერთქულიანი ტესტებისა და კონკრეტული ამოცანების მიხედვით<br>
3. საბოლოო გამოცდა – 40 ქულა.<br>
ტარდება ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით.<br>
კომპიუტერზე გამოცდა მოიცავს 40 ტესტს 1 ქულიანი შეფასებით.<br>
სტუდენტის საბოლოო შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით.<br>
საბოლოო შეფასება:<br>
”ფრიადი”(A) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 91-100;<br>
”ძალიან კარგი”(B) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 81-90;<br>
”კარგი”(C) – სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 71-80;</td></tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ”დამაკმაყოფილებელი”(D) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 61-70;<br>”საკმარისი”(E) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 51-60;<br>”ვერ ჩააბარა”(FX) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 41-50;<br>”ჩაიჭრა”(F) - სემესტრული შეფასებების ქულათა ჯამი 0-40.<br><br>**საბოლოო გამოცდაზე დაშვების მინიმალური ქულაა - 11.** |
| ძირითადი ლიტერატურა | რიდერი ,,შრომითი მიგრაცია“, თსუ, მიგრაციის კვლევის ცენტრი. 2017. გვ.318 |
| დამხმარე ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა | • მიგრაციის სახელმძღვანელო.(2017). მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი, საქართველო.<br>• საქართველოში მიგრანტების დაბრუნებისა და სარეინტეგრაციო დახმარების სისტემა (2017). თბილისი.<br>ტუხაშვილი მ. (2009). მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის ახალი მიგრაციული პოლიტიკა. თბილისი.<br>• შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში(2013). თბილისი.<br>• ჭელიძე ნ.(2006). შრომითი ემიგრაცია პოსტსაბჭოთა საქართველოდან.<br>• ჟურნალი მიგრაცია. #1,2,3,4,5,6,7,8. თსუ. თბილისი<br>Martin Philip, Manolo Abella and Christiane Kuptsch. 2006.<br><br>**web რესურსები:**<br>http://www.demostudy.ru/library/<br>www.migrationinformation.org<br>www.migrationpolicy.org<br>www.iom.int<br>და ა. შ.<br>ლიტერატურა ხელმისაწვდომია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ასევე თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში |
| დამატებითი ინფორმაცია /პირობები | კონსულტაციების ჩატარების ადგილი: მიგრაციის კვლევის ცენტრი, თსუ, მაღლივიკორპუსი, ოთახი 514. სტუდენტებთან კონსულტაციები გაიმართება ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებული ცხრილის საფუძველზე. |

# სავალდებულო გასაცნობი მასალა

## მ. ტუხაშვილი. მიგრაციული ექსპანსიის დასასრული და რუსეთის „ახალი მიგრაციული პოლიტიკა“

### წ ი ნ ა თ ქ მ ა

ცივი ომის დასრულებამ და სსრკ დაშლამ უდიდე-სი პოლიტიკური ძვრა გამოიწვია მსოფლიოში. იმპერი-ალისტურმა ძალებმა, რომელთაც მტკივნეულად განი-ცადეს მათთვის კონცეპტუალურად მიუღებელი და პრაგმატულად სრულიად უცხო პროგრესული ვითარე-ბის დამკვიდრება, თავისი რეაქციულ-კონსერვატული ბუნების გამო ხელი შეუშალეს ახალი პოსტკომუნისტუ-რი სახელმწიფოების მშენებლობას. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა რუსული იმპერიალიზმის საქართველო-სადმი ქმედებაში, რაც ჯერ ფარულად აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების ინ-სპირირებასა და შემდეგ კი საქართველოს ოკუპაციის მცდელობაში გამოვლინდა.

მიგრაციული ექსპანსია რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობიდანვე საუკუნეთა განმავლობაში რუსეთის ექსპანსიური პოლიტიკის ნაწილი იყო და რუსების დე-მოგრაფიული ზრდის პირობებში წარმატებით ხორცი-ელდებოდა დაპყრობილ ტერიტორიებზე. XX საუკუნის მეორე ნახევარში დემოგრაფიული ვითარების შეცვლამ კი მნიშვნელოვნად შეარყია ჩამოყალიბებული ეთნოდე-მობალანსი, რამაც თავისებური ზეგავლენა მოახდინა რუსეთში შემდგომ პოლიტიკურ ვითარებაზე.

ბუნებრივია, აღნიშნულ პრობლემაზე ფიქრისას ჩვენს მიზანს სრულებითაც არ წარმოადგენს დემოგრა-ფიული კრიზისის გამო რუსეთის ჭირისუფლობა, რომ არ იყოს იგი დაკავშირებული

საქართველოს დემოგრა-ფიულ და ეკონომიკურ მომავალთან. რუსეთში იმყოფე-ბა მრავალი ჩვენი თანამემამულე, ვისაც ამჟამად პირდაპირ ეხება რუსეთის მიგრაციული პოლიტიკა. ჩვენ ვიმე-დოვნებთ, რომ ურთიერთობათა ნორმალიზაციის შემ-დგომ საქართველოსათვის რუსეთი კვლავაც იქნება მო-სახლეობის ნაწილის დასაქმების ადგილი, ეს არანაკ-ლებ საჭირო და მომგებიანია თვით რუსეთისთვისაც.

ამ ნარკვევში ასახულია ძირითადი შედეგი რუსე-თის მიგრაციული ექსპანსიისა, რაშიც ბოლო ორი საუ-კუნის განმავლობაში საქართველოც იყო მოქცეული. ავ-ტორი მომსწრე და, ნაწილობრივ, მონაწილეცაა რუსე-თის სამეცნიერო წრეებში ზემოაღნიშნულ თემაზე სხვა-დასხვა მოსაზრებების ფორმირებისა და მის გარშემო ცხარე დებატებისა.

მიგრაციული ექსპანსიისა და «ახალი მიგრაციული პოლიტიკის» მსოფლიოში ცნობილ მკვლევრებში (ა. ვიშნევსკი, ვ. მუკომელი, ვ. ზაიონჩკოვსკაია, ლ. რიბა-კოვსკი, ს. გრადიროვსკი, ვ. მოისეენკო, ვ. ელიზაროვი და ა.შ.) არიან დემოკრატებიცა და შოვინისტ-კონსერვა-ტორებიც. ვერ გავიზიარებთ მავანთა შეხედულებას რუ-სეთში დემოკრატიული აზრის არარსებობის თაობაზე. თუმცა რუსეთის მილიტარისტული პოლიტიკური ელიტა, რომლის ფორმირებაში პრეზიდენტ ვ. პუტინის დამსახურება დიდია, ადვილად ეგუება ისეთ ექსტრე-მისტთა «მსოფლმხედველობას» და «იდეოლოგიას», რო-გორიც, მაგალითად, ა. დუგინი, ა. მიგრანიანი და ლ. ჟი-რინოვსკია. ვ. პუტინის მმართველობის პერიოდში ბ. ელცინის პერიოდთან შედარებით პოლიტიკურ ელიტა-ში მეცნიერთა წილი ხომ 2,5-ჯერ (52,5%-დან 20,9%-მდე) შემცირდა, ხოლო სამხედრო მოსამსახურეთა წი-ლი თითქმის ამდენჯერვე (11,2-დან 25%-მდე) გაიზარდა.

ასეთ გარემოში საუკუნოებრივი მიგრაციული ექ-სპანსიის პოლიტიკაზე უარის თქმა არც ისე ადვილი იყო. მაგრამ რუსეთის დემოგრაფ-მიგრანტოლოგთა ხან-გრძლივმა დაწოლამ ხელისუფლებაზე და აკადემიურმა «შტურმმა» ვ. პუტინზე თავისი შედეგი გამოიღო. და

სამწუხაროდ, რუსეთის დემოკრატია ჯერჯერო-ბით ვერ მოერია საუკუნეებით მყარად ჩაბუდებულ იმ-პერიალისტურ ინერციას და ვერ გაუმკლავდა ნეოიმპე-რიალისტურ სამხედრო-პოლიტიკურ მანქანას. ახალი გეოსტრატეგიული პარადიგმა: «მიწების შეკრებიდან - ხალხების შეკრებისაკენ», რასაც ახალი რუსეთის მშე-ნებლობაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ბევრი იქაუ-რი მეცნიერი, საქართველოს სრული ოკუპაციის მცდე-ლობის შემდეგ გაუფერულდა და მრავალი უპასუხო კითხვა დატოვა.

ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები თანდათან დაიძლევა, საქარ-თველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, რუ-სეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდე-ბა. რუსეთის შრომის ბაზარი კი იქცევა ცივილიზებულ საერთაშორისო შრომის ბაზრად, სადაც სამუშაო ძალის ექსპორტი საქართველოდან მეტად ხელსაყრელი გახდე-ბა ორივე ქვეყნისათვის.

1 Прошлое и настоящее демографии. Москва, «Статистика», 1980, с.69.

Ключевский В.О. Русская история. Польный курс лекции.Лекция вторая. http://www.bibliotekar.ru/rusklush/2htm.

## მიგრაციული ექსპანსია _ რუსეთის სახელმწიფოს საფუძველი

ისტორიულად, რუსი ეთნოსის განვითარებაში ექ-სტენსიურ გზას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. კი-ევის რუსეთის სლავი

მოსახლეობა ჩრდილოეთის ექ-სპანსიის დროს იერთებდა ადგილობრივ ეთნოსებს და თანდათან იკავებდა ზემო ვოლგის, ოკის, ვიატკის, ჩრდილოეთ დვინის, ონეგის ტბის მიმდებარე ტერიტო-რიებს, აგრეთვე, უფრო სამხრეთით მდებარე ტყე-სტე-პისა და სტეპის მიწებს, საიდანაც თათარ-მონღოლებმა რამდენიმე საუკუნით შეავიწროვეს. მე-16 საუკუნიდან კი იწყება რუსეთის მიერ განხორციელებული ინტენსი-ური კოლონიზაციის პროცესი. ამას წინ უძღოდა კაზაკობის ფორმირება და ერმაკისა და ივანე მოსკვიტინის ლაშქრობები აღმოსავლეთით, აგრეთვე, სამხრეთით საზღვრების პერმანენტული გადაწევა. არაერთ მკვლე-ვარს მოჰყავს ცნობილი რუსი ისტორიკოსის, ვ. კლიუ-ჩევსკის ფრაზა: რუსეთის ისტორია- ესაა განუწყვეტ-ლად კოლონიზებადი ქვეყნის ისტორია.

კოლონიზაციის პროცესი მეტად ინტენსიური გახ-და XIX საუკუნეში, განსაკუთრებით, ბატონყმობის გა-უქმების შემდგომ. საუკუნის მანძილზე რუსეთის ცენ-ტრიდან ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში საცხოვ-რებლად გადასახლებულთა რაოდენობა 5 მლნ-ს აჭარკასიაში - 8 მლნ-ზე მეტს.

მიგრაციული ექსპანსიის წარმატების საფუძველს ქმნიდა რუსი მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, რაც სახელმწიფოს სიმძლავრის ერთ-ერთ მთა-ვარ ფაქტორად იყო მიჩნეული. ჯერ კიდევ 1761 წელს მ.ვ. ლომონოსოვმა სპეციალური ტრაქტატი მიუძღვნა რუსი ერის დემოგრაფიული ზრდის პრობლემას (О сохранении и размножении российского народа), ხალ-ხის გამრავლებაში ხედავდა იგი სახელმწიფოს სიდია-დეს, სიმძლავრეს და სიმდიდრეს.

XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთში ქალი საშუა-ლოდ 7 ბავშვს აჩენდა, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყვე-ლაზე მაღალი მაჩვენებელი

იყო.4 დიდი დემოგრაფიუ-ლი ზრდა ქმნიდა ცენტრიდანულ მიგრაციულ ნაკა-დებს, რითაც უზარმაზარი სივრცე იქნა ათვისებული. იმის გამო, რომ რუსეთის მიერ დაპყრობილი ტერიტო-რიების მოსახლეობის უმეტესობას არ ჰქონდა ძლიერი სახელმწიფოებრიობა, კულტურა და ცივილიზაციაც შე-დარებით დაბალ დონეზე იდგა, ასიმილაციის პროცეს-ში ისინი თანდათან ითქვიფებოდნენ რუსულ ეთნოსში. გარეგნული ბიოლოგიური ნიშნებისა და ზოგი ეთნიკუ-რი ნიშნის შენარჩუნებისასაც კი ისინი, ფაქტობრივად, რუსდებოდნენ, რაც სახელმწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა. როგორც ცნობილი რუსი მიგ-რანტოლოგი ლ. რიბაკოვსკი წერს, «ამჟამად არ არსებობს რუსი, რომელიც არ იყოს შერეული ვიღაცასთან: უკრაინელთან, თათართან, მორდველთან, ავართან და სხვასთან».5 ...უნდა დავეთანხმოთ იმ ფაქტს, რომ ჩვენ ყველა უკვე დიდი ხანია, გვარიანად აღრეულები ვართ».

რუსეთის სახელმწიფოს გაფართოება, რაც ინტენ-სიურად დაიწყო უკრაინის მიერთების, ასტრახანისა და ყირიმის სახანოს განადგურების შემდეგ, მიმდინარეობ-და დაპყრობილი ტერიტორიების დემოგრაფიული ათ-ვისების ნიშნით. ცენტრალური რუსეთის დემოგრაფიუ-ლი ნაზრდი თანდათან იკავებდა ახლომახლო ტერიტო-რიებს. კოლონიზაცია სხვადასხვა მხარეში განსხვავებუ-ლი ტემპით მიმდინარეობდა იმის გამო, რომ წინააღ-მდეგობა ტერიტორიული ექსპანსიის დროს სხვადასხვა იყო. აღმოსავლეთის მიმართულებით არსდებოდა ქა-ლაქები, ძირითადად, სამხედრო და ადმინისტრაციუ-ლი ცენტრების სახით, აგრეთვე, სავაჭრო და სახელოს-ნო ფუნქციებით. როგორც ცნობილი მკვლევარი ვ. კოზ-ლოვი წერს, «ასეთ ქალაქებში ადგილობრივი და სხვა მოსახლეობის (არარუსი _ მ.ტ) ჩამოსვლა და

დასახლება ხშირად ადმინისტრაციული აკრძალვებით იყო შეზღუდული».

რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ სახელ-მწიფო სრული შესაძლებლობით ახორციელებდა მთე-ლი აზიური სივრცის კოლონიზაციას.

საქართველოში რუსების ინტენსიური იმიგრაცია 1830-იანი წლებიდან დაიწყო. იქამდე მიმდინარეობდა სამხრეთ კავკასიის დაპყრობა. პერმანენტულ საომარ ვი-თარებაში ჩამოსახლების პროცესი აქტიურად ვერ ხორ-ციელდებოდა. პირველად შეიქმნა ე.წ. სამხედრო სოფ-ლები. 15 წლიანი სავალდებულო სამსახურის მოხდის შემდეგ ჯარისკაცები სახლდებოდნენ სახაზინო მიწებ-ზე. XIX საუკუნის ბოლოს რუსების წილმა საქართვე-ლოს მთელ მოსახლეობაში 5,3%-ს მიაღწია.8 საქართვე-ლოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მათი წილი ძლიერ შემცირდა. ხოლო გასაბჭოების პირველივე წლებში საქართველოდან წასული რუსების ნაწილი უკანვე შემობრუნდა.

სსრკ შექმნის შემდეგ რუსების მიგრაციული ექ-სპანსია არნახული ინტენსიურობით გაჩაღდა. მეორე მსოფლიო ომამდელი ხუთწლედების სტრატეგიულ ამოცანად გამოცხადდა ე.წ. განაპირა მხარეების ეკონო-მიკური ჩამორჩენის დაძლევა მათი დაჩქარებული სამ-რეწველო განვითარების გზით. ამ გრანდიოზული კამ-პანიის დროს სრულებითაც არ იყო გათვალისწინებუ-ლი ავტოქთონური მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული სტრუქტურის ცვლილებები. უფრო მეტიც, რუსე-თის საუკუნეობრივი მიგრაციული ექსპანსიის პოლი-ტიკა სრულიად ახალ მასშტაბს იძენდა, რის შედეგადაც რუსეთის ფარგლებს გარეთ ათეულ მილიონობით სლა-ვური წარმოშობის მოქალაქე (რუსი ან კულტურულად გარუსებული) გადასახლდა. ამ ამოცანის განხორციელე-

ბის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სახელმწიფო საკო-ლონიზაციო (მაშინ ტერმინი «მიგრაცია» არ იყო დამ-კვიდრებული – მ.ტ.) სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუ-ტი, რომლის შრომების I ტომში აღნიშნულია: «თანა-მედროვე საბჭოთა კოლონიზაცია არის სსრკ მშენებლო-ბის საერთო სახელმწიფო გეგმით განსაზღვრულ დაუ-სახლებელ და მცირედასახლებულ რაიონებში მიწის ფართისა და მეურნეობის ორგანიზაცია».

კოლონიზაციის პროცესი მიმდინარეობდა რუსი მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული მატების პირო-ბებში. როგორც ფრენკ ლორიმერი შენიშნავს, აღნიშნულ პერიოდში სსრკ რუსი მოსახლეობა 27,3%-ით გაიზარ-და, მაშინ როცა სსრკ მთელი მოსახლეობის ზრდა მხო-ლოდ 15% იყო.

მოსახლეობის აღწერების მიხედვით, 1926-1939წწ. პერიოდში რსფსრ-ში რუსი მოსახლეობის წილი მთელ მოსახლეობაში 77,8%-დან 83,4%-მდე გაიზარდა, ყაზა-ხეთში კი– 19,7%-დან 40,3%-მდე, თურქმენეთში– 8,2%-დან 18,6%-მდე, ტაჯიკეთში– 0,7-დან 9,1%-მდე, ყირგი-ზეთში– 11,7%-დან 20,8%-მდე, აზერბაიჯანში– 9,5%-დან 16,5%-მდე, საქართველოში– 3,6%-დან 8,7%-მდე, მათ შორის: აფხაზეთში_ 6,2%-დან 19,3%-მდე, აჭარაში_ 7,7%-დან 15%-მდე. მიგრაციული ექსპანსიის შედეგია, რომ ყაზახები 1897 წლის აღწერით თავიანთ ეთნიკურ ტერიტორიაზე სამ მეოთხედზე მეტნი იყვნენ, 1936 წელს კი– 57,1%, 1939 წელს– 38%, 1959 წელს– 29,8%.

ჩასახლება ძირითადად ქალაქად ხდებოდა. იქ ეთ-ნიკური რუსობა იყო დემოგრაფიულად გაბატონებუ-ლი. მიმდინარეობდა ადგილობრივი ქალაქების ტოტა-ლური რუსიფიკაცია. ამ ჩასახლებებმა არსებითი გავ-

ლენა მოახდინა ქალაქების ეთნობალანსზე როგორც ყა-ზახეთსა და შუა აზიაში, ისე კავკასიაში, აგრეთვე, უკ-რაინაშიც. მაგალითად, 1931 წელს ამიერკავკასიის ქა-ლაქებში სხვა რესპუბლიკებიდან საცხოვრებლად ჩამო-სულთა 46%, ძირითადად, რუსეთიდან იმიგრირებუ-ლებზე მოდიოდა, უზბეკეთში_ 72%, თურქმენეთში– 71%. ასეთი პოლიტიკის შედეგად 1939 წელს ალმა-ატა-ში რუსია ქალაქის მოსახლეობის 72,2%, მაშინ, როცა ყა-ზახია_ მხოლოდ 11,2%; ფრუნზეში რუსია 65,6%, ყირ-გიზი–მხოლოდ 6,6%; აშხაბადში რუსია 61,9%, თურქმე-ნი კი_ მხოლოდ 11,7%; სტალინაბადში რუსია 57,3%, ტაჯიკი– 12%. თვით ბაქოში, აზერბაიჯანში ავტოქტო-ნური მოსახლეობის ძლიერ სწრაფი ზრდის პირობებში, რუსები ჭარბობენ აზერბაიჯანელებს. თბილისში რუსე-ბის წილი საკმაოდ მაღალი - 18%-ია.

ფრენკ ლორიმერს თავის გამოკვლევაში ზედმი-წევნით აქვს აღწერილი ის პოლიტიკა, რომელიც მიმარ-თული იყო მიგრაციული ექსპანსიის ინტენსიფიკაციი-სათვის: უფასო ბინების, მაღალი ხელფასების, შეღავა-თიანი კრედიტების, სხვადასხვა სახის უფასო მომსახუ-რების, თანამედროვე სკოლების, განვითარებული ინ-ფრასტრუქტურის და ა.შ. სახით. ამ პოლიტიკის გან-ხორციელებას ხელი შეუწყო ურბანიზაციის მაღალმა ტემპმაც. 1927-1938 წწ. სსრკ-ში სოფლიდან ქალაქად გა-დასახლდა 23 მლნ კაცი14. მათ შორის, მნიშვნელოვანი ნაწილი _ ცენტრალური რაიონების სოფლებიდან პერი-ფერიულ ქალაქებში.

მეორე მხრივ, აღნიშნული პერიოდი ცნობილია რუსეთსა და უკრაინაში მასობრივი შიმშილობით, რაც გამოიწვია ამ რესპუბლიკებში საშინელმა მოუსავლია-ნობამ და ტოტალური ტრანსფორმაციების ვითარებაში სხვადასხვა რეგიონში დაშვებულმა პოლიტიკურმა და

ეკონომიკურმა შეცდომებმა. სხვადასხვა შეფასებით, ამ დროს 2-7 მლნ მცხოვრები გაწყდა. დამშეულთა დიდი მასა კი მოაწყდა სსრკ აზიური ნაწილის ქალაქებს, სა-დაც იმ დროს ადგილობრივი მოსახლეობის არამრეწვე-ლური ტრადიციებისა და ნაკლებმობილურობის გამოვერ კომპლექტდებოდა მრეწველობაში ახლად შექმნი-ლი სამუშაო ადგილები.

მიგრაციული ექსპანსიის ნაწილი იყო მეორე მსოფლიო ომამდე განხორციელებული ცნობილი დე-პორტაციები, მათ შორის, უკრაინელი და რუსი მოსახ-ლეობისაც. მარტო 1930-1931 წლებში იძულებით გადაა-სახლეს 2 მლნ-ზე მეტი მცხოვრები, მათ შორის კულაკობა.

ამრიგად, მეორე მსოფლიო ომამდელი პერიოდი იყო მიგრაციული ექსპანსიის საუკუნოვანი პოლიტიკის გაგრძელება ახალ პირობებში, სსრკ მოკავშირე რესპუბ-ლიკებში რუსი (სლავური) მოსახლეობის ტოტალური ჩასახლების პერიოდი, რის საფუძველსაც მათი დიდი დემოგრაფიული ზრდა იძლეოდა. რუსული ეთნოსის ცხოვრებაში მიგრაციის განსაკუთრებულ ადგილზე ხაზგასმით მიუთითებს მრავალი მკვლევარი, თუმცა საბჭოთა პერიოდში მიგრაციული ექსპანსიის ნამდვილ მიზანს იმ დროისათვის ღიად მხოლოდ საზღვარგარეთ აღნიშნავდნენ.

მეორე მსოფლიო ომმა სსრკ მოსახლეობის მნიშ-ვნელოვანი ნაწილი მოსპო (26-27მლნ), დემოგრაფიულ-მა დანაკარგმა 50 მლნ-ს გადააჭარბა.18 რუსულმა ეთ-ნოსმა უდიდესი დემოგრაფიული ზარალი განიცადა მოკავშირე რესპუბლიკებში ომის დროს ევაკუირებული მოსახლეობის ნაწილი საცხოვრებლად ადგილზე ჩარჩა და კიდევ უფრო გაზარდა რუსების წილი ამ რესპუბ-ლიკების მოსახლეობაში. მეორე მხრივ, ომის შემდგომ პერიოდში მცირეშვილიან ოჯახზე დემოგრაფიული გა-დასვლა აჩქარებულად მოხდა. თანაც გაჩნდა

მიგრაციუ-ლი ექსპანსიის ახალი მიმართულებებიც შემომტკიცე-ბული ბალტიის რესპუბლიკების, აღმოსავლეთ პრუსი-ის, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის სახით. რუსული მიგრაციული ექსპანსიის მნიშვნელო-ვან მიზანს ყაზახეთის დემოგრაფიული ათვისებაც წარ-მოადგენდა. დაიწყო აღნიშნულ რეგიონებში რუსების ინტენსიური ჩასახლება. კალინინგრადის ოლქი (ყოფი-ლი აღმოსავლეთი პრუსია, ქ. კენიგსბერგი) მეზობელ რესპუბლიკებს კი არა, რსფსრ-ს მიაკუთვნეს და რუსები ჩაასახლეს.19 აქაც ნათლად გამოჩნდა რუსეთის მიგრა-ციული ექსპანსიის მიზანი. ყაზახეთში 1959 წელს რუ-სები 12,7 პროცენტული პუნქტით ჭარბობენ ყაზახებს, ქალაქის მოსახლეობაში ყაზახი მხოლოდ 16,7%-ია. თუ 1926 წელს რსფსრ-ს ფარგლებს გარეთ სხვა რესპუბლი-კებში მხოლოდ 5,1 მლნ რუსი ცხოვრობდა, 1959 წელს 16,2 მლნ-ს გადააჭარბა, 1970 წელს კი– 21,3 მლნ-ს.20 ომისშემდგომ პერიოდში კიდევ უფრო სწრაფად ხდე-ბოდა რუსეთის ფედერაციის ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქების, მხარეებისა და ოკრუგების რუსიფიკა-ცია. მაგალითად, 1926 წელს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტო-ნომიურ რესპუბლიკაში რუსი მხოლოდ 2,6% იყო, 1959 წელს_ თითქმის ნახევარი (49%). იაკუტიაში რუსი 1926 წელს მხოლოდ 10,4% იყო, 1959 წელს– 47,3%, კომის ასსრ-ში რუსი 1926 წელს მხოლოდ 6,6% იყო, 1959 წელს_ 48,6% და ა.შ. აღნიშნულ ავტონომიურ რესპუბ-ლიკებში მათ ბევრად გადააჭარბეს მკვიდრ ეთნიკურ ჯგუფებს.ამ პერიოდისათვის რსფსრ-ში რუსების დემოგრა-ფიული ზრდა უკვე ვეღარ სწვდებოდა მასობრივ მიგრა-ციას ყველა მიმართულებით. მაინც მოახერხეს და ფაქ-ტობრივად გარუსდა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოცი-ალისტური რესპუბლიკა (შეიქმნა 1940 წელს), იგი კარე-ლიის ავტონომიურ რესპუბლიკად გადააქციეს (1956წ.). ბალტიისპირა რესპუბლიკებში და

უკრაინაში სწრაფად იზრდებოდა რუსი მოსახლეობის წილი. რაც შეეხება დანარჩენ რესპუბლიკებს, 60-იან წლებში ადგილობრი-ვი მკვიდრი მოსახლეობის სწრაფი დემოგრაფიული მა-ტების (შუა აზიის რესპუბლიკები), ან რუსი მოსახლეო-ბის ემიგრაციის დაწყების გამო (საქართველო, აზერბაი-ჯანი, სომხეთი) - ამ ეროვნების წილმა მთელ მოსახლეობაში თანდათან კლება იწყო. საქართველოდან რუსი მოსახლეობის ემიგრაციუ-ლი პროცესები 1950-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეიმჩნევა და იგი სხვადასხვა ინტენსიურობით მიმდი-ნარეობს დღემდე. ემიგრაციულ ნაკადში შეიმჩნევა ე.წ. რუსულენოვანი (კულტურულად გარუსებული უკრაი-ნელები, ბელორუსები და სხვ.) ეროვნულ უმცირესობათა გაზრდილი წილიც.იმის მიუხედავად, რომ მაშინდელი საქართველოს ხელისუფლება ხელს უწყობდა რიგ ეროვნულ უმცირე-სობათა კომპაქტური დასახლების ადგილებში მათსავე ენაზე განათლების პროცესს (ოსური, აფხაზური, სომ-ხური, აზერბაიჯანული, ბერძნული, და სხვა სკოლები), მაინც დიდი იყო რუსული სკოლებისაკენ მისწრაფება, რადგან რუსულ ენაზე განათლება გარკვეულ უპირატე-სობას იძლეოდა სხვადასხვა ნომენკლატურული თანამ-დებობების დასაკავებლად. ამასთან ერთად, ფართო გზას უხსნიდა ამ ეროვნების წარმომადგენლებს სსრკ მთელ სივრცეში უმაღლესი განათლებისა და შემდგომი კარიერისათვის.

ამავე პერიოდში მთავრდება განაპირა ნაციონა-ლური რეგიონების ეკონომიკური გამოთანაბრების პო-ლიტიკა და დიდი აქტიურობით იწყება რსფსრ ცენტრა-ლური რაიონებისა და აღმოსავლეთის რთული კლიმა-ტური პირობების მქონე რეგიონების ეკონომიკური აქ-ტივიზაცია. რუსეთი თანდათან ხდება შრომითი რე-სურსების თვალსაზრისით სამუშაო ძალის დეფიციტის მქონე რესპუბლიკა. მას უკვე აღარ ჰყოფნის

თავისი შრომითი რესურსები. მიუხედავად ამისა, ყაზახეთის, შუა აზიის და, განსაკუთრებით, ბალტიისპირეთის რეს-პუბლიკების რუსი და რუსულენოვანი დიასპორის გან-მტკიცების პოლიტიკა დღის წესრიგიდან არ იხსნება. რუსი მოსახლეობის რიცხოვნობა ბალტიის რესპუბლი-კებში მატულობს. ამას ხელი შეუწყო იქ შექმნილმა ცხოვრების შედარებით მაღალმა დონემ და კულტურამ. მეორე მხრივ, ბალტიის ქვეყნებში მკვიდრი მოსახლეო-ბის დეპოპულაცია, შრომითი რესურსების დეფიციტიდა ახალი სამუშაო ადგილთა მატება იმიგრაციის ხელ-საყრელ ნიადაგს ქმნიდა.

1960-იან წლებში სსრკ-ში დაიწყო დემოგრაფიუ-ლი ბალანსის მნიშვნელოვანი ცვლილება. ეროვნებათა «დემოგრაფიული გადასვლის» სხვადასხვა ეტაპზე დგომამ რუსი მოსახლეობის წილის შემცირების გარდა-უვალობა გამოკვეთა.

1970-იან წლებში უკვე ინტენსიურად დაიწყო სსრკ ცენტრალურ ხელისუფლებაში ფიქრი მიმდინარე ეთნი-კურ პროცესებზე. «ეროვნებათა დაახლოების» პოლიტი-კა, რომელიც, ფაქტობრივად, გარუსების პოლიტიკას წარმოადგენდა, ამისათვის ახალ-ახალ გზებს ეძებდა. ამ პერიოდში გაჩნდა «ახალი თეორია» «საბჭოთა ხალხის» შესახებ. «კლასიკური» განმარტებით, იგი იყო «ახალი ისტორიული, სოციალური და ინტერნაციონალური ერ-თობა ხალხისა, რომელსაც ჰქონდა ერთიანი ტერიტო-რია, ეკონომიკა, სოციალისტური შინაარსის კულტურა, საკავშირო საერთო სახალხო სახელმწიფო და საერთო მიზანი – კომუნიზმის აშენება».

ამას მოჰყვა მისი დაფიქსირება ახალ საბჭოთა კონ-სტიტუციაში (1978). თუმცაღა ეროვნული თვითშეგნება სსრკ ტერიტორიაზე მცხოვრებ

ხალხებში უკვე სხვა დო-ნეზე იყო აწეული და კონსტიტუციის მიღებას კრიტი-კულად შეხვდა საზოგადოება.

სსრკ მოსახლეობის ეთნოდემოგრაფიული ბალან-სის პრობლემები არ გამორჩენიათ დასავლეთის სოვე-ტოლოგებს. ამას მაშინდელ საბჭოთა სამეცნიერო პრესაში მძაფრი «კრიტიკა» მოჰყვა. როგორც ცნობილი ამერი-კელი სოციოლოგი ბერნარდ ბერელსონი იმ დროს წერ-და, ყველა სახელმწიფო დაინტერესებულია, რომ შიგა დემოგრაფიული სტრუქტურების განვითარება ნაკლე-ბად პრობლემატური იყოს. სხვაგვარად შეუძლებელია პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა. «ისრაელი, სამხრეთ აფრიკა და როდეზია შეშფოთებულნი არიან ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შობადობის დონითა და დიფერენცირებული ნაყოფიერების პრობლემით». ჩარლზ ვესტოფი აღნიშნავს, რომ «როგორც ზოგიერთი დემოგრაფი ამტკიცებს, თუ შენარჩუნდება თანამედრო-ვე ტენდენცია (70-იანი წლების დასაწყისი - მ.ტ.), სამი თაობის შემდგომ ისრაელში ებრაელობა უმცირესობა გახდება».

ის რომ სსრკ-მ და, მისი სახით, რუსეთმა ვერ შეძლო მაშინ რუსული ეთნოსისათვის ხელსაყრელი დიფერენცირებული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, იგი შეიძლება მივიჩნიოთ სსრკ პოლიტიკური კრიზისისა და «რუსული სივრცის »შეზღუდვის ერთ-ერთ მიზეზად, რამაც შემდგომ გამოიწვია ეთნოკონფლიქტები და პოსტკომუნისტური სივრცის უკიდურესი პოლიტიკუ-რი დესტაბილიზაცია.

ეთნოდემოგრაფიული კრიზისის პოლიტიკურში გადაზრდაზე მიუთითებს მრავალი მეცნიერი. მაგალი-თად, ჯ. ბეზემერესმა დიდი ხნით ადრე განჭვრიტა,რომ სსრკ-ში და იუგოსლავიაში დემოგრაფიული პრობ-ლემების გამწვავება «ემუქრება ორივე სახელმწიფოს მთლიანობას,

მათ პოლიტიკურ სისტემას და, არაპირ-დაპირი სახით, მშვიდობასა და სტაბილურობას (არსე-ბულ სტატუსქვოს) მათ რეგიონებსა და მსოფლიოში».

რასაკვირველია, მაშინდელი რუსეთის პოლიტი-კური და სამეცნიერო ელიტა კარგად ხედავდა რუსი მო-სახლეობის დემოგრაფიული ზრდის შეჩერებასა და მუ-სულმანური კონფესიის რესპუბლიკებში ეთნოდემოგ-რაფიული ბალანსის მათთვის არახელსაყრელ შეცვლას. როგორც აღვნიშნეთ, რუსი ან გარუსებული მოსახლეო-ბის ნაზრდი ადრინდელივით უკვე ვეღარ ყოფნიდა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების, კალინინგრადის ოლქის, შუა აზიისა და ყაზახეთის, უკიდურესი ჩრდი-ლოეთისა და აღმოსავლეთის რეგიონების დემოგრაფი-ული და სამეურნეო ათვისების ამოცანებს. საჭირო იყო ახალი მიგრაციული დოქტრინა, რამაც სამეცნიერო წრეებში თანდათან იწყო შემუშავება. ეს იყო შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის რეგიონებიდან მკვიდრი მოსახლეო-ბის სსრკ ჩრდილოეთსა და აღმოსავლეთში პერმანენ-ტული გადანაწილების სტიმულირება.25 ჯერ იყო და აკადემიკოსმა ნ. ნეკრასოვმა, ვინც იმ დროისათვის, რე-გიონული ეკონომიკის ყველაზე დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა, წიგნში - «რეგიონული ეკონომიკა» მწვავედ განიხილა საკითხი ჩრდილოეთისა და აღმოსავლე-თის რეგიონების ეკონომიკის მაღალი ეფექტიანობის თაობაზე, რის სუსტ ადგილადაც მიიჩნია შრომითი რე-სურსების მწვავე დეფიციტი, მაშინ, როცა შუა აზიასა და სამხრეთ კავკასის რესპუბლიკებში მათი სიჭარბის გამო დასაქმება ჭირდა. იგი წერდა: «მოსახლეობის მიგ-რაციის სხვა პრობლემაც არსებობს. ციმბირისა და შო-რეული აღმოსავლეთისაკენ მიგრაციული ნაკადების ფორმირებაში უმთავრესად რსფსრ, უკრაინის სსრ, და, ნაწილობრივ, ყაზახეთის სსრ

მოსახლეობა მონაწილე-ობს. თუმცა შუა აზიისა და ამიერკავკასიის რესპუბლი-კებს მნიშვნელოვანი და სწრაფმზარდი შრომითი რე-სურსები ჰყავთ, ისინი ამ რაიონების მოსახლეობის შევ-სებაში, პრაქტიკულად, არ მონაწილეობენ».

სამეცნიერო კონფერენციებზე მეტად მწვავედ ის-მოდა შუა აზიისა და კავკასიის რეგიონის მოსახლეობის ტერიტორიული მობილობის სტიმულირების საკითხი. იქ დაუფარავად ეხებოდნენ კავკასიისა და შუა აზიის მოსახლეობის რესპუბლიკათშორისი, უფრო სწორად, მკვიდრი მოსახლეობის სსრკ აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის რეგიონებში გადანაწილებას. უკვე აღა-რავინ დაგიდევდათ, რომ აქ საქმე ეხებოდა საკუთარ ის-ტორიულ და ეთნიკურ ტერიტორიებზე, სუვერენულ რესპუბლიკებში მცხოვრებ მკვიდრთა ინტერესებს, ან იმას, რომ არ შეიძლებოდა სახელმწიფო მიგრაციულ პოლიტიკასა და სტრატეგიაში ამ ინტერესთა ნიველი-რება და წმინდა ეკონომიკურ მოტივებზე დაყრდნობით მიგრაციული პოლიტიკის გატარება. მართალია, პირდაპირი დეპორტაციების ეპოქა უკვე დამთავრებული იყო, მაგრამ მუშავდებოდა სხვა გზები, რათა რუსულ ეთნოსს არ დაეკარგა მიგრაციული ექსპანსიის მრავალ-საუკუნოვანი შედეგი. სსრკ რუსიფიკაციის ერთ-ერთი გზა მკვიდრ ეროვნებათა განსახლების დივერსიფიკაცია აღმოჩნდა. «რაც მეტადაა ესა თუ ის ეროვნება განსახლე-ბული ქვეყნის ტერიტორიაზე (იგულისხმება სსრკ ტე-რიტორია – მ.ტ.), ამ ეროვნების მით უფრო მეტი წარმო-მადგენელი მიიჩნევს მშობლიურ ენად სხვა ეთნიკური ჯგუფების ენას. ეს კი, თავის მხრივ, უფრო მეტ სტი-მულს იძლევა ამ ეროვნებათა წარმომადგენლების ქვეყ-ნის სხვადასხვა რაიონში განსასახლებლად». ეს არაა სპონტანურად წამოსროლილი მოსაზრება. იმ დროს ოფიციალურ ლიტერატურაში

მეტის განცხადება შეუძ-ლებელი იყო. სამაგიეროდ, დაუფარავი იყო კამათი სხვადასხვა ფორუმებზე. არარუს მკვლევართა ნაწილში, ცხადია, იგი შეშფოთებას იწვევდა და ზოგჯერ მძაფრი რეაქციითაც გამოიხატებოდა. ეთნიკური ფაქტორის იგნორირება, ან ცალმხრივად გათვალისწინება შეფასებას მოითხოვდა. ჩვენი არგუმენტაცია ემყარებოდა სუვერე-ნული რესპუბლიკების ეროვნული განვითარების მნიშ-ვნელობის შეუფასებლობას, იმათი ანტილენინური (ხსენებულ საკითხში ლენინი ჩვენ «გვიჭერდა მხარს»–მ.ტ.) მიდგომის მხილებას, სამხრეთის რესპუბლიკების მკვიდრი მოსახლეობის ჩრდილოეთის ბუნებრივ-კლიმატური პირობებისადმი ძნელი ადაპტაციის ან მისი შე-უძლებლობის გათვალისწინებას, და, საერთოდ, საქართველოს დემოგრაფიულად სწრაფად მზარდ რეგიონად განხილვის მცდარობას და ა.შ. მაგალითისათვის მოვიტანთ ამონარიდს მაშინდელი ჩვენი ერთ-ერთი პუბლი-კაციიდან: ცნობილი მკვლევარის, პ. ცარფისის აზრით, «სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ხალხის გადაადგი-ლებისას ორგანიზმს ძალიან უჭირს ახალ, ცივ პირობებ-თან შეგუება... ზოგიერთი მკვლევარი (კ.ბასსი, პ.ვიზო-ნი) ადამიანის სიცივისადმი შეგუების შესაძლებლობას საერთოდ უარყოფს. და ბოლოს, დ. სტემპი (1967) დაას-კვნის, რომ ახალი ექსტრემალური პირობებისადმი ორ-განიზმის შეგუების პროცესი საკმაოდ ხანგრძლივია და ყოველთვის არ მთავრდება ერთი თაობის ცხოვრების მანძილზე».ამიერკავკასიელთა უკიდურესი ჩრდი-ლოეთისა და აღმოსავლეთის პირობებისადმი ადაპტა-ციის სიძნელეზე მიუთითებსე.ვ. შუვალოვიც: «მიგრა-ციის შესწავლისას ბუნებრივი ფაქტორების გაუთვა-ლისწინებლობა არ შეიძლება, რადგან ახალ რაიოებშისხვადასხვა ბუნებრივი პირობების მქონე ადგილებიდანჩამოსულ მიგრანტთ ადაპტაციის პროცესი მიმდინარე-ობს

სხვადასხვანაირად. ასე მაგალითად, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის გეოგრაფიის ინსტიტუტის მონაცემებით, კამჩატკის ოლქში ამიერკავკასიიდან ჩა-მოსულ ახალმოსახლეთა ავადობა 9,6-ჯერ მეტია, ვიდ-რე ჩრდილოეთის რაიონებიდან გადმოსულებისა, ხო-ლო რსფსრ შუა ზოლიდან ჩამოსულებისა – 3,2-ჯერ...

გარდა ამისა, ამიერკავკასიისა და შუა აზიის მო-სახლეობისა და შრომითი რესურსების სწრაფი ზრდის საერთო მაჩვენებლები შეუძლებელია გავავრცელოთ სა-ქართველოზე, რადგან რესპუბლიკა სულ სხვა დემორე-გიონშია მოქცეული. 1970-1979 წწ. მოსახლეობის აღწე-რათაშორის პერიოდში საქართველოს მოსახლეობის ზრდა მხოლოდ 7% იყო, აზერბაიჯანის სსრ-ში– 18%, სომხეთის სსრ-ში– 22%. ამდენად, მცდარია შეხედულე-ბა საქართველოს სსრ მოსახლეობის და შრომითი რე-სურსების სწრაფი მატების შესახებ...

ეთნიკური ტერიტორიას მოშორებული ძირითად ეთნიკურ ჯგუფს მოწყვეტილი პიროვნება ან მცირე ჯგუფი უცხო ეთნიკურ გარემოში მოხვედრისას და ხან-გრძლივი ცხოვრებისას კარგავს საკუთარი ეთნოსისათ-ვის დამახასიათებელ მთავარ ნიშნებს: ენას, ტრადიცი-ებს. ამ შემთხვევაში მიმდინარეობს არა ეთნოსთა დაახ-ლოება, როგორც ამას ხშირად აღნიშნავენ, არამედ მცირე ჯგუფის პირვანდელი ეთნოსიდან სხვა ეთნოსში გა-დასვლა, ეთნიკური ნიშნების მექანიკური ლიკვიდა-ცია..... მიგრაციის პროცესი მაქსიმალურ სიფრთხილეს მოითხოვს, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება მცირე-რიცხოვანი ერებისა და პატარა ეთნიკური ტერიტორიე-ბიდან მოსახლეობის რეგიონული გადანაწილების საკითხს. რესპუბლიკათშორისო მიგრაციის მრავალმხრივ სოციალურ შედეგთა იგნორირება და წმინდა ეკონომი-კურ

მოტივებზე დაყრდნობით მიგრაციული პოლიტი-კის წარმოება გაუმართლებელია».

კამათმა კიდევ უფრო ცხარე ფორმა მიიღო 1981 წლის სექტემბერში ცნობილი მიგრანტოლოგის, ლ. რიბაკოვსკის

მიერ საგაზეთო სტატიის - «მიგრაციის საქანელა» გამოქვეყნების შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროისათვის რეაქცია იყო გაბატონებული, მაშინ-დელმა დისიდენტურმა საზოგადოებამ მკვეთრი პრო-ტესტი გამოხატა სტატიაში გამოთქმული მოსაზრების მიმართ. ამ წერილში საჯაროდ იყო ნათქვამი ის, რაც აქამდე თითქმის ათი წელი მხოლოდ მეცნიერთა ცხარე დებატების საგანი გახლდათ. შემდგომაც, «პერესტროი-კის» პერიოდშიც რესპუბლიკებს შორის მოსახლეობის გადანაწილების თაობაზე პოლემიკა გრძელდებოდა,30 თუმცა ამ მიმართულებით რეალური პოლიტიკის გან-ხორციელება უკვე ძნელი იყო. ჩნდებოდა ახალ - ახალი პრობლემები, რამაც სსრკ დაშლამდე მიიყვანა.

## დემოგრაფიული დეპრესია რუსეთში და ინტენსიური იმიგრაციის გარდაუვალობა

რუსეთში დემოგრაფიული ვითარება ღრმად შესწავლილი საკითხია როგორც იქაური, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ. იგი ყოველთვის იყო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის, გაეროს ყურადღების ცენტრში და აისახებოდა სხვადასხვა ოფიციალურ მოხსე-ნებაში. ისიც უნდა ითქვას, რომ რუსეთის ხელისუფლე-ბა ბოლო ხანს დიდი ყურადღებით ეკიდება ქვეყნის დე-მოგრაფიული განვითარების პრობლემებს და ცდილობს, მაქსიმალურად შეარბილოს რუსეთის

დემოგრა-ფიული დეპრესიის უარყოფითი შედეგი, რაც პირდაპირაა დაკავშირებული ქვეყნის უსაფრთხოებასთან და რუსეთის მომავალთან.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რუსეთის დემოგრა-ფიული განვითარება ევროპის მოსახლეობის ანალოგი-ური იყო. როგორც რუსეთის დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ მოხსენებაშია აღნიშნული, ბოლო 40 წლის მანძილზე შობადობა უკვე ვეღარ უზრუნველყოფდა მარტივ აღწარმოებას. 1992 წლის შემდეგ გარდაცვლილთა რიცხვი აღემატება დაბადებულებს. კლე-ბამ 12 მლნ შეადგინა და მხოლოდ 5,5 მლნ-ით კომპენ-სირდა დადებითი მიგრაციული სალდოს მეოხებით. არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში რუსეთის ამჟამინდელი 141 მლნ-იანი მოსახლეობა 2025 წლისათვის 125-135 მლნ-მდე შემცირდება, ხოლო 2050 წლისათვის 100 მლნ-მდე.

შრომის ასაკში მოსახლეობის სიკვდილიანობა ისე-ვე მაღალია, როგორც 100 წლის წინ. მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა ძლიერ დეფორმირე-ბულია და მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მოსახ-ლეობის აღწარმოებაზე. გრძელდება მოსახლეობის და-ბერება. 2020-2025 წლებში საშუალოწლიურმა კლებამ შესაძლოა 1 მლნ-ს გადააჭარბოს და კმაყოფაზე მყოფთა დატვირთვა ყოველ 1000 შრომისუნარიანზე 750 კაცამ-დე გაზარდოს.31

«2025 წლამდე რუსეთის ფედერაციის დემოგრაფიული პოლიტიკის კონცეფციაში» მოცემულია ამ პერი-ოდში დემოპოლიტიკის მიზნები, ამოცანები, ძირითა-დი მიმართულებანი და შეფასებულია თანამედროვე დემოგრაფიული სიტუაცია როგორც უაღრესად კრიტიკული. პესიმისტური პროგნოზული გაანგარიშებით, რომელიც ეყრდნობა არსებული ტენდენციების გაგრძე-ლებას, 2015 წლისათვის რუსეთის

მოსახლეობა 6,2 მლნ კაცით მოიკლებს და 136 მლნ მცხოვრები იქნება, 2025 წლისათვის კი – 124,9 მლნ. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 64,5 წლამდე შემცირდება.

ცნობილია, რომ 1970-იანი წლებიდან რუსეთში მკვეთრად გაუარესდა მოსახლეობის აღწარმოების რე-ჟიმი. თუ კი 80-იან წლებში ყოველი ქალი რეპროდუქ-ციულ პერიოდში დაახლოებით 2 ბავშვს აჩენდა და, ასე თუ ისე, ეს ვითარება ახლოს იყო მარტივ კვლავწარმოებასთან, 1991 წელს უკვე შობადობის ჯამობრივი კოეფი-ციენტი 1,73-მდე შემცირდა, ხოლო 2000 წლისათვის1,21-მდე დაეცა. ბოლო წლებში ოდნავი მატების მიუხე-დავად, იგი თაობის მარტივ შევსებას მხოლოდ 60-65%-ით უზრუნველყოფს. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს შორის რუსეთზე უარესი მაჩვენებელი აქვს იტალიას, ესპანეთს, საბერძნეთს, გერმანიას და ჩეხეთს.33 1991-2000 წლებში რუსეთში 9,5 მლნ-ით ნაკლები დაიბადა, ვიდრე 1981-1990 წლებში.

დემოგრაფიული დეპრესია რუსეთში სახეზეა, რაც ფართო განხილვის საგანია როგორც სამეცნიერო წრეებ-ში, ისე მთავრობასა და მასმედიაში. ცნობილი პოლიტოლოგი, ჟურნალისტი ფ. ველიაკინი შექმნილ ვითარებას «რუსეთში დემოგრაფიულ კატასტროფას» უწოდებს ამავე სათაურით გამოქვეყნებულ სტატიაში. ნათელია, რომ რუსულმა ელიტამ კარგად უნდა დაინახოს ის საფრთხე, რაც რუსეთში დემოგრაფიულმა ექსპანსიამ შეიძლება გამოიწვიოს. ველიაკინის აზრით, მოსახლეო-ბა კვდომამდე აღწარმოების «ცივილიზებულმა» ტიპმა მიიყვანა, რამაც ბევრად განსაზღვრა სსრკ დაშლა და შექმნა დემოგრაფიული საფრთხე. აქ ველიაკინი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, მთავარ პრიორიტეტს რუსეთის მოსახლეობაში მთლიანად

ეთნიკური რუსების ინტერესებით განსაზღვრავს. საფიქრებელია, რომ გოლიკოვამ ეს რუსეთში დემოგრაფიუ-ლი გაჯანსაღებისათვის გატარებულ რამდენიმე უმნიშვნელო ღონისძიების «შედეგის» გახმაურებისათვის გააკეთა. არ გვგონია, რომ მან, როგორც კვალიფიციურმა შრომის ეკონომისტმა, არ იცოდეს ე.წ. «დემოგრაფიული ფანჯრის», «დემოგრაფიული დივიდენდის» შესახებ. ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციების გამო პერიოდულად ხდება დაბადებულთა რიცხოვნობის დროებითი მატება. ეს «ფანჯარა» რუსეთში XXI საუკუნის და-საწყისში გაიღო და 2012 წლიდან დაიხურება. დემოგრაფიულ აფეთქებასთან მისი შედარება სრულიად უადგილოა და იაფფასიან პიართან უნდა იყოს დაკავშირებუ-ლი. იგი დემოგრაფიულ საკითხებში ჩაუხედავთათვი-საა გამიზნული. მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის მოსახლეო-ბის ცენტრის დირექტორის, ვალერი ელიზაროვის გაან-გარიშებით, რუსეთში შობადობაზე რაიმე ზემოქმედე-ბის მისაღწევად საჭიროა ბავშვიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა ერთობლივი შიგა პროდუქტის არანაკ-ლებ 2-3%-ის ოდენობით. ამჟამად კი ეს დახმარება 1%-მდეც ვერ აღწევს.

ჟ. ზაიონჩკოვსკაიას, ლ. რიბაკოვსკის, ო. ვორობიოვას, ო. გონტმახერის მიერ ჩატარებული ღრმა ანალი-ზით, რუსეთში დემოგრაფიული კლება გარდაუვალია. მით უმეტეს, რადიკალურად მცირდება შრომითი რესურსების შევსება. 2010 წელს შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობა 3 მლნ კაცით ნაკლები იქნება 2006 წელთან შედარებით.39 ისინი რუსეთის მომავლისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდას ანიჭებენ. როგორც აღნიშნული ავტორები წერენ, რუსეთი ფლობს ხე-ტყის უზარმაზარ

რესურსებს (80 მლრდ მ3), მის წილად მოდის ბუნებრივი გაზის მსოფლიო მარაგის 45%, ნავთობის– 13 %, ქვანახშირის– 23%. მას აქვს მსოფლიოში მტკნარი წყლის ყველაზე დიდი მარაგი. მარტო ბაიკალის ტბაშია თავმოყრილი მისი ერჟ. ზაიონჩკოვსკაიას მტკიცებით, იმიგრაციის ალტერნა-ტივა არც არსებობას.თი მეხუთედი ნაწილი. საერთოდ კი, ითვლება, რომ რუსეთი ფლობს მსოფლიო რესურსების მეხუთედს, მა-შინ როცა, მისი მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის 2,4%-ა, 2050 წლისათვის კი_ 1,1%-მდე შემცირდება. რუ-სეთის მთელ ტერიტორიაზე რესურსებისა და მოსახლე-ობის განაწილება სრულებითაც არ ემთხვევა ერთმა-ნეთს. როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობების მიერ რესურსების გამოყენება მოითხოვს მოსახლეობის აუცილებელი რაოდენობის შენარჩუნებას, აღმოსავლე-თის ტერიტორიების ათვისებას, რაც დემოგრაფიული დეპრესიის პირობებში შეუძლებელია. ავტორები მიდი-ან დასკვნამდე, რომ «იმიგრაცია აუცილებელია ქვეყნის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განსამტკიცებლად».

თავის არაერთ გამოკვლევაში რუსეთში იმიგრაცი-ის აუცილებლობას ასაბუთებს აკადემიკოსი ა. ვიშნევ-

სკიც. მას გარდაუვალად მიაჩნია რუსეთში ინტენსიური იმიგრაცია. «რუსეთს ახალი კალიტა რომ მოევლინოს, იგი გახდება ხალხის შემკრები და არა ტერიტორიები-სა». იგივე დასკვნამდე მივიდა ს. გრადიროვსკიც. მისი ხელმძღვანელობით ავტორთა კოლექტივის მიერ გამო-ცემულ ფუნდამენტურ ნაშრომში - «იმიგრაციისა და ნატურალიზაციის პოლიტიკა რუსეთში» ბოლოთქმას სათაურად უწოდა «გეოსტრატეგიული პარადიგმის შეცვლა – მიწების შეკრებიდან ხალხების შეკრებისაკენ». არსებითად, ესაა ამ გამოკვლევის დასკვნა. მისი

აზრით, კარდინალურად უნდა შეიცვალოს რუსეთის ისტორიული დამოკიდებულება სივრცესთან და ხალხთმოსახლეობასთან, რადგან დემოგრაფიული ნაჭარბი უკვე აღარ იძლევა ცენტრიდან პერიფერიებისაკენ საკოლონიზა-ციო ტალღების გენერირების საშუალებას. უკვე აღარაა გულაგების სისტემა არახელსაყრელი კლიმატის მქონე სივრცეების ასათვისებლად, დამთავრდა იაფი სამუშაო ძალის ეპოქა

ჩვენი აზრით, ესაა ეპოქალური ცვლილება რუსეთისა და რუსული ეთნოსის ისტორიაში, რისი სრული აღქმა და გადახარშვა რუსეთის პოლიტიკურ ელიტას ძლიერ გაუჭირდა, მითუმეტეს, რომ, როგორც წინათქმაში აღვნიშნეთ, იგი უაღრესად მილიტარიზებულია და ვერ დაძლია საუკუნოებრივად ჩამოყალიბებული ექსპანსიონისტური ინერცია. ამიტომ მათი ქვეყნის მომავალი ინტერესების სრული ალოგიკაა რუსეთის მხრიდან საქართველოში განხორციელებული ტერიტორიული ექსპანსია, იგი სავსებით ამოვარდნილია ახალი გეოსტრატეგიიდან, რაზეც ჩვენ ზემოთ ვსაუბრობდით.

გაცხარებული დისკუსიაა რუსეთში იმაზეც, თუ საიდან და როგორი ინტენსივობითაა ხელსაყრელი იმიგრანტთა მიზიდვა. მის სამხრეთით და აღმოსავლეთით მდებარეობს ხალხმრავალი ქვეყნები (ჩინეთი, იაპონია, კორეა, მუსულმანური კონფესიის სამყარო), რომელთა დემოგრაფიული ზრდა სწრაფია და დემოგრა-ფიული დაწოლა თითქმის დაცარიელებულ აზიურ რუსეთზე მეტად დიდი. უცხო დიასპორისადმი მიძღვნილ უამრავ კრიტიკულ ნაშრომში აშკარადაა გამოხატული შიში, რომელიც იმიგრაციის ზეგავლენით რუსეთის ეთნობალანსის შეცვლამ შეიძლება გამოიწვიოს. იგი, ცხადია, უსაფუძვლო არაა. მართლაც, საყოველთაო გლობა-ლიზაციისა და ქვეყნებს შორის მიმოსვლის

გარდაუვალი ლიბერალიზაციის პირობებში მოსალოდნელია იმ უთანასწორობის შეცვლა, რაც აზიური რუსეთის უზარმაზარ რესურსებსა და ნახევრად დაცარიელებულ ანტროპოუდაბნოს შორის არის.

რიგ ნაშრომში დეტალურადაა შესწავლილი იმ ქვეყნების ემიგრაციული პოტენციალი, საიდანაც მოსალოდნელია რუსეთში იმიგრაციის განხორციელება. მათ შორისაა კავკასიის რეგიონიც, რომლის მუდმივად და დროებით რუსეთში გადასახლების პოტენციალიც მომავალი ათწლეულისათვის მოსახლეობის 10%-ითაა განსაზღვრული. საერთოდ კი, სხვადასხვა გამოკვლევებში ცალსახადაა დასაბუთებული, რომ, პირველ რიგში, ყველაზე მისაღებია ყოფილ სსრკ ქვეყნებიდან რუსებისა და რუსულენოვანი მოსახლეობის რეპატრიაცია-ჩასახლება რუსეთში, მაგრამ, რადგან იგი საკმარისი არაა, ხელსაყრელია აღნიშნული ქვეყნების მკვიდრი მოსახლეობის იმიგრაციაც. მეტიც, მსჯელობაა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებიდან რეგულარულ იმიგრაცი-აზე, მათ შორის, ჩინეთიდანაც კი, რომლის დიასპორის ზრდას არცთუ დადებითად ეკიდება რუსული საზოგადოება.

გამოკვლევებით დასტურდება, რომ «ამიერკავკასიის ხალხებს რუსეთის ხალხებთან აქვთ განსხვავებული ეთნოკულტურული დისტანცია. რუსეთში ყველაზე ადვილად ასიმილირდებიან ქართული დიასპორის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაზე განათლებულნი არიან ამიერკავკასიის სხვა ერებთან (აზერბაიჯანელები, სომხები – მ.ტ.) შედარებით». არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველებსა და რუსებს შორის სრული კონფესიური თანხვდომაც, რაც ადგილობრივ მოსახლეობაში ინტეგრაციის ხელშემწყობი გარემოებაა. შიში იმისა, რომ ქართული დიასპორა ოდესმე რუსეთში ეთნოპოლიტიკურ ვითარებაზე იმოქმედებს, რასაც, მართლაც, რეალურად ქმნიან სხვა დიასპორები,

მეცნიერ-პოლიტიკოსების აზ-რით, არ არსებობს. რეალურ ვითარებას გაუცნობიერებელი რუსული საზოგადოება კი ქართული დიასპორისადმი განსაკუთრებულ უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებს, რასაც ჩვენ მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ.

მეორე მხრივ, ისმის კითხვა, რამდენად სჭირდება საქართველოს მოსახლეობას, მათ შორის, ქართველო-ბას, რუსეთში ემიგრაცია?

ფაქტია, რომ ამჟამად რუსეთში მუდმივად და დროებით ასეულ ათასობით ქართველი იმყოფება. 2002 წლის აღწერამ 198944 ქართველი გამოავლინა. მათგან 324% მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში ცხოვრობს, 10,4%_ კრასნოდარის მხარეში, 5,9%_ სანკტ-პეტერბურგსა და ლენინგრადის ოლქში, 5,4%_ როსტოვის ოლქში, 5,4%_ ჩრდილო ოსეთის რესპუბლიკაში, 4,4%_ სტავროპოლის მხარეში. დანარჩენი თითქმის პროპორციულადაა განა-წილებული რუსეთის მთელ ტერიტორიაზე, მათ შო-რის, უკიდურეს ჩრდილოეთსა და შორეულ აღმოსავ-ლეთში. მაგალითად, ტიუმენის ოლქში 3247 ქართველი დაფიქსირდა (მათ შორის, იამალო-ნენეცთა ავტონომი-ურ ოკრუგში_ 656), კამჩატკის ოლქში_ 273, მაგადანის ოლქში_ 221, სახალინის ოლქში_ 274, თვით ჩუკოტკის ოკრუგში ცხოვრობს 50 ქართველი, ტაიმირის ავტონო-მიურ ოკრუგში– 30.

სადავო არაა, რომ აღწერით ნაჩვენებ ქართველთა რიცხოვნობა ბევრად ნაკლებია რეალურზე, მითუმეტეს, მართალია, მათი ნაწილი დასაქმე-ბულია მძიმე სამუშაოებზე დისკრიმინაციული ანაზღა-ურებით და შრომის ცუდი პირობებით, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ჩვენმა თანამემამულეთა ნაწილმა წარმატებას მიაღწია ბიზნესში. იგი დასტურდება სხვადასხვა გამოკვლევით. ჩვენი ბოლო გამოკვლევით (მ. თორიასთან ერთად), რომელიც იძულებით გადაადგილებულ პირთა

შრომით ემიგრაციას ეხება (400-ზე მეტი ინტერვიუ) სხვადასხვა რანგის ბიზნესს თავი მოაბა შრომით ემიგრაციაში მყოფთა 14,4%-მა, რო-მელთა უმრავლესობა რუსეთშია. რუსეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით ჩვენს თანამემამულეებს აღმოაჩნდათ ახალ საბაზრო პირობებთან ადაპტაციისა და მეწარმეობის მეტი უნარი, რამაც გადაფარა ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის სურვილი, წინააღმდეგობა გაეწიათ იმიგრანტთა საქმიანობისა და ცხოვრებისათვის. როცა საქართველოდან შრომითი ემიგრანტების რიცხოვნობას ეხება მსჯელობა. რადგან რუსეთში, საერთოდ, მეტად დიდია არალეგალურ იმიგრანტთა რაოდენობა (სხვადასხვა ავტორების ვარაუდით, იგი 5-10 მლნ ფარგლებში ვარირებს), გამძაფრებული ქართველოფობიის გამო ძნელდება ქართული დიასპორის ლეგალიზაცია. ცნობილი მეცნიერი ვ. მუკომელი საქართველოდან რუსეთში მომუშავე 117 ათას შრომით მიგ-რანტს ითვლის. ჩვენი ვარაუდით, იგი 160-175 ათასი მაინც უნდა იყოს.

უზარმაზარი ტერიტორიისა და რესურსების მქონე რუსეთს აქვს მეტად ამბიციური პერსპექტიული გეგმა, 2020 წლამდე გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და სოციალურად განვითარებული ქვეყანა. მისი რესურსებიდან გამომდინარე, არის შანსი სერიოზული წარმატების მიღწევისა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქვეყანა შეძლებს, შეცვალოს ამ იდეის განხორცი-ელებისათვის სრულიად ალოგიკური ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკა და დემოკრატიის წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის სტატუსი, პატივი სცეს მეზობელთა სუვერენიტეტს და მიაღწიოს მათთან თანასწორ უფლებაზე აგებულ თანამშრომლობას. საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის ნორმალიზაციის პირობებში, გლობალიზაციის ტენდენციებიდან გამომ-დინარე, სავსებით მისაღებად მიგვაჩნია საქართველოს მოქალაქეთა

დროებითი დასაქმება, შრომითი ემიგრაცია რუსეთში. ვთვლით, რომ იგი ხელსაყრელი იქნება ორივე ქვეყნისთვის. ჯერჯერობით კი, სხვა პრობლემებთან ერთად, რუსულმა საზოგადოებამ უყოყმანოდ უნდა დაძლიოს უკიდურესი მიგრანტოფობია, რომელიც ეთნოფობიაში და ქართველოფობიაშია გადაზრდილი და, საერთოდ, თავი დააღწიოს იმპერიულ ილუზიებს.

**მიგრანტოფობია, ეთნოფობია,**

**ქართველოფობია რუსეთში**

მიგრანტოფობია, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის არსებობდა. მისი გამოვლინება დღევანდელი ევროპის ყველა ქვეყანაში გვხვდება, მაგრამ მან განსაკუთრებუ-ლი სახე მიიღო რუსეთში და სახელმწიფო პოლიტიკაში დიდი ადგილი დაიკავა.

როგორც წინათქმაში აღვნიშნეთ, რუსეთში არსებული პრობლემები, შესაძლოა, ჩვენი ყურადღების საგანი არც გამხდარიყო, საქმე რომ არ გვქონდეს ყველაზე დიდი ქართული დიასპორისადმი რუსეთის სახელმწიფოს განსაკუთრებულ ზეწოლასთან, რაც აშკარა ქართველოფობიაში გამოვლინდა და უამრავი მსხვერპლი, შევიწროება და უკიდურესი დისკრიმინაციული ვითარება წარმოქმნა. იქ ეთნოფობია და მიგრანტოფობია ერთმანეთს გადაეჯაჭვა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსეთის სახელმწიფო კონკრეტული ავანტიურისტულ-ექსპანსიონისტური ამოცანებიდან გამომდინარე, დსთ ქვეყნებიდან 25 მილიონიანი რუსული დიასპორის რეპატრიაციასაც კი უშლიდა ხელს. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანტროპოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ვ. ტიშკოვი, რომელიც იქ განვითარებულ მიგრანტოფობიას რუსეთის საფრთხედ აფასებს, წერს, რომ ეთნოკონფლიქტები თავისთავად არ აღმოცენდება, არამედ ის

ჩნდება სოციალური და პოლიტიკური დაინტერესების შედეგად, რომლის მიზანია ეთნოსთაშორის ურთიერთობის გამწვავება.

იგი თვლის, რომ რუსეთში შექმნილი ანტიმიგრაციული ისტერია თავისებურ დასაყრდენს მოსახლეობაშიც პოულობს. მკვიდრი მოსახლეობა დაინტერესებულია მიგრანტთა ზეექსპლოატაციით, რადგან მიეჩვივნენ იაფ სამუშაო ძალას თავისი ბიზნესის ან სხვა საჭიროებისათვის და თანახმა არიან, მიგრანტების უფლებების შეზღუდვით ისინი მონადაც კი გადააქციონ. ყველაზე მძიმეა არალეგალ მიგრანტთა მდგომარეობა, რადგან მათ ხელი არ მიუწვდებათ სოციალურ სიკეთეებზე და იძულებული არიან, დათანხმდნენ ყველაზე მძიმე და მავნე პირობებში მუშაობას.51 მეტიც, «მიგრანტი რუსისთვის ასოცირდება გაუნათლებელ არსებად, ვინც ასრულებს ჭუჭყიან სამუშაოს და სურს ვიღაცის მოკვლა»52.

რუსეთში მიგრანტმოძულეობა, განსაკუთრებით, კავკასიელებისა და, მათ შორის, ქართველების მიმართ, გამწვავებულია იმითაც, რომ «ქვეყნის ზოგიერთი სუბიექტის (რეგიონის) ხელისუფლება, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოები და უშიშროების ფედერალური სამსახური ისე იქცევა, თითქოს ვერ ხედავს, რასაც ჩადიან რუსეთის ტერიტორიაზე ფაშისტური დაჯგუფებები. უკვე გამოჩნდა ახალი მოძრაობა არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ, რომელშიც მარტო კინცები კი არ მონაწილეობენ, არამედ ერთობ ძლიერი და გავლენიანი სტრუქტურებიც.»53

პოსტსაბჭოთა რუსეთში აღმოცენებული და გაძლიერებული კავკასოფობია რუსეთის ამჟამინდელი კავკასიური პოლიტიკის ანარეკლია. «ჩრდილოეთ კავ-კასიას ისე ექცევიან, როგორც

ლაბორატორიულ ბაყაყს», წერს «ნაციონალური ინტერესების» მთავარი რედაქტორი სულიეტა კუსკოვა.

რუსეთში არაერთი გამოკვლევა ჩატარდა ზრდად მიგრანტოფობიაზე. აშკარად გამოიკვეთა, რომ «აქ დომინირებს კავკასოფობია. ასე მაგალითად, კავკასიელი მიგრანტების 19% იძულებული გახდა, მეორედ გამოეცვალა საცხოვრებელი ადგილი ადგილობრივ მოსახლეო-ბასთან კონფლიქტის გამო». მოსკოვში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგიც განსაკუთრებით უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავს კავკასიელთა მიმართ. გამოკითხულთა 14% თვლის, რომ მეწარმეობა უნდა აეკრძალოთ კავკასიელებს, ამაზე ცოტა მეტს მიაჩნია, რომ კავკასიელებს უნდა აეკრძალოთ სახელმწიფო სამსახურში მიღება (აქ, ცხადია, ჩრდილოეთ კავ-კასიელებიც იგულისხმება-მ.ტ). რესპონდენტთა ნახევარი თვლის, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრება უნდა აეკრძალოთ კავკასიიდან ჩამოსულებს. გამოკითხულთა 53%-ს არ სურს კავკასიელის მეზობლობა.

ცნობილი მეცნიერი ე. პაინი მიგრანტოფობიის გაღვივებაში პრესასაც ადანაშაულებს, რომელმაც ამ მხრივ მოახდინა საზოგადოებრივი აზრის «კონსტრუქცია». ВЦИОГИ-ის მიერ ჩატარებული მრავალი სოციოლოგიური გამოკითხვის (1990-2002 წწ.) ანკეტაში დასმული იყო კითხვა: «როგორი დამოკიდებულება გაქვთ შემდეგი ეროვნების მიმართ?» პაინს მოაქვს ამ კითხვაზე პასუხების ანალიზი, რომელიც ლ. დ. გუდკოვმა წარმოადგინა მოსკოვში გამართულ კონფერენციაზე: «Национаалные меншинства в Российской Федерации. Москва, 2-3 июня, 2003г.». მაშინ ყველაზე ცუდი დამო-კიდებულება ჩეჩნებისა და ბოშების მიმართ დაფიქსირდა, რესპონდენტთა უმეტესობამ აშკარა უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა მათ მიმართ. შემდეგ მოდის

აზერბაიჯანელები, სომხები და ქართველები, რო-მელთაც მრავალი გამოკითხვისაგან არცერთში 27%-ზე ნაკლები უარყოფითი პასუხი არ მიუღიათ. მხოლოდ ამის შემდეგ მოდის შუა აზიის ეროვნებები, ებრაელები, ესტონელები, ბაშკირები, ამერიკელები.

ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც იმიგრანტების წინააღმდეგ სახელდება, ესაა კრიმინოგენული ვითარების გამწვავებაზე იმიგრაციის ზეგავლენა. ვერ გამოვრიცხავთ, რომ იმ პირთა შორის, რომელთა სოციალური მდგომარეობა უმძიმესია, უმუშევრობის დონე მაღალია, სახელმწიფოსა და მკვიდრი მოსახლეობისაგან კი _ აგრესიული დამოკიდებულება, მართლაც, მაღალი იყოს დანაშაულის მაჩვენებლები. თვით საფრანგეთში, სადაც იმიგრანტები წარმოადგენენ პატიმართა 22%-ზე მეტს, ამას იმით ხსნიან, რომ ბევრი კანონი იქ მხოლოდ იმიგრანტებზე ვრცელდება, აგრეთვე, იმით, რომ იმიგრან-ტებს შორის მეტად მაღალია უმუშევრობა.

კავკასიელთა უკანონო მიგრაციის დახასიათებისას იმიგრანტთა გაზრდილი დამნაშავეობის მიზეზად სოციალურ ფაქტორებს მიიჩნევენ სხვა ავტორებიც. «სამეცნიერო წრეებსა და სამართალდამცავ პრაქტიკაში მი-ღებულია, რომ ნებისმიერი მიგრაცია ატარებს კრიმინოგენულ პოტენციალს და, როგორც წესი, წარმოადგენს სახელმწიფოში ოპერატიული ვითარების გართულების ფაქტორს. გასათვალისწინებელია, რომ მიგრანტები, რომლებიც ახალ საცხოვრებელ გარემოში ხვდებიან, განიცდიან სოციალურ-საყოფაცხოვრებო და ფსიქოლოგიურ სიძნელეებს და რჩებიან სოციალური კონტროლის გარეშე. ეს კი უბიძგებს სამართალდარღვევებისკენ, კა-ნონსაწინააღმდეგო ქმედებისკენ».59

როგორც აღვნიშნეთ, იმიგრაციისადმი უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ხშირად განპირობებულია «მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ზეწოლით, რომელიც მიგრანტს კრიმინალურ სამყაროსთან აიგივებს. ტელეგადაცემები და ბეჭდური გამოცემები გაჰყვირიან ჩამოსულ მოქალაქეთა უსაზღვრო თავაშ ვებულობაზე».60 - -

სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომ 2006 წელს იმიგ-რანტთა მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშა-ული რუსეთში ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის მხოლოდ 3%-ია,61 მაშინ როცა მარტო არალეგა-ლები რუსეთის მთელი მოსახლეობის 4-7%-ია.

მიგრანტოფობიის გაღვივება რომ ხელისუფლებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების მიზანს წარმოადგენს, კარგად ჩანს საარჩევნო კამპანიების დროს პარტიათა საპროგრამო პროპაგანდიდან. ისინი იმიგრაციის შესახებ დამახინჯებულ სურათს ელექტორატზე ზემოქმედების მიზნით იყენებენ. საყოველთაოდაა ცნობილი საფრანგეთში ლე პენის ნაციონალური ფრონტის პროგრამის მიგრანტოფობიური არსი, რითაც ამ პარტიამ დიდ საარჩევნო წარმატებას მიაღწია. რუსეთში კი ამან მიიღო ყველაზე რადიკალური, კაცთმოძულე ხასიათი. იქ მიგრაციის პოლიტიზაციით ბევრი არაჯანსაღი ძალა სარგებლობს, მათ შორის, ცნობილი პოლიტიკური პარტიები. აღნიშნულ საკითხს ეხება სემიონ ჩორნის ავტორობით ადამიანის უფლებების მოსკოვის ბიუროს მოხსენება: «ქსენოფობია, მიგრანტოფობია და რადიკალური ნაციონალიზმი მოსკოვის საქალაქო დუმის არჩევნებზე.» ავტორი აკრიტიკებს პოლიტიკურ პარტია «როდინას», რფ კომპარტიას, ლიბერალურ-დემოკრატიულ პარტიას და სხვა პარტიებს საარჩევნო კამპანიის დროს მათი შეუწყნარებელი ქმედებისათვის. მოხსენებაში მოტანილია ექსტრემისტულ-ნაციონალისტური ხასიათის

მიგრანტოფობიური საქმიანობის უამრავი ფაქტი. ფრაქცია როდინას პრესსამსახურის ხელმძღვანელი ც. ტკაჩევი «მოსკოვსკიე ნოვოსტიში» გამოქვეყნებულ ინტერვიუში პირდაპირ აღიარებს, რომ «პარტია «როდინას» არა აქვს არავითარი პროგრამა, აქვს რამდენიმე წამოსროლილი ლოზუნგი, რომელიც გარდა ეროვნებათშორისი შუღლის გაღვივებისა, სხვა არავითარ პრობლემას არ წყვეტს. თვით «როდინა» კი ნაციონალიზმისკენ მიექანება. ლდპ ხომ პირდაპირ ავრცელებს პროპაგანდის-ტულ ფურცლებს სათაურით: «მოსკოვი დავკეტოთ სამხრეთიდან მოსულთათვის».62 ამასვე იმეორებს მოსკოვის დუმის კანონიერებისა და უსაფრთხოების კომისიის თავმჯდომარე იური პოპოვი გაზეთ ღBჩ დაილყ-ში გა-მოქვეყნებულ სტატიაში სათაურით: «მოსკოვს უნდა მიეცეს უფლება, ჩაკეტოს საზღვრები». არანაკლები ნეგატივია გამოხატული პოლიციის მაღალჩინოსნის ანატოლი ბატურინის პუბლიკაციაშიც: «მოსკოვში დაიწყო ოპერაცია «მიგრანტი», ცოტა გავწმენდთ ქალაქს».

ბოლო ხანს, რუსეთის მიერ ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სრული ოკუპაციის შემდეგ კიდევ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება კავკასიელი მიგრანტების მიმართ. «დემოსის» ინფორმაცია გვაუწყებს, რომ «სოციოლოგებმა დააფიქსირეს ოსებისადმი რუსების დადებითი დამოკიდებულება, მიუხედავად კავკასიელთა მიმართ საერთო მტრული დამოკიდებულებისა». თუმცა, როგორც აქაა აღნიშნული, «ადგილობრივ რუსს რომ ჰკითხო, ვერც გაარჩევს ოსსა და აფხაზს ყაბარდოელისა და ინგუშისაგან».64 ცხადია, ეს დამოკიდებულება ხელისუფლების მიერ წაქეზებული პროპაგანდის შედეგია, რადგან მას სჭირდება ოსების გამოყენება თავის «კავკასიურ პოლი-ტიკაში».

რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ანტიქართული ისტერიის გამძაფრების თაობაზე წერს ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი, ფონდ «ხოლოკოსტ»-ის ხელმძღვანელი ალა ჰერბერი, ვისაც ყოველ ფეხის ნა-ბიჯზე ესმის _»ოხ, შენი ქართული სიფათი.» იგი მოითხოვს ყოველგვარ ზომას, რათა საზოგადოებაში ქარ-თველოფობია შეწყდეს. ამისათვის კი «საჭიროა ძლიერ მოფიქრებული სტრატეგია» და სინანულით ასკვნის, რომ «სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არცერთი მიმართუ-ლებით არავითარი სტრატეგია არ არსებობს და აქაც, ბუნებრივია, არანაირი. არადა, უკვე არის ქართველოფობიის მსხვერპლი. ახალგაზრდებს მოუკლავთ კაცი, როგორც ქართველი, ის კი, როგორც შემდეგ გამოირკვა, აზერბაიჯანელი აღმოჩნდა».65 საერთოდ კი, 2008 წლის ცხრა თვეში თავგადაპარსული ნაციონალების (სკინჰების) ხელით ასეულობით უდანაშაულო ადამიანი დაი-ღუპა.

როგორც პარაგრაფის დასაწყისში აღვნიშნეთ, მიგრანტოფობია ისე გაძლიერდა, რომ ბოლო დრომდე ხელისუფლებასა და, ცხადია, მათი გავლენით მკვიდრ

მოსახლეობასაც თვით რუსი იმიგრანტებისადმი და რუსების რეპატრიაციისადმიც კი მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდათ. ამას ხაზგასმით აღნიშნავენ მთელ მსოფლიოში ცნობილი რუსი მიგრანტოლოგები: ჟ. ზაიონჩკოვსკაია და ლ. რიბაკოვსკი. ამ უკანასკნელის აზრით, რუსეთის მთავრობამ რუს იმიგრანტებს შეუქმნა წინააღმდეგობები, რამაც შეაჩერა რუსულენოვანი დიასპორა თვით განსხვავებული ეთნოკულტურის ქვეყნებში, მაშინ როცა, იქ მათდამი დის-კრიმინაციული პოლიტიკა ტარდებოდა.67 რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკა დსთ ქვეყნებიდან თანამემამულეთა რეპატრიაციის ხელის შეშლის შესახებ ნათლად ჩანს

რუსი მეცნიერების მიერ ჩატარებული მრა-ვალრიცხოვანი ინტერვიუ-გამიკითხვებიდან. ე.კ. კირი-ლოვამ გამოაქვეყნა მის მიერ ჩაწერილი და გადამუშავებული «მიგრანტთა ისტორიები», სადაც აშკარად ჩანს რუს იმიგრანტთა მდგომარეობა, მათდამი ხშირი მუქა-რა არა მარტო სსრკ ყოფილ რესპუბლიკებში, საიდანაც ისინი გადმოვიდნენ, არამედ არანაკლები გაჭირვება და წინააღმდეგობა რეპატრიაციის შემდგომ როგორც ხე-ლისუფლების მხრიდან, ასევე ადგილობრივი რუსი მოსახლეობისაგან. ანალოგიური ვითარებაა ნაჩვენები მრავალ სხვა გამოკვლევაშიც.

როცა რუსი ეროვნების იმიგრანტებისადმი ასეთი დამოკიდებულებაა, ადვილი წარმოსადგენია, რა გარემო იქნება შექმნილი ქართული დიასპორის ირგვლივ, განსაკუთრებით, რუსეთის მიერ საქართველოში განხორციელებული პირდაპირი საომარი აგრესიის შემდგომ. სავსებით ბუნებრივია ის პროცესები, რაც კარგა ხნის დაწყებულია საქართველოს შრომითი ემიგრაციის მიმართულებებში. თანდათან მცირდება რუსეთისაკენ მიმართული ნაკადის წილი, რისი ერთ-ერთი მიზეზი ამ ქვეყანაში ეთნოფობიაში გადაზრდილი მიგრანტოფო-ბიის გამძლავრებაა.

## „ახალი მიგრაციული პოლიტიკა»

სსრკ დაშლის შემდეგდროინდელი მიგრაციული პროცესები რუსეთისათვის შეუქცევადი აღმოჩნდა. საუ-კუნოებრივი ცენტრიდანული მიგრაციული ტალღების ეპოქა, რაც აქამდე რუსეთის სახელმწიფოს არსებას წარ-მოადგენდა, დამთავრდა. მიგრაციის ვექტორი რუსეთი-საკენ შეტრიალდა. ეს, ცხადია, ადვილი გასაცნობიერე-ბელი არ

იყო რუსული საზოგადოებისათვის. პროგრე-სულმა აკადემიურმა წრეებმა დაბეჯითებით დაიწყეს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოხდენა თავიანთი და-საბუთებული არგუმენტებით, რათა განხორციელებუ-ლიყო სრულიად ახალი მიდგომა მიგრაციული პროცე-სებისადმი. როგორც ხელისუფლებაში, ისე ხალხში გაჩ-ნდა შიში ეთნიკური ბალანსის დარღვევისა და რუსუ-ლი ეთნოსის ინტერესების შევიწროებისა. მიგრაციულ პოლიტიკას პირდაპირ უკავშირებდნენ ნაციონალურ პოლიტიკას, რაც გამოვლინდა არაერთი სოციოლოგიუ-რი გამოკვლევიდან. ქსენოფობიამ უკიდურესი სახე მი-იღო.

თავდაპირველად, რუსეთის ხელისუფლება შეეცა-და, წინ აღდგომოდა რუსეთისაკენ მიმართულ მიგრაციას. დაიწყო ბრძოლა უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ, მიიღეს საკმაოდ მკაცრი კანონები რუსეთის ფედერაციაში: «უცხოელ მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ», «რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ». მიგრაციის სამართლებრივ ბაზაში სულ უფრომეტი შესწორებები ხდებოდა. გამკაცრდა უკანონო მიგრაციის დასჯის ზომები. მოხდა ინსტიტუციური გარ-დაქმნებიც. ფედერალური მიგრაციული სამსახური პირდაპირ დაუქვემდებარეს შინაგან საქმეთა სამინისტროს. ყოველგვარი მცდელობა ამაო აღმოჩნდა. მიგრაციის დარგის ცნობილი მეცნიერები, ვისაც უნდოდათ, პროგრესულად განვითარებულიყო რუსეთის მომავალი, ცდილობდნენ, დაერწმუნებინათ მთავრობა და, განსაკუთრებით, პრეზიდენტი მიგრაციისადმი რადიკალურად ახალი მიდგომის აუცილებლობაში, რაც ითვა-ლისწინებდა რუსეთში იმიგრაციული ნაკადების არსე-ბით გაზრდას და იმიგრირების ხელშეწყობას. იგი ოფი-ციალურად დაიწყო 2005 წლის 17 მარტს უშიშროების საბჭოზე პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადები-დან, რომ რუსეთის

იმიგრაციული პოლიტიკა უნდა გახდეს ლიბერალური. მან მოუწოდა მიგრანტთა შემოდინების პირობების სრულყოფისაკენ, გადაუდებელ ამოცანად მიიჩნია ბიუროკრატიული წინააღმდეგობების დაძლევა. მისი აზრით, იმიგრაცია ხასიათდება რეგიონური უთანაბრობით, ამიტომ მიგრანტები იქით კი არ უნდა მივმართოთ, სადაც სურთ ცხოვრება, არამედ იქით, სადაც მათზე მოთხოვნაა. პუტინმა გამოთქვა შეხედულება რუსეთის დემოგრაფიული დეპრესიის თაობაზე, რასაც აქამდე თითქმის 7 წლის განმავლობაში შე-უპოვრად არწმუნებდნენ მას რუსეთის ცნობილი დემოგრაფები. რაც მთავარია, აღიარა, რომ იმიგრაციის გარეშე 2025 წლისათვის რუსეთის მოსახლეობა 120 მლნ გახდებოდა, ხოლო 2050 წელს 100 მლნ.

2006 წლის ზაფხულში მიიღეს მიგრაციის რეგულირების კანონთა პაკეტი, დაამტკიცეს თანამემამულეთა ნებაყოფლობითი გადმოსახლების ხელშეწყობის პროგრამა, დაიწყო «სახელმწიფო მიგრაციული პოლიტიკის» გადასინჯვა. პროგრამაში გათვალისწინებული იყო 2006-2012 წლებში რამდენიმე მილიონი რუსულენოვანი მოსახლეობის (პირველ რიგში, დსთ ქვეყნებიდან) ორგანიზებული ჩასახლება რუსეთში.

შემდგომში, 2006 წლის შემოდგომაზე კრემლის პოზიცია უცხოელი მიგრანტებისადმი მკვეთრად გამკაცრდა. ეს მოჰყვა საქართველოსთან ურთიერთობის გამწვავებას, როცა რუსეთის ოთხი სამხედრო მოსამსახურე ამხილეს ჯაშუშობაში და გააძევეს საქართველოდან. რუსეთის ხელისუფლებამ არამარტო ბლოკადაში მოაქცია საქართველო, არამედ გააჩაღა კამპანია რუსეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა წინააღმდეგ. მოხდა ქართველ არალეგალთა რამდენიმე ჯგუფის დემონსტრაციული დეპორტაცია დამამცირებელი ფორმით. რუსეთში

დაერივნენ ამ ქვეყნისადმი, ალბათ, ყველაზე ლოიალურად განწყობილ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს. პუტინმა რეგიონების ხელმძღვანელებს მისცა მითითება, «მიეღოთ დამატებითი ზომები საბითუმო და საცალო ვაჭრობის ბაზრებზე, რათა დაეცვათ რუსეთის მეწარმეთა და მკვიდრი მოსახლეობის ინტერესები იქ უცხოელი მომუშავეების ყოფნის შეზღუდვით. მანგაიხსენა კონდოპაგის ცნობილი მოვლენები, როცა მო-სახლეობამ დაწვა და დაანგრია ბაზრები, სადაც კავკასიელები მუშაობდნენ. ცოტა არ იყოს, ეს წამქეზებლური რიტორიკა იყო. როგორც პრესამ აღნიშნა, «პუტინის განცხადებები ეწინააღმდეგება რამდენიმე თვის წინ მის მოწოდებებს – გაეადვილებინათ რუსეთში შრომითი მიგრანტების შესვლა».

ცოტა ხნის შემდეგ პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ საჭიროა მიგრანტებისათვის სოციალური ადაპტაციის პროგრამის შექმნა. მისი აზრით, ეს იქნება ნაციონალიზ-მისა და ქსენოფობიის პრობლემების საუკეთესო გადაჭ-რა. აქვე მან დაასახელა უცხოელთა რიცხოვნობა რუ-სეთში, რაც მისი ვარაუდით, 10-15 მლნ უდრის და აღ-ნიშნა, რომ ზუსტი ციფრის დასახელება არავის შეუძ-ლიაო.

საბოლოოდ, 2007 წლის დასაწყისში რუსეთმა მა-ინც გადადგა პროგრესული ნაბიჯი ლიბერალური მიგ-რაციული პოლიტიკის მიმართულებით, შემოიღო უც-ხოელ მიგრანტთა რეგისტრაციისა და მუშაობის ნებარ-თვის ახალი წესი. მეცნიერ-ექსპერტთა შეფასებით, ამ ნაბიჯს ამ ქვეყნის ცხოვრებაში ისეთივე დიდი მნიშვნე-ლობა აქვს, როგორც 1993 წელს მიღებულ ქვეყანაში შესვლა-გასვლის თავისუფლების კანონს.76 მართლაც, ვეთანხმებით, რომ იგი ეპოქალური ცვლილებაა ამ ქვეყ-ნის ისტორიაში, თუკი თანმიმდევრულად განხორცი-ელდა. ვ. მუკომელი ამ ცვლილებებს «რევოლუციურს» უწოდებს.

რა არის გამარტივებული იმიგრაციის ახალ წესში? პირველ რიგში, იგი შეეხო დსთ იმ ქვეყნების შრო-მით იმიგრანტებს, ვისთანაც უვიზო მიმოსვლის რეჟიმი აქვს რუსეთს. მინიმუმამდეა შემცირებული რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტები. თუ ადრე უც-ხო სამუშაო ძალის დაქირავებაზე ნებართვას დამქირავებელი იძლეოდა და იგი შემდგომ თითქმის მონურ მდგომარეობაში აყენებდა იმიგრანტს, ამჟამად მუშაო-ბის ნებართვა პირადად მიგრანტს ეძლევა. მას აქვს უფლება, თავისუფლად ეძებოს სამუშაო, მიაწოდოს თავი-სი სამუშაო ძალა ადგილობრივ ბაზარს, ხოლო დამქირავებელი თავისი შეხედულებისამებრ ქირაობს იმიგრანტს. ის კი, თავის მხრივ, აღარაა «მიკერებული» დამ-ქირავებელზე და შეუძლია, თავისუფლად გადაადგილდეს შრომის ბაზარზე.

სამუშაოზე ნებართვათა რაოდენობა ქვოტირებულია. ქვოტები წესდება პროფესიების, სპეციალობების, კვალიფიკაციისა და სამუშაო ძალის მიმწოდებელი ქვეყნების მიხედვით. ქვოტები არ ვრცელდება კვალიფიციურ სპეციალისტებზე. 2007 წელს უვიზო რეჟიმის ქვეყნებისათვის გაიცა 6 მლნ ნებართვა, დანარჩენისათვის _ 308,8 ათასი.78 2009 წლისათვის დამტკიცდა 4 მლნ ნებართვა, მაგრამ მალე კრიზისით შეშინებულმა ხელი-სუფლებამ იგი გაანახევრა.

ახალი წესის შემოღებიდან ერთი წლის განმავლობაში მოხდა იმიგრანტთა რეგისტრაციის სწრაფი გაუმ-ჯობესება. თუ ადრე მათი ნახევარი არარეგისტრირებუ-ლი იყო, 2007 წლის განმავლობაში ეს წილი 15%-მდე შემცირდა. ამან ხელი შეუწყო დასაქმების ლეგალიზაციას. იქამდე იმიგრანტების 75-85% არალეგალურად მუშაობდა. ეს ციფრი 25%-მდე შემცირდა, ამან აშკარად გაზარდა უცხოელთაგან საგადასახადო შემოსავლების რაოდენობა.

ახალი მიგრაციული პოლიტიკის შედეგია, რომ 2007 წელს 2006 წელთან შედარებით კანონიერად დასაქმებულ უცხოელთა წილი 1,0 მლნ-დან 2,3 მლნ-მდე გაიზარდა.

მიგრაციული პოლიტიკის შეცვლა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ შესაბამისი ინსტიტუტები და კვალიფიციური პერსონალი მისი განხორციელებისათვის მზად არ იყო, რამაც ზოგიერთ რეგიონში ქაოსური მოვლენები და გაუგებრობა გამოიწვია. ამან, ცხადია, გააქტიურა ძველი მიგრაციული პოლიტიკის მომხრეები, რომლებიც, ბუნებრივია, რუსეთში ბლომად არიან. ისინი მოითხოვენ ძველი პოლიტიკის რეანიმაციას, რაც, ჩვენი აზრით, მკვეთრი უკუსვლა იქნება. მაგალითად, სხვა ვერაფერი დაერქმევა მოსკოვის მერის ი. ლუჟკოვის გახელებულ დიალოგს ვ. პუტინთან ნიშნის მოგების კილოზე. მისი ინფორმაციით, მოსკოვში მომხდარი დანაშაულის 40%-ს იმიგრანტები ჩადიან. ამას მოჰყვა პუტინის განკარგულება იმიგრანტთა საქმიანობის მკვეთრი შეზღუდვის თაობაზე.

ახალი მიგრაციული პოლიტიკისადმი უარყოფითი დამოკიდებულება პოლიტიკური წრეებისა და სამეცნიერო ინტელიგენციის ნაწილშიც გამოიხატა.

მიუხედავად იმიგრაციის მასშტაბის ბოლოდროინდელი შეზღუდვისა, რაც მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და, მათ შორის, რუსეთის კრიზისმა გამოიწვია, განვითარების ლოგიკას რუსეთი მაინც სრულიად ახალი გეოსტრატეგიისაკენ მიჰყავს. რაც უნდა ძნელი იყოს რუსული საზოგადოებისათვის მიგრაციული ექსპანსიის დასასრულის აღქმა, იგი უკვე რეალობაა. საზღვარგარეთ მცხოვრები რუსი თანამემამულეებით შევსების ამჟამინდელ ნაკლებეფექტურ პროგრამებს უფრო ქმედითი პროგრამები მოჰყვება, რუსული დიასპორა ყოფილ სსრკ

ტერიტორიაზე მდებარე ქვეყნებში კვლავაც მნიშვნელოვნად შემცირდება. გლობალიზაციის პი-რობებში, როგორც სხვა მეზობელი ქვეყნების, ისე საქართველოს მოსახლეობა მისი დემოგრაფიული უსაფ-რთხოების დასაშვებ ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს რუსეთში ცივილიზებული პრინციპებით განხორციელებულ სამუშაო ძალის იმპორტში. ამჟამად კი მთა-ვარი ამოცანაა, საშოვარზე წასული ჩვენი დიასპორისადმი უსაფუძვლო აგრესიული დამოკიდებულება შეიცვალოს. ეს რუსეთის ინტელექტუალური ელიტის მი-ლიტარიზებულ ხელისუფლებაზე დაწოლით უნდა განხორციელდეს. ამ საქმეში რუსულ დემოკრატიასთან ჩვენი კავშირის გაწყვეტითა და იზოლაციონისტური დამოკიდებულებით, როგორც ამას ჩვენში, მართლაც, სამართლიანად განაწყენებულნი ქადაგებენ, ნაკლებ სარგებელს მოუტანს ჩვენს ქვეყანას («რაც არა გწადდეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა»). პირიქით, უფრო მეტი ინტენსივობით უნდა მივიღოთ მონაწილეობა მიგრაციისადმი მიძღვნილ საერთაშორისო ფორუმებში, მათ შორის, თვით რუსეთში ორგანიზებულ სამეცნიერო-პრაქტიკულ შეხვედრებში. «რუსეთის ახალი მიგრაციული პოლიტიკის» განხორციელება ერთ-ერთი გზაა რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიზაციისა და მრავალმხრივ აგრესიული განწყობის შესუსტებისა, რაც ყველასათვის ხელსაყრელია.

**ბოლოთქმა**

ამგვარად, ასე თუ ისე, ოფიციალურად გაფორმდა რუსეთის საუკუნოვანი მიგრაციული ექსპანსიის დამთავრება და სრულიად ახალი მიგრაციული პოლიტიკის და-საწყისი. მართალია, ეს, ჩვეულებისამებრ, რუსეთის ხელისუფლების დაგვიანებული რეაგირებაა ობიექტურ ვი-თარებაზე, მაგრამ მაინც საერთაშორისო მნიშვნელობის პროგრესული

მოვლენაა. იგი რუსეთის დემოგრაფიული გადარჩენის გზათაგანია. მეორე მხრივ კი, ტერიტორიული ექსპანსიის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული გე-ოსტრატეგიული პოზიციაა, რაც ძლიერ სჭირდება თვით რუსეთს, მის მეზობლებსა და მთელ მსოფლიოსაც. ახალი მიგრაციული პოლიტიკა ერთი სწორად გადადგმული ნა-ბიჯთაგანია, რათა რუსეთმა თავი დააღწიოს გეოპოლი-ტიკურ მარტოობას, საითაც მას ბოლო ხანს მიაქანებენ ამ სახელმწიფოს მესვეურები.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ დემოგრაფიულ-მიგრაცი-ული პრობლემები, მათ შორის, მოსახლეობის მატებისა, საქართველოს რუსეთზე მეტად აქვს გამწვავებული. ჩვენი ქვეყანა მილევადი (მომაკვდავი) მოსახლეობის ქვეყანათა სიაშია და ამ მხრივ წინ უსწრებს რუსეთს. ეს ჩვენ საზოგადოებას ბოლომდე გაცნობიერებული არა აქვს. ჩვენი ცოდნაც საქართველოს დემოგრაფიული მომავლისა მეტად მწირია. არ გვაქვს ღრმა გამოკვლევათა საფუძველზე შექმნილი კონცეფციები. თანდათან უქმდება აღნიშნულ პრობლემებზე მომუშავე სამეცნიერო სტრუქტურები, თითქმის აღარ ხდება ახალგაზრდა სპე-ციალისტთა მომზადება. უმაღლესი სასწავლებლების კურიკულუმებიდან (სასწავლო პროგრამებიდან) ქრებასაგნები: «დემოგრაფია», «მიგრაციოლოგია». «მოსახლეობის ეკონომიკა». დემოგრაფიისა და მიგრაციის საკით-ხებს სხვადასხვა გრანტებით ხშირად «იკვლევენ» პრობლემებში გაუთვითცნობიერებელი, ზოგჯერ კი, ქართული სახელმწიფოსადმი არალოიალურად განწყობი-ლი პირებიც.

შექმნილი ვითარების ერთიმეორეზე გადაბრალება და ვინმესკენ თითის გაშვერა, თემით სპეკულაცია უნდა დამთავრდეს. საქართველოს მოსახლეობის მომავალს სერიოზული კვლევა სჭირდება.